კვირის პალიტრა

გზა

N48 (390) 29/XI-5
ფასი 80 თეთრი

1168
2007

ინტერვიუ თუ მონოლოგი

„ინგას საქციელის შეფასებას დღეს ყველა ცდილობს“...

ვინ შეცვლის გრიგოლიას „იმედში“

„დროების“ ჟურნალისტები რეპორტაჟებს ჯერჯერობით სუპერმარკეტში აკეთებენ

30 მიზეზი, რომელთა გამო ქალები ვერ თხოვდებიან

რატომ მოვიდა გოგა ქვანია პოლიტიკაში

მარინა კასიანი დედამთილი გახდა

ISSN 1987 - 5029

საბა ◻ SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info @ saba.ge (+995 32) 38 44 54

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ

ᲒᲖᲐ ᲬᲜᲘᲚᲔᲑᲘ

№48 (390)
29 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ-
5 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. 2007 Წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲣᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲝᲓ ᲩᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲒᲠᲐᲤᲘ ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲘ

39-70

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲑᲐᲮᲘᲐᲜᲘᲡ „ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ“

— დაბოლოს, დაასრულეთ ჭან ჭაკ რუსოს ცნობილი გამონათქვამი: „ხედავდე უსამართლობას და არ ჩაერიო. ეს იმას ნიშნავს, რომ...“

— „... რომ მონაწილე ხარ მისი“.

22

რაზე მიგვანიშნებს გულის ტკივილი?

გულის ხანგრძლივი, შემაწუხებელი, მჩხვლეტი ტკივილი, რომელიც მკერდის მარცხენა ნაწილს მოიცავს და მშვიდად ყოფნის დროს, ზოგჯერ კი ნერვიულობის ფონზეც ჩნდება, ნერვული მოვლენაა.

37

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
22 ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲓᲐ 22 ᲨᲐᲜᲡᲘ ᲐᲜᲣ „ᲐᲛᲘᲠᲩᲘᲔᲗ, ᲓᲔᲘᲓᲔᲑᲗ, ᲑᲘᲫᲘᲔᲑᲗ, ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲑᲚᲝᲪᲐᲕᲗ!..“ 5

■ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
„ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲔᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ“ 6

■ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘ
ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ?! 8

■ ᲛᲐᲡᲛᲔᲓᲘᲐ
„ᲘᲜᲒᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲕᲐ...“ 9

■ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ
„ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲡ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲘᲡ, ᲠᲐᲢᲝᲛ ᲞᲒᲝᲜᲘᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘ ᲛᲐᲗ ᲓᲐᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ?..“ 11

■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
ᲕᲘᲜ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲐᲡ „ᲘᲛᲔᲓᲨᲘ“ 14

■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
✓„ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲧᲐᲚᲘ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲦᲠᲔ, ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲘᲧᲝ “ 18
✓ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡ ᲚᲔᲘᲢᲔᲜᲐᲜᲢᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲔᲜ 96

■ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ
ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲚᲘᲡ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ „ᲒᲠᲔᲘᲡ ᲐᲜᲐᲢᲝᲛᲘᲐ“ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ 19

■ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ
ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 20

■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲒᲔᲚᲑᲐᲮᲘᲐᲜᲘᲡ „ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ“ 22

■ ᲠᲫᲐᲚᲓᲔᲓᲐᲛᲗᲘᲚᲘᲐᲜᲘ
„ᲔᲡ ᲑᲔᲭᲔᲓᲘ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ, ᲒᲘᲐᲡ ᲣᲩᲣᲭᲔᲑᲘᲐ...“ 24

ᲨᲔᲣᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ

— შენ იქნები ჩემში და თუ უფალი ინებებს, ოდესმე, ისევ შევხვდებით!..

— მართლა, ჩემს ნომერში როგორ შემოაღწიე? კარი საგულდაგულოდ ჩავრაზე! — გაახსენდა ანას.

— ჩემთვის დახურული კარი არ არსებობს! — მოკლედ მოუჭრა კაცმა და თან დასძინა: — გიჟი ვიყვარს?

— იმ ღამით, წუთებით მოგასწრო იმ ახვარმა და ძვირიც დაუჯდა — ახლა საავადმყოფოშია!

20

■ რეალური შოუ
ვინ გახდება უკანასკნელი გმირი საქართველოში? 26
■ ანგიდეპრესანტი 30
■ სასიძო
„ბევრჯერ შეგხვდი ქუთაისში, გვერდით ჩაგიარე და გაგიღიმე...“ 30
■ თინეიჯერული პონტები
ბედინას და დაკოს შეხვედრა „გზაში“ 32
■ ჯანმრთელობა
რაზე მიგვანიშნებს გულის ტკივილი? 37
■ ჟურნალი ჟურნალში
გზავნილები 39-70
■ რეპორტაჟი
ქართველების საქორწინო მოგზაურობა ეგვიპტეში 71
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. მტკვარწაღებულნი (გაგრძელება) 74
■ ტაიმ-აუტი 78
■ საკითხავი ქალებისთვის
მითები და რელობა ლამაზი თმის შესახებ 80
■ ბესტსელერი
გოჩა მანველიძე. მგლები 4 (გაგრძელება) 82
■ ვარსკვლავები
✓ როგორ იღებენ ეროტიკულ სცენებს 86
✓ ჯულია რობერტსი „არმანისთვის“ აქსესუარებს ქმნის 88
✓ ვინ დიზელი... ლენინის როლში?! 88
■ ბელადი
მხედართმთავარი (გაგრძელება) 90
■ ტაძარი
სასწაულებით გაბრწყინებული უფლის მოციქული მათე 92
■ მკურნალი
„ბრმა ადამიანს თვალები ავუხილე...“ ანუ კაცი, რომელმაც სიმსივნის დამარცხება შეძლო 93
■ დაიჯესტი 98
■ სპორტული მოზაიკა 100
■ ავგო 101
■ ტესტი 103
■ სკანდორდი 104
■ პორნოსკოპი 105
■ კალეიდოსკოპი 106

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

ბედინას და დაკოს შეხვედრა „გზაში“

— დაკო, რას ფიქრობ ბედინაზე?

— კარგი ტიპია, ძალიან მომეწონა. სიმართლე გითხრა, არ მეგონა, ასეთი კარგი ადამიანი თუ იქნებოდა. დიდი მადლობა თქვენ, ჟურნალ „გზას“, რომ მასთან შეხვედრაში დამეხმარეთ.

32

როდის არის საჭირო ბოდიშის მოხდა

თუ პრეტენზიების მშვიდად მოსმენა ვერ მოახერხეთ, ესე იგი, ზემოთ მოცემული შენიშვნები ვერ გაითვალისწინეთ, ამიტომ გირჩევთ, კიდევ ერთხელ გულდასმით წაიკითხოთ.

80

როგორ იღებენ ეროტიკულ სცენებს

მაგრამ ის ვარსკვლავები, რომლებიც ამგვარ სცენებში გადაღებებზე უარს ამბობენ, იძულებულნი არიან „ტექნიკურ პროგრესს“ დაემორჩილონ და „აბჯარი აისხან“.

86

— რა აქა-იქ ბაზრობ?! — ხმას აუწია ლუკამ. — რისთვის გაგგზავნეთ სოხუმში?!

— არმენისა და ჩაჩბასთვის თვალი უნდა მედევნებინა, — თავი ჩახარა ტარბამ.

— მერე?!

— ასეც იყო... მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ჩაჩბა თვითონ დაბრიდავდა ტატეოსიანს!

— ჩაჩბა?! — გაუკვირდა ლუკას.

— ჰო... იმ ნაბიჭვარმა დაბრიდა ტატეოსიანი!.. — სწრაფად განაგრძო ტარბამ.

82

22 ყანლილაწი და 22 შანსი

ანუ „ამირჩიეთ, დეიდებო, ბიძიებო, ღმერთი დაგლოცავთ!..“

საოცარი ხალხი ვართ ქართველები! გვიყვარს უფროსობა და რა ჩვენი ბრალია?! იმ ლექსის არ იყოს, ყველა ქართველი პრეზიდენტია და ყველა ქართველი პრეზიდენტი — ორჯერ პრეზიდენტი. ა, ბატონო, გამოცხადდა საპრეზიდენტო მარათონი და ჯონჯოლივით დაიყარა კანდიდატები: ვისაც ბავშვის დამტოვებელი ჰყავს და ვისაც შინ გვიან მისვლის გამო მშობლები არ გაუწყრებიან, ყველამ წამოაყენა კანდიდატურა.

ოცდაორი ღირსეული კანდიდატი გვყოლია, ამ ერთი ციცქნა ქვეყნის ხალხს და ნეტავ, რაღა გვაქვს საწუწუნო?! 22 ჭკვიანი კაცი მთელ მსოფლიოს მართავს და საქართველოს ვერ მოუვლის?! თუ ვერ მოუვლის და ე.ი. ოცდაორივე ვერ ყოფილა მთლად ჭკუამწიფე. აბა, როგორ ავხსნათ ის მათემატიკური კაზუსი, თითოეულმა კანდიდატმა რომ 50 ათასი მხარდამჭერის ხელმოწერა უნდა მოაგროვოს? 22-ჯერ 50 ათასი კია 1 მილიონ 100 ათასი, ჰოდა, მგონი, ამდენი ამომრჩეველი საერთოდ არ გვყავს. მოკლედ, წინ ძალიან საინტერესო თვე გველის და ჩვენც ასი თვალი და ასი ყური თუ არა, 22 თვალი და 22 ყური მაინც უნდა გამოვიბათ, რომ ყველაზე ღირსეულს მივცეთ ხმა.

ახლა კი აღსრულდა ოპოზიციის ნება-სურვილი და ა, ბატონო, გადადგა პრეზიდენტი ანუ გვაქვს „საქართველო პრეზიდენტის გარეშე“, ქვეყანას მართავს პარლამენტის თავმჯდომარე ანუ — საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ. ამისთვის იკლავდით თავს და ახლა, თავად გინდათ პრეზიდენტობა?! კი, გენაცვალეთ, აგერ ბიულეტენი და აგერ — ურნა.

მოკლედ, გაჩაღდა საარჩევნო კამპანია და ამოქმედდა საარჩევნო მანქანა. ზოგმა უკვე დაწერა საარჩევნო პროგრამა, ზოგმა ჯერ არც იცის, რას ნიშნავს ეს საარჩევნო პროგრამა და ტელეპროგრამით ხელმძღვანელობს. შედარებით გამოცდილებმა ინტერნეტის მქონე ელექტორატზეც იზრუნეს და ვებგვერდებიც შექმნეს, ზოგმა არც ელექტორატი იცის რა არის და კომპიუტერში მხოლოდ „ზუმის“ თამაშითა და რამდენიმე პორნოსაიტის ცოდნით კმაყოფილდება.

თუმცა, ეს ყველაფერი პირველხარისხოვანი არ არის. მთავარია, როგორ „დაარასკრუტკებ“ შენს თავს და როგორ წარმართავ სარეკლამო კამპანიას. პირველ რიგში, უნდა გახვიდე ტელეეთერით ან ქუჩაში შეხვდე ამომრჩევლებს. ამისთვის მინიმუმ, ერთი ნორმალური „შარვალ-კასტუმი“ და შავი ფერის „ესპადრელებია“ საჭირო. თუ ამ ორ საკითხს მოაგვარებთ, ჩათვალეთ, რომ თქვენს პრეზიდენტობას 5 წუთი უკლია. ჯობს, ბევრი არ ილაპარაკოთ, ხალხს მოუსმინოთ და ყველაფერზე უპასუხოთ, რომ პრობლემები მოხსნილი იქნება თქვენი პრეზიდენტობის პირველსავე დღეებში, თუ არ სჯერათ, აგირჩიონ და ნახავენ...

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი ეტაპია რეკლამა. ვიცი, ბევრი თქვენგანი არც იმხელა ფულის პატრონია, რომ ჰიმნები და კლიპები შეუკვეთოს და არც იმხელა ნიჭის, რომ თავად დაწეროს. ამიტომ, გირჩევთ, უკვე არსებული რეკლამები მოირგოთ. მაგალითად, „სნიკერსის“ რეკლამა ზოგიერთი კანდიდატისთვის ზედგამოჭრილია: ხალხსაც უყვარს და სლოგანიც პირდაპირ წავა — „ის მაინც არსებობს“, რადგან თქვენი არსებობის შესახებ, ხალხმა ჯერ არაფერი იცის.

„ლიდერთა სკოლის“ ლიდერისთვის „ავერსის“ რეკლამა იქნება ეფექტური: „მაისაშვილი — ლიდერი ლიდერთა შორის“. რას იტყვით, ხომ კარგად ჟღერს?! ან PSP-ს ოსტატურად გამოყენებაც შეიძლება: „ღარიბაშვილი — ჩემი ოჯახის პრეზიდენტი“. მუდამ რეკლამების სიმრავლეს ვუჩივით და ახლა გაგიჭირდებათ კარგი რეკლამის არჩევა?! აი, თუნდაც, „ხონდრორიცი“ ავიღოთ: — „ვა, რა მაგარ ფორმაში ხარ, ბაბუ!“ — „სააკაშვილის დამსახურებაა, ბაბუ!“ ჰა, რა გინდათ ამაზე უკეთესი?!.

ერთი რეკლამა კიდევ შემოვინახე და მინდა, ბატონ შალვას, როგორც ყველაზე მრავალტანჯულ პოლიტიკოსს ვურჩიო. ამდენი წელია, პრეზიდენტობა უნდა და პარლამენტშიც კი ვერ შეაღწია. იმედი მაქვს, „ნეოანგინი“ გახდება გარდამტეხი მის პოლიტკარიერაში: „შეგაწუხათ „გადადექის“ ყვირილმა? ნათელაშვილი ჩააქრობს ხანძარს თქვენს ყელში...“

რაც შეეხება ერთიანი ეროვნული საბჭოს კანდიდატს, მისი პიარ-კამპანია ყველაზე მდიდარი იქნება რეკლამებით, ნებისმიერი საკვები პროდუქტის რეკლამაში — ძეხვი იქნება, ქათამი თუ სასმელი, ჩასვი წიწიბურა და ესეც შენი 50% + 1 ხმა...

მაგრამ მე, როგორც პროვოკატორს, ყველაზე მეტად ის კაცი მესიმპათიურება, უცხოეთიდან რომ მართავს თავის შტაბს. კაცს, რომელიც ყოველთვის „გულწრფელი“ იყო და ამბობდა, არანაირი პოლიტიკური ამბიცია არ გამაჩნია, უბრალოდ, რიგით ჯარისკაცად გამომიყენეთო და არც ახლა უნდა სხვა რამ, გარდა რიგითი პრეზიდენტობისა. ათასნაირი ცილი დასწამეს: ქვეყანას გვირევსო, გრძელი ხელები აქვსო... თქვენ ხელებს და ულვაშებს ვეღარ არჩევთ?! აშკარად, პრეზიდენტობაზე მეტს იმსახურებს და პირდაპირ „წმინდანად ხომ არ შევრაცხოთ“?!

P.S. პრეზიდენტობის კანდიდატი ხალხმრავალ ადგილას:

— დეიდებო, ბიძიებო, ამირჩიეთ, ღმერთი დაგლოცავთ.

ცოლი — აირჩიე, კაცო, გაჭირვებულია, ცოდვაა.

ქმარი — რამდენი ავირჩიო?! ერთს რომ მივცე ხმა, დაინახავს სხვა ოცდაერთი და ყველა მოგესევა... აღარ მაქვს, სხვას მივეცი, ვერ აგირჩევ.

— მაშინ, ყვავილი მაინც ეყიდე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროვოკატორი

„კარგი იქნება, თუ ეს დახმარება მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანია არ იქნება“

გასული კვირა მოვლენებით დიდად გადატვირთული არ ყოფილა. ყველა პრეზიდენტობის კანდიდატი წინასაარჩევნო კამპანიით არის დაკავებული და ხალხს დაპირებებს აძლევს. საზოგადოების ნაწილიც ამ მოვლენებს თვალყურს ადევნებს და მომავალ არჩევნებს ელის. გარდა ამისა, 7 ნოემბრის მოვლენები ჯერ არავის დავიწყებია და მიუხედავად იმისა, რომ ამ დღიდან საკმაო დრო გავიდა, კვირის მნიშვნელოვან მოვლენებზე საუბრისას, მაინც ამ ამბავს უბრუნდებიან.

„ამდენი პატიმარი გამოუშვეს და ჩემი ბიჭი არ შეიწყალეს!“

ნათია ქიქიძე

მურმან ხაჭაპურიძე, *ყოფილი ჟურნალისტი, 67 წლის:*

— გულწრფელად რომ გითხრათ, კათოლიკოს-პატრიარქი ჩემთვის და მთელი ქვეყნისთვის სათაყვანებელი პიროვნებაა. ჩემი აზრით, სწორედ ის გამოიყვანს ქართველ ერს ამ ჩიხიდან. ყველაზე სასიამოვნო ჩემთვის ის იყო, თავის ისტორიულ სიტყვაში რომ თქვა, — საქართველო გადარჩაო... ყველაზე აღმაშფოთებელი კი, 7 ნოემბრის დარბევა გახლდათ. სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, რომ ეს მოხდებოდა. 67 წლის კაცი ვარ და ბევრ რამეს მოვესწარი, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავს. ამ ხელისუფლებამ, ფაქტობრივად, საკუთარ თავს განაჩენი გამოუტანა. ყველაფერი მშვიდობიანად და კონსტრუქციულად უნდა მოეგვარებინათ. ჩვენში ადამიანური ურთიერთობები უნდა იყოს. ეს ქვეყანა ერთის ხომ არ არის, ქართველი ხალხისაა. გრიგოლ რობაქიძე ამბობდა, — ისტორიული ცოდვაა, ურთიერთშორის ქიშპი, შური, გაუტანლობა, ღვარძლი. როგორმე ეს ყველაფერი უნდა ამოიძირკვოს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო მინისტრთა კაბინეტის შეცვლა, რომელიც ჩემი აზრით, ასე სწრაფად არ უნდა იცვლებოდეს. ერთი მინისტრი ადაპტაციის გავლას ვერ ასწრებს, რომ უკვე სხვა იკავებს მის ადგილს. ეს ე.წ. კარუსელია, რომელიც მთავრობის ძალზე დიდი მინუსია. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ქართველი ერი დღეს ასეთ მდგომარეობაში არ უნდა იყოს, რადგან დიდი ისტორია გვაქვს გამოვლილი.

კარგია, გლეხებს შეშა და ფქვილი რომ დაურიგეს...

ლალი მაჩაიძე, *დიასახლისი, 35 წლის:*

— ამ კვირაში ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ, საარჩევნო კამპანიის დაწყებაა. ძალზე სასაცილოა, ჩვენი პრეზიდენტი ასე უცებ ასეთი ლმობიერი რომ გახდა. ახლა ფილარმონიის რემონტი უნდა დავიწყოთო, პენსიები უნდა გავზარდოთო, ქალაქი უნდა გავალამაზოთო. ძალიან მაინტერესებს — არჩევნებში რომ ვერ გაიმარჯვოს, მერეც გაგრძელდება ფილარმონიის რემონტი?.. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ მიუხედავად ამდენი მოწინააღმდეგისა, მაინც ის გაიმარჯვებს და თვითონ, რა თქმა უნდა, უფრო ღრმად სჯერა ამისი... ყველაზე მეტად კი ის გამიხარდა, ხალხს ლოჯიებსა და აივნების მიშენების ნებართვა რომ მისცეს, თუმცა ვისაც აშენებული ჰქონდა, იმათ რისთვის დაუნგრიეს, საინტერესოა. ახლა მეც მინდა აივნის მიშენება და იმედი მაქვს, მომავალში ისევ არ ჩამომინგრევენ.

ანზორ ჭავჭანიძე, *პენსიონერი, 70 წლის:*

— მართალია, ეს რამდენიმე კვირის წინ მოხდა და არა განვლილ კვირას, მაგრამ რად უნდა ლაპარაკი, რომ ყველაზე მეტად, 7 ნოემბრის ამბავმა აღმაშფოთა. ეს ბარბაროსობა იყო. ორიგინალური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ ასე როდიონოვიც კი არ მოქცეულა. ამ დღემ დიდი დაღი დამასვა გულზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო, ინგა გრიგოლიამ „იმედის“ ტელევიზია რომ

ეს ქვეყანა ერთის ხომ არ არის, ქართველი ხალხისაა!

დატოვა. ვიცი, რომ ბურჯანაძესთან იყო დაბარებული. არ ვიცი, იქ რა მოილაპარაკეს, მაგრამ ფაქტია, რომ მან თავის კოლეგებს უღალატა. ეს არ გამიხარდა. მერჩივნა, ის ისე მოქცეულიყო, როგორც გიორგი თარგამაძე იქცევა. არ ვიცი, ალბათ შეშინებულია და სხვა გზა არ ჰქონდა. რაც შეეხება მისი და პრეზიდენტის ინტერვიუს, პირადად მე, შეკითხვებზე პასუხები ვერ მივიღე. პრეზიდენტი რომ ამბობდა, — ჯოხი მე მომხვდაო, — ნეტავ, მართლა მოხვედროდა და მერე მიხვდებოდა, რა მწარეა.

ზურაბ ჩხეიძე, *ეკონომისტი, 46 წლის:*

— ძალიან კარგი ფაქტია, ქართული ხილის საზღვარგარეთ გატანის საშუალება რომ არსებობს. კახელ გლეხებს ყურძენი გადასაყრელი გაუხდათ; იქნებ, დასავლეთელმა გლეხებმა მაინც ამოისუნთქონ, თუ მათი ციტრუსი კარგად გაიყიდება. გარდა ამისა, მომწონს, რომ პრემიერ-მინისტრად ლადო გურგენიძე დანიშნეს. რატომღაც, ეს ადამიანი ჩემში დიდ სიმპათიებს იწვევს და მგონია, რომ ნოღაიდელზე გაცილებით უკეთ გაუძღვება მთავრობას. ისიც კარგია, გლეხებს შეშა და ფქვილი რომ დაურიგეს. კარგი იქნება, თუ ეს დახმარება მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანია არ იქნება და მომავალშიც გააგრძელებენ.

თამარ ხარაძე, *ქიმიკოსი, 73 წლის:*

— კვირის მოვლენებიდან ყველაზე მეტად, ინგა გრიგოლიას, სააკაშვილთან ჩაწერილმა ინტერვიუმ აღმაშფოთა. საშინლად არ მომეწონა. ერთსა და იმავეს იმეორებს ეს ჩვენი პრეზიდენტი. არც ერთ შეკითხვაზე პასუხი არ გასცა, მხოლოდ იმას ამბობს, რომ ქვეყანა ააშენა და საქართველო გააძლიერა. რა გვიჭირს და რა გვილხინს, ამაზე არაფერს ამბობს. პენსიებს უმატებს, თურმე!.. პენსიას კი არ უნდა უმატებდეს, იმდენი უნდა დაუნიშნოს, რომ ადამიანს ეყოს. ამბობს, შევარდნაძის დროს პენსია 14 ლარი იყოო. იმ 14 ლარით უფრო მეტი რამის ყიდვა შეგვეძლო, ვიდრე დღევანდელი 48 ლარით.

იმედო ციცვიძე, *ინჟინერი, 60 წლის:*

— აღმაშფოთებელი, 7 ნოემბრის დარბევა იყო, თუმცა ამას დარბევას ვერც დავარქმევ. ყველა ქვეყანაში ასე ხდება და ალბათ, აქაც ასე იყო საჭირო. ოპოზიციის ამბავმა კი ნამდვილად იმოქმედა ჩემზე: ცოტნე და კოკო გამსახურდიების, გოგა ხაინდრავას, რუსების აგენტობა არ მომწონს. ნათელაშვილზე არც გამკვირვებია, ისედაც ვგრძნობდი, რომ ასეთი იქნებოდა. ამ ოპოზიციამ ხალხი სათავისოდ გამოიყენა. ინგა გრიგოლიასა და პრეზიდენტის ინტერვიუდან მე პასუხები ნამდვილად მივიღე და ეს ვიცოდი კიდეც, მაგრამ ის მაინტერესებს, ინგა გრიგოლიამ თუ მიიღო ის პასუხები, რომლებიც თვითონ აინტერესებდა?..

ნინო ჟიკაძე, *სტომატოლოგი, 25 წლის:*

— ყველაზე მნიშვნელოვანი — პატიმრების შეწყალება გახლდათ. რამდენმა ოჯახმა გაიხარა შვილის შინ დაბრუნებით! ამ კადრებს მართლაც, გულაჩუყებული ვუყურებდი. ამხელა გამოცდის შემდეგ, იმედი მაქვს, ის ყოფილი პატიმრები დანაშაულს აღარ ჩაიდენენ... გარდა ამისა, გასულ კვირას საქართველო-ლიტვის მატჩს ვუყურებდი. საერთოდ, მიყვარს ფეხბურთი და ჩვენი ნაკრების დიდი გულშემატკივარი ვარ. კინაღამ გავგიჟდი, დავით სირაძე მინდორზე უგონოდ რომ დაეცა. ვიდრე საინფორმაციო გამოშვება დაიწყებოდა, ვინერვიულე. მეგონა, რაიმე სერიოზული დაემართა. კიდევ კარგი, გადავრჩით, რადგან კარგი ფეხბურთელია და ბევრ წარმატებას მოუტანს ნაკრებს. ისიც მომეწონა, პრეზიდენტმა და მთავრობის სხვა წევრებმა საავადმყოფოში რომ მოინახულეს.

როზა, *მათხოვარი, 70 წლის:*

— ამდენი პატიმარი გამოუშვეს და ჩემი ბიჭი არ შეიწყალეს! ჯერ სასამართლო არ ყოფილა და ვერ შევიწყალებთო, — თქვეს. რა უნდა იმ ავადმყოფ ბიჭს ციხეში?! მკვლელი კი არ არის — უბრალოდ, რაღაც გაუგებრობაში გაეხვა. ჩემს უბედურებას კიდევ ეგ უნდოდა?

იმ 14 ლარით უფრო მეტი რამის ყიდვა შეგვეძლო, ვიდრე დღევანდელი 48 ლარით

ლიკა ფერაძე, *სტუდენტი, 19 წლის:*

— გასულ კვირას მართლა, კარგად ვისიამოვნე. ჯერ „ორერას" კონცერტს დავესწარი, მერე კი ბუბა კიკაბიძის საღამოზეც ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ თინეიჯერი ვარ, თანამედროვე მომღერლების კონცერტებს საერთოდ არ ვესწრები. არც ერთი არ მიმაჩნია ამის ღირსად და იმიტომ. ბუბა კიკაბიძის და გენო ნადირაშვილისნაირი მაინც ვერავინ იქნება.

ლუიზა დავარაშვილი, *გამყიდველი, 64 წლის:*

— ბოლო კვირა შედარებით მშვიდია. ერთადერთი, ძალზე მაინტერესებდა ინგა გრიგოლიასა და პრეზიდენტის ინტერვიუ. მეგონა, ზოგიერთ ამბავს მაინც აეხდებოდა ფარდა, მაგრამ სააკაშვილი ისეთი გამობრძმედილია ტყუილებში, ყველა შეკითხვას თავი აარიდა და სულ სხვა თემებზე ისაუბრა. გარდა ამისა, გამიხარდა, განმუხურში მომხდარი მოვლენის გამო, პოლკოვნიკი ალექსანდრ პავლუშკო სამსახურიდან რომ გაათავისუფლეს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს. რუსებმა უნდა შეიგნონ, რომ ქართველების დაჩაგვრა მათ კარგს არაფერს მოუტანს. ■

გაერთიანდება თუ არა ოპოზიცია ბადრი პატარკაციშვილის გარშემო?!

პრეზიდენტობის მსურველთა საარჩევნო საქმიანობა აქტიურ ფაზაში შედის. უკვე ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს 21 კანდიდატი დაუპირისპირდება. ზოგი მათგანის მოღვაწეობა ქართველი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი, ზოგი კი — ნაკლებად ან სრულიად უცნობია. პირველთა რიგს ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილიც მიეკუთვნება, რომელიც ბოლო დროს, ხელისუფლების მხრიდან აქტიური თავდასხმების ობიექტადაა ქცეული. რამდენად წარმატებული იქნება მისი გუნდის ძალისხმევა, ეს 5 იანვრის შემდეგ გაირკვევა. მანამდე კი, პატარკაციშვილის სამოქმედო გეგმებსა და გამარჯვების პერსპექტივაზე ბიზნესმენის საარჩევნო შტაბის სავარაუდო ხელმძღვანელი, გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ძმა გიორგი უვანია გვესაუბრება, რომელიც პოლიტიკაში თავისი მოსვლის მიზეზებსაც ხსნის.

„ოპოზიციური პარტიების მხრიდან ეს ყველაზე ჭკვიანური ნაბიჯი იქნება“

ლალი პაპასკირი

— დავიწყოთ იქიდან, რომ ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვიღია — დავინიშნები თუ არა ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის უფროსად. ეს საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის.

— რამ განაპირობა თქვენი პოლიტიკაში მოსვლა? ცოტა უჩვეულო ამპლუა ხომ არ აგირჩევიათ?

— რა თქმა უნდა, პოლიტიკა ჩემთვის ცოტა არ იყოს, უცხოა, მაგრამ ასე თუ ისე, ორი წლის განმავლობაში საზოგადოებრივ არენაზე გამოსვლამ და საჯარო განცხადებების გაკეთებამ გარკვეული გამოცდილება შემძინა. მართალია, ეს საკმარისი არ არის, მაგრამ რადგანაც ეს გადაწყვეტილება მივიღე, საკუთარ თავზე მუშაობას გავაგრძელებ. გარდა ამისა, ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს, ხელისუფლების მიმართ დაგროვილ უკმაყოფილებას არ შეიძლება, გულგრილად უყურო. ყველა ნორმალურ ადამიანს ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლების ქმედებებზე შინაგანი პროტესტი და არსებული ვითარების შეცვლის სურვილი უჩნდებოდა. მიმაჩნია, რომ ახლა დადგა დრო, როცა ყველა მოქალაქემ არჩევანი თავისი ხალხის სასიკეთოდ უნდა გააკეთოს. ეს არის ის ძირითადი მიზეზები, რომლებმაც პოლიტიკაში მოსვლა გადამაწყვეტინა.

— თქვენ გარდა კიდევ ვინ არის ბიზნესმენ პატარკაციშვილის მხარდამჭერთა სიაში?

— ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, ვალერი გელბახიანი, გოჩა ჯოჯუა და რამდენიმე მაჟორიტარი დეპუტატი.

— მიხეილ სააკაშვილმა ერთ-ერთ ტელეინტერვიუში განაცხადა, რომ პრეზიდენტობის რამდენიმე კანდიდატს ლონდონიდან დაურეკეს და მათ ბიზნესმენმა პატარკაციშვილმა, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, თავის სასარგებლოდ კანდიდატურის მოხსნა შესთავაზა. რას იტყვით ამის შესახებ?

— ყოფილი პრეზიდენტის განცხადება არასერიოზული და რეალურ საფუძველს მოკლებულია. რაც უფრო მეტ დაუჯერებელ და დაუსაბუთებელ განცხადებას გააკეთებს ეს ადამიანი, მის რეიტინგზე მით უარესად აისახება. თუმცა მე ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ ოპოზიცია თავის არჩევანს, რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე შეაჩერებს და რატომღაც მჯერა, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას, საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილებამდე მივლენ. ამ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, რომ ეს კანდიდატი მიხეილ სააკაშვილს არჩევნების პირველსავე ტურში მოუგებს.

— შესაძლოა, ეს კანდიდატი ბადრი პატარკაციშვილი იყოს?

— არ ვიცი, ვერ გეტყვით, შესაძლოა ის იყოს, ან სხვა... ეს ალბათ, მაშინ გამოჩნდება, როცა საარჩევნო კამპანია უფრო აქტიურ ფაზაში შევა.

— ამის გათვალისწინებით, ხომ არ გქონიათ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან კონსულტაციები?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ ვაპირებთ ასეთი ტიპის შეხვედრების დაწყებას. ამ ეტაპზე ყველა, ხელმოწერების შეგროვებით არის დაკავებული.

— როგორია ბადრი პატარკაციშვილის წინასაარჩევნო განწყობილება? რამდენად აქვს მას ქართველი ხალხის მხარდაჭერის იმედი?

— მე ახლა ჩავები ამ საქმეში, მაგრამ ვიცი, რომ ბატონ ბადრის თავისი ხალხის დიდი იმედი აქვს. შესაბამისად, მეც მიმაჩნია, რომ ამ კანდიდატს გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი აქვს.

— როგორ ფიქრობთ — თუკი ერთი კანდიდატის გარშემო გაერთიანება შესაძლებელი იყო, აქამდე რატომ ვერ მოხდა აზრთა შეჯერება?

— ამისთვის ჯერ კიდევ არის დრო. მე მგონია, რომ ეს პროცესი, ადრე თუ გვიან, მაინც გარდაუვალი იქნება. აქტიურად ვაკვირდები ოპოზიციური ძალების საჯარო გამოსვლებს და მიმაჩნია, რომ მათი მხრიდან ეს ძალზე ჭკვიანური ნაბიჯი იქნებოდა.

— თქენი აზრით, არსებული

კანდიდატებიდან, ვინ არის ბადრი პატარკაციშვილისთვის ყველაზე რეალური კონკურენტი?

— ჩემი აზრით, მიხეილ სააკაშვილი. ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლებსაც მეტ-ნაკლები შანსი აქვთ, მაგრამ არა იმდენი, რამდენიც ბატონ ბადრის. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ მე მის მხარდამჭერთა რიგში აღმოვჩნდი და არა სხვა პოლიტიკურ გუნდში. დარწმუნებული ვარ, ბატონი ბადრი სწორედ ის პიროვნებაა, რომელსაც არსებულ კანდიდატებს შორის, ყველაზე მეტი გავლენა აქვს. იმედი მაქვს, რომ მე და მისი სხვა თანამოაზრეები იმედგაცრუებული არ დავრჩებით.

— რაც შეეხება ბადრი პატარკაციშვილის ხელშეუხებლობის გარანტიას: ხელისუფლება, 2 ნოემბრიდან მოყოლებული, მის წინააღმდეგ კომპრომატებს აქვეყნებს...

— გეთანხმებით, ხელისუფლებას მის მიმართ ყველაზე აგრესიული დამოკიდებულება აქვს. ეს იმიტომ, რომ ყოფილი პრეზიდენტი მასში ყველაზე რეალურ კონკურენტს ხედავს. რამდენიმე სტამბაში პლაკატების დაბეჭდვასა და ხელმოწერების ბლანკების დაბეჭდვაზეც უარი გვითხრეს, თუმცა პრობლემა მოგვარდა. ქვეყანაში არსებული ვითარების მიხედვით, მისი უსაფრთხოების გარანტიაზე თავის დადება მართლაც, ძნელია. ეს მაშინ, როცა საქართველოს კანონი მას, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, ხელშეუხებლობის გარანტიას აძლევს. მას აქვს იმუნიტეტი, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, არსებობს კანონები, რომლებიც არ სრულდება. ასე რომ, ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ მისი ხელშეუხებლობა დაცულია, არ შეგვიძლია, ამის გარანტია არ არსებობს.

— თავად ბადრი პატარკაციშვილი როდის აპირებს საქართველოში ჩამოსვლას?

— მას შემდეგ, რაც ცესკოში საკუთარ კანდიდატურას ოფიციალურად დაარეგისტრირებს. რაც შეეხება მის ხედვას, — როგორც ცნობილია, ის ემხრობა საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს.

— თუმცა, როცა კათოლიკოს-პატრიარქის მოსაზრება გავრცელდა — კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის თაობაზე, — მან ამ ტიპის მმართველობასაც დაუჭირა მხარი.....

— დიახ, კონსტიტუციური მონარქიის აღდგენაზე უარს არც ერთი პოლიტიკური ძალა არ აცხადებს, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს შორეული მომავლის პერსპექტივად რჩება. ■

ინტერვიუ თუ მონოლოგი

„ინგა ნამდვილი პროფესიონალია, ყველა ძირითადი კითხვა დასვა...“

საზოგადოებისათვის მოულოდნელი და როგორც გაირკვა, მიუღებელიც კი ალმოჩნდა ცნობილი ტელეწამყვანის, ინგა გრიგოლიას „იმედიდან“ წასვლა. ზოგიერთმა ადამიანმა, აქამდე სიმართლისათვის მებრძოლი ჟურნალისტი, მოლალატეობაში დააადანაშაულა, ბევრმა კი მის მიერ მილებული გადაწყვეტილება ხელისუფლების ზეწოლის შედეგად მიიჩნია. თავისუფალ ჟურნალისტზე განხორციელებული ზეწოლით გულგატეხილმა მაყურებელმა, გრიგოლიას მიერ მიხეილ სააკაშვილთან ჩაწერილი ინტერვიუ ერთგვარ რევანშად მიიჩნია, მაგრამ სკეპტიკოსები მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ. ვფიქრობთ, ისინი არ გვიწყენენ, თუ შევახსენებთ: ჯერ კიდევ სახელმწიფოს მეთაურის რანგში მყოფ მიხეილ სააკაშვილს ჩვენმა კოლეგამ, საზოგადოებაში დაგროვილი ყველა მწვავე კითხვა დაუსვა, რამდენჯერმე სიტყვაც შეაწყვეტინა და მაქსიმალურად შეეცადა, ამომწურავი პასუხები მიეღო, რასაც ბევრი ჟურნალისტი, დაგვერწმუნეთ, ვერ დაიკვეხნის.

„პრეზიდენტმა საკუთარ „მიღწევებზე“ ილაპარაკა“

ხათუნა ბახტურიძე

ძეთი დოლიძე, *რეჟისორი:*

— არა მგონია, ინგა „იმედიდან“ უმიზეზოდ წასულიყო. არ მესმის, როდესაც ტელეკომპანიას ასე ძალიან უჭირს, ის რატომ უნდა მიატოვოს ორმა წამყვანმა ჟურნალისტმა?!

— ქალბატონო ქეთი, როგორ ფიქრობთ, დაუსვა თუ არა ინგამ მიხეილ სააკაშვილს ყველა ის კითხვა, რაც საზოგადოებას ჰქონდა?

— თითქმის ყველა კითხვა დასვა, მაგრამ ფაქტობრივად, მიხეილ სააკაშვილმა პასუხი ვერაფერს გასცა. და კიდევ, ჩემთვის არც ერთი მისი პასუხი დამაჯერებელი არ იყო.

— მაინც, რა არ იყო დამაჯერებელი?

— სააკაშვილმა ვერ ახსნა, რატომ არ გაგვაფრთხილა წინასწარ, თუ საქართველოს სახელმწიფოებრიობას საფრთხე ემუქრებოდა. ვერ გაგვცა პასუხი იმაზეც, თუ რატომ არ დაისაჯნენ გირგვლიანის მკვლელობის დამკვეთები. სხვათა შორის, არ დაისვა კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ არ არსებობს საქართველოში დამოუკიდებელი სასამართლო და რატომ აქვთ მორჩილ პროკურორებსა და მოსამართლეებს განუზომლად დიდი ხელფასი. ჩემთვის მიუღებელი იყო ის, რომ მან ისევ თავის მიღწევებზე დაიწყო ლაპარაკი. ვერ გამიგია, თავს რატომ გვამადლიან? განა, ხელისუფლება ვალდებული არ არის, რომ ქვეყანაში რაღაც მაინც გააკეთოს? დიდი გმირობები კი, ამათ ნამდვილად არ ჩაუდენიათ. ინტერვიუს დროს, მიხეილ სააკაშვილმა თქვა, „ჩარეცხილები“ კონკრეტული ადამიანებისათვის არ მიწოდებია, ასე იდეოლოგია მოვიხსენიეო. კი, მაგრამ ჩვენი იდეოლოგია რატომ

არის ჩასარეცხი?.. მინდა გითხრათ, ჩვენ არანაირი კავშირი არ გვაქვს ქურდებთან და არც მათი დაცვა გვიფიქრია ოდესმე.

რომან გვენცაძე, *ყოფილი მინისტრი:*

— ვერ ვხვდები, რატომ უნდა წასულიყო ინგა „იმედიდან", რადგან ის არ არის ისეთი ჟურნალისტი, რომელიც ვინმეს ზეწოლას ან შანტაჟს შეუშინდება. სხვათა შორის, ეს მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, როდესაც მიხეილ სააკაშვილს პირდაპირ ეთერში თამამი და ამომწურავი

ილაპარაკა მხოლოდ იმაზე, რაზეც თავად უნდოდა ყურადღების გამახვილება

კითხვები დაუსვა. ზოგი ამბობს, ინგა დათრგუნვილი იყოო, მაგრამ მე ასე არ მომეჩვენა იმიტომ, რომ მან თავის რესპონდენტს რამდენჯერმე გააწყვეტინა ლაპარაკი. ისე, „იმედიდან" არ უნდა წასულიყო. ამ ფაქტის გამო, ძალიან მწყდება გული.

— ხომ არ დარჩა კითხვა, რომელიც თქვენ გქონდათ და ინგამ ვერ დასვა?

— არა, ინგამ ყველა ძირითადი კითხვა დასვა. ის ნამდვილი პროფესიონალია და წინასწარვე ვიცოდი, რომ არაფერი გამორჩებოდა.

— მიხეილ სააკაშვილის პასუხები თქვენთვის დამაკმაყოფილებელი იყო?

— კი, მან ყველა კითხვას ამომწურავი პასუხი გასცა. ერთადერთი, ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების ამბავზე ვერ ისაუბრა და ეს ლოგიკურიც იყო იმიტომ, რომ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება არ დასრულებულა და მეტს ვერაფერს იტყოდა.

— 7 ნოემბრის აქციის დაშლის მოტივი დამაჯერებლად მოგეჩვენათ?

— ღვთის წყალობით, აქცია მშვიდობიანად დაიშალა. ძალიან მიკვირს, როდესაც ამ მოვლენას 9 აპრილს ადარებენ. მე ამ ტრაგედიის უშუალო შემსწრე ვარ და ალბათ, სხვებსაც ახსოვთ, რომ მაშინ რუსმა ჯარისკაცებმა მომიტინგეები რკინის ნიჩბებით აჩეხეს. 7 ნოემბერს ამის მსგავსი არაფერი მომხდარა.

გია ბურჯანაძე, *მსახიობი:*

— ძალიან დამწყდა გული, რომ ინგა „იმედიდან" წავიდა, მაგრამ მის საქციელს ვერ შევაფასებ, რადგან არ ვიცი, სინამდვილეში რა მოხდა — თავისი სურვილით გადადგა ეს ნაბიჯი თუ ვინმეს ზეწოლას ვერ გაუძლო. ამ ყველაფერს ალბათ, დროთა განმავლობაში გაეცემა პასუხი. რაც შეეხება მის ინტერვიუს პრეზიდენტთან, მომეჩვენა, რომ სააკაშვილი მონოლოგს კითხულობდა. მან ილაპარაკა მხოლოდ იმაზე, რაზეც თავად უნდოდა ყურადღების გამახვილება. მან ვერ დაასაბუთა ის, რომ 7 ნოემბერს ქვეყნის დამხობა იგეგმებოდა. ვფიქრობ, ამით ბევრ რამეს გაეცა პასუხი.

თემურ ლოლობერიძე, *სტუდენტი:*

— ინგას საქციელს ვერ გავამართლებ, რადგან მან ის ტელეკომპანია დატოვა, სადაც არც თავისუფლება აკლდა და თავისი შესაძლებლობების გამოვლენაც სრულად შეეძლო. უბრალოდ, ერთი რამ მიკვირს — მხოლოდ ინგაზე რომ ლაპარაკობენ, ეკა ხოფერიამაც იგივე არ გააკეთა? ზოგი მათ საქციელს იმით ამართლებს, რომ ისინი დაშანტაჟეს და შეაშინესო. კი, მაგრამ როგორც ვიცი, ჟურნალისტს შიშის უფლება არა აქვს, ის ნებისმიერ შემთხვევაში სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს.

— ჩუმად ყოფნას სიმართლის სამსახურად მიიჩნევთ? ხომ არ ფიქრობთ, რომ გრიგოლიამ შესაძლებლობა გამოიყენა და მიხეილ სააკაშვილს ის კითხვები დაუსვა, რომლებსაც დღემდე ვერავინ უსვამდა?

— კი, კითხვები მართლაც დაუსვა, მაგრამ პასუხები რატომ ვერ გააცემინა?

— რას გულისხმობთ?

— პრეზიდენტმა ყველა კითხვას გვერდი აუარა და ისევ საკუთარ „მიღწევებზე" ილაპარაკა. ახლა, თქვენ მკითხავთ, გრიგოლიას რა უნდა ექნა, დაკითხვას ხომ ვერ მოუწყობდაო? მაგრამ ჩვენ ველოდით, რომ ინგა თავისი კითხვებით პრეზიდენტს ჩიხში მოაქცევდა და წარმატებებზე საუბრის სურვილს დააკარგვინებდა.

— უცნაური სურვილი გქონიათ...

კობა რამიშვილი, *მეწარმე:*

— ძალიან მიკვირს, როდესაც

ლოგიკური პასუხები გასცა... სხვათა შორის, მისგან სხვას არც არაფერს ველოდი

ინგას საქციელს უწუნებენ და მისი „იმედიდან" წასვლის ფაქტს გმობენ. ჟურნალისტი თავისუფალი ადამიანია და სადაც მოესურვება, იქ წავა. იქნებ, „იმედი" აღარც აღდგეს (მერწმუნეთ, ეს ნამდვილად არ გამიხარდება, მაგრამ ასეთი პირი უჩანს) და იმ ჟურნალისტებმა, ვინც იქ მუშაობდნენ, გულზე ხელები უნდა დაიკრიფონ და შინ დასხდნენ? ინგა ვინმეს ზეწოლის ქვეშ რომ ყოფილიყო, ალბათ, პრეზიდენტთან ასეთი მწვავე კითხვების დასმას ვერც გაბედავდა.

— მისი კითხვები თქვენთვის ამომწურავი იყო?

— თითქმის. მიხეილ სააკაშვილის მიმართ რაღაც სხვა შეკითხვებიც მქონდა, მაგრამ ინგამ ყველა მთავარი კითხვა დასვა.

— პრეზიდენტის პასუხები ამომწურავი იყო?

— ლოგიკური პასუხები გასცა... სხვათა შორის, მისგან სხვას არც არაფერს ველოდი. ■

„ეიკვირს ამოქრიკვლების, რატომ ჰგონიათ, რომ პოლიტიკოსები მათ დანაპირებს შეუსრულებენ?..“

ქართველ საზოგადოებაში უნდობლობის სინდრომი გაჩნდა. ხალხი აღარც ხელისუფლებას ენდობა და აღარც ოპოზიციას, მაგრამ არჩევნებში მონაწილეობას და საკუთარი აზრის დაფიქსირებას მაინც აპირებს. საზოგადოების უცნობი წარმომადგენლები და ცნობილი სახეები გვიზიარებენ იმას, თუ რატომ არ ენდობიან პოლიტიკოსებს და რას აპირებენ 5 იანვარს.

ხათუნა ბახტურიძე

„ვფიქრობ, არჩევნები სამართლიანად ჩატარდება“

ბაადურ წულაძე, *მსახიობი:*

— აქამდე არჩევნებში არ ვმონაწილეობდი, საკმაოდ დიდხანს ვიყავი იდიოტი (ძველ საბერძნეთში იდიოტს იმ ადამიანს ეძახდნენ, ვინც საარჩევნო უფლებით არ სარგებლობდა). ახლა ძალიან მინდა, ჩემი პოზიცია დავაფიქსირო და მხარი ოპოზიციას დავუჭირო, იმიტომ, რომ ამ ხელისუფლებას აღარ ვენდობი.



ძალიან მომბეზრდა ამ ხელისუფლების გაუთავებელი რიგორიკა

— ფიქრობთ, რომ ოპოზიცია თქვენს ნდობას გაამართლებს?

— დე გოლმა თქვა, — მიკვირს ამომრჩევლების, რატომ ჰგონიათ, რომ პოლიტიკოსები მათ დანაპირებს შეუსრულებენო?.. დარწმუნებული არც იმაში ვარ, რომ ოპოზიცია შეასრულებს დანაპირებს, მაგრამ ვცდი. კალათიდან ვაშლს რომ ამოვიღებ და ვნახავ — დამპალია, გადავაგდებ და სხვას გავსინჯავ, იმ იმედით, იქნებ, ის მაინც იყოს საღი... ვნახოთ, იქნებ ოპოზიციამ გაამართლოს ჩვენი ნდობა.

— ოპოზიციას საკმაოდ ფართო სპექტრი ჰყავს წარმოდგენილი, თქვენ ვის დაუჭერთ მხარს?

— ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ვფიქრობ, გაერთიანებულ ოპოზიციას დავუჭერ მხარს. ეს გუნდი შეგვპირდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, საპრეზიდენტო რესპუბლიკას საპარლამენტო რესპუბლიკით შეცვლის. როდესაც ქვეყანას პრეზიდენტის მაგივრად, პარლამენტი მართავს, დემოკრატიის დამყარებაც უფრო ადვილია. კი ვამბობთ, ევროპელები ვართო, მაგრამ აშკარად, აღმოსავლური ხასიათი გვაქვს და როდესაც ერთ-ერთი ჩვენგანი ძალაუფლებას იგდებს ხელში, მაშინვე ავტორიტარული მმართველი ხდება. ძალიან მომბეზრდა ამ ხელისუფლების გაუთავებელი რიტორიკა, მათი შადრევნებიც ყელში ამომივიდა, ყველაზე მეტად კი ის მაწუხებს, რომ გაუთავებლად ყიდიან საქართველოს, ქართველებს კი საკუთარი ხელით აშენებული სახლებიდან ყრიან.

— ხელისუფლებამ შეცდომები აღიარა და ხალხს სოციალური პირობების გაუმჯობესებას შეპირდა. მისი დანაპირების არ გჯერათ?

— იცით, რა გითხრათ?.. თუ თავში აგურს ჩამარტყამთ და მერე აღიარებთ, არ უნდა ჩამერტყაო, ეგ ჩემთვის ვერაფერი ხეირი იქნება. ხელისუფლებას ახლა გაახსენდა, რომ პენსიები და ხელფასები ძალიან დაბალია?.. თუ ქართველები ისევ სააკაშვილს დაუჭერენ მხარს, ვიფიქრებ, რომ მაზოხისტები ვართ.

სოსო ჯაჭვლიანი, *მსახიობი, რეჟისორი, მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი:*

— მე ვენდობი მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება არაფრად აგდებს. ერთხელ სტალინს უთქვამს, — არჩევნებს ის იგებს, ვინც ითვლისო. ახლაც ასე რომ არ მოხდეს, არჩევნების დღეს ყველა საქმე გადავდოთ და „დამკვირვებლები“ გავხდეთ. ახლა უკვე არასწორი არჩევანის გაკეთება აღარ გვეპატიება: ხომ არ შეიძლება, 20 წელი ქუჩაში ვიდგეთ!.. 7 ნოემბერს, ოპოზიციის მხარდასაჭერად, 10% იყო გამოსული, დანარჩენი, სოციალური პრობლემებით შეწუხებული ხალხი იყო. ახლა თუ ამ ხალხმა ისევ სააკაშვილს დაუჭირა მხარი და მერე, რაღაც მოთხოვნებით, კიდევ ქუჩაში გამოვიდა, მართლა ჯოხით საცემები იქნებიან.

— ხელისუფლების დაპირებების არ გჯერათ?

— არა, მე მაშინ დავიჯერებ ყველაფერს, როდესაც „იმედს“ გახსნიან და ყველას მიეცემა თავისუფალი სიტყვის თქმის საშუალება. ახლახან ჩამოვედი ბელორუსიიდან, საერთაშორისო კინოფესტივალზე ჩემი ფილმით — „სვანი“ ვიყავი მიწვეული. „ჟურნალისტებისა და კინოკრიტიკოსების“ პრიზი ავიღე. ახლა ინდოეთში, დიდ საერთაშორისო ფესტივალზე მივდივარ. ჩემი ახალი ფილმი, ურთიერთგაგებასა და შერიგებაზეა. დეკემბერში პრემიერას მოვაწყობ, „პოზიციასაც“ დავპატიჟებ, ოპოზიციასაც და მე და ჩემი ძმა შუაში ჩავუსხდებით. იმედი მაქვს, ბევრ რამეს გაიგებენ. ჩვენ ხელისუფლებაში ისეთი კაცი გვინდა, ვინც ჩვენს პრობლემებს, სადარდებელსა და სიხარულს გაიზიარებს. სიმართლე რომ გითხრათ, ჯერ არ ვიცი, მხარს ვის დავუჭერ, ამაზე ბევრს ვფიქრობ, უკვე მიძნელდება ვინმეზე მინდობა.

სოსო ლაცაბიძე, *მუშა:*

— 5 ნოემბრის არჩევნებზე აუცილებლად მივალ, თუნდაც იმისთვის, რომ ჩემი ხმა ხელისუფლებამ არ გამოიყენოს.

ძალიან მიკვირს, რატომ არის ხელისუფლება ასეთ იმედიან განწყობილებაზე, როდესაც 7 ნოემბერს ათასობით მოქალაქემ უნდობლობა გამოუცხადა. ჩემთვის შეურაცხმყოფელი იყო ის ფაქტი, რომ ჯერ სპეცრაზმს აცემინეს ჩვენი თავი, მერე გვითხრეს, თქვენს მოთხოვნებს გავითვალისწინებთო. თუ ჩვენი მოთხოვნების შესრულება შესაძლებელი იყო, ან აქცია რატომ დაგვირბიეს, ან მთელი 4 წელი რატომ ამოგვხადეს სული სიღარიბეში?.. მე „ვარდების რევოლუციაშიც" მივიღე მონაწილეობა, იმიტომ, რომ სწორედ სააკაშვილი შეგვპირდა, — მუქთახორა მინისტრებს წავართმევთ და თქვენ მოგცემთო. მოგვატყუა, ჩვენ კი არა, თავის მინისტრებს მისცა კარგი ცხოვრების საშუალება. ახლა ისიც გვითხრეს, — სოციალურ პრობლემებს იმიტომ ვერ ვაგვარებდით, რომ პრიორიტეტი სხვა რაღაცები იყოო... კარგი, დავიჯერებ, რომ ქვეყნის აღმშენებლობას ბევრი ფული სჭირდება, პრეზიდენტს იმაშიც ვეთანხმები, რომ მინისტრს დიდ ხელფასს თუ არ დაუნიშნავ, ქრთამს

ხელისუფლებაში ისეთი კაცი გვინდა, ვინც ჩვენს პრობლემებს, სადარდებელსა და სიხარულს გაიზიარებს

აიღებს და თავის მოვალეობას აღარ შეასრულებს, მაგრამ ნუთუ, ამ შადრევნებისა და კარუსელებისთვისაც ღირს შიმშილისა და გაჭირვების ატანა?! მეტის მოთმენას აღარ ვაპირებ, ვხვდები, რომ ყველა პოლიტიკოსი მატყუარაა.

— თუ ყველა პოლიტიკოსი მატყუარაა, არჩევნებში ხმა ვის უნდა მისცეთ?

— იმ ადამიანს, ვისაც იმდენი ძალა არ ექნება, რომ თავისსავე მოტყუებულ კაცს წიხლიც უთავაზოს: სააკაშვილის უკან დიდი ძალა დგას, მარტო ჯარი და პოლიცია კი არა, ახალგაზრდა, კუნთმაგარი „ნაციონალებიც" იცავენ. დავფიქრდები და ხმას ვინმეს, უფრო ნაკლები ძალაუფლების მქონე კანდიდატს მივცემ.

— ფიქრობთ, რომ პრეზიდენტი, რომელსაც ძალაუფლება არ ექნება, საგარეო პოლიტიკაში არსებულ პრობლემებს მოაგვარებს?

— ეს აგვარებს?.. 4 წელია, ხელისუფლებაშია და ერთი ციდა ცხინვალი ვერ დაიბრუნა, აფხაზეთზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მარტო რაღაც პროგრამებზე ლაპარაკობენ და კლიპებს იღებენ. იმედებით გამოკვება კი არა, ნადვილად გაკეთებული საქმე გვჭირდება. ამდენ ხანს შიმშილსა და გაჭირვებას იმიტომ ვითმენდით, რომ გვეგონა, ჯარს გააძლიერებდნენ და დაკარგულ ტერიტორიებს დაგვიბრუნებდნენ. თუ გახსოვთ, შარშან ზამთარში რუსეთმა გაზი რომ გადაგვიკეტა, ჩვენ ყველამ პრეზიდენტს გამოვუცხადეთ თანადგომა, ერთი საყვედურიც კი არ დაგვცდენია, მაგრამ რა გამოვიდა?.. დღეს ხელისუფლება ზუსტად იმ რუსებზე ყიდის ყველაფერს, ვინც ჩვენ ზამთარში გაგვყინა და დაგვაბნელა.

დალი ჩიძოგავა, *მასწავლებელი:*

— ხელისუფლებამ ჩვენი იმედები არ გაამართლა, მაგრამ რა ვქნა, ისევ მაგათ უნდა მივცე ხმა. ხალხისათვის მაინც არავინ არაფერს გააკეთებს. მე ოპოზიციის ლიდერებს შორის ვხედავ ადამიანებს, რომლებისთვისაც არც ღალატია უცხო და არც საკუთარი თანამემამულეებისთვის იარაღის მიშვერა. ხელისუფლებაში ახალი ადამიანების მოსვლა ნიშნავს იმას, რომ ხალხმა კიდევ უნდა დავიცადოთ და ახლა მათ გამდიდრებას უნდა ველოდოთ... ამ ხელისუფლებამ ძლივს გამოიმეტა ჩვენთვის ორიოდე გროშის გადმოგდება და ხელფასების გაზრდასაც შეგვპირდა. მე მგონი, ღირს, რომ კიდევ ერთი შანსი მივცეთ.

— დარწმუნებული ხართ, რომ ეს დაპირებები მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის შემადგენელი ნაწილი არ აღმოჩნდება?

— ისეთი გულუბრყვილოც არ ვარ, რომ ხელისუფლებას თვალდახუჭული ვენდობოდე. რა თქმა უნდა, ვიცი, რომ ამ ყველაფერს სწორედ ხმების მოსაპოვებლად გვპირდებიან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, 7 ნოემბრის შემდეგ, ჩვენს მოტყუებას აღარ მოინდომებენ. ჩინოვნიკებმა ხალხში ძალა დაინახეს და მიხვდნენ, რომ ჩვენ „ვარდების რევოლუცია" მხოლოდ მათი კეთილდღეობისთვის არ მოგვიხდენია. მე იმასაც ვხვდები, ჯარი და პოლიცია ქვეყნის ღირსების კი არა, საკუთარი ქონების დასაცავად რომ გააძლიერეს, მაგრამ იმაშიც ხომ დარწმუნდნენ, რომ ხალხს არც კბილებამდე შეიარაღებული სპეცრაზმელების ეშინია. ძალიან ბევრი რამ გადავიტანეთ იმისათვის, რომ ეს ხელისუფლება დათმობებზე წამოგვეყვანა, ახლა კიდევ, ახალი ხელისუფლების წინააღდეგ ბრძოლის სურვილი ნადვილად არ მაქვს. ეჭვი მეპარება, დავით გამყრელიძე, შალვა ნათელაშვილი ან სხვა რომელიმე ოპოზიციონერის ფიქრის ობიექტი, ხალხი იყოს. მათ მხოლოდ საკუთარი ძალაუფლება აინტერესებთ.

— დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების იმედი თუ გაქვთ?

— იმედი მაქვს, რომ ცხინვალსა და აფხაზეთს ამჟამინდელი ხელისუფლება დაგვიბრუნებს. სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, — ჩემი პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს, დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებო. სხვა გზა არა აქვს, იძულებულია, დაპირება შეასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხის ნდობასაც საბოლოოდ დაკარგავს და თავმოყვარეობასაც.

ვენდობი მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს

შემოქმედ ადამიანებთან და მოქალაქეებთან საუბრის შემდეგ, ამავე საკითხებზე ინტერვიუ ჩვენს კოლეგას — რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტს **თამარ ჩიძოვანსა** *და პოლიტოლოგ* **არჩილ გეგეშიძეს** *ვთხოვეთ.*

— ქალბატონო თამარ, როგორ ფიქრობთ — რატომ გაჩნდა ქართველ საზოგადოებაში უნდობლობის სინდრომი?

— 7 ნოემბრის მოვლენებმა ძალზე ბევრი რამ შეცვალა. ფაქტია, რომ მიხეილ სააკაშვილმა დაკარგა ის ნდობა, რომელიც მას ადრე ჰქონდა. მისი მხრიდან დათმობებზე წასვლა დაგვიანებული აღმოჩნდა. დღეს ადამიანები ხედავენ, რომ მათი მოთხოვნების შესრულება თურმე შესაძლებელი ყოფილა, მაგრამ ამის მისაღწევად, დემონსტრაციის გამართვა დასჭირდათ. ხალხი, რომელსაც ხელისუფლება ხელკეტებით, რეზინის ტყვიებითა და ცრემლსადენი გაზით უსწორდება, არასოდეს იტყვის, — რა კარგი ხელისუფლება გვყავს, ჩვენს პრობლემებზე ზრუნავსო!.. დღეს იმაზე ლაპარაკი, რომ 200 ლარი თურმე ცოტაა და ხელფასი 500 ლარამდე უნდა გაიზარდოს, პოპულისტურია და ადამიანებს ამ დაპირების შესრულებაში ეჭვი ეპარებათ. ყველაფერი, რასაც ახლა აკეთებს სააკაშვილი, წინასაარჩევნო კამპანიად არის აღქმული.

— საპროტესტო აქციის დაშლა სააკაშვილმა შეთქმულების თავიდან აცილების საჭიროებით გაამართლა.

— სააკაშვილი მაქსიმალურად ეცდება თავის მართლებას, მაგრამ ვიდრე სასამართლო არ დაადგენს, მართლაც იგეგმებოდა თუ არა შეთქმულება, ხალხში ეჭვები სულ იქნება.

— ხელისუფლებამ წარმოადგინა კომპრომატები, სატელეფონო ჩანაწერების სახით...

— სატელეფონო ჩანაწერები არც ჩემთვის და არც საზოგადოებისათვის

მტკიცებულებას არ წარმოადგენს. თუ ასეთი სატელეფონო საუბრები მართლაც არსებობდა, აქამდე რას ელოდებოდნენ?!. თუ ვინმე აგენტი და მოღალატეა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს. ყოვლად წარმოუდგენელია, ხელისუფლებამ ქვეყნის მტრებს უთხრას, — მოდი, საქმეს არავის წინააღმდეგ არ ავღძრავ და ერთმანეთი შევიყვაროთო. ამის შემდეგ, საზოგადოება ლოგიკურად ფიქრობს, რომ არანაირი შეთქმულება არ იგეგმებოდა და ეს ყველაფერი, კონკრეტული ადამიანების დაშინებისა და დაშანტაჟებისათვის მოიგონეს. ხელისუფლება გვეუბნება, — სპეცრაზმი „იმედში" იმიტომ შეიჭრა, რომ მავანს ქვეყნის დასამხობად, სამების ეკლესიის გამოყენება უნდოდაო. მეეჭვება, ეს ვინმემ დაიჯეროს. მე 7 ნოემბერს „იმედს" გულდასმით ვუყურებდი, მაგრამ არ გამიგონია, რომელიმე კორესპონდენტს ეთქვას, — მოდით, დაგვიცავით, თორემ სამებაში შემოვარდებიან და აქაურობას დალეწავენო!.. ჩვენ ეჭვიანი საზოგადოება ვართ და ასეთ რაღაცებს ადვილად არ ვიჯერებთ. ვფიქრობ, ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიმართ ჯანსაღი სკეპტიციზმი გვაქვს.

— როგორც რადიო „თავისუფლების" წარმომადგენელი, რას იტყვით — მართლაც დაკარგა ააკაშვილმა თუ არა საერთაშორისო ორგანიზაციების ნდობა?

— არაფერს ვიტყვი ევროპული ორგანიზაციების წარმომადგენლებზე, რომლებიც თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდნენ საქართველოს ექსპრეზიდენტს; ააკაშვილმა ამერიკასაც გაუცრუა იმედები. როდესაც მას მიტინგის დაშლის გასამართლებლად, მაგალითად, პარიზის მოვლენები მოჰყავს, დიდ შეცდომას უშვებს, საფრანგეთში მომიტინგეები მაღაზიის ვიტრინებს ლეწავდნენ და მანქანებს ცეცხლს უკიდებდნენ. როგორც ყველას გვახსოვს, თბილისში მსგავსი არაფერი მომხდარა. მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად, მხოლოდ მიხეილ ააკაშვილის კი არა, მთელი ქვეყნის იმიჯი შეილახა, რომლის გამოსწორების ერთადერთი შანსი — დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა. იმედი მაქვს, ამ პასუხისმგებლობას სახელისუფლებო პარტიაც იგრძნობს და არც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას მოინდომებს და არც ამომრჩევლებს დააშინებს სამსახურის დაკარგვით.

— თქვენი აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის, ყველაზე დიდი შანსი ვის აქვს?

— ნამდვილად მიჭირს ამის თქმა, თუმცა დარწმუნებული ვარ — 90% ან 80% პროცენტით ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს.

— ააკაშვილის გამარჯვების შემთხვევაში, ქვეყანაში მოვლენების განვითარება როგორ წარმოგიდგენიათ?

— ამ მიმართებით, ორი ვერსია არსებობს: ერთ-ერთის თანახმად, ხელისუფლების მხრიდან შურისძიების ახალი ეტაპი დაიწყება, მეორე ვერსიით, ააკაშვილი ისეთი, როგორიც 7 ნოემბრამდე იყო, ველარ იქნება, იმიტომ, რომ საზოგადოება ტყუილსა და თვალებში ნაცრის შეყრას აღარ აიტანს. მე ბოლო ვარიანტს უფრო ვეთანხმები. სიმართლე რომ გითხრათ, მე ის უფრო მგონია, რომ ააკაშვილი ოპოზიციაში აღმოჩნდება. ჩემი აზრით, ქვეყნისათვის ეს უფრო სასარგებლო იქნება, იმიტომ, რომ ძალიან კარგი სპარინგ-პარტნიორია და ხელისუფლებას მოდუნების საშუალებას არ მისცემს...

არჩილ გეგეშიძე:

— მოსახლეობა, ხელისუფლებაშიც და ოპიზიციაშიც ხედავს იმ პიროვნებებს, რომლებმაც სხვადასხვა დროს ხალხს იმედი გაუცრუა. მოსახლეობის უნდობლობა ამ ფაქტითაც არის განპირობებული. რაც შეეხება ხელისუფლების მიმართ გამოჩენილ უნდობლობას, — ეს გამოიწვია იმ რეფორმების სტილმა და ფორმამ, რომლებიც სწრაფი ტემპით განვითარდა ჩვენს ქვეყანაში. ეს რეფორმები უფრო მეტად, ქვეყნის ზოგად განვითარებასა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე იყო ორიენტირებული და არა უბრალო მოქალაქეებისთვის ცხოვრების გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, ხალხის გულისწყრომა გამოიწვია ხელისუფალთათვის დამახასიათებელმა, დამამცირებელმა და შეურაცხმყოფელმა ტონმაც.

— ხელისუფლება საკუთარი თავის რეაბილიტაციას ცდილობს. როგორ ფიქრობთ — დაიბრუნებს თუ არა ხალხის ნდობას?

— საზოგადოების გარკვეული ჯგუფისთვის შესაძლოა, მართლაც საკმარისი აღმოჩნდეს ის, რაც ამ ბოლო ხანებში კეთდება, მაგრამ ვფიქრობ, მოაზროვნე ამომრჩეველი აუცილებლად იკითხავს — რატომ გახდა საჭირო საპროტესტო აქციები იმისათვის, რომ ხელისუფლებას ხალხის წინაშე აღებული ვალდებულება გაეცნობიერებინა?.. მერწმუნეთ, ბევრი ადამიანი დაფიქრდება, ღირს თუ არა იმ ხელისუფლების ნდობა, რომელმაც ერთხელ უკვე გაუცრუა იმედი. ხელისუფლება ბოლოდროინდელი ინიციატივებით ხალხს პატიებას სთხოვს: მაპატიეთ და დამიტოვეთ ძალაუფლეობა, — აი, ასეთი თხოვნა აქვს დღეს ჩვენს პრეზიდენტს. თუ ეს პოლიტიკური ძალა ისევ დარჩა ხელისუფლებაში, ვფიქრობ, რაღაც-რაღაცებს გაითვალისწინებს და სოციალურად ორიენტირებულ პოლიტიკას გაატარებს, მაგრამ საკითხავია, აპატიებს თუ არა ხალხი შეცდომებს.

— 7 ნოემბერს ხალხის უმრავლესობა ქუჩაში სოციალური პრობლემების გამო გამოვიდა. თქვენი აზრით, ოპოზიცია შეძლებს ამ პრობლემების მოგვარებას?

— ოპოზიციას გაცნობიერებული მაინც აქვს, რომ ამ პრობლემების მოგვარება აუცილებელია. ახლა მათ პრაქტიკულად, ქვეყნის მართვის პროცესში უნდა გვიჩვენონ, როგორ შეუძლიათ, საშინაო და საგარეო საფრთხეების თავიდან არიდება ისე, რომ სოციალური პრობლემების მოგვარება გვერდზე არ გადადონ.

— თქვენი ვარაუდით, როგორ განვითარდება მოვლენები, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის კანდიდატი გაიმარჯვებს?

— ჩემი აზრით, ხელისუფლება გაიმარჯვებს თუ ოპოზიცია, დესტაბილიზაცია მაინც მოხდება: დამარცხება ორივე მხარისათვის ძნელად აღსაქმელი იქნება და „სამართლის" ძიება დაიწყება. თუ ხელისუფლება გაიმარჯვებს, ოპოზიცია

მეტის მოთმენას აღარ ვაპირებ, ვხვდები, რომ ყველა პოლიტიკოსი მატყუარაა

საპროტესტო აქციებს გამართავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლება მოაწყობს საბოტაჟს. ერთი სიტყვით, არა მგონია, არჩევნებმა მშვიდობიანად ჩაიაროს.

— ხელისუფლება არჩევნების სამართლიანად ჩატარებაზე იზრუნებს?

— ვფიქრობ, რომ წვრილმანი ლაფსუსები იქნება, მაგრამ საერთო ჯამში, არჩევნები სამართლიანად ჩატარდება. ამაზე საარჩევნო კოდექსიც მეტყველებს, რომელიც მოლაპარაკების შედეგად, გაუმჯობესდა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ იცის, რომ ამ არჩევნებს მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს.

■

ფირმა „შოკი"
საუკეთესო ხარისხის უგემრიელესი
ხინკალი, პელმენი
და ვარენიკი

მთელი ოჯახისათვის
იკითხეთ მაღაზიებში
მის: სპირიდონ კედიას ქ. №15
(დიდუბის ეკლესიასთან)
ტ. 34-58-75: 899-22-76-48 გიორგი

ვინ შეცვლის ინგა გრიგოლიას „იმედში“

„დროების“ ჟურნალისტები რეპორტაჟებს სუპერმარკეტებში აკეთებენ

გადაცემა „დროების“ ჟურნალისტები, გიორგი ახვლედიანი და თეა ადეიშვილი პროფესიულ საქმიანობას იმდენად მონატრებულები არიან, რომ ჩვენს რუბრიკაში მონაწილეობისას, საუბარი საკმაოდ გაუგრძელდათ. ისინი ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით, საკუთარ გულისტკივილს ხმამაღლა და დაუფარავად გამოთქვამდნენ. თან ერთმანეთს იმედს აძლევდნენ, რომ ეთერში სულ მალე გავლენ და თავისუფალი სიტყვის თქმის საშუალება ისევ მიეცემათ.

სოფო ჭონიშვილი

ჟურნალისტი – გიორგი ახვლედიანი
რესპონდენტი – თეა ადეიშვილი

— თეა, 7 ნოემბრის მოვლენებიდან, დაახლოებით, 3 კვირა გავიდა. ამ ხნის განმავლობაში, ალბათ, რაღაც-რაღაცები გააანალიზე. რა მდგომარეობაში ხარ დღეს და, საერთოდ, ხომ არაფერი შეცვლილა შენში?

— პირველ დღეებში, საშინელ შოკში ვიყავი. როცა უკვე გავაცნობიერე ის, რომ ცოცხალი გადავრჩი და სახლში არავინ შემომივარდებოდა, მერე დავიწყე იმაზე ფიქრი, თუ რა დავკარგე. გარდა იმისა, რომ უზრუნველყოფილი სამსახური დავკარგე, მასთან ერთად — საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებაც. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ველოდებოდი და დღემდე ველოდები, დამიმტკიცონ, რომ ეს იყო საქართველოს წინააღმდეგ შეთქმულება. რადგან სხვა შემთხვევაში, ხელისუფლება ჩემ წინაშე კი არა, მსოფლიოს წინაშე ვერ გაიმართლებს თავს, იმის გამო, რაც 7 ნოემბერს მოხდა.

— ესე იგი, შენთვის მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ თავი იმ ტყუილში გაიმართლოს, რომელსაც ამტკიცებს?

— მინდა, რომ ეს არ იყოს ტყუილი. სამწუხაროდ, ვერავინ მიმტკიცებს იმას, რომ ეს იყო შეთქმულება. გაკეთდა რამდენიმე ფილმი, საიდანაც გვითხრეს, რომ ეს ყველაფერი რუსეთიდან იყო დაკვეთილი. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, დღემდე ველოდები, დამიმტკიცონ, რომ ეს იყო შეთქმულება. თუმცა მე კი არა, ამერიკას ვერ უმტკიცებენ, რომელიც ძალიან დაინტერესებულია იმ ფაქტით, რომ მიიღოს პასუხი. თუ მე ვიყავი ვიღაცის ხელში ბრმა იარაღი, უკვე შემიძლია დავიძინო მშვიდად, მაგრამ გამოდის, რომ ბრმა იარაღი არ ვყოფილვარ, ვიყავი ისეთივე თეა ადეიშვილი, როგორიც ვარ ახლა, რომელიც ელოდება ეთერს. ჩემი ერთადერთი ოცნებაა და მესიზმრება კიდეც, რომ რეპორტაჟს ვაკეთებ.

— მოდი, შევთანხმდეთ იმაზე, რომ ეს შეთქმულების თეორია რუსეთის მხრიდან, ვერ მტკიცდება. რისი იმედი გაქვს, ამ შემთხვევაში, პროფესიული მოვალეობის შესრულების უფლება და საშუალება მოგეცემა?

— ჩვენ ამ დღეების განმავლობაში უამრავ ადამიანს შევხვდით, ესენი არიან: ელჩები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჩამოსული ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებასთან აპელირებენ, რათა ტელეკომპანია „იმედი“ გაიხსნას. ახლა ჯერი უკვე ხელისუფლების კონკრეტულ ნაბიჯებზეა. მე მჯერა, რომ ამ ნაბიჯს ის გადადგამს. ყველაზე დიდ იმედს ჩვენს ამერიკელ მფლობელზე — მერდოკზე ვამყარებთ, რომელმაც თავის დროზე ივალდებულა, რომ ტელეკომპანია „იმედზე“ პასუხისმგებელი იყოს. ეს არ არის ბადრი პატარკაციშვილი, ეს არის ფიგურა, რომელსაც მსოფლიოში ყველაზე დიდი მედიასივრცე აქვს დაპყრობილი. ის თავს არავის, დაა-ჩაგვრინებს. ეს კაცი არც რუსია და არც ოლიგარქი. მე მხოლოდ მის ტელეკომპანიაში დავბრუნდები.

— „ნიუსკორპორეიშენს“ და ჩვენც ხელისუფლება საკითხს ასე გვიყენებს — კი ბატონო, გადით ეთერში, ოღონდ „კასტრირებულნი“, ლაპარაკია კონკრეტულ ადამიანებზე, მათზე, თუ ვინ უნდა დატოვონ ტელეკომპანია „იმედი“. ლაპარაკია იმაზე, რომ „იმედი“ ისეთი უნდა გახდეს, როგორებიც დღეს ჩვენი კონკურენტი ტელეკომპანიები არიან. როგორ ფიქრობ, ამ ზეწოლას გაუძლებს თუნდაც ჩვენი ამერიკელი მფლობელი, რომლისთვისაც ტელევიზია პირველ რიგში, ბიზნესია? დღევანდელი სიტუაცია, მისთვის შეიძლება, იმდენად აქტუალური არ არის, როგორც ჩვენთვის. შესაძლებელია თუ არა, რომ მან ერთ-ერთი შეხვედრის დროს გვითხრას, რომ კარგით, დაწყნარდით, მთავარია, რომ ეთერში გახვიდეთ?

— ამ კორპორაციის მთავარი პრინციპი არის ის, რომ მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, ხელისუფლების არც ერთ შტოსთან ალიანსი არ ჰქონდეს, რაღა მაინცდამაინც საქართველოს ხელისუფლებასთან მოუნდება „თაფლობის თვე“? მეორე მხარე კი არის ის, რომ ხელისუფლებისთვის მთელ მსოფლიოში, ეს ყველაზე ცუდი სცენარი იქნება, მას არ ექნება არც ერთი დამოუკიდებელი ტელეკომპანია, რომელიც მის დემოკრატიულობას დაადასტურებს.

— ჩვენმა კოლეგა ჟურნალისტებმა, სხვადასხვა მედიასაშუალებიდან ხელმოწერით დაადასტურეს ის, რომ სურვილი აქვთ, „იმედი“ ჩაირთოს. მაგრამ საქმით სხვას ამტკიცებენ. რამდენად არსებობს დღეს საქართველოში მედიაკოლეგიალობა?

— საქართველო არ არის ქვეყანა, სადაც დამოუკიდებლად რაღაცას მიაღწევ. როცა ადამიანს, სამსახურის პრობლემა ექმნება, როცა მის უკან ოჯახი დგას, მაშინ იძულებულია, ვიღაცას დაემორჩილოს და ისე მოიქცეს, როგორც მას სურს.

— 7 ნოემბრის იმ ავბედით საღამოს, სამსახურში არ ვყოფილვარ. სახლში 8 საათზე წამოვედი, 9-ზე კი უკან მივბრუნდი, მაგრამ იქ უკვე აღარ შემიშვეს. ტელევიზიასთან მივედი თუ არა,

სპეცრაზმელებმა მიცნეს და რეზინის ტყვიები დამიშინეს, თან მომდევდნენ, თავი იქვე, ერთ-ერთ სადარბაზოს შევაფარე. იმ დროს შენ რა სიტუაციაში იყავი?

— მე, საბედნიეროდ, ვერ მიცნეს. ერთი რომ ყვიროდა, დაარტყით, მაგის დედაცო, მეორემ ხელი მომკიდა, ნუ გეშინიაო. იმ მომენტში ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა.

— მაშინ, როცა ჩვენს კომპანიას არბევდნენ, „რუსათავი 2-მა" პირდაპირ ეთერში განცხადება გააკეთა, ხელისუფლებას მიმართა, აგვიხსენით, რა მიზეზით შეიჭრნენ ტელეკომპანიაშიო. ეს იყო ის, რამაც ემოციურად დადებითად განმაწყო, პატარა იმედი გამიჩინა, მაგრამ ის განცხადება აღარ გაუმეორებიათ. ეტყობა, ჩვენს კოლეგებს აუხსნეს, რომ ჩვენ ვიყავით დამნაშავეები, შეთქმულები. ისინიც ამით დაკმაყოფილდნენ და გაჩუმდნენ. რამდენი წელი ვმუშაობდით ერთად მე, შენ, მაია ასათიანი, ნინო შუბლაძე, ნანუკა ჟორჟოლიანი და ზაალ უდუმაშვილი?

— ალბათ, 3 წელი.

— როგორ ფიქრობ, ეს დრო არ იყო იმისთვის საკმარისი, რომ ჩვენი კოლეგები დარწმუნებულიყვნენ, — ჩვენ გამყიდველები არ ვართ?

— მიმაჩნია, რომ მათ ეს ძალიან კარგად იციან.

— დღეს, როცა აღარ გვაქვს ტელეეთერი, მაგრამ საზოგადოების დიდი მხარდაჭერა გვაქვს, ამ სიტუაციაში რა უნდა გავაკეთოთ? არ მახსოვს ისეთი ფაქტი, რომ ტელევიზიის დასაცავად 50000 კაცი გამოსულიყოს. სახლში ხომ არ ვიჯდებით? მე, მაგალითად, მბეზრდა უკვე სახლში ჯდომა.

— გიორგი, ეს არის კითხვა, რომელზე პასუხიც ნამდვილად არ მაქვს. არ მინდა, ქუჩის აქციების მონაწილე გავხდე. მახარებს ის ფაქტი, რომ ქუჩაში ადამიანები მხვდებიან და მეუბნებიან, რომ ჩვენი გათიშული ეთერის შიშინის მოსმენა ურჩევნიათ, ზოგიერთი ტელეგადაცემების ყურებას. ეს ჩემთვის დიდი სტიმულია, მაგრამ ხალხს რა ვუპასუხო, აღარ ვიცი. განუწყვეტლივ მესმის ერთი და იგივე კითხვა, როდის გაიხსნება „იმედი"?!

— ხალხისგან მოთხოვნაა, რომ ვიმოქმედოთ. სუპერმარკეტებში რომ შევდივარ, იქიდან 2 საათი ვეღარ გამოვდივარ. გამოდის, რომ საინფორმაციო გამოშვებებს, რეპორტაჟებს მარკეტებში ვაკეთებ. მათთვის მე ინფორმაციის წყარო ვარ. ყველაფერი აინტერესებთ. თეა, როცა ტელეკომპანიაში სპეცრაზმელები შემოცვივდნენ, არ გაგიჩნდა სურვილი, მათთვის კითხვები დაგესვა?

— რა თქმა უნდა, გამიჩნდა და დავუსვი კიდეც.

— რა კითხვები დაუსვი?

— რის საფუძველზე შემოცვივდნენ ისინი ტელევიზიაში? რას გვერ-

საინფორმაციო გამოშვებებს, რეპორტაჟებს მარკეტებში ვაკეთებ

ჩოდნენ? ბოლოს გამწარებული ვიყვიროდი — ხალხო ოჯახები არ გყავთ?..

— რას გპასუხობდნენ?

— მოკეტეო. მათ შორის იყო ერთი ადამიანი, რომელმაც ჩემ მიმართ სიბრალული გამოხატა. ხელი მომკიდა და მითხრა: თეა, გთხოვ, ყველა ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილეო და მაგიდასთან დამსვა, ტელეფონიც იქვე დადო, ცოტა

ხნის შემდეგ თვალით მანიშნა, მობილური ჯიბეში ჩაიდეო. ხელი მომკიდა და გარეთ გამიყვანა, სუფთა ჰაერი ჩაყლაპეო. გიორგი თარგამაძეს 5 სპეცრაზმელი „იცავდა"... დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ

ჩემი და ჩემი მეუღლის აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა

ეთერში აუცილებლად გავალთ!

— შენი აზრით, ეს არჩევნებამდე მოხდება?

— რატომღაც მგონია, ამ ქვეყნის პრეზიდენტი ისევ მიხეილ სააკაშვილი გახდება. მან იცის, რომ „იმედის" ჩართვა-არჩართვით, მის გაპრეზიდენტებას არანაირი საფრთხე არ ემუქრება. უბრალოდ, მის გაპრეზიდენტებას „იმედის" ჩართვა ლეგიტიმურობას შესძენს. ეს ნებისმიერმა მოაზროვნე ადამიანმა იცის. ამიტომ „იმედი" აუცილებლად უნდა აღდგეს.

— თეა, ოჯახის წევრები რას გეუბნებიან?

— ოჯახში დიდი განხეთქილება მაქვს, ჩემი და ჩემი მეუღლის აზრები ერთმანეთს არ ემთხვევა.

— შენი მეუღლე რას ფიქრობს?

— მას მიაჩნია, რომ „იმედში" ბალანსი მართლაც დარღვეული იყო და ჩვენ მხარეს წარმოვადგენდით.

— მიმაჩნია, რომ ეს ბალანსი ჩვენ გამო, არ ირღვეოდა. ის თუ ირღვეოდა, იმის გამო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ჩვენს ეთერში მოსვლაზე უარს აცხადებდნენ. მათ ბოიკოტი გამოგვიცხადეს, ჩემი გადაცემა სწორედ ამიტომ დავხურე.

ჟურნალისტი – თეა აღეიშვილი
რესპონდენტი – გიორგი ახვლედიანი

— გიორგი, რა გაძლევს იმის საფუძველს და იმედს, რომ ტელეკომპანია იმედი ეთერში ისევ გავა?

— მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულ ინფორმაციულ ვაკუუმში ვიმყოფებით, საჭირო ინფორმაციების მოპოვებას მაინც ვახერხებთ, ამისთვის ათასგვარი საშუალება არსებობს. ის ინფორმაციები, რომლებიც სხვა ტელეკომპანიებში დაბლოკილია, ჩვენამდე მაინც მოდის. ეუთოს დადგენილებით, რომელიც ევროპის ხმას წარმოადგენს, ნათქვამია: თუკი 5 დეკემბერს, ტელეკომპანია „იმედი" ეთერში არ გავა, სააკაშვილის არჩევნები არალეგიტიმურად გამოცხადდებაო. ამას ჩვენს პრეზიდენტს მთელი მსოფლიო ეუბნება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში სრული განუკითხაობა დაიწყება.

— მიხეილ სააკაშვილს ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ და ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის ოპოზიციაში იმყოფებოდა, მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, როგორ ფიქრობ, ის დასავლეთს ანგარიშს არ გაუწევს?

— სააკაშვილი იყო ადამიანი, რომელიც ყველაზე კარგად გრძნობდა ქვეყნის მაჯისცემას. ის ყველაზე სწორ და ლოგიკურ დასკვნებს აკეთებდა. ის ძალიან მაღალი დონის „პიარშიკი" იყო. ახლა სიმართლე თუ გინდა, მას ეს მეთოდები დაუძველდა. თუკი ის „იმედს" არ ჩართავს, დასავლეთთან მას სერიოზული პრობლემები შეექმნება.

— თუმცა ის ფიქრობს, რომ „იმედის" ჩართვითაც პრობლემები შეექმნება.

— ამიტომ, ერთადერთი, რაც მოიფიქრა, ის არის, რომ დაატოვებინოს ეთერი „იმედის" ყველა წამყვან ჟურნალისტს, რომლებიც მისი სახეები არიან.

— რა შემთხვევაში შეიძლება მიიღო შენ, ინგა გრიგოლიას მსგავსი გადაწყვეტილება? არსებობს ამის შანსი?

— კონკრეტულ სიტუაციაში რას მოვიმოქმედებ, ნამდვილად არ ვიცი. ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, მეც მაქვს მინუსები და პლუსები. სერიოზულ ზეწოლას ვინ როგორ გაუძლებს, ეს წინასწარ არავინ იცის. ამაზე ლაპარაკი ძნელია.

— ანუ შესაძლებელია, „იმედი" დატოვო?!

— არ ვიცი, გმირი ვარ თუ არა, თუ იძულებული გავხდი, რომ „იმედიდან" წავიდე, ვიცი, რომ სახლში წავალ, ან შესაძლებელია, საერთოდ — საქართველოდანაც.

— ანუ შენს პოზიციებს დათმობ?

— ყველანაირად ვეცდები, რომ ეს ყველაფერი არ დავთმო. უბრალოდ, არ მინდა, იმის მტკიცება, რომ გმირი ვარ. ვინც ზეწოლას გაუძლებს, „იმედშიც" ის შევა!

— შემოთავაზებები ხომ გაქვს?

— შემოთავაზებები უკვე 2 წელია, მაქვს.

— ხომ არ არის შესაძლებელი, რომ გიორგი ახვლედიანი მალე პოლიტიკაში ვიხილოთ? იქიდან გამომდინარე, გეკითხები, რომ ჩვენ ჟურნალისტები იმდენად გაგვაბრაზეს, რომ ჟურნალისტური ჩარჩოებიდან გამოსვლა დავიწყეთ, რაც ამ შემთხვევაში ძალიან მტკივნეულია.

— ჩვენ გვაიძულეს, რომ პრესკონფერენციები და ბრიფინგები ვატაროთ. ამიტომ იმ მარაზმს, რაც ტელეკომპანიების ეთერში კლიპის სახით გადის, პასუხი რაღაცით უნდა გავცეთ. პოლიტიკოსობა რომ მნდომოდა, ამის საშუალება ყოველი საპარლამენტო არჩევნების დროს მქონდა. ამ ყველაფერს პირველად ვამბობ. მქონდა საშუალება, სერიოზული პარტიების სერიოზულ სიებში ვყოფილიყავი, მაგრამ ამ შემოთავაზებებზე ყოველთვის უარს ვამბობდი.

— როგორ ფიქრობ, ასე რატომ მოგვექცნენ?

— ძალიან კარგად ვიცი, ეს ყველაფერი რატომ გაგვიკეთეს, „იმედი" ხელისუფლების ყველა შეცდომას მკაფიოდ აშუქებდა. მათ დაინახეს, რომ ჩვენს გაჩუმებას ისინი სხვანაირად ვერ შეძლებდნენ.

— როგორ ფიქრობ „იმედი" ტოქშოუების გარეშე რა იქნება?

— არაფერი. „იმედი" მინუს „ტოქშოუები" წარმოუდგენელია. მჯერა, „იმედი" ეთერში სრულყოფილი სახით გავა, და არა ისე, როგორც ხელისუფლებას სურს. თუკი „იმედი" გაიხსნება, ხელისუფლება იძულებული გახდება, ჩვენს ეთერში მოსვლაზე უარი აღარ თქვას და აღარ ჩავვარდეთ იმ მდგომარეობაში, რაშიც იძულებით ჩაგვაყენეს. უნდა ვაღიაროთ, რომ ბალანსი დარღვეული იყო, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ჩვენგან გამომდინარე არ ხდებოდა.

— შენი აზრით, ვინ შეიძლება წაიყვანოს „იმედის" ტოქშოუები, ვინ შეცვლის ინგა გრიგოლიას?

— ტელეკომპანია „იმედში" ბევრი ნიჭიერი და პროფესიონალი ჟურნალისტია, რომელიც ეთერში დაჯდება და ამა თუ იმ ტოქშოუს პროფესიონალურად წაიყვანს და მას საზოგადოება, ინგა გრიგოლიაზე ნაკლებად არ შეიყვარებს. ■

უნიკალური ექსკლუზიური მეთოდები კლინიკა „მედიში"

მიხეილ გურგენიძე

კლინიკა „მედის" პრიორიტეტს, უნიკალურ ექსკლუზიურ მეთოდებთან ერთად, პლასტიკური ქირურგიაც წარმოადგენს. „მედის" პლასტიკური ქირურგების კვალიფიკაცია და მდიდარი გამოცდილება საშუალებას იძლევა, ჩატარდეს სახისა და კისრის ლიფტინგთან დაკავშირებული ყველა სახის ოპერაცია. ამ საკითხზე კლინიკის პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მიხეილ გურგენიძე გვესაუბრება.

ჩვენს კლინიკაში პლასტიკური ქირურგიის მრავალფეროვან მომსახურებას გთავაზობთ. ამჯერად, მკითხველის ყურადღებას რამდენიმე მეთოდზე, მათ შორის, სახისა და კისრის კანის დაჭიმვაზე (ფეისლიფტინგი) მივაპყრობთ. ის პლასტიკური ქირურგიის მეთოდია, რომლის საშუალებითაც ხდება: სახისა და კისრის მოდუნებული, მოშვებული კანის მოშორება; სახესა და კისერზე არსებული ნაოჭების გასწორება; სახის ოვალის ფორმირება; ორმაგი ღაბაბის მოშორება ლიპოსაქციასთან ერთად; კონტურულ პლასტიკასა და ლიპოფილინგთან შერწყმით ღრმა ღარებისა და ნაოჭების მოშორება; სახის კანის ცალკეული უბნის (შუბლის, საფეთქლების, კისრის, სახის შუა ნაწილის კანის) დაჭიმვა.

ოპერაცია „ზოგადი" გაუტკივარებით, 2,5-4 საათის განმავლობაში გრძელდება. 7-12 დღე-ღამის მერე იხსნება ძაფები და პირველადი შედეგი ვლინდება 3 კვირაში, საბოლოო კი — 2 თვეში. სრული ეფექტი ნარჩუნდება 7-10 წლის განმავლობაში. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, ოპერაციის გამეორება.

პლასტიკური ქირურგიის მნიშვნელოვანი პროცედურაა ოქროს ძაფებით არმირება. ის სამკურნალო-პროფილაქტიკური პროცედურაა, რომელიც კანის სტრუქტურას აუმჯობესებს და მისი დაბერების პროცესს აფერხებს. ამ პროცედურის დროს კანქვეშ ოქროს ძაფების იმპლანტირება ხდება, რისთვისაც უმაღლესი სინჯის ოქროს ძაფები გამოიყენება.

მუშაობის გამოცდილებამ შესაძლებლობა მოგვცა, ოქროსა და პლატინის ძაფებით არმირების კომპლექსური მეთოდი შეგვემუშავებინა, რამაც არაჩვეულებრივი შედეგები გამოიღო.

პროცედურის მიზანია ზედაპირული ნაოჭების მოშორება და ღრმა ნაოჭების გასწორება. როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ მეთოდიკაში განსაკუთრებულ როლს თავად ძაფების მასალა — ოქრო თამაშობს, რომელიც ჯერ ერთი, ბიოინერტულია და ორგანიზმში უარყოფით რეაქციებს არ იწვევს, მეორეც — მიმდებარე ქსოვილებში მიკროცირკულაციის (კაპილარული სისხლის მიმოქცევის) გაძლიერებას იწვევს, რაც უჯრედების ჟანგბადითა და საკვები ნივთიერებებით მომარაგებას რამდენჯერმე ზრდის. შედეგად, მნიშვნელოვნად მატულობს კანის ტონუსი, უმჯობესდება მისი ფერი, სწორდება ნაოჭები, ხდება ცხიმოვანი და საოფლე ჯირკვლების მუშაობის ნორმალიზება, ქრება კუპეროზი (ხილული გაფართოებული კაპილარული ქსელი).

არმირების მეთოდიკა სპეციალური ოქროს ძაფების სუბდერმალურ იმპლანტაციაში მდგომარეობს. ეს ძაფი შედგება 2 კომპონენტისაგან — უმაღლესი სინჯის ოქროს ან პლატინის უწვრილესი ძაფისა და პოლიგლიკოლის ძაფისაგან, რომელსაც გამტარის ფუნქცია აკისრია. გამტარი შედის მცირე სიღრმეზე, რაც მსხვილი სისხლძარღვებისა და ნერვების დაზიანების საფრთხეს გამორიცხავს. კოსმეტოლოგი ოქროს ძაფებისაგან კანქვეშ უხილავ ქსელს ქმნის. ყოველი ოქროს ძაფის ირგვლივ, 2-6 კვირაში ყალიბდება ელასტიკური კოლაგენური ქსოვილი, რომელიც კანის საიმედო კარკასს წარმოადგენს. იმპლანტაციიდან 60 დღის შემდეგ, პოლიგლიკოლის ძაფი უკვალოდ გაიწოვება, ოქრო კი რჩება.

ოქროს ძაფებით არმირების პროცედურა ადგილობრივი გაუტკივარებით ან „მედიკამენტური ძილის" გამოყენებით ტარდება. ანესთეზიის სახეს, პაციენტის გასინჯვის მონაცემებზე დაყრდნობით, მკურნალი ექიმი ირჩევს.

ჯერ კიდევ ახლო წარსულში, მხოლოდ ოცნებაში თუ წარმოიდგენდა ადამიანი, რომ ყოველგვარი სერიოზული ოპერაციის გარეშე დაკიდებული, მოდუნებული კანის დაჭიმვა იქნებოდა შესაძლებელი. დღეს კი ეს ოცნება, ბრაზილიელი ქირურგების დახმარებით, რეალობად იქცა (თუმცა, ისინი ამ მეთოდს საკმაოდ დიდხანს, საიდუმლოდ ინახავდნენ). ფილამენტლიფტინგით (კანისა და რბილი ქსოვილების დაჭიმვის ნაკლებინვაზიური მეთოდით) დღეს კანის გაახალგაზრდავება პრობლემას აღარ წარმოადგენს.

ჩვენი კლინიკის სპეციალისტებმა კვალიფიკაცია ევროპაში გაიარეს და ამ უნიკალურ მეთოდს პრაქტიკაში წარმატებით იყენებენ. სპეციალური ტექნოლოგიით დამზადებული ძაფებით, ყოველგვარი გაკვეთის და ნაწიბურის გარეშე, ადვილად შესაძლებელია შუბლის, წარბის, სახის ოვალის, ნიკაპის, კისრის, მუცლის, დუნდულების კორექციაც კი. მეთოდი ნაკლებინვაზიურია, არ საჭიროებს ხანგრძლივ სარეაბილიტაციო პერიოდს. ძაფის შეყვანა სპეციალური ინსტრუმენტებით ხდება, რის შედეგადაც კანზე ნაკვალევი არ რჩება. ძაფი 2 წელიწადში გაიწოვება.

„ბრაზილიური ძაფების" უპირატესობა მომენტალური შედეგია: ნახევარ საათში გადაიჭიმება ზედა ქუთუთოს, ყვრიმალების, ცხვირ-ტუჩის კანი, მოგშორდებათ ორმაგი ღაბაბი. დუნდულები თქვენ თვალწინ აიწევა და უფრო მკვრივი გახდება. პროცედურის დასრულებისთანავე პაციენტი ცხოვრების რიტმს უბრუნდება.

დაჭიმვის ეფექტი 5-10 წლის განმავლობაში ნარჩუნდება. რაც უფრო ახალგაზრდაა პაციენტი, შედეგიც უფრო ხანგრძლივია. მეთოდს არავითარი უკუჩვენება არა აქვს. პროცედურის მსვლელობაში პაციენტს შეუძლია, სურვილისამებრ აკონტროლოს კანის დაჭიმვის ხარისხი.

კლინიკა „მედის" ექიმები იზრუნებენ თქვენს სილამაზესა და ჯანმრთელობაზე. სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში პროფესიონალ ექიმებს მიმართეთ.

ნინო მღებრიშვილი

კლინიკა „მედი"

კლინიკა „მედი" გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებას:

- კოსმეტოლოგია;
- ესთეტიკური, პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია;
- სხეულის პლასტიკური ქირურგია;
- თმის მკურნალობა და აღდგენა;
- ლაზერული ეპილაცია;
- სტომატოლოგია;
- გინეკოლოგია;
- ესთეტიკური გინეკოლოგია;
- ფიტნესი;
- სპა-ცენტრი.

კლინიკა „მედის" მისამართები:
მ. კოსტავას №52; ი. ჭავჭავაძის №26; ტ: 25 02 02; 91 00 00

27906

„დიმიტრი ახლა არის ასეთი სუსტი და საწყალი, თორემ ადრე, სხვანაირი ბატონი დიმიტრი იყო"...

სვანიძე ამბობს, რომ მას და მის ოჯახს სერიოზულად ემუქრებოდნენ...

თბილისის საქალაქო სასამართლო და მისი თავმჯდომარე — გიორგი შავლიაშვილი განაგრძობენ ყოფილი თავდაცვის მინისტრისა და პრეზიდენტის ასევე ყოფილი საპარლამენტო მდივნის საქმის განხილვას. საზოგადოებამ უკვე კარგად იცის, რომ პროცესს მხოლოდ ერთი განსასჯელი — დიმიტრი ქიტოშვილი ესწრება, რომელმაც სასამართლოს უკვე ჩვენებაც მისცა. სხდომაზე დაზარალებული და რამდენიმე მოწმეც დაიკითხნენ. მათ ბრალდების სასარგებლო ჩვენებები მისცეს. განსასჯელმა ქიტოშვილმა და დაზარალებულმა ბიზნესმენმა — სვანიძემ სიტყვასიტყვით გაიმეორეს წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებები. ოქრუაშვილის ადვოკატები და მისი მხარდამჭერები ამბობენ, რომ ეს მათ არ გაჭკვირვებიათ...

მათივე თქმით, უფრო გასაკვირი და მოულოდნელი ის იქნებოდა, „სასამართლო სხდომაზე სრული სიმართლე რომ მოესმინათ". სწორედ ამ უსამართლობითა და დაუკმაყოფილებელი შუამდგომლობებით განაწყენებულმა ეკა ბესელიამ ერთ-ერთ სხდომაზე მოსამართლე შავლიაშვილს პროტესტი გამოუცხადა, მისი აცილება მოითხოვა და მომავალ სხდომებზე დასწრებაზეც უარი განაცხადა. თუმცა, დაცვის ქვეშ მყოფი, რომელიც პროცესს ისედაც არ ესწრება, როგორც ჩანს, მხოლოდ ბრალდებისა და როგორც თავად ამბობს, „აშკარად მიკერძოებული" სასამართლოს ამარა მაინც არ დატოვა...

პროცესი ბრალდების მხარემ საბრალდებო დასკვნის გამოქვეყნებით დაიწყო. ამის შემდეგ, ეკა ბესელიამ შუამდგომლობების დაყენება მოითხოვა, მაგრამ მოსამართლემ მათ განხილვაზე უარი განაცხადა. მოტივი, მისი თქმით, საპროცესო ნორმების დარღვევა გახლდათ. ბესელიამ აღნიშნა, შუამდგომლობები ძალზე მნიშვნელოვან შინაარსს და მოთხოვნას შეიცავდა, რომელთაც სავარაუდოდ, მოსამართლე მაინც არ დააკმაყოფილებდა, მაგრამ ფორმალურად მაინც საჭირო იყო მათი დაყენება და ოქმში დაფიქსირება. რაც შეეხება, საპროცესო ნორმების დარღვევას, ბესელიას თქმით, მან აბსოლუტურად ყველა ნორმა დაიცვა, მაგრამ კოდექსს მოსამართლე არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებს და თავს კანონზე მაღლა აყენებს.

მოსამართლე გიორგი შავლიაშვილმა არც აცილების მოთხოვნა დააკმაყოფილა და საქმის განხილვა განაგრძო. სხდომაზე დიმიტრი ქიტოშვილი დაიკითხა, რომელმაც დეტალურად აღწერა, თუ როგორ გამოსძალა 10-მილიონიანი წილი ჯემალ სვანიძეს და ის სულ, 250 ათას დოლარად დაათმობინა.

დიმიტრი ქიტოშვილი:

„ირაკლი ოქრუაშვილს 1999 წლიდან ვიცნობ ანუ იმ პერიოდიდან, როცა მე მის საადვოკატო ფირმაში დავიწყე მუშაობა. 2006 წლის სექტემბრის ბოლოს თუ ოქტომბრის დასაწყისში, როცა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე გახლდით, ოქრუაშვილი დამიკავშირდა და მითხრა — ვიცი, რომ ჯემალ სვანიძე, ფაქტობრივად, ფლობს კომპანია „ჯეოსელის" 2,5%-იან წილსო. ირაკლი ოქრუაშვილმა ამავე საუბრისას, დამავალა, სვანიძეს დავკავშირებოდი და მისთვის ამ წილის დათმობა მომეთხოვა. წილი მას ნომინალურ ფასად — 250 ათას დოლარად უნდა დაეთმო. ეს ციფრი თავად ოქრუაშვილმა დამისახელა. იმის გამო, რომ ჯემალ სვანიძეს პირადად არ ვიცნობდი, ზურაბ ცქიტიშვილს დავუკავშირდი და მას ვთხოვე სვანიძესთან შეხვედრის ორგანიზება. შეხვედრა ცქიტიშვილის კომპანია „ამალთეას" ოფისში შედგა, თავად ცქიტიშვილის სამუშაო კაბინეტში. ოთახში მან, მე და სვანიძე მარტო დაგვტოვა, მაშინ სვანიძეს ვუთხარი: მე და ირაკლი ოქრუაშვილს „ჯეოსელის" წილი გვჭირდება და ის 250 ათას დოლარად უნდა გადააფორმო იმ პიროვნებაზე, რომელსაც მე დაგისახელებ-მეთქი. სვანიძემ მიპასუხა: ეს არარეალური ფასიაო. მე ვუთხარი — ამაზეც მადლობა თქვი, რომ ამ თანხას გიხდით, რადგან ვიცით, რომ ის უკანონოდ გაქვს შეძენილი და თუ მას არ დათმობ, პრობლემები შეგექმნება-მეთქი. ამის შემდეგ, სვანიძემ მოსაფიქრებლად დრო მთხოვა. დაახლოებით ორ დღეში დარეკა და თანხმობა თქვა. საჭირო საბუთების შეგროვებას დაახლოებით, 2-3 კვირა დასჭირდა. ამ პერიოდში, თავდაცვის სამინისტროს შენობაში, თავის სამუშაო კაბინეტში შევხვდი ირაკლი ოქრუაშვილს. მან სვანიძისთვის გადასაცემად, 250 ათასი დოლარი მომცა. წილის გადაფორმებამდე, ამ ფულს ჩემს კაბინეტში ვინახავდი. ოქრუაშვილმა ისიც მითხრა, რომ წილი გურამ გოგიას სახელზე უნდა გადაფორმებულიყო. გურამ გოგიას ვიცნობდი. ის 2001 წლიდან იურიდიულ მომსახურებას უწევდა ფირმა „არტის". საბუთების შეგროვების შემდეგ, სვანიძეს დავურეკე, მივიყვანე ჩემს ნაცნობ ნოტარიუსთან — გინტურთან და წილი გადავაფორმებინე. ეს 2006 წლის 21 ნოემბერს მოხდა".

ცნობილია, რომ თავდაპირველად, **ქიტოშვილმა**, როცა ის მოწმის სახით დაიბარეს დასაკითხად, ყველაფერი უარყო. სასამართლოში ეს მან იმით ახსნა, რომ მაშინ არ სურდა დანაშაულის აღიარება. *„მაგრამ მას შემდეგ, რაც გავიგე, თუ რა მასალებს ფლობდა გამოძიება, ბრალისა და სასჯელის შემსუბუქების მიზნით, გადავწყვიტე ყველაფრის თქმა და გამოძიებასთან თანამშრომლობა".*

დიმიტრი ქიტოშვილის ჩვენება დაზარალებულმა **ჯემალ სვანიძემაც** დაადასტურა და სხვა დეტალებზეც ისაუბრა:

„2000-2001 წლებში, პარლამენტის წევრი და კავშირგაბმულობის კომიტეტის თავმჯდომარე გახლდით. სწორედ ამ პერიოდში შემოვიდა საქართველოში „ჯი-თი-მობილი", რომლის უცხოელმა პარტნიორებმაც დახმარება მთხოვეს. დავეხმარე და მადლიერების ნიშნად, ჩემდამი კეთილგანწყობილების გამო, კომპანიის 10%-იანი წილი შემომთავაზეს. ეს წილი ჩემი შვილის მიერ დაფუძნებული კომპანიის სახელზე გავაფორმე. „ჯი-თი-მობილის" წარმომადგენლებმა ისიც ვითხრეს, რომ დაინტერესებულები იყვნენ, მათი კომპანიის წილი რაც შეიძლება მეტ ქართულ კომპანიას ჰქონოდა და კიდევ 10% შემომთავაზეს. ამჯერად, ის ჩემი მეგობრის კუთვნილ კომპანიაზე გავაფორმე. მას შემდეგ, რაც „ჯი-თი-მობილი" „ჯეოსელს" შეუერთდა, ჩვენმა წილმა 1,25% და 1,25% შეადგინა, საერთო ჯამში — 2,5%. 2006 წლამდე მე „ჯეოსელიდან" დივიდენდები არ მიმიღია. მათი გაცემა სწორედ 2006 წლიდან დაიწყო. ამ დროისთვის, დივიდენდის სახით, 170 ათასი ლარი უნდა ამეღო, მაგრამ მხოლოდ 90 ათასი მივიღე, დარჩენილი თანხა, წილთან ერთად, გოგიას დავუთმე... დიმიტრი ქიტოშვილი თავიდან „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების სახელით მესაუბრებოდა, მაგრამ როცა ვკითხე, თუ ვინ იყო კონკრეტულად დაინტერესებული ჩემი წილით, მან ირაკლი ოქრუაშვილი დამისახელა. იმ დროს პოლიტიკაში ვიყავი და ძალიან კარგად ვიცოდი, რომ როცა ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება იწყება, ის ყოველთვის ხელისუფლების გამარჯვებით სრულდება. მივხვდი, რომ წინააღმდეგობის გაწევას არანაირი აზრი არ ჰქონდა. თანაც ქიტოშვილმა გარკვევით მითხრა, რომ თუ წილს არ დავთმობდი, სერიოზული პრობლემები შემექმნებოდა, როგორც პირადად მე, ასევე ჩემს ოჯახსა და ბიზნესს. დიმიტრი ახლა არის ასეთი სუსტი და საწყალი, თორემ ადრე სხვანაირი ბატონი დიმიტრი იყო".

საქმე ისაა, რომ ოფიციალური ცნობების თანახმად, იმ მომენტისთვის, როცა წილის გადაფორმება მოხდა, ირაკლი ოქრუაშვილი უკვე აღარ გახლდათ თავდაცვის მინისტრი. ადვოკატ ეკა ბესელიას თქმით, ბრალდება ყველგან ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღნიშნული დანაშაული ოქრუაშვილმა მინისტრობის დროს ჩაიდინა, მაშინ, როცა, ფაქტო-

გაგრძელება გვ. 96

საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში „გრეის ანატომია" დაიწყო

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, 26 ნოემბრიდან, მაყურებელს ახალი მრავალსერიანი დრამა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული სერიალი - „გრეის ანატომია" შესთავაზა. ამის შესახებ საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური პროდიუსერი, გიორგი გაჩეჩილაძე გვესაუბრება.

თამუნა კვინიკაძე

— საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში „გრეის ანატომია" გავა ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს 21:00 საათზე. სერიალი „დაკარგულებისა" და „სასოწარკვეთილი დიასახლისების" შემქმნელი კომპანიის — Buena Vistra-ს პროდუქციაა. პრემიერა 2005 წლის 27 მარტს, ამრიკული ტელეკომპანია ABC-ის ეთერში შედგა. სერიალმა სხვადასხვა ნომინაციაში უამრავი ჯილდო მიიღო. ამასთანავე, ის წლის საუკეთესო დრამატულ სერიალად აღიარეს და „ოქროს გლობუსით" დააჯილდოეს.

სიუჟეტი ვაშინგტონში, სიეტლის გრეის საავადმყოფოში ვითარდება, სადაც მომავალი ექიმები რეზიდენტურას გადიან. სერიალის გმირები არიან: მერედიტი, იზი, ჯორჯი, ალექსი, ქრისტინა... გუშინ ისინი სტუდენტები იყვნენ, დღეს კი ექიმები არიან. მათი მისიაა, გაუძლონ 7-წლიან გამოცდას, გრეის საავადმყოფოში. ეჭვიანი მეგობარი ბიჭები, ავადმყოფი მშობლები, ერთი ღამის თავგადასავლები, ცხოვრებისეული კრიზისები — ეს ყველაფერი მაყურებლისთვის საინტერესო იქნება. ამასთანავე, ორიოდე სიტყვით სერიალის მთავარ გმირებსაც დაგისახასიათებთ:

მერედიტ გრეი — ცდილობს, სრულფასოვნად იცხოვროს, მიუხედავად სამსახურისა, რომელიც ამის საშუალებას არ აძლევს. მერედიტის დედა, წარსულში ცნობილი ექიმი, მძიმე დაავადებას ებრძვის;

ქრისტინა იანგი — მიზანდასახული, ამბიციური ადამიანია;

იზაბელ სტივენსი — ამერიკის პროვინციულ ქალაქში, ხელმოკლე ოჯახშია აღზრდილი. იმისათვის, რომ სწავლის საფასური გადაიხადოს, თავისუფალ დროს მოდელობა უწევს;

ჯორჯ ომალეი — თითქოს, ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილია, მაგრამ მისი იმედი არავის აქვს. ჯორჯის საქციელი და წარმოთქმული სიტყვა მდგომარეობას არასოდეს შეეფერება;

ალექს კორეი — უხეში და ამბიციური პრაქტიკანტია, რომელიც არავის უყვარს.

სერიალში რეზიდენტებს ექიმების ჯგუფი უძღვება. მათი მისიაა ახალგაზრდები სწორ გზაზე დააყენონ და პროფესიულ განვითარებაში დაეხმარონ. უფროსი რეზიდენტი — მირანდა ბეილი მათ ტრენინგზეა პასუხისმგებელი; დერეკ შეპარდი — მექალთანე, მაგრამ ნიჭიერი ექიმია. მას საიდუმლო კავშირი აქვს მერედიტთან. ახალგაზრდების დახელოვნების საქმეს ხელმძღვანელობს ექიმი პრესტონ ბრუკი, რომელიც ცოტა უხეში ადამიანია, მაგრამ მის უხეშობას ვირტუოზული ქირურგიული ოსტატობა ჩრდილავს. გრეის საავადმყოფოში მთავარი ექიმი რიჩარდ ვებერი გახლავთ.

სერიალმა სხვადასხვა ნომინაციაში უამრავი ჯილდო მიიღო

ჩვენ იაფფასიანი სერიალების ეთერში გაშვებას მოვერიდეთ და ორიენტაცია უფრო ხარისხიან ევროპულ და ამერიკულ სერიალებზე ავიღეთ. მათ შორის, „გრეის ანატომია" შევარჩიეთ. ჩვენს ცხოვრებაში პოლიტიკა დიდი დოზით შემოიჭრა. მაყურებელს, რომელსაც სურვილი ექნება, ცოტა ხანს პოლიტიკისგან დაისვენოს და განიმუხტოს, გადმორთოს ჩვენს არხზე და „გრეის ანტომიას" უყუროს. ■

ᲨᲔᲣᲩᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ

ჟურნალისტი ქალის დღიურები

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-47

ინგა ჯაყელი

სასტუმროში მისული, ისეთ დაღლილობას გრძნობდა, რომ წყლის გადავლებაც კი დაეზარა; მიხვდა, ეს მხოლოდ ფიზიკური დაღლილობის გამო არ ხდებოდა — ემოციამ მომეტებული ენერგია წაართვა, დათოს სურვილი ხანძრად ანთებოდა სულსა და სხეულშიც...

...საწოლში შიშველი ჩაწვა. ის დღე გაახსენდა, დათოს პირველად რომ შეხვდა, შემთხვევითობის წყალობით და რომელიღაც გზისპირა რესტორანში დაუფიქრებლად დანებდა... სიზმარშიც წარსულს დაუბრუნდა და ლამის, ისევ რეალურად განიცადა ყველაფერი...

— არ მიმატოვო. ყველაფერზე თანახმა ვარ და სადაც მოისურვებ, იქ წამოგყვები! — ძილში ნათქვამი სიტყვები რეალურადაც ისე ხმამაღლა წარმოთქვა, რომ საკუთარმა ხმამ გამოაღვიძა. ისევ მოუნდა უკან, სიზმარში დაბრუნება და ის-ის იყო, ბალიშის ქვეშ აპირებდა შეძრომას, რომ ვიღაცამ თითი ჩააყოლა მის ხერხემალს...

...შიშმა შეახტუნა, მოტრიალდა და პირდაპირ გაშლილ მკლავებში ჩაუვარდა დათოს, რომელიც მის საწოლზე ჩამომჯდარიყო და ყურადღებით უცქერდა ქალს...

— არ მითხრა, ახლა, რომ ისევ სიზმარში ვარ, თორემ თავს მოვიკლავ, იცოდე! — ანას ლაპარაკი კვნესას უფრო ჰგავდა.

— სიზმარში მე მხედავდი?! — გაღიმება სცადა დათომ.

ანამ არაფერი უპასუხა, მოეხვია და გახდა დაუწყო. ახლა, მისი სხეული გონებაზე ძლიერი იყო და არაფერზე სურდა ფიქრი:

— მიყვარხარ, სიგიჟემდე მინდიხარ... შენი სურვილით შევიშალე და თუნდაც ჯოჯოხეთიდან მოგზავნილი ეშმაკი იყო, შენზე უარს მაინც ვერ ვიტყვი.

დათოს, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობა არ გაუწევია და ცოტა ხანში, თითქოს, ერთ მთლიან ნაწილად იქცნენ... როცა დაწყნარდნენ, რატომღაც, ორივე დარწმუნებული იყო, რომ თუ მთელი საუკუნე არა, რამდენიმე წელიწადი მაინც იყვნენ ვნების ალში გახვეულები!!!

— შენ შემდეგ, სხვა ქალებთან ყოფნის სურვილი გამიქრა, მენატრებოდი! — ჩურჩულებდა დათო და ისე შემოხვეოდა ანას მხრებს, თითქოს ეშინოდა, არავის წაერთმია მისი თავი.

— არ შეიძლება, სულ ერთად ვიყოთ?! — მუდარას უფრო ჰგავდა ანას ნათქვამი.

— ჯერჯერობით, ნამდვილად შეუძლებელია!

— გავიქცეთ საქართველოდან! — ისევ არ კარგავდა ანა იმედს.

— მე საქართველოში არც ვარ. ჩემი პროფესიის ადამიანებს, არც ეროვნება აქვთ, არც — სამშობლო! თუ ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა, ორიოდე კვირაში, ისედაც იტალიაში მომიწევს გადაბარგება.

— რამდენი ხნით?! — დაიძაბა ანა.

— იქნებ, სამუდამოდაც!

— მე?! — ნაწყენი ბავშვივით გაიბუტა გოგო.

— შენ იქნები ჩემში და თუ უფალი ინებებს, ოდესმე, ისევ შევხვდებით!..

— მართლა, ჩემს ნომერში როგორ შემოაღწიე? კარი საგულდაგულოდ ჩავრაზე! — გაახსენდა ანას.

— ჩემთვის დახურული კარი არ არსებობს! — მოკლედ მოუჭრა კაცმა და თან დასძინა: — გიგი გიყვარს?

— იმ ღამით, წუთებით მოგასწრო იმ ახვარმა და ძვირიც დაუჯდა — ახლა საავადმყოფოშია! — უთხრა ანამ და შემდეგ, დაწვრილებით უამბო ყველაფერი...

— სამწუხაროა, ამჯერადაც რომ არ გაგიმართლა! — მისი თავი მკერდში ჩაიკრა დათომ.

— რას გულისხმობ?! — დაიძაბა ანა.

— ჩემთან შეხვედრაც ვერ მოგიტანს იმ შვებას, რომელიც ასე გჭირდება!

ანამ ისევ დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ დათომ კოცნით გააჩუმა, ალერსით ისევ აუბნია თავგზა და ისევ უცნაური რამ განიცადა მათმა სისხლმა თუ სხეულმა.

ანა ისეთ სითბოს გრძნობდა, თითქოს თავად მზის გულზე ედო თავი. ბოლოს, მოთენთილს ჩაეძინა...

დილით, როცა გამოეღვიძა, არათუ დათო, მისი ნაკვალევიც კი ვერსად ნახა და ლამის იფიქრა, რომ ყველაფერი სიზმარი იყო, მხოლოდ... ცოტა ხანში მობილური ტელეფონის ზარი გაისმა, მაგრამ ეს არ იყო მისი ტელეფონის ზარი, კომოდზე უცხო აპარატი იდო:

ალბათ, დათოს დარჩაო! — გაიფიქრა და არ იცოდა, ეპასუხა თუ არა, მაგრამ როცა ტელეფონი არა და არ გაჩერდა, უპასუხა:

— მე ვარ, ანა! — მაშინვე იცნო დათოს ხმა.

— სად ხარ?!

— ამას რა მნიშვნელობა აქვს. ერთ საათში, მარცხენა სანაპიროზე, ზღვაში შეჭრილი კლდე რომ არის, იქ ამოდი...

— იქ დამხვდები?!

— არა... შენ ვერ მნახავ, მაგრამ მე დაგინახავ და რაღაცას გეტყვი! — ტელეფონში წყვეტილი ზუმერი გაისმა.

ანამ იმის გარკვევა სცადა, თუ რა ნომრიდან რეკავდა დათო, მაგრამ ვერ შეძლო — ნომერი დაფარული იყო. უცებ ჩაიცვა და ქუჩაში გამოსულმა ტაქსი გააჩერა, არ უნდოდა „პაემანზე“ დაგვიანება.

ის იყო კლდის ბრტყელ პლატფორმას მიაღწია, რომ ტელეფონმა დარეკა:

— მართლა მიყვარხარ, ანა! — მოესმა დათოს ხმა. — შენთან განშორებაზე ფიქრი მტანჯავს. ახლა ანგარიშის ნომერი ჩაიწერე და თუ რამე მომივიდა, იქ რაც ფულია, შენი იქნება. ჩემგან მიიღე, საჩუქრად.

— ფული რად მინდა ან მე ვინ მომცემს ბანკში შენს სახელზე შეტანილ ფულს?!

— მაპატიე, რომ შენს პირად ნივთებში უშენოდ ჩავიხედე, მაგრამ შენი პასპორტის მონაცემები მჭირდებოდა, რათა ჩემს პარტნიორებს ფული შენს სახელზე ჩაერიცხათ. შევამოწმე და ათი წუთის წინ, ანგარიში უკვე შეივსო.

— მე ფული კი არა, შენ მჭირდები! — გაღიზიანდა ანა.

— დაბრუნება თუ შეეძელი, ერთად დავხარჯავთ, თუ არადა, ოხრად რატომ უნდა დარჩეს... გამიგე, სიხარულს მხოლოდ იმაზე ფიქრი მანიჭებს, რომ შენზე ზრუნვა შემიძლია.. ახლა კი ერთი თხოვნა შემისრულე: დღესვე დატოვე ბათუმი, ეგ ტელეფონი კი, რაც შეიძლება შორს, ზღვაში მოისროლე. არ მინდა, ვინმემ შენზე გამოსვლა შეძლოს.

— რა ხდება, დათო?!

— მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ

ერთადერთი ადამიანი ხარ, ვინც მიყვარს და ძალიან მინდა სიცოცხლე! — დათომ ტელეფონი გათიშა. ანა ათიოდე წუთი დასცქეროდა დადუმებულ აპარატს. თითქოს, იმ იმედს ებღაუჭებოდა, რომ დათო ვერ შეძლებდა მის მიტოვებას და ისევ დაურეკავდა, მაგრამ აპარატმა უცნაურად დაიწრიპინა და ჩაქრა. ანამ მთელი ძალით მოიქნია აპარატი და ზღვაში მოისროლა...

სასტუმროში დაბრუნებულმა სასწრაფოდ შეკრა ბარგი და ანგარიში გაასწორა. ბათუმში აღარაფერი ესაქმებოდა. ახლა დათოს მოლოდინის ადგილას, სულ სხვა მოლოდინი ჩასახლდა — გაურკვეველი და შიშით გაჟღენთილი მოლოდინი...

შინ დაბრუნებულს, ორი დღე ფანჯარაც არ გაუღია: ძილ-ღვიძილად მიგდებულს, გვერდით ტელეფონის აპარატები ედო: ქალაქისაც და მობილურიც. მაინც ებღაუჭებოდა იმედს, რომ დათო დაურეკავდა. ჰოდა, ტელეფონმა მართლაც დარეკა, მაგრამ ეს გიგი იყო. თავიდან გადაწყვიტა, გაეთიშა, მაგრამ მიხვდა, აზრი არ ჰქონდა დაუსრულებელ დამალობანას თამაშს და გულგრილად ჩასძახა — გისმენო!

გიგის რაღაცნაირად დაღლილი და ჩავარდნილი ხმა ჰქონდა. საავადმყოფოდან რეკავდა, ჯერ ისევ არ გაეწერათ.

— გულწრფელად ვნანობ, რომ ასეთ ცუდ დღეში ჩაგაგდე, მაგრამ ჩემი ხასიათი ხომ იცი, წაგებას და დათმობას ჩვეული არ ვარ. რატომ მეჯიბრები?! და საერთოდ, დამანებე თავი! შენ სხვა გზა აირჩიე ცხოვრებაში, მე — სხვა და შეუძლებელია, ოდესმე ჩვენი გზები ისევ გადაიკვეთოს! — უთხრა ანამ.

— ძალიან გთხოვ, ხვალ საღამოს მოდი და მნახე! — სთხოვა გიგიმ.

— არავითარი სურვილი არ მაქვს, შენს ცოლს გადავეყარო... უფრო სწორად, შენს ცოლებს! — ანამ ენა მაინც წაიმწარა.

გიგიმ ეს „სიმწარე“ „გაატარა“:

— 7 საათზე მარტო ვიქნები და გელოდები. ჩემი თანაშემწე მანქანით მოგაკითხავს და მოგიყვანს! — უთხრა და ტელეფონი გათიშა. რატომღაც, ანამ მას უარი ვეღარ გაუბედა და მეორე დღეს, საღამოს, თავი აიძულა, რომ გიგისთან წასულიყო. მანქანა უკვე სადარბაზოსთან ელოდა.

ანა გიგის თანაშემწეს, ზურას იცნობდა. ის „პატრონისთვის“ ძაღლივით ერთგული იყო, რაც უფასდებოდა კიდეც. როცა ქალი მანქანაში ჩაჯდა, ზურამ უკანა საკარძლიდან დეკორატიული, ფერადი გვირილების ლამაზი თაიგული აიღო და მას მიაწოდა:

— გიგიმ მთხოვა, თქვენთვის მომერთმია.

— იცის, რომ მინდვრის ყვავილები მიყვარს. მათ შორის, გვირილები გამორჩეულად! — უბრალოდ თქვა ანამ და ზურას მადლობა გადაუხადა.

გიგის საქციელმა სერიოზულად დააფიქრა — მას შემდეგ, რაც ბოლოს დამართა, ყვავილებს ყველაზე ნაკლებად ელოდა მისგან...

გიგი პალატაში მარტო იყო და საინფორმაციო გამოშვებას უყურებდა. თავი ისევ შეხვეული ჰქონდა:

— მაპატიე! — უხერხულად აინურა ანა და დაჯდომაც ვერ მოახერხა.

— უკვე გაპატიე, მომიახლოვდი! — გაუღიმა გიგიმ და როცა ანა საწოლთან მიწეულ სკამზე ჩამოჯდა, მისი მარჯვენა ხელი ტუჩებთან მიიტანა და ფრთხილად აკოცა.

— რა გჭირს, თავის მოკვლას ხომ არ აპირებ? — ანამ ხუმრობა სცადა.

— იცი, იმ ღამეს ყველაზე მეტად რამ შემძრა? — ზიზღმა, რომელიც შენს თვალებში მძვინვარებდა მაშინ, როცა შანდალს წამოავლე ხელი და ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გამიმეტე.

— შენ მაუპატიურებდი, მე კი ამის დაშვება არ შემეძლო... თუმცა, რას მალაპარაკებ, ისედაც ხომ მიცნობ?!

— ჰო, ზედმეტად კარგადაც გიცნობ და მივხვდი, არ შემიძლია შენი დაკარგვა!.. საავადმყოფოში მყოფს ფიქრისთვის ბევრი დრო მქონდა და მივხვდი, რომ შენ ჩემი ბედისწერა ხარ და თუ დაგკარგავ, ყველაფერი აზრს დაკარგავს, ანა... მეგონა, ძლიერი და ჭკვიანი ვიყავი; რომ ყველაფერს საკუთარი ძალებით მივაღწიე...

— რატომ, ლიკაც ხომ გეხმარებოდა?! — ირონიულად თქვა ანამ.

— ჰო, ლიკაც მეხმარებოდა და სხვებიც... ახლა მე მზად ვარ, საკუთარ შვილსაც კი მივაყენო ტკივილი, ოღონდ შენ არ დაგკარგო!

— რა სისულელეა! — დაიძაბა ანა.

— ჰო, გადავწყვიტე, როგორც კი საავადმყოფოდან გამოვალ, ცოლთან გაყრაზე შევიტანთ განცხადებას, მერე კი ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ჩემი ცოლი გახდე და შენსავით ლამაზი გოგონა გამიჩინო!..

ანა მიხვდა, რომ გიგი გულწრფელი იყო და მის სიტყვებში ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდა. ალბათ, ამიტომაც არ გასჩენია შიში, რომ გიგი, შურისძიების მიზნით, რაიმე ხაფანგს უგებდა.

— იცი, გიგი, მე მარტო შენი კი არა, არც ერთი კაცის ცოლი არ გავხდები, არასოდეს! სწორად გამიგე, მარტოობა ჩემი ბედია და ისე აეწყო ჩემი ცხოვრება, რომ ვერასდროს შევძლებ, კაცს ბედნიერება მივანიჭო; ვერც დამჯერი და მორჩილი ცოლი ვიქნები...

ანას ძალიან უნდოდა, ეთქვა, რომ სხვაზე ფიქრობდა და იმ სხვაზე ფიქრით ცხოვრობდა, მაგრამ მიხვდა, ახლა ამაზე ლაპარაკი საჭირო არ იყო...

— ახლა წავალ, შენ კი ნურაფერს შეცვლი და ნურც ცოლს ატკენ გულს, რომელიც სხვათა შორის, შესანიშნავი ადამიანია და მის მაგივრობას ვერასოდეს ვერავინ გაგიწევს. ღმერთს ჰყვარებიხარ, მას რომ შეგახვედრა. და კიდევ, გიგი, ის კაცი, რომელიც შვილის გრძნობას ქალის სიყვარულს ანაცვალებს, საიმედო ვერასდროს იქნება.

— რა ვქნა, არც უშენობა შემიძლია... ის ზიზღი გამაგიჟებს, შენს თვალებში რომ დავინახე... ვერც იმას დავუშვებ, რომ სხვისი გახდე. ღმერთი მაპატიებს ყველაფერს, რადგან იმან ყველაზე უკეთ იცის, რომ შენ ხარ ჩემი ჭეშმარიტი ნახევარი, — სასოწარკვეთა გამოიკვეთა კაცის ხმაში.

— ყველაფერი ღვთის ნებაა და ის გადაწყვეტს ჩვენს ბედსაც. ახლა კი ნუ ვიჩქარებთ, მთავარია, გამოჯანმრთელდე და საავადმყოფოდან გამოხვიდე, მერე კი რაღაცას მოვიფიქრებთ. მაგრამ ცოლს თუ აწყენინებ და ოჯახიდან მართლა წამოხვალ, მეც ვეღარასოდეს მნახავ, იცოდე... ლიკაც კი არ მემეტება ასეთი დარტყმისთვის. ის გაღმერთებს და სხვათა შორის, მან ფული შემომთავაზა იმის სანაცვლოდ, რომ შენზე აღარაფერი დამეწერა. საწყალი, სახლის გაყიდვას აპირებდა.

— რა სისულელეა?! — გაოცდა გიგი.

— მეც იგივე ვუთხარი... შენზე კი ალბათ, მართლა აღარასოდეს დავწერ. მით უმეტეს, რომ მგონი, მიზანს მივაღწიე და მიგახვედრე, ამქვეყნად მთავარი ადამიანური გრძნობები და სიყვარულია, ხოლო ფული, ქონება და თანამდებობა — ეშმაკის მოგონილი... მოკლედ, ბარი-ბარში ვართ, დავზავდეთ და მშვიდად მივხედოთ საკუთარ პრობლემებს.

— შენ თუ მიმატოვებ, სიყვარულიც დამტოვებს, ანა და ისევ ჭაობში გადავეშვები! — გულწრფელი იყო გიგი.

— რაღაცას მოვიფიქრებთ, ოღონდ ახლა, ცხელ გულზე ნუ შევეცდებით გამოსავლის პოვნას!

— მომაფერებინე! — სთხოვა წასასვლელად შეტრიალებულ ანას გიგიმ.

ქალი დაიხარა და ტუჩის კუთხეში შეეხო, ფრთხილად. ორივეს გაეღიმა.

— რა იყო?! — შეცბა ანა.

— შენ რაღაზე გაგეღიმა?! — კითხვა შეუბრუნა გიგიმ.

— შენმა სურნელმა თავბრუ დამახვია. ამ მხრივ შეუცვლელი ხარ! — აღიარა ქალმა.

— შენ კი ჩემი ბედისწერა ხარ, საოცრად ჭკვიანი და ამავე დროს, ჩურჩუტი გოგო.

ზურამ ანა შინ მიაცილა და დამშვიდობებისას, თავისი სავიზიტო ბარათი მისცა:

— გიგიმ მთხოვა, მეთქვა, რომ თქვენს სამსახურში მიგულოთ და როცა დაგჭირდებით, დამიკავშირდეთ!..

ანამ მხრები აიჩეჩა და კაცს ყოველგვარი პროტესტის გარეშე გამოართვა სავიზიტო ბარათი...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პარლამენტარი ვალერი გელბახიანი „ერუდიტში“ სტუმრობაზე უყოყმანოდ დაგვთანხმდა. როგორც შეხვედრის დროს გვითხრა, ბავშვობაში სათავგადასავლო, ისტორიულ და დეტექტიურ ლიტერატურას აქტიურად კითხულობდა. დღეს კი საამისოდ დრო ნაკლებად რჩება და სამეცნიერო ლიტერატურის გარდა, ახალი წიგნების გაცნობას ვერ ახერხებს. მისი საყვარელი მწერლები კონსტანტინე გამსახურდია და ჭაბუა ამირეჯიბი არიან. მიაჩნია, რომ „დათა თუთაშხია“ გაცილებით დიდი ფილოსოფიის მატარებელია, ვიდრე მარკესის „მარტოობის ასი წელიწადი“. ყველაზე მეტჯერ ფეოდორ დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი“ აქვს წაკითხული. კითხვაზე — ოდესმე წიგნი თუ მოგიპარავთ? მცირეოდენი პაუზის შემდეგ მპასუხობს: „ალიარებით ჩვენებას მოგცემთ“. დღეს ამის გამზელა ცოტათი უხერხულია, მაგრამ ბავშვობაში ბიბლიოთეკიდან წიგნის მოპარვის ერთი-ორი შემთხვევა მახსენდება. ერთ წიგნს რომ გამოვიწერდი, ამ დროს მალულად მეორეს ჩანთაში „ვაცურებდი“ და ისე გამომქონდა“. აქვე პარლამენტარმა ისიც დასძინა, რომ მალულად წამოღებული წიგნები უკლებლივ დააბრუნა და დღეს შეუძლია, იმით იამაყოს, რომ მის ბიბლიოთეკაში არც ერთი მოპარული წიგნი არ არის.

„დღეს ამის გამზელა უხერხულია...“

ვალერი გელბახიანის „ალიარებით ჩვენება“

თამუნა კვინიკაძე

— ის იყო იტალიური რენესანსის გამოჩენილი მოღვაწე. ერთდროულად ამყღავნებდა უდიდეს ნიჭს ფერწერაში, ქანდაკებაში, ფიზიკაში, გამომგონებლობით საქმიანობაში. მიგანიშნებთ, ეს ადამიანი 1452 წლის 15 აპრილს დაიბადა.

— მიქელანჯელო ან ლეონარდო და ვინჩი, ხელოვნებათმცოდნე არ ვარ, ზუსტად არ ვიცი.

— ლეონარდო და ვინჩი. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ლუკას კრანახის რომელი ტილო იყო დაცული?

— არ ვიცი.

— „მაჭანკალი“. რომელ ქალაქშია ჰოლივუდი?

— კალიფორნიის შტატში, ლოს-ანჯელესში.

— საიდან გაჩნდნენ საქართველოში აშულები და აშულური ჟანრი?

— თუ კარგად მახსოვს, მუსლიმანური ქვეყნებიდან.

— დიახ. რა იყო გოიას მეტსახელი?

— ვერ გეტყვით.

— პაკო. მითხარით, რომ „დათა თუთაშხია“ თქვენი ერთ-ერთი საყვარელი ნაწარმოებია. დურუ მედუქნის ქალიშვილის სახელს თუ გაიხსენებთ?

— მახსოვს, ფულის გულისთვის რომ გაიხადა... (*ფიქრობს*) კიკუ.

— რამდენი დედმამიშვილი ჰყავდა დათას?

— მგონი, ერთი და ჰყავდა.

— დიახ. „ყველაფრით დაღლილს, სანატრელად სიკვდილი დამრჩა“ — შექსპირის სონეტის ეს სიტყვები, რომელ ქართულ ფილმშია გამოყენებული?

— „მონანიებაში“.

— რომელი გმირი ამბობს?

— აბელ არავიძე ბარათელს, მასთან შესვლის დროს შექსპირის ამ სონეტს უკითხავს.

— პასუხი ჩაგეთვალათ. ახლა მითხარით, რისი ქალღმერთი იყო რომაულ მითოლოგიაში ავრორა?

— (*ფიქრობს*) ცისკრის? პასუხში დარწმუნებული არ ვარ.

— დიახ. ბერძნულ მითოლოგიაში მას რომელი ქალღმერთი შეესაბამება?

— ამაზე ვერ გიპასუხებთ.

— ეოსი. მარია ანტუანეტა, მარტინ ლუთერი, ალენ დელონი, ინდირა განდი, ალფრედ ნობელი — რა აქვთ მათ საერთო?

— არა მგონია, მათ რაიმე საერთო ჰქონდეთ. ალბათ ერთი ზოდიაქოს ნიშანი აქვთ.

— გამოიცანით. მათი ზოდიაქოს ნიშანსაც ხომ ვერ მეტყვით?

— არ ვიცი.

— მორიელი. რომელ წელს გაიხსნა საქართველოში პირველი რკინიგზა?

— 1870-იან წლებში.

— 1871 წლის 14 აგვისტოს, პირველი მატარებელი ყვირილის სადგურიდან ფოთამდე გავიდა. ცნობილია, რომ წიფის გვირაბი 1886-1890 წლებში გაიყვანეს. ვინ იყო პროექტის ავტორი?

— რუსი ინჟინერი, გვარი აღარ მახსოვს.

— ფერდინანდ რიმევსკი. ვინ იხსნა კოხტასთავის შეთქმულება?

— ცოტნე დადიანმა.

— რომაულ ლეგიონში ერთ-ერთი ქვედანაყოფი იყო კოჰორტა. რამდენი კაცი შედიოდა კოჰორტაში?

— ვერ გეტყვით.

— 360-დან 600 კაცამდე. რას ნიშნავს „ავენიუ“?

— ქუჩას.

— ფართო ქუჩას. საქართველოს რომელ რაიონშია დაკრძალული ლავრენტი ბერიას დედა?

— ზუსტად არ ვიცი, ალბათ წალენჯიხაში.

— ცდებით. იგი კასპის რაიონშია დაკრძალული.

— რას ამბობთ, არ ვიცოდი.

— ის თუ იცით, სტალინის მამა სად არის დაკრძალული?

— არც ეს ვიცი. მაგრამ ვიცი, რომ სტალინის დედა მთაწმინდაზეა დაკრძალული.

— რა გვარი იყო სტალინის დედა?

— კეკე (*ფიქრობს*)... გვარი მართლა არ ვიცი.

— გელაძე. სტალინის მამა კი თელავშია დაკრძალული. ძველი მსოფლიოს გამოჩენილ სწავლულთა შორის, რომელი იყო ენაბლუ: ციცერონი, დემოსთენე თუ ეზოპე?

— დემოსთენე.

— რას იჭრიდნენ ძველი ბერძნები გლოვის ნიშნად?

— თმას.

— და გარდაცვლილის საფლავზე აფენდნენ. რა ერქვა ვახტანგ გორგასლის დედას — საგდუხტი, გურანდუხტი თუ ხორეშანი?

— ზუსტად ვერ ვიხსენებ, ან საგდუხტი ან გურანდუხტი.

— საგდუხტი. ვინ იყო ილია ჭავჭავაძის მეუღლე?

— ოლღა გურამიშვილი.

— კიდევ რომელი ცნობილი საზოგადო მოღვაწის მეუღლე ატარებდა ამ სახელსა და გვარს?

— (ფიქრობს) არ ვიცი.

— ნიკო ნიკოლაძის. მისი მეუღლე ილია ჭავჭავაძის მეუღლის მოგვარე, მოსახელე და ნათლული იყო. „ორატორი იქმნება, პოეტი იბადება“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— ვერ გეტყვით.

— ციცერონს. რამდენი შტატი იყო პირველად, როცა აშშ დაარსდა?

— 13 შტატი.

— სად არსებობდა ძველი მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ბიბლიოთეკა, — ათენში, ალექსანდრიაში, როდოსში თუ სირაკუზაში?

— როდოსში.

— ცდებით. უძველესი ბიბლიოთეკა ალექსანდრიაში არსებობდა. როგორ გამოითქმის შურისძიება იტალიურად?

— ვენდეტა.

— რომელი წლიდან ცხოვრობენ ამერიკის პრეზიდენტები თეთრ სახლში?

— 1800 წლიდან.

— რომელ ქალაქშია იუნესკოს შტაბბინა?

— პარიზში.

— რა ფერის ღვინოა ალადასტური?

— წითელი.

— რომელი ჟანრის ფუძემდებლად ითვლება ბერძენი მწერალი ეზოპე?

— იგავ-არაკის.

— რომელი მხარე იყო მაშრიყი?

— აღმოსავლეთი.

— რა ეროვნების იყო მწერალი ოსკარ უაილდი?

— ინგლისელი.

— ცდებით, იგი ირლანდიელი იყო. ვის უღალატა ფარსადანმა?

— არსენა ოძელაშვილს. იგი არსენას ნათლია იყო. სახლში მიიპატიჟა და დაათრო, შემდეგ კი მძინარე გათოკა და მთავრობას ჩააბარა.

— რა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული ძველ საქართველოში გზირს?

— (ფიქრობს)

— განკარგულების ან ბრძანების ადგილზე მიტანა და გამოცხადება.

— მე კი მგონია, რომ მას სხვა ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული.

— რამდენი ფეხი აქვს რვაფეხას?

— გგონიათ, დავიბნევი? — არა, ბატონო, ზუსტად ვიცი, რომ რვაფეხას 8 ფეხი აქვს. აბა, 9 ფეხი ხომ არ ექნება (*იცინის*).

— „ვინც უპირველესად არ არის ადამიანი, ვერასოდეს გახდება ექიმი“ — ვის ეკუთვნის ეს სიტყვები, ჰიპოკრატეს, ალექსანდრე მაკედონელს, დიოგენეს თუ არისტოტელეს?

— რადგან ექიმზე ამბობ, ალბათ ეს სიტყვები ჰიპოკრატეს ეკუთვნის.

— ბატონო ვალერი, წინა კითხვაზე არა, მაგრამ ახლა კი დაიბენით.

— არასწორად გიპასუხეთ?

— დიახ. ამ გამონათქვამის ავტორი ალექსანდრე მაკედონელია. რა ეწოდება დაავადებას, როცა ადამიანი ფერებს ვერ არჩევს?

— დალტონიზმი.

— ვინ არის „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი?

— ვერ გეტყვით.

— ფრანსუა რაბლე. „ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველა არ გავიარე, რაა მამული!“ ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— გალაკტიონ ტაბიძეს.

— გალაკტიონის ცნობილ ლექსს თუ დაასრულებთ. „გათენდა, ცეცხლის მზე აენთო, აცურდა,/ დროშები ჩქარა!../ — შემდეგ?

— „...რევოლუცია სულს ისე მოსწყურდა,/ ვით დაჭრილ ირმების გუნდს, წყარო ანკარა“...

— რაღა დროს რევოლუციაა, ბატონო ვალერი, როგორც მახსოვს, გალაკტიონს ასე არ დაუწერია.

— რევოლუცია კი არა თავისუფლება (ეს რევოლუცია რამ გამახსენა?) თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა...

— რას ნიშნავს ტერმინი „ბესტსელერი“?

— წიგნს, ფილმს, რომელზეც მუდმივი მოთხოვნაა.

— 1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციაზე ერთ-ერთი ინგლისელი ლორდი დაინტერესდა ორი დელეგატის ეროვნული ტანსაცმლით და ინგლისის პრემიერ-მინისტრს ლოიდ ჯორჯს ჰკითხა: რომელი ქვეყნის წარმომადგენელია ეს ორი ადამიანი? — ვისზეა საუბარი?

„ხედავდე უსამართლობას და არ ჩაერიო. ეს იმას ნიშნავს, რომ...“

— (ფიქრობს) ვერ გეტყვით.

— ესენი იყვნენ: კარლო ჩხეიძე და ევგენი გეგეჭკორი. ნუ გიკვირთ, ლორდ, ესენი იმ ქვეყნიდან არიან, რომელსაც შეუძლია, მთელი ევროპა მინისტრებით მოამარაგოს, — უპასუხა ლორდმა. ვინ იყო პირველი ქართველი ქალი, რომელიც გინესის წიგნში მოხვდა?

— ვერ გეტყვით.

— მიგანიშნებთ, იგი გინესის წიგნში, როგორც ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი, შევიდა.

— მაია ჩიბურდანიძე.

— 7 წლის ასაკამდე მას მარია ერქვა და გვარად კორბელი იყო. შემდეგ იგი გაჰყვა გაზეთის მაგნატს, ქმრის გვარი მიიღო და გახდა საკმაოდ ცნობილი პოლიტიკოსი. ვისზეა ლაპარაკი?

— მარგარეტ ტეტჩერზე?

— არა. ეს ქალბატონი მადლენ ოლბრაითი გახლდათ.

— მართალს ამბობთ. ეს არ უნდა შემშლოდა.

— სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე რომელ ქვეყანას არა აქვს ზღვაზე გასასვლელი?

— ასეთი არაერთი ქვეყანაა.

— მაგალითად?

— ბოლივია.

— ის წარმოიშვა წვიმის წვეთებში სინათლის სხივების გარდატეხისა და დაშლის შედეგად. — რა არის ის?

— ცისარტყელა.

— დაბოლოს, დაასრულეთ ჟან ჟაკ რუსოს ცნობილი გამონათქვამი: „ხედავდე უსამართლობას და არ ჩაერიო. ეს იმას ნიშნავს, რომ...“

— „... რომ მონაწილე ხარ მისი“.

მარინა კახიანი დედამთილი გახდა

„...ეს ბედი მისთვის მეუღლეს, გიას უჩუქებია..."

სულ რალაც 2 კვირის წინ, მომხიბვლელი მსახიობის მარინა კახიანის ვაჟმა ვათამ ეკა ოფიციალურ ცოლად წყვილს ერთმანეთი უზომოდ უყვარს და თავს ბედნიერად გრძნობს. მათი ბედნიერებით გამოწვეულ სხარულს თავად მსახიობი — დედამთილიც ვერ ფარავს. სამსახურის გამო სიძემ ინტერვიუსთვის დრო ვერ გამონახა. ამიტომ, ერთმანეთის პირისპირ რძალ-დედამთილი დაჯდა და ერთურთს სიყვარული და მეგობრობა შეჰფიცა. ბედნიერი ვარ, რომ მარინა კახიანის ოჯახში მოვხვდი. ვათა რომ ძალიან მიყვარს, ეს ცხადია, მაგრამ მარინამაც არანაკლებ შემაყვარა თავი. არ მიგრძნია, რომ ამ ოჯახში უცხო ვარ. მგონია, დიდი ხანია, რაც მათთან ერთად ვცხოვრობ".

სოფო ჭონიშვილი

— როცა ვათა გაიცანი, იცოდი, რომ ის მარინა კახიანის ვაჟი იყო?

— რა თქმა უნდა, ვიცოდი და მიხაროდა, რომ ის ჩემი საყვარელი მსახიობის შვილი იყო. არ შემიძლია, მარინას დედამთილი ვუწოდო, რადგან ის ჩემი უახლოესი მეგობარია, რომელსაც ყველაფერს ვუყვები და არასდროს არაფერს დავუმალავ. სიტყვა „დედამთილი" საშინლად არ მომწონს. მარინა ჩემი დედა, მეგობარი და გულის მესაიდუმლეა.

— შენ და ვათამ ერთმანეთი სად გაიცანით?

— ვათა ჩემი მეგობრის ქორწილში გავიცანი, ის სასიძოს მეჯვარე იყო.

— მან რითი მოგხიბლა?

— ჯერ გარეგნულად მომეწონა (*ხმამაღლა ვამბობ, რომ ჩემი მეუღლე ძალიან სიმპათიურია*), მერე კი მისმა ადამიანურმა თვისებებმაც მომხიბლა.

— ქალბატონო მარინა, ეკა როგორი რძალია? კმაყოფილი ხართ შვილის არჩევანით?

— ეკუნა არაჩვეულებრივი გოგოა. პირველი შეხვედრისთანავე მომხიბლა, ჩემს გულში შემოიჭრა. ვერ ვგრძნობ, რომ ის ჩემი რძალია. უკვე ძალიან მიყვარს და ჩემად მიმაჩნია.

— ეკას მანამდე იცნობდით, სანამ ვათა ცოლად მოიყვანდა?

— კი, ვიცნობდი. სხვათა შორის, სანამ ჩემი რძალი გახდებოდა, თავი მანამდე შემაყვარა. ძალიან გახსნილი, უშუალო, თბილი ადამიანია. ასეთი რომ არ ყოფილიყო, მაშინ ვერ გეტყვი, როგორი დედამთილი ვიქნებოდი. ორი ადამიანის ურთიერთობა მაშინაა აწყობილი, როცა ორივე კარგია. ამ შემთხვევაში, მარტო რძალ-დედამთილობას კი არა, მეგობრობასა და ახლობლობასაც ვგულისხმობ. მიხარია, ჩემს ოჯახში ეკასნაირი ადამიანი რომ შემოვიდა.

— ანუ ეკა, როგორც რძალი, ისე არ მიგიღიათ?

— არა, ის მივიღე ისე, როგორც ძალიან ახლობელი ადამიანი. როცა ქუჩაში ერთად გავდივართ, მეკითხებიან — შენი შვილიაო? ეს ფაქტი ძალიან მსიამოვნებს.

ეკა:

— რა თქმა უნდა, ეს მეც მახარებს. ისეთი შემთხვევებიც გვქონია, როცა უთქვამთ, ერთმანეთს ძალიან ჰგავხართო. მე თუ მარინასნაირი ლამაზი ვარ, ჩემი საქმე კარგად ყოფილა.

— ქალბატონო მარინა, ოდესმე ვათასთვის თუ გითქვამთ, როგორი რძალი გინდოდათ? ხშირად, დედები შვილებს არიგებენ, ჩემი რძალი ასეთი და ასეთი უნდა იყოსო.

— მიუხედავად იმისა, რომ ვათა ჩემი ერთადერთი შვილია, მისთვის ასეთი მოთხოვნები არასდროს წამომიყენებია. მთავარია, ჩემს შვილს უყვარდეს ის ადამიანი, ვის გვერდითაც არის. საერთოდ, არაფრის დაპროგრამება და ჩარჩოში ჩასმა არ მიყვარს. ეკა ისეთი კარგი გოგონაა, რომ მასთან საპრეტენზიო არაფერი მაქვს. გარდა ამისა, მას ძალიან კარგი დედა (ქეთი ჟორდანია) ჰყავს. ჩვენ ერთმანეთს მალევე გავუგეთ და ახლა მგონია, ბავშვობის დროინდელი მეგობრები ვართ — უამრავი საერთო მეგობარი აღმოგვაჩნდა. ბევრ საკითხზე ერთნაირად ვაზროვნებთ და ერთნაირი შეხედულებები გვაქვს. ვფიქრობ. სიტყვები: „მძახალი", „რძალი", „დედამთილი" ურთიერთობას არ უნდა ძაბავდეს.

ეკა:

— ჩვენ არაჩვეულებრივი ოთხეული ვართ. მე, ვათა, მარინა და დედა.

მარინა:

— გარდა ამისა, ჩვენ გვყავს ბებო და ბაბუ (*ეკას მხრიდან*). მიმაჩნია, რომ ერთი დიდი ოჯახი ვართ.

ეკა:

— ვცდილობთ, რომ ყოველთვის ერთად ვიყოთ, რადგან ასე თავს ბევრად კომფორტულად ვგრძნობთ. აქ ერთმანეთს არავინ უშლის ხელს, ერთმანეთისთვის ზედმეტები არ ვართ და მიმაჩნია, რომ ცხოვრებაში ეს ყველაზე მთავარია.

— ეკა, თქვენი პირველი პაემანი სად შედგა?

— გაცნობის შემდეგ ჩვენი შემდგომი შეხვედრა პანაშვიდზე მოხდა. სამწუხაროდ, იმ მეგობარს, ვის ქორწილშიც ვათა გავიცანი, მამა გარდაეცვალა. მე და ვათა, ამ პერიოდში დავახლოვდით, თითქმის 24 საათი ერთად ვიყავით.

— ერთმანეთს სიყვარულში როგორ გამოუტყდით?

— სიმართლე გითხრა, ერთმანეთ-

სიტყვა „დედამთილი" საშინლად არ მომწონს. მარინა ჩემი დედა, მეგობარი და გულის მესაიდუმლეა

ისთვის სიყვარული არ აგვიხსნია. ერთ დღეს დავგეგმეთ, რომ თელავში გაგვესეირნა. ჰოდა, როგორც კი ამ რაიონში ჩავედით, ჯერ მარინას დავურეკეთ, შემდეგ დედას და ვუთხარით, არ გავპარულვართ, თელავში, ამა და ამ სასტუმროში ვართ და თქვენც ჩამოდით, გელოდებით-თქო. ერთ საათში რომ არ შეგვეხმიანნენ, ცოტა არ იყოს, გვეწყინა. მათ ისევ დავურეკეთ და ვუთხარით: დაქორწინებას ვაპირებთ და ძალიან გვინდა, რომ თქვენც აქ იყოთ-თქო. რა თქმა უნდა, ამის გაგებისთანავე ჩამოვიდნენ. გამოვიდა, რომ მე და ვათა დედებთან ერთად გავიპარეთ.

— ჯვარი უკვე დაიწერეთ?

— ჯერ არა. ახლა მარხვა იწყება. მისი დამთავრებისთანავე, დაახლოებით 20 იანვრისთვის ჯვარს აუცილებლად დავიწერთ;

— ეკა, პროფესიით ვინ ხარ?

— იურისტი.

— ამჟამად მუშაობ?

— ადრე „მაგთიში“, იურისტად ვმუშაობდი, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, იქიდან წამოვედი. ახლა სხვაგან ვმუშაობ.

— შენ და ვათას შორის ასაკობრივი სხვაობა თუ არის?

— არა, ერთი ასაკის ვართ, ორივე 26 წლის გავხდით. რაც მთავარია, ერთმანეთს კარგად ვუგებთ, ის ჩემთვის იდეალური მამაკაცია. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ მარინასნაირი დედამთილი მყავს. მიხარია, მარინამ და დედამ ერთმანეთს რომ გაუგეს და დამეგობრდნენ.

— ხშირ შემთხვევაში, ახალდაქორწინებულებს ცალკე ცხოვრება ურჩევნიათ.

— ჩვენ ერთად ცხოვრება გვირჩევნია. ის კი არა, გადაწყვეტილი გვაქვს, რომ ერთი დიდი სახლი შევიძინოთ და ყველამ ერთად ვიცხოვროთ.

— გასაგებია, რომ მარინასთვის სასურველი რძალი ხარ. დედაშენმა სიძე როგორ მიიღო?

— დედას ვათა ისე შეუყვარდა, როგორც მე ვუყვარვარ. ის მისთვის მართლაც, სასურველი სიძეა.

— დედამთილს თავს რით აწონებ?

— აბა რა ვიცი?! განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ.

— სადილების მომზადება იცი?

— სადილების მომზადება არ ვიცი, მაგრამ სხვა საოჯახო საქმეების კეთება მეხერხება. სადილებს მარინა ამზადებს (*თანაც, არაჩვეულებრივად*), დარეცხვა, დაუთოება, დალაგება კი მე მევალება — საოჯახო საქმეები ასე გადავანაწილეთ.

მარინა:

— არა უშავს, სადილების მომზადებასაც გასწავლი. აბა, როცა დავბერდები და მომზადებას ვეღარ შევძლებ, შიმშილით ხომ არ უნდა დაიხოცოთ?! სანამ შევძლებ, გავაკეთებ, არ მეზარება. პირიქით, ეს პროცესი მსიამოვნებს კიდეც.

ეკა:

— აუცილებლად ვისწავლი და მერე, ჩემ მიერ მომზადებული კერძებით გაგიმასპინძლდები.

— დედამთილის სპექტაკლებზე თუ დადიხარ?

— მის არც ერთ სპექტაკლს არ ვტოვებ. პიესები უკვე ზეპირად ვიცი და მართალია, დუბლიორად არა, მაგრამ სუფლიორად ნამდვილად გამოვდგები.

მარინა:

— მსიამოვნებს, რომ ეკუნა არც ერთ ჩემს სპექტაკლს არ ტოვებს.

ეკა:

— ვამაყობ, რომ ასეთი დედამთილი მყავს. ამას წინათ, სილამაზის სალონში შევედი. ჩემმა სტილისტმა იკითხა: თქვენ თუ იცით, თბილისში ყველაზე ლამაზი დედამთილი ვის ჰყავსო?! თავი ავწიე და ამაყად ვუპასუხე: მე-მეთქი. გვერდზე ასაკოვანი ქალბატონი მანიკიურს იკეთებდა. მან გაბრაზებულმა შემომხედა (ალბათ, თვითონაც დედამთილი იყო) და მკითხა: კი, მაგრამ ვინ არის თქვენი დედამთილიო? ვუპასუხე — მარინა კახიანი-მეთქი. — უკაცრავად, დიდი ბოდიშიო, — უკან დაიხია. ამ დროს მართლაც ამაყი ვიყავი.

— შენ და ვათა შეყვარებულები რამდენ ხანს იყავით?

— ერთმანეთს სულ რაღაც 2 თვის განმავლობაში ვხვდებოდით, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამ ხნის განმავლობაში კარგად გავიცანი. ის საკმაოდ მზრუნველი მეუღლე და პირველ რიგში, ჩემი უახლოესი მეგობარია. თუმცა, ასეთი დედის შვილი, არ შეიძლება, ცუდი იყოს.

მარინა:

— ეკუნა, ამდენი ქებით ნუ მაწითლებ;

ეკა:

— თქვენ თუ გინახავთ, რძალ-დედამთილი ერთმანეთს მესიჯებით ესიყვარულებოდეს?!

— ?..

ეკა:

— დღე ისე არ გავა, მარინა რომ არ ვნახო. მაგრამ სანამ ვნახავ, ერთმანეთს მესიჯებს ვუგზავნით. მოკლედ, ასეთი შეხმატკბილებული ოჯახი გვაქვს.

— ქალბატონო მარინა, რძალს რჩევებს თუ აძლევთ?

— რა თქმა უნდა, ვაძლევ. ვფიქრობ, ეკას ეს არ სწყინს.

ეკა:

— რჩევებს ყოველთვის სწორად ვიღებ და ვითვალისწინებ. ვიცი, მარინა ისეთს არაფერს მირჩევს, რაიმე რომ მავნოს. გაბუტვა და ცხვირის ჩამოშვება არ მახასიათებს.

— ალბათ, თქვენი ასეთი ურთიერთობა ვათას ძალიან სიამოვნებს...

— რა თქმა უნდა. პირველ რიგში, ჩვენ ვათას სიყვარული გვაერთიანებს. ის ორივეს უზომოდ გვიყვარს.

— ეკა, რამდენი შვილის გაჩენას აპირებთ?

— ვგეგმავთ, რომ 3 შვილი გავაჩინოთ.

— ქალბატონო მარინა, თქვენ თუ დაეხმარებით ეკას შვილების გაზრდაში?

— აბა, რას ვიზამ?! მგონი, ამაზე სასიამოვნო ამქვეყნად არაფერია. საერთოდ, ბავშვები ძალიან მიყვარს და მით უმეტეს, ჩემი გულის, სულის და სხეულის ნაწილი როგორ შეიძლება, არ მიყვარდეს?!

მპასლები — მარინა კახიანი და ქეთი ერრდანია

ეკა:

— ძალიან მინდა, ჩემი პირველი შვილი ბებიას დაემსგავსოს. მნიშვნელობა არა აქვს, ბიჭი იქნება თუ — გოგო.

— ვათამ ქორწინების აღსანიშნავად რა გაჩუქა?

— ის ჩემ წინ, მუხლებზე დადგა და ცოლობა მთხოვა. როცა ჩემგან თანხმობა მიიღო, ხელზე ნიშნობის ბეჭედი გამიკეთა. მარინამ კი, პირველსავე დღეს, ძალიან ლამაზი, ძვირფასი ბეჭედი მაჩუქა. როგორც შემდეგ მითხრა, ეს ბეჭედი მისთვის, მეუღლეს, გიას უჩუქებია. ამის გამო, ემოციები ვეღარ დავფარე და ტირილი დავიწყე. ეს ბეჭედი ხომ მისთვის, მართლაც უძვირფასესი იყო. აქედან გამომდინარე, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მარინას ძალიან მოვეწონე და შევუყვარდი. ■

ვინ გახდება უკანასკნელი გმირი საქართველოში?

ადამიანური სისუსტე თუ „უწყინარი“ „დანაშაული“ — კარის ჭუჭრუტანიდან სხვისი „ნამდვილი“ ცხოვრების თვალთვალის დაუოკებელი ენინ_ ეს რეალური სატელევიზიო შოუების სავიზიტო ბარათია_ როდის ვინტერესდებით ადამიანები სხვისი ცხოვრებით? ნუთუ მაშინ, როდესაც საკუთარი არ გვაქვს?! არა, ეს ზედმეტად სუბიექტური ახსნაა. არცაა საჭირო ამ ცნობისწადილის მიზეზის კვლევა, რადგან ყველა ეს შოუ მხოლოდ ერთადერთ მიზანს ემსახურება: ტელეეკრანთან მოკალათებულებს საშუალება მოგეცეთ, დაისვენოთ_

ლეა ცუცქირიძე

ასეა, ვიღაცა ყოველთვის პირველია, ვიღაცა კი — უკანასკნელი... TV გართობების ინდუსტრიაში უდიდესი პროექტის — „უკანასკნელი გმირის“ პირველი მონაწილენი ამერიკელები აღმოჩნდნენ, 51-ენი კი ქართველები. ეს სულაც არ არის უსიამოვნო ამბავი, რადგან ეს შოუ ახლახან, XXI საუკუნის დასაწყისში შექმნეს სკანდინავიელებმა და თუ მაინცდამაინც პირველობა გვინდა, მაშინ გეტყვით, რომ პირველ სამეულში ყოფილი საბჭოთა სივრცის მასშტაბით მოვხვდით, რადგან რუსების, ესტონელებისა და ქართველების გარდა, 15 ყოფილი „მოძმე“ რესპუბლიკიდან, ამ ურთულეს პროექტთან შეჭიდება სხვამ ვერავინ გაბედა.

როგორც „უკანასკნელი გმირის“ პროდიუსერის მენეჯერთან, **ჯანო ჟვანიასთან** *საუბრისას მივხვდი, ლონდონელი ჟურნალისტები ცამდე მართლები იყვნენ, როდესაც პირველი ბრიტანული „უკანასკნელი გმირის“ ნახვის შემდეგ, ემოციას ამ სიტყვებით გამოხატავდნენ: „ჩვენ Survivor-ის მსხვერპლნი ვართ, უბედური, შურიანი მაყურებლები, რომლებსაც სიგიჟემდე გვინდა შოუს მონაწილეების ადგილზე ყოფნა“. ეს ლონდონური პრესის დაუფარავი ემოცია გახლდათ... თითქმის იმავე კომენტარებს აკეთებდა პრესა სხვა ქვეყნებშიც. ვნახოთ, რა მოხდება საქართველოში, იყვირებს თუ არა ქართული პრესაც... ქართული „უკანასკნელი გმირი“ კულმინაციისკენ მიდის...*



ჯანო ქვანია

— „შიმშილი, მწერები, შხამიანი ქვეწარმავლები, ტროპიკული შტორმები ჩვიდმეტივე ქართველს ასობით კილომეტრით დაშორებულ სახლებს სიმწრით მოანატრებს“, — ეს გიორგი ქორქიას, „უკანასკნელი გმირის“ წამყვანის „მუქარაა“_ „სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის ზღვარი აქ, პალაოპესარზე გადის“_ ვერაფერს იტყვი, შთამბეჭდავად და საშიშად ულერს. თან, თუ გიორგის გამოხედვასაც გავიხსენებთ_ ჯანო, მართლაც ასეთი საშიშია მალაიზიის ეს პატარა კუნძული, პალაოპესარი?

— იქ ყველგან, ჰაერშიც, წყალსა და ხმელეთზეც საფრთხე გემუქრება. აურაცხელი რაოდენობის შხამიანი მწერი, ქვეწარმავალი და თქვენ წარმოიდგინეთ, თევზიც კი გახვევია გარს. ერთი ეკლიანი თევზია, რომელსაც შემთხვევით, ფეხი თუ დაადგი, რამდენიმე საათში სიცოცხლეს გამოესალმები. გარდა ამისა, ტროპიკული ჰავაა, 50-გრადუსიანი სიცხით, რაც სრულიად აუტანელია ჩვენს კლიმატს შეჩვეული ადამიანისთვის. იქ მზის რადიაციული ფონიც გაცილებით მაღალია. აღმოჩნდა, რომ ჩვენ, ადგილობრივებისგან განსხვავებული, არა მარტო თეთრი, არამედ თხელი კანიც გვაქვს და ამდენად, გაცილებით გვიჭირს ასეთ კლიმატთან შეგუება. ჯგუფის წევრებმა, იმისთვის, რომ ამ შხამიან ქვეწარმავლებსა და მწერებს გავმკლავებოდით, აცრები თბილისშივე გავიკეთეთ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სხვა, აუცილებელი უსაფრთხოების ზომებიც უნდა დაგვეცვა. გადამღებ ჯგუფს

ეს საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი პროექტია. რა თქმა უნდა, იდეა არსის ხელმძღვანელობისგან მოდიოდა, მაგრამ პროექტის ხელმძღვანელი საერთაშორისო პროექტების დირექტორი გიორგი ხაბურზანიაა

სპეციალური, რადიაციის ამტანი სამოსი დაგვახვედრეს. გარდა ამისა, თითოეული ჩვენგანი დღეში სავალდებულო, ოთხ ლიტრ წყალს სვამდა. გახსოვთ ალბათ, როდესაც ჩვენი შოუს ერთ-ერთი გმირი ცუდად გახდა და ექიმების ჩარევა გახდა საჭირო. მან უბრალოდ, იმდენი წყალი არ დალია, რამდენიც საჭირო იყო.

— გადაღებები მალაიზიაში, „რუსთავი 2“-ს არ დაუგეგმავს, მას შვედური ტელეკომპანია „სტიქი“ უზრუნველყოფდა. აპარატურა, ლოჯისტიკა, გადაღების უფლება კუნძულზე — ეს ყველაფერი შვედურმა მხარემ უზრუნველყო, მაგრამ ეს პროექტი, ქართულ ტელეარხებში „რუსთავი 2“-მა დაგეგმა და განახორციელა კიდეც. თქვენს მაყურებელს და ჩვენს მკითხველს საოცრად აინტერესებს, როგორ დაიწყო ამ პროექტზე მუშაობა და ვინ იყო ამ იდეის სულისჩამდგმელი.

— ეს საკმაოდ მაღალბიუჯეტიანი პროექტია. რა თქმა უნდა, იდეა არსის ხელმძღვანელობისგან მოდიოდა, მაგრამ პროექტის ხელმძღვანელი საერთაშორისო პროექტების დირექტორი გიორგი ხაბურზანიაა. სწორედ მან დაიწყო მოლაპარაკებები „უკანასკნელი გმირის“ ლიცენზიის მოსაპოვებლად და ის საქართველოში ჩამოიტანა. გიორგის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, რადგან ერთია, როდესაც პროექტი წარმატებულია შენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, მეორე — იმის გათვლა, რამდენად მოერგება ის შენი ერის მენტალიტეტს, ხასიათს. რა თქმა უნდა, პროექტის განხორციელებისას გიორგი მარტო არ მიგვიტოვებია, მას პროექტის მეორე პროდიუსერი, დემნა ჯაფარიძე და მე ვეხმარებოდით. დემნამ შემოქმედებითი, მე კი ორგანიზატორული მხარეები ვიტვირთეთ. მაგრამ ფუნქციების ასეთი გადანაწილება იმას არ ნიშნავს, რომ უშუალო მოვალეობების გარდა, სხვას არაფერს ვაკეთებდით. ჩვენ მთლიანად ვიყავით ჩართულები ამ პროცესში და ალბათ, ამიტომაც არ შეგვქმნია პრობლემა უცხოელ

პარტნიორებთან.

— პირველ, ამერიკულ „უკანასკნელ გმირს“ 20 გადამღები ჯგუფი იღებდა. რამდენი ადამიანი ქმნიდა ამ შოუს ქართველებისთვის?

— მალაიზიაში ოცდახუთკაციანი შემოქმედებითი ჯგუფი წავიყვანე. კადრში მხოლოდ გიორგი ქორქია ჩანს, მაგრამ მის გარდა, იქ, ბუნებრივია, სხვებიც იყვნენ: სცენარის ავტორი ირაკლი სოლომონაშვილი, ოპერატორები, რეპორტიორები, მხატვარი, დიზაინერი... გადაღებები 24-საათიანი იყო. პარალელურ რეჟიმში მათ სამი კამერა იღებდა, ხმელეთსა და წყალშიც...

— მაგრამ ამ კუნძულზე „უკანასკნელი გმირის“ მხოლოდ ქართული ვერსია არ შექმნილა...

— სტრუქტურა ასეთია: პარალელურ რეჟიმში, პროექტზე რამდენიმე ქვეყანა მუშაობს. ჩვენს იქ ყოფნას ნორვეგიელების, დანიელების და გერმანელების ყოფნა დამთხვა. კუნძულზე შექმნილია გარკვეული ინფრასტრუქტურა, რომელიც საქმეს აადვილებს. მართალია, ამას სრულ კომფორტს ვერ უწოდებ, მაგრამ მუშაობისათვის ყველა პირობაა შექმნილი. როგორ შეიძლება, ილპარაკო ან მოითხოვო სრული კომფორტი, როდესაც შენი საცხოვრებელი კოტეჯის უკან, დაახლოებით ოცდაათ მეტრში ჯუნგლები იწყება... ტექნიკური ბაზა, რომელიც სპეციალური გრაფიკით გვემსახურებოდა — ტრანსპორტი, ოცამდე სწრაფმავალი კატერი, ტროლები, იგივე ხელის ურიკები, რომლის საშუალებითაც გადაგვქონდა ტექნიკა და კარპენტერების, იგივე დურგლების ჯგუფი, რომლებიც ჩვენს შეკვეთებს ასრულებდნენ — ჩვენს განკარგულებაში იყო.

— ლიცენზიის შეძენისას, რომლის ფასიც, ალბათ, კომერციული საიდუმლოა და ამიტომაც არ ვეხები, არსებობს სათანადო ჩარჩოები, რომლებიც გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს მყიდველს.

— პროექტში არის დეტალები, რომელსაც ვერ შეცვლი. მათი ზუსტი დაცვა სავალდებულოა. მაგალითად, ტომთა საბჭოს დეკორაცია, რომელიც საერთოა ყველა ქვეყნის მონაწილისათვის. სხვათა შორის, მას ჩვენთან ერთად უცხოური მხარეც იღებდა. რასაკვირველია, გაფორმებაში წვლილი ჩვენც შევიტანეთ, გავუკეთეთ ქართულენოვანი წარწერები, მაგრამ ძირითადად, კენჭისყრის ადგილზე, ჩვენი ფანტაზია ამით შემოიფარგლა... გარდა ამისა, ისინი გვთავაზობდნენ თამაშებს, რომელთაც დიდი სიამოვნებით თამაშობდნენ მონაწილეები და ჩვენი ფანტაზიის განხორციელების საშუალებაც გვქონდა. შვედური მხარე ძალიან დაგვეხმარა. მაგალითად, როდესაც რომანტიკული შეხვედრისთვის გათვალისწინებულ გემს ვრთავდით, ყველა საჭირო ატრიბუტ-აქსესუარი მათ მოგვცეს. შვედ დიზაინერს მალაიზიაში იმდენი რამე ჰქონდა ჩამოტანილი, რომ გაოცებულები დავრჩით.

— ეს გემი მართლაც, რომანტიკული გამოვიდა, მასზე გატარებული ღამე კი — ქართულ-ხალხური.

— დიახ, მეგობრული. თუმცა, მალაიზიდან დაბრუნებულებმა ერთი „მალაიზიური“ წყვილის, გიორგი ჯერენაშვილის და თამარ ჭანტურიშვილის ქორწილი გადავიხადეთ, მაგრამ იქ ყოფნისას, მათთვის მოწონების მაგვარიც არაფერი შეგვიმჩნევია.

— სასიყვარულო ინტრიგას რეალურ შოუში ძალით ვერ შექმნი, მაგრამ უცნაურია, რომ ასეთი სიახლოვის პირობებში გრძნობამ არ გამოიჟონა... ამ შემთხვევამ იქნებ, სხვა შოუების მონაწილეებსაც გაახსენოს, რომ „სიყვარულსა მალვა უნდა“... „ჯეობარზე“ მოგახსენებთ...

— „ჯეობარი“ განსაკუთრებული პროექტია, მაგრამ მაყურებელმა არ უნდა აურიოს პროდაქშენის მუშაობა იმაში, რაც იქ ხდება. სატელევიზიო პროექტებისაგან რეალითი შოუ იმით განსხვავდება, რომ აქ მონაწილეების საქციელზე პასუხისმგებლობა გადამღებ ჯგუფს არ ეკისრება. „უკანასკნელ გმირშიც“ ასეა, თუმცა არის განსხვავება იმ თვალსაზრისით, რომ „ჯეობარი“ ასი პროცენტით რეალური შოუა, „უკანასკნელ გმირს“ კი თავისი წესები აქვს.

— პროექტში არის დეტალები, რომელსაც ვერ შეცვლი. მათი ზუსტი დაცვა სავალდებულოა. მაგალითად, ტომთა საბჭოს დეკორაცია, რომელიც საერთოა ყველა ქვეყნის მონაწილისათვის

— განსხვავება მართლაც დიდია. თუნდაც, გარემო...

— შემთხვევითი არ არის, რომ „უკანასკნელ გმირს“ რეალური შოუების „მამას“ უწოდებენ. ის უმდიდრესი პროექტია თავისი მასშტაბურობით, გამომსახველობით... ურთულესია მისი გადაღებაც, რადგან გადაღებებს საოცარ, მაგრამ ველურ ბუნებაში, დაკბენილი, დასიცხული, გამოუძინებელი უძღვები... მიუხედავად ამისა, ისეთი საოცარი დღეები იყო, რომ დიდი ნოსტალგია დაგვიტოვა. ეს კუნძული თავისებურად, შოკის მომგვრელი იყო...

— თქვენთან საუბრისას ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, რომ მაყურებელს რალაცრალაცები „დუმალეთ“. გასაგებია, რომ ჩვენ იმას ვუყურებთ, რაც პროექტის ფარგლებში იყო მოქცეული, მაგრამ ალბათ, არსებობს ისეთი კადრებიც, რომლებიც პროექტში არ შევიდა...

— რა თქმა უნდა, პროექტს თავისი ჩარჩოები ჰქონდა და სულაც არ ითვალისწინებდა მალაიზიური კულტურის, ღირსშესანიშნაობების, სამზარეულოს, ცხოვრების წესის, ადამიანების ყოფის ჩვენებას. ეს კულტურა და ხალხი საოცრად უცხო და უცნაურად კარგი იყო ჩვენთვის. ერთია, როდესაც ბუნებაა საოცარი და მეორე, როდესაც ამ საოცრად კეთილგანწყობილ, სტუმართმოყვარე ხალხთან ურთიერთობ. ისინი კარგად იყენებენ იმ გასაოცარ მიწას, რაც მათ უფალმა არგუნა და უვლიან კიდეც მას. ნეტავ, ჩემი ქვეყანაც მაჩვენა ასეთი მოვლილი და კარგი მიზნებისთვის გამოყენებული. მალაიზიის კარი ყველასთვის ღიაა. იქ მთელი პროგრამაა ამუშავებული, რომელსაც „გადააქციე მალაიზია შენს მეორე სახლად“ ჰქვია. მალაიზიის მიწაზე თავს კომფორტულად გრძნობ, მაგრამ განსხვავებები იმდენად თვალში საცემია, რომ ეს გარკვეულ შოკს იწვევს. სხვა თუ არაფერი, იქ წელიწადის მხოლოდ ორი სეზონია: ზაფხული და წვიმიანი „ზაფხული“, თუ შეიძლება, ასე ვთქვათ... ჩვენ გადაღებები ზაფხულში გვქონდა, რადგან როგორც უკვე გითხარით, იქაური ზამთარი ისეთი წვიმიანია, რომ ვერაფერს გადაიღებ.

— თუმცა, მაინც მოჰყევით წვიმაში.

— მართალია, მოვყევით, მაგრამ ეს არ იყო ისეთი კოკისპირული წვიმა, როგორიც ზამთარში იცის. ზღვას არც შესტყობია აღელვება. ისეთი დიდი ტალღები, როგორიც ჩვენთან იცის, იქ ორი თვის ყოფნის მანძილზე არც ერთხელ არ მინახავს. იქ ან ცუნამი მოვა და ყველაფერს წალეკავს, ან ისე იწვიმებს, რომ ზღვა არც აღელდება. საოცარი სანახაობაა: ყველაფერი დაიბინდება, შხაპუნა წვიმა წამოვა, ქარმა შეიძლება, პალმის ტოტებიც ჩამოყაროს, ზღვა ოდნავ შეირხევა და დაწყნარდება... მერე იწყება საოცარი გარდატეხა — თუ დღეა, გარემო სრულიად ოქროსფერი ხდება, წვიმის კვალიც კი არ შეიმჩნევა, დგახარ აბსოლუტურად სველი, ირგვლივ კი ისეთი საოცარი სიმშვიდეა, სისველის კვალიც არსად ჩანს. თეთრ ქვიშას მზის შუქი ქარგავს, ზღვა რამდენიმე

ტონალობაში ლივლივებს... ოქროსფერი თევზები, რომელთაც ადამიანების არ ეშინიათ და ახლოს მოდიან, შუნს ფეხებთან დაცურავენ; მიქცეულ ზღვას, რომელიც მარჯნის კუნძულებზე სეირნობის საშუალებას გაძლევს, წყნარად ელიცლიცება სირო, იქვე პატარა, თეთრი ზვიგენები უწყინრად დასრიალებენ...

— ისლა დამრჩენია, ჩემს ლონდონელ კოლეგებს მივბაძო, შურიანი თვალებით გიყუროთ და გისმინოთ... გადაღება დასრულდა, მაყურებელმა უკვე „უკანასკნელი გმირის“ 8 სერია ნახა. შოუ თითქმის მიუახლოვდა კულმინაციას... შოუს მონაწილეებს როგორ აფასებთ? დღეს როგორ ფიქრობთ, ეს 17-კაციანი ჯგუფი სწორად შეირჩა?

— ჩვენ გვქონდა ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, ტიპაჟი უნდა შეგვერჩია. ამის გათვალისწინებით მოვაწყვეთ კასტინგი, რომელიც რამდენიმე ეტაპს ითვალისწინებდა. სიმართლე გითხრათ, მონაწილეების შერჩევა გაგვიჭირდა, რადგან ადამიანები ერთმანეთს, მოტივაციით ძალიან ჰგავდნენ. „იმიტომ უნდა წამოვიდე, რომ მიყვარს და შემიძლია ლაშქრობებში სიარული“ — ეს არ არის საკმარისი მიზეზი „უკანასკნელ გმირში“ მოსახვედრად. ჩვენ გარკვეულწილად უფრო მზრუნველი, შემოქმედებითად მოაზროვნე, ლიდერობის მოყვარული, ენერგიული ადამიანები გვჭირდებოდა. ჩემი აზრით, პროექტი გაცილებით საინტერესო იქნებოდა, თუკი მისი მონაწილეები გამომგონებლობის უნარს გამოავლენდნენ... ჩვენი მოთამაშეები ოდნავ ინერტულები აღმოჩნდნენ, მაგრამ მგონია, რომ ეს მთლიანად ჩვენი საზოგადოების პრობლემაა და არა ამ ერთი ჯგუფის. ჩემთვის ტრაგედიაა ამის აღიარება, მაგრამ როცა ჩვენები უცხოელთა ჯგუფებს შევადარე, მივხვდი, რომ ჩვენ შრომისმოყვარეობა გვაკლია. ნორვეგიელების მაგალითს მოგიყვანთ (ისინიც ჩვენს კუნძულზე ცხოვრობდნენ): პირველი, რაც მათ გააკეთეს, იყო ის, რომ ააშენეს მყარი ქოხი. იგივე შეეძლოთ გაეკეთებინათ ქართველებსაც, რადგან მათ და ჩვენებს თანაბარი შესაძლებლობები ჰქონდათ... როდესაც იზრუნეს სახლზე, შემდეგ საკვების პრობლემის მოგვარებას შეუდგნენ და ეს პრობლემაც იოლად დასძლიეს.' მათ რაღაც უმარტივესი ხელსაწყო გამოიგონეს, რომლითაც უპრობლემოდ იჭერდნენ თევზებს, პატარა ზვიგენებს. ირგვლივ უამრავი საკვები, რჩეული დელიკატესი იყო და მათ მოსაპოვებლად მხოლოდ პატარა შრომისმოყვარეობა გახლდათ საჭირო...

— იქნებ, ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენს ერს გაძლების საოცარი უნარი აქვს გამომუშავებული? ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით...

— ეს თამაში და გართობა იყო, სადაც გაძლება არ იყო საჭირო. გაძლება გამოსავალი არ არის. ამ პროექტში მოხვედრა იმ ამპლუაში, რომელშიც ვიყავი, ჩემი ოცნება გახლდათ და ალბათ, ასეთივე ოცნება უნდა ყოფილიყო ეს მონაწილეებისთვისაც... მაგრამ არის მეორე მხარე: ეს ყოფა, გარკვეულწილად, არაბუნებრივი მდგომარეობაა, რადგან ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუდმივი თვალთვალის ქვეშ იმყოფები.

— მაგრამ კამერების თვალთვალი თავდავიწყებულობასაც გმატებს, რადგან მიუხედავად ველური ბუნებისა და ყოფისა, დაუცველობის განცდა არასდროს გაქვს. იხრჩობი? — გიშველიან. ავადა ხარ? — სამედიცინო დახმარებას გაგიწევენ... ეს ხომ იძლევა გარკვეულ თავისუფლებას, თამაშით ტკბობის საშუალებას. გულწრფელად მაინტერესებს, ასეთი ტიპის შოუ მართლა ჰგავს რეალურ ცხოვრებას? მართლა ასე დაუნდობლად ვეცევით ადამიანები ერთმანეთს, ვიშორებთ ზედმეტს და წარმატებისკენ ასე მივიკვლევთ გზას?

— ხშირად, მათი არჩევანი მაყურებლის გაოცებას იწვევს და თითქოს, ლოგიკიდან ამოვარდნილია, მაგრამ ისინი გადარჩენისთვის კი არა, რეალურად, დარჩენისთვის იბრძვიან. ეს საზოგადოების მხოლოდ ერთი პატარა ნაწილია და არა — მისი მოდელი. სოციოლოგიის კანონებით, საზოგადოება რომ შეაფასო, გაცილებით მეტი კრიტერიუმი გჭირდება. ასე ჩაღრმავება არ არის საჭირო... სიამოვნებას იღებ დაკვირვებისგან და სულ ეს არის.

— რუსებმა „უკანასკნელი გმირის“ მესამე სეზონი ვარსკვლავების მონაწილეობით გადაიღეს. მაყურებლისთვის საინტერესო იყო გია გაჩეჩილაძის მალაიზიაში ნახვა.

— ჩვენ გვქონდა ამის უფლება და გამოვიყენეთ კიდეც. მონაწილეებს სიურპრიზი მივუწყვეთ. სიურპრიზი, რომელიც უცნობია... კარგად გადათამაშდა, არა?

— თუმცა, ისინი სიურპრიზად საჭმელს ელოდნენ.

— მალაიზიაში ინდური, ჩინური, ინდონეზიური და მალაიზიური კულტურებია შერწყმული. ასე რომ, მშიერმა ადამიანმა სიურპრიზად იქაური საკვები რომ ინატრო, სულაც არ არის დანაშაული. ორი თვე ვიცხოვრეთ მალაიზიაში და არა და არ დაილია ახალ-ახალი სურნელი და გემო. იქაურმა მზარეულებმა სამზარეულო საოცრებად აქციეს.

— თამაშის მონაწილეებს თუ მიეცათ ამ ყველაფრით ტკბობის საშუალება?

— როდესაც თამაშს ეთიშებოდნენ, ორისამი დღე უწევდათ გამოფრენამდე ლოდინი. მაშინ ისინი მესამე კუნძულზე — რავაზე, სრულ კომფორტში გადაგვყავდა. თამაშის წესებით, გადამღებ ჯგუფს მოთამაშეებთან ლაპარაკი, მათი თანდასწრებით სიგარეტის მოწევა, ჭამა გვეკრძალებოდა. არც შემდეგ გვქონდა მათთან ურთიერთობის საშუალება, მაგრამ კომფორტი კი შევუქმენით... დიახ, კუნძული რავა მართლაც სამოთხე იყო.

— „უკანასკნელ გმირში“ სარეკლამოდ ჩადებული მილიონები ყოველთვის ამართლებს. ასეა მთელ მსოფლიოში. ამ შოუს ჯერ არავინ დაუზარალებია! როგორ ფიქრობთ, ის საქართველოშიც გაამართლებს?

— თუ რამეა აწყობილი ჩვენს ქვეყანაში, ეს სარეკლამო ბიზნესია. სამწუხაროდ, შოუს ჩვენება პოლიტიკურად დაძაბულ სიტუაციაში დავიწყეთ. დაძაბული პოლიტიკური ვითარება ბევრი ვერაფერი გარემოა გასართობი პროექტისთვის, მაგრამ თუ მის რეიტინგს მივადევნებთ თვალყურს და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პროექტი დეკემბრის ბოლომდე გაგრძელდება, ჯერ ზუსტი პროგნოზის გაკეთება რთულია.

— ჯანო, მეეჭვება, საიდუმლო წამოგაცდენინოთ, მაგრამ მაინც ვცდი: ვინ გახდება უკანასკნელი გმირი?

— ჩვენ ორი გამარჯვებული ფინალისტი გვყავს. ამ ორიდან ერთ-ერთს მაყურებელი ახალი წლის დადგომისთანავე აირჩევს... აი, ნახევარი საიდუმლო ვითომ გაგიმხილეთ, მეტი მეც არ ვიცი.

ეი. ნახალნლევს ბევრი სიურპრიზი გველოდება. „უკანასკნელ გმირს“ ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ბაჭალიების ფონზე, კიდევ ერთი გამოცდის ჩაბარება მოუწევს... თქვენ საშუალება მოგეცემათ, თქვენი გმირი აირჩიოთ... დიახ, იანვარში ვნახავთ, ვინ გახდება უკანასკნელი გმირი საქართველოში... ■

AgroFoodDrinkTech

EXPOGEORGIA.GE

დეკემბერი 5 – 8

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების მე-8 საერთაშორისო გამოფენა

პავილიონი: 11

თბილისი 0119, ა. წერეთლის გამზ. 118 ტელ: 341100, ფაქსი: 351100
ელ-ფოსტა: expo@expogeorgia.ge

ORGANIZED BY:

Expo Georgia

AGRO FOOD DRINK TECH

ufi Approved Event

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ლეალიშ
უბის წიგნაკიდან:

1. კეჩი პატარა ორანძიანი იალქნიანი გემია.

2. მაო ძედუნი 27 წელი განაგებდა ჩინეთს.

3. ყალმუხეთში ჩაის აქლემის რძითა და მარილით სვამენ.

4. მილდიუ ვაზის დაავადებაა. ჭრაქი მისი ქართული სინონიმია.

5. ველურ ბუნებაში მხოლოდ 3500 შავი მარტორქაა დარჩენილი.

6. „ნე დუმაი ა პრაცენტახ ს ვისაკა", — ხუმრობენ რუსი ბანკირები.

7. ხმოვანმა კინომ მაყურებლის ენობრივი ნიშნით დაყოფა გამოიწვია.

8. „ნაროდ ნე პრადაიოტსა... ტოლკო პოკუპაეტსა", — ამბობენ რუსები.

9. თეთრ ზვიგენს ერთ ჯერზე 180 კილოგრამამდე ხორცის შეჭმა შეუძლია.

10. ჩირაღდნებით ხელში საზეიმო მსვლელობას გერმანიაში ფაკელცუგს ეძახდნენ.

11. „მეომარმა რომ ფიქრი დაიწყოს, შიშს ვეღარ დასძლევს", — ამბობენ იაპონელები.

12. ფალკონეტი ძველებური მომცრო ზარბაზანია, რომელიც ტყვიის ბირთვებს ისროდა.

13. ხელის არღანს, ეგრეთ წოდებულ „შარმანკას" ოფიციალურად, „სიმფონიონი" ჰქვია.

14. ბეზმენი ხელში დასაჭერი ზამბარიანი სასწორია. ჩვენში მას „ცალსასწორს" ეძახიან.

15. მაროკო ერთადერთი ქვეყანა აფრიკაში, რომელსაც გასასვლელი აქვს ხმელთაშუა ზღვაშიც და ატლანტიკის ოკეანეშიც.

16. თუში მენაბდის მიერ მოთელილი და შეკერილი ნაბადი მეცხვარეს სამ ზამთარს გადაატანინებდა ხოლმე.

17. ომის დაწყებამდე ჰიტლერი ხალხს დაჰპირდა, ხუთი წელი მაცალეთ და გერმანიას ვეღარ იცნობთო.

18. ძველრომაულ ქალაქ კაპუას ადგილზე, რომელიც განთქმული იყო გლადიატორთა სკოლებით, 856 წელს თანამედროვე ქალაქი სანტა მარია-კაპუა-ვეტერნე აშენდა.

19. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, ფიდელ კასტროს მთავრობამ ხუთ-ნახევარი მილიარდი დოლარის სუბსიდია დაკარგა.

20. ლას-ვეგასის რესტორნებიდან საჭმლის ნარჩენები ამავე ქალაქის მახლობლად მდებარე ღორების ფერმებში მიაქვთ.

21. ნეპალის მხრიდან ევერესტზე ასასვლელი 4 მარშრუტი არსებობს. მათ შორის ყველაზე ძვირად ღირე-

„ბევრჯერ შეგხვდი ქუთაისში, ბევრჯერ ჩაბიარე და ბაბილიეე..."

„აუცილებლად გაგიცნობ და თავს ისე შეგაყვარებ, რომ ქკუას დაკარგავ"

„კომედი შოუს" ერთ-ერთი გამორჩეული სახე — ნიკა ბარაბიძე ბევრი გოგონასთვის საოცნებო მამაკაცი ყოფილა. იუმორისტთან შეხვედრისა და გაცნობის სურვილს ბევრი მისი თაყვანისმცემელი გამოთქვამდა, მაგრამ რატომლაც, მასთან ჩვენი თანდასწრებით შეხვედრისა და შემდეგ, ამ ყველაფრის გაშუქებისგან, თითქმის ყველამ თავი შეიკავა. იმედია, გამოჩნდება ისეთი თამამი ადამიანი, რომელიც სიმორცხვეს დასძლევს და „გზის" თანდასწრებით ნიკასთან (ან სხვა რესპონდენტებთან) შეხვედრას გადაწყვეტს. ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ „ესემესებს" გაგაცნობთ.

სოფო ჭონიშვილი

„მინდა გითხრა, რომ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ. ვფიქრობ, შენს ცოლობაზე უარს არც ერთი გოგო არ იტყოდა..."

„ეტყობა, ნამდვილი ქართველი მამაკაცი ხარ. მეც იმერელი ვარ. მიხარია, რომ ქართულ ტრადიციებს პატივს სცემ. თუმცა, არ შეიძლება, იმერეთში გაზრდილი კაცი სხვანაირი იყო".

„დაგინახე თუ არა, შემიყვარდი. მაგარი იუმორი გაქვს. სამწუხაროდ, ერთმანეთს ასაკით არ შევეფერებით. ძალიან მინდა, 10 წლით ახალგაზრდა ვიყო და მაშინ, შენი გულის დასაპყრობად ბოლომდე „ვიჩალიჩებდი". ლელა".

„ნიკა, შენი ახლობელი ვარ. სოფოს დავურეკე და შენი პირადი ნომერი ვთხოვე, მაგრამ არ მომცა. იქნებ, თავად დამიკავშირდე?! გელოდები".

„იცი, რა კარგი გოგო გახლავართ?! ნიკა, თუ მნახავ, ეგრეეე „დაეცემი". თან, საოჯახო საქმეების კეთებაც მეხერხება. მოკლედ, ისეთი საპატარძლო ვარ, რომ დედაშენს აუცილებლად მოვეწონები. იმედი მაქვს, აუცილებლად გაგიცნობ და თავს ისე შეგაყვარებ, რომ ქკუას დაკარგავ".

„მეც ისეთი გემრიელი აჯაფსანდალის მომზადება ვიცი, რომ თითებს ჩაიკვნეტ. სხვა რაღაცებსაც გემრიელს ვამზადებ. მზად ვარ, დედაშენს მივუბარო, რათა მან ისეთი ხაჭაპურის ცხობა მასწავლოს, როგორიც შენ გიყვარს. ფისო".

„ძალიან მაგრად „მევასები". როცა ეკრანზე პირველად გამოჩნდი, „დავიშოკე". ძალიან ლამაზი და დამატყვევებელი თვალები გაქვს. აი, ცოტა უფრო მაღალიც რომ იყო, მართლა იდეალური მამაკაცი იქნებოდი. არ გეწყინოს — სიმართლე, სიმართლეა..."

„ყველა შენი თვისება მომეწონა, მაგრამ ვერ ვხვდები, მანდილოსნისთვის ყვავილების მირთმევაში სამარცხვინო რა არის?! საინტერესოა, მანქანა რომ არ გყავდეს, საყვარელ ადამიანს ყვავილებს როგორ მიართმევდი?.."

„მიყვარხარ და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. დიდი ხანია, შენს გაცნობაზე ვოცნებობ. იმ დღეს შენი „ოპელით" ჩამიქროლე და... გავიგე, რომ ვიღაც გოგოს ეკურკურები. ალბათ, მალე დაქორწინდები კიდეც. ვაიმეეე, რა უიღბლო ვარ! ერთი კაცი მიყვარს და ისიც მიუნდომელია. თაკო."

„ნიკა, დედაშვილურად გთხოვ, ოჯახის შექმნაზე სერიოზულად იფიქრე. კარიერა და წარმატება ძალიან კარგია, მაგრამ ოჯახი უპირველესია. ისე გაგეპარება წლები, რომ უკან მოხედვასაც ვეღარ მოასწრებ. კარგი ადამიანი ხარ, მიყვარხარ. შენი გულშემატკივარი".

„სახლიც მაქვს, მანქანაც და მზითევიც, მაგრამ სრული ბედნიერებისთვის ერთი ნორმალური მამაკაცი მჭირდება, რომელიც ჩემზე მხოლოდ ქონების გამო არ დაქორწინდება. ნიკა, მომეწონა შენი შეხედულება იმასთან დაკავშირებით, რომ ქონებისა და კარგი ცხოვრების გამო ცოლად არავის შეირთავ. შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ! იმედია, შენნაირი მეუღლე მეც მეყოლება".

„ისეთი იღბლიანი ადამიანი ყოფილხარ, რომაააა... თერჯოლიდან ნელ-ნელა წინ-წინ იარე და აგერ, „რუსთავი 2"-ში მოხვდი, ცნობილი ადამიანი გახდი. მაგრამ როგორც

მითხრეს, შენ ამ ყველაფერს ნამდვილად იმსახურებ. კეთილი ადამიანების არასოდეს არაფერი მშურს. გაიხარე, წარმატებებს გისურვებ! ქეთა".

„ყველაზე ძალიან შენი თვალები მომწონს. თანაც, ქერა ადამიანებზე ვგიჟდები. ისე, ცნობისთვის, თავად შავგვრემანი გახლავართ. სხვათა შორის, მეუბნებიან, რომ ლამაზი და ეშხიანი გოგო ვარ. მგონი, შენც მოგეწონები (ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს)".

„გოგონებო, ტყუილად ნუ აქტიურობთ, მგონი, ნიკა უკვე შეყვარებულია. ზუსტად არ ვიცი, ვისზე, მაგრამ... ასე რომ, გირჩევნიათ სხვაზე იფიქროთ, დრო უქმად არ დაკარგოთ. თქვენი გულშემატკივარი".

„გეთანხმები იმაში, რომ მამაკაცმა სხვის კმაყოფაზე არ უნდა იცხოვროს და ოჯახი სნორედაც რომ თავად უნდა შეინახოს. მიხარია, შენც რომ ასე ფიქრობ. კარგი ადამიანი ხარ და ლამაზ სიყვარულს გისურვებ. დალი".

„შენთან ერთად მთელ ცხოვრებას გავატარებდი. ისეთი იუმორი გაქვს, შენ გვერდით არასდროს მოვიწყენდი. თეთრი შურით მშურს შენნაირი ენერგიული და მხიარული ადამიანების. ნათია".

„მიყვარხარ, მაგრამ გთხოვ, ეს საიდუმლოდ შეინახე. ხომ იცი, ნათქვამია, — სიყვარულსა მალვა უნდაო. თუმცა, ახლა სიყვარულის მალვა მოდაში აღარაა. და კიდევ, ამ ბოლო დროს, მამაკაცები პასიურები გახდნენ, გოგონები კი პირიქით, გააქტიურდნენ. მოდი, შენთან ურთიერთობაში მეც ვიაქტიურებ და იქნებ, რაიმე გამომივიდეს".

„მინდა, ნიკას გამოვეხმაურო: ეძებე, ეძებე და აუცილებლად იპოვი ისეთ გოგოს, რომელიც შენს სიყვარულს დაიმსახურებს. შენ კი ისედაც, ყველას უყვარხარ. ფოთი".

„გამარჯობა, ნიკა. მე ერთი უბრალო გოგო ვარ. თუ ჩემთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდება, სოფოს ჩემი ტელეფონის ნომერი გამოართვი. ეველინა".

„ნიკას ანუ „სასიძოს" მინდა ვუთხრა, რომ მართლაც „ძაან" საყვარელი ადამიანია. შენ ბევრჯერ შეგხვდი ქუთაისში, გვერდით ჩაგიარე და გაგიღიმე კიდეც. სხვათა შორის, ჩემს ღიმილს ღიმილითვე უპასუხე, რამაც ძალიან გამახარა. კარგი ადამიანი ხარ და მინდა, უფრო წარმატებული და ბედნიერი გნახო... დიდი სიამოვნებით გაგიცნობ და ვიმეგობრებ შენთან. მარი, ათენიდან".

„ეს წუთია, „სასიძო" წავიკითხე. ნიკუშ, ბოლო დროს მომრავლდა ისეთი სტატიები, სადაც შენი დაუოჯახებლობის შესახებ ამახვილებენ ყურადღებას. ყითელი პრესა ისეთ რეკლამა გიკეთებს, რომ დარწმუნებული ვარ, ამ „პრობლემას" მალე მოაგვარებ... ნელიწადზე მეტია, რაც ჩვენი ქვეყნიდან შორს ვიმყოფები, მაგრამ მაინც ვახერხებ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებს ვეცნობი, ზოგჯერ ტელეეკრანიდანაც გხედავ. მახარებს შენი წარმატებები. მომიკითხე ბიჭები. ლიკა გრიგალაშვილი, ჟურნალისტი, „რიონიდან". P.S. შენ თუ ვერ გამიხსენებ, ვფიქრობ, ჩაინიკას მაინც გავახსენდები.

„ძალიან გთხოვთ, გემუდარებით, ყველაფერს გაფიცებთ, ნიკა არაბიძეს ჩემი ნომერი მიეცით, რა. თიკო".

„გამარჯობა, ნიკა. ისეთი რა მოგწერო, რომ თავი მოგაწონო?! მგონი ჯობია, ქუთაისში რომ ჩამოხვალ, შევხვდეთ (გპირდები, არ შეგაშინებ) და ვილაპარაკოთ. სხვათა შორის, მეც გემრიელ აჯაფსანდალს ვამზადებ. მოდი, რეცეპტები გავცვალოთ :) ჯული, 20 წლის. ქუთაისი".

„სასმისს გიგზავნი, უცხოს და უცნაურს/ ეს სასმისი ხომ ჩემი გულია/ იცი, სიხარულო, შიგ რომ კამკამებს/ ღვინო კი არა, სიყვარულია. :-) ნიკუშ, „საკალელი" ხარ, ძალიან".

„ძალიან გთხოვთ, ჩემი ნომერი ნიკა არაბიძეს მიეცით. პირველად გწერთ და მაინტერესებს, თქვენი მაჭანკლობის ამბები სიმართლეა თუ არა. მაპატიეთ გულახდილობა და გთხოვთ, ნიკას ჩემი ნომერი მიეცით".

„გამარჯობა, ნიკა. მინდა გითხრა, რომ ყვავილები სულაც არ მიყვარს და არც მზითევი მაქვს. ჰო, კიდევ, განათხოვარიც არ ვარ. 25 წლის გახლავარ და ძალიან მომწონხარ. ნიკას ჩემი ნომერი მიეცით, გთხოვთ".

„ვარ შავგვრემანი, ხუჭუჭთმიანი გოგო. დიდი ხანია, შენზე ვფიქრობ, მაგრამ ვერაფრით დაგიკავშირდი. სხვათა შორის, სიგიჟემდე მიყვარს აჯაფსანდალი. თაკო".

„გამარჯობათ. ნიკა, ძალიან მომწონხარ, არაჩვეულებრივი ხარ. ამასთანავე, დედაშენს ძალიან კარგად ვიცნობ და დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი გოგო, ვინც მის ოჯახში რძლად შევა, მას ყოველგვარი თხოვნის გარეშე დაუძახებს „დედას". ძალიან გაფასებ. მე თიკო ვარ, 20 წლის, სიმპათიური. იქნებ, გამომეხმაურო".

„ნიკაა, ძაალიან მაგარი „ვინცხა" ხარ! უფალი გფარავდეს შენც და შენს ოჯახსაც... მარიკუნა".

„მაგარი „ხუტუნია" ხარ და მაგრად მიყვარხარ, მაგრამ ერთხელ მაგრად „გამიტეხე": მითხარი, კონცერტზე შეგიყვანო და „გადამაგდე". მპუა".

„შენი შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი ვარ. იმერლები შენი შოუში ყოფნით ვხარობთ. მაინტერესებს, მეგობარი გოგონა გყავს თუ არა? თუ გყავს, იქნებ, ორიოდე სიტყვით მასზე გვიამო რაიმე? პარიჟანკა".

„შენ არაჩვეულებრივი ადამიანი ხარ და ძალიან მიყვარხარ. მოუთმენლად ველი ხოლმე იმ გადაცემებს, რომლებშიც შენ მონაწილეობ. ბედნიერებას, სიხარულს და სიყვარულს გისურვებ. გათხოვილი რომ არ ვიყო, აუცილებლად ვიბრძოლებდი შენთვის. ელა".

„დიდი ხანია, შენი ცქერით ვხარობ. მაინტერესებს, აჯაფსანდალის მომზადება უფრო გეხერხება, თუ ექსტრემალურ ადგილას სექსი? მორიელი".

„მინდა, ნიკა არაბიძეს ვკითხო: რატომღაც, ამ ბოლო დროს გია ტაბიძე არსად ჩანს და მაინტერესებს, სად დაიკარგა? მას დაახლოებით 10 წელია, ვიცნობ, მაგრამ პირადად, დიდი ხანია, არ მინახავს. ვაღმერთებ თქვენს იმერულ იუმორს. გაიხარეთ, დიდხანს იცოცხლეთ. გისურვებთ ლამაზი ოჯახის შექმნას..."

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დეალის უბის წიგნაკიდან:

ბულს სახელად ნანა ჰქვია. მასზე ასვლა 70 ათასი დოლარი ღირს. დანარჩენ სამ მარშრუტზე ასვლა — 50 ათასი დოლარი.

22. ჰუმანისტური ხასიათის შემოქმედებისათვის ასტრიდ ლინდგრენს ჰანს კრისტიან ანდერსენის პრემია აქვს მიღებული. 1987 წელს მიხაილ გორბაჩოვმა შვედი მწერალი ქალი ლევ ტოლსტოის სახელობის ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვა.

23. „ემპაიერ სტეიტ ბილდინგს" აშენებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ბომბდამშენი შეეჯახა. თვითმფრინავმა მხოლოდ 77-ე და 78-ე სართულები დააზიანა. ექსპერტთა მტკიცებით, ბომბდამშენი შენობას ცოტა ქვემოთ ან ცოტა ზემოთ რომ დასჯახებოდა, შესაძლოა, სავალალო შედეგები გამოეწვია.

24. შავი ტყავის ქურთუკები, რომლებიც ასეთი პოპულარული იყო ბოლშევიკებში, ანტანტის ნაჩუქარი იყო. მოკავშირეებმა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში გაუგზავნეს რუს სამხედროებს ეს ტანისამოსი. ძვირფასი საქონლით სავსე საწყობები ბოლშევიკებმა ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ აღმოაჩინეს. ტყავის ქურთუკების პოპულარობა იმანაც განაპირობა, რომ მასში ტილები ვერ იბუდებდნენ. ეს პარაზიტი კი განსაკუთრებით საშიში იყო იმ პერიოდში, რადგან ქვეყანაში ტიფი მძვინვარებდა.

25. ინდირა განდის ვაჟი, სანჯაი, რომელსაც პრემიერ-მინისტრის პოსტზე დედამისი უნდა შეეცვალა, სპორტული თვითმფრინავის გამოცდის დროს დაიღუპა. არაოფიციალური ვერსიით, მას რაღაც ფხვნილი ჩაუყარეს საწვავში, რის გამოც ფრენისას ძრავა გაუჩერდა თვითმფრინავს. როცა ინდირა განდიმ შვილის დაღუპვის ამბავი შეიტყო, პირველ რიგში, მისი მაჯის საათი მოიკითხა, — ტრაგედიის ადგილზე ხომ არ გიპოვიათო? რუსეთის ელჩს, იული ვორონცოვს გაჰკვირვებია, — განა რა საოჯახო რელიკვიას წარმოადგენდა ეს საათი, ამ უბედურების ჟამს დედამისი მის მოძიებას რომ მოითხოვსო? საქმე ისაა, რომ შვეიცარიელი ბანკირები კლიენტებს, ვისაც განსაკუთრებით დიდი რაოდენობის თანხა ჰქონდათ ბანკებში შენახული, სამახსოვროდ ძვირფას საათს უძღვნიდნენ, რომლის უკანა სარქველზე, შიგნითა მხარეს ანგარიშის ნომერი და კოდი იყო ამოტვიფრული. ცხადზე ცხადია: შვილის კუთვნილი მილიონების ასავალ-დასავალი აინტერესებდა მზრუნველ დედას.

ბედინას და დაკოს შეხვედრა „აზაში"

„გზის" №44-ში, მკითხველების თხოვნით გამოქვეყნდა რეპერ ბედინას ინტერვიუ, რომელსაც, რა თქმა უნდა, ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. ამის შემდეგ, ჩემს ტელეფონზე დარეკა 13 წლის დაკომ, რომელიც რეპის დიდი თაყვანისმცემელია. მან გვთხოვა, რომ ის ბედინასთან შეგვეხვედრებინა, რადგან უნდოდა, მისი ინტერვიუ სკოლის გაზეთში გამოექვეყნებინა. დაკოს ვკითხე, რესპონდენტად მაინცდამაინც ბედინა რატომ შეარჩია? მიპასუხა: მართალია, რეპი ძალიან მიყვარს, მაგრამ ქართულ რეპს იშვიათად ვუსმენ. რატომლაც მგონია, რომ ჩვენ, ქართველებს რეპი არ გვიხდება და ალბათ ამიტომაც, მათ ვერ „დავუმუღამე". ერთადერთი, ბედინას რეპს ვუსმენ ხოლმე. ამასთანავე მაინტერესებს, როგორები არიან ქართველი რეპერები ურთიერთობაშიო... ის, რომ ჩვენს რესპონდენტებს მათსავე ფანებთან შეხვედრას ვუწყობთ (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ ამაზე ორივე მხარე თანახმაა), ახალი ამბავი არაა და შესაბამისად, დაკოც შევახვედრეთ რეპერს.

ლიკა ქაჯაია

მათი შეხვედრა რედაქციაში, 6 საათისთვის დაგეგმეთ. დაკო დაახლოებით 2 საათით ადრე გვესტუმრა — იჯდა თავისთვის და კითხვებს წინასწარ ამზადებდა. როცა ჩემმა ტელეფონმა დაიწკრიალა, გოგონა მიხვდა, რომ ეს ბედინას ზარი იყო, ცოტათი შეშფოთდა კიდეც (ის ხომ პირველად იღებდა ინტერვიუს ცნობილი ადამიანისგან), მაგრამ შემდეგ, თავი შეიკავა და რეპერს „რეპურად" შეხვდა... ისინი ერთმანეთს წარვუდგინე.

— აჰა, ე.ი. შენ ხარ დაკო, არა? კარგი გოგო ყოფილხარ. გისმენ, მკითხე, რაც გინდა...

— როგორ ხართ?

— ძალიან ცუდად. ეს წელი, შეიძლება ითქვას, ჩემთვის „უკუღმა" დაიწყო და ასევე გრძელდება. არანაირი წინსვლა არ მქონია (რაღაც-რაღაცები კი ჩავწერე, მაგრამ მაინც). მინდა, მომავალ წელს უკეთ შევხვდე და იქნებ, ის ჩემთვის უფრო

„არ მეგონა, ასეთი კარგი ადამიანი თუ იქნებოდა..."

ფეხბედნიერი იყოს.

— და ეს წელი „უკუღმა" რატომ დაიწყო?

— ამ წლის დამდეგს გადარბენაზე ვიყავი — უამრავი საქმე მქონდა. 12 საათზე, ბათქაბუთქი რომ ატყდა, რომელიღაც სადარბაზოში აღმოვჩნდი; მერე, ვიღაც ქალთან ამოვყავი თავი — არც ვიცი, ვინ იყო... მთელი ღამე იმასთან გავატარე და არეულობაც დამებედა.

— ალბათ იმიტომ, რომ უცნობ ადამიანთან ერთად შეხვდით ახალ წელს.

— ალბათ.

— საერთოდ, ცრურწმენების გჯერათ?

— ცრურწმენა იმას ნიშნავს, წინ შავი კატა რომ გადაგირბენს (*იცინის*)? მაინცდამაინც არ მჯერა...

— მოგწონთ თუ არა ქართული რეპი?

— რა თქმა უნდა, მომწონს. მით უმეტეს, რომ ვიცი, როგორ პირობებში უწევთ მუშაობა ქართველ რეპერებს. ვაფასებ მათ შესაძლებლობებს, ხარისხზე კი რა მოგახსენო... შესაბამისი პირობები რომ ჰქონდეთ, ხარისხიც გაუმჯობესდებოდა.

— რატომ გადაწყვიტე რეპერობა?

— ცხოვრებიდან გამომდინარე.

— რა განსხვავებას ხედავთ ქართულ და უცხოურ რეპს შორის?

— როგორც უკვე ვთქვი, განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ ხარისხშია. ფაქტია, უცხოელებს მეტი შესაძლებლობა აქვთ. ქართველი რეპერები უცხოელებს ნიჭიერებით არ ჩამოუვარდებიან და თუ საშუალება ექნებათ, მჯერა, მათზე არანაკლებ წარმატებულები იქნებიან.

— რუსული რეპი მოგწონთ?

— უუჰ, არა! თუმცა, არის რამდენიმე რეპჯგუფი, რომლის მოსმენაც შეიძლება. რეპერი, რომელიც ალა პუგაჩოვას შოუზე იმღერებს, რეპერად არ მიმაჩნია.

— რატომ? საქართველოშიც ხომ მონაწილეობენ რეპერები რაღაც შოუებში?

— არც ისინი მიმაჩნია რეპერებად.

— ქართველები უკეთ რეპავენ თუ რუსები?

— ქართველები.

— რომელი რეპერი მოგწონთ?

— ბევრი მომწონს, მაგრამ უფრო ხშირად, M-kay-ს ვუსმენ.

— რას იტყვით, რეპი სჯობია თუ როკი?

— რეპი!

— რატომ?

— იმიტომ, რომ როკი „მოკვდა"!

— უცხოელი რეპერების უმეტესობას საკუთარი (დამახასიათებელი) ემბლემა აქვს. ქართველებს თუ გაქვთ ამგვარი რამ?

— როგორ არა?! უბრალოდ, იმის ფუფუნებას მოკლებულნი ვართ, რომ ის ბრილიანტის თვლებით მოვჭედოთ და ოქროთი მოვავარაყოთ. მასზე ამოტვიფრულია ჩვენი ინიციალები და რაიმე კონკრეტული წარწერა. სწორედ ამ დღეებში ვაპირებ, დავამზადებინო კულონი.

— როგორი კულონის დამზადებას გეგმავთ?

— თვლებით (მაგრამ არა — ბრილიანტის) მოჭედილ კულონს ექნება წარწერა — „ბედინა" და შიგნით — უამრავი ნახატი. ნახატები დამზადებული იქნება ვერცხლისა და ნახევრად თეთრი ოქროსგან.

— ყველა რეპერს აქვს რაღაც ამოსვირინგებული. თქვენ?

— მეც — ქსელში გახვეული ობობა.

— მოგწონთ თუ არა რეპული ჩაცმის სტილი? და საერთოდაც, რას ეძახით ასეთ ჩაცმულობას?

— თავისუფალი ჩაცმის სტილს. მას ალბათ, სპორტულ სტილს ვერ ვუწოდებ, ვინაიდან ამერიკაში, რეპერები იმისთანა

ვიღაც ქალთან ამოვყავი თავი — არც ვიცი, ვინ იყო...

პიჯაკებში გამოწყობილები დადიან, რომ... ეს სტილი მომწონს, მაგრამ „შუბით“ ნამდვილად ვერ გავიჩითები.

— როგორ ფიქრობთ, 2PAC ცოცხალია?

— რა სისულელეა?! როგორ შეიძლება, ცოცხალი იყოს კაცი, რომელიც კალაშნიკოვის სისტემის ავტომატის ჯერით

რეპი ძალიან მიყვარს, მაგრამ ქართულ რეპს იმვიათად ვუსმენ

დაცხრილეს.

— თქვენი აზრით, 2PAC B.I.G-მ ჩაცხრილა?

— არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, მე არ მჯერა, რომ ეს მან გააკეთა...

— მოგწონთ თუ არა რეპერი გოგონები და თქვენი აზრით, გოგოს რეპერობა უხდება?

— მომწონს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გულწრფელად რეპავს და ინდივიდუალობაც შენარჩუნებული აქვს. რაც შეეხება მოხდენას, რეპიც უნდა უხდებოდეს გოგოს და გოგოც — რეპს (*იცინის*).

— რამდენად გამართლებულია გარეპვისას უხამსი სიტყვების ხმარება? თქვენ ხომ თინეიჯერები გისმენენ...

— ყველას, ვინც ჩემს ტექსტებს უსმენს, დიდ მადლობას მოვახსენებ. მაგრამ მათვე უნდა იცოდნენ: თუკი ჩემი ტექსტებიდან რაიმე ცუდს გაიგონებენ ან აგრესიას იგრძნობენ, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამის პროპაგანდას ვეწევი. კარგი იქნებოდა, ტექსტები უფრო ყურადღებით, ბოლომდე მოესმინათ და მაშინ დარწმუნდებოდნენ, რომ ამ ყველაფერს არათუ ვაქებ, პირიქით — ვაკრიტიკებ. მე კრიმინალური წარსული მქონდა, მაგრამ ყველაფერი უკან მოვიტოვე. ჩემს ტექსტებში სწორედაც, რომ ჩემი განვლილი ცხოვრების შესახებ ვყვები იმიტომ, რომ თინეიჯერმა ეს ყველაფერი გაითვალისწინოს და ჩემი ხვედრი არ გაიზიაროს. ჩემი ცხოვრების შეცვლა რეპის დამსახურებაა. რომ არა რეპი, დღესაც ციხეში ან უფრო უარესი — სასაფლაოზე ვიქნებოდი.

— ციხეში რის გამო ივჯექით?

— ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებისთვის. იარაღი ბავშვობიდანვე მიყვარდა, მერე შევიძინე და ვატარებდი კიდეც.

— მოგწონთ, ახლანდელი ახალგაზრდები იარაღს რომ ატარებენ?

— (*ფიქრობს*) არა, არ მომწონს... მაგრამ მაშინ, დრო იყო ასეთი: სხვებს დაჰქონდათ და შენც იძულებული იყავი, გეტარებინა. აბა, დამიზნებულ იარაღს შუბლს ხომ არ მიუშვერდი?!

— სპორტის რომელი სახეობა გიზიდავთ?

— მთელი ცხოვრება სპორტზე დავდიოდი — რაგბიზე, კალათბურთზე... კალათბურთი ძალიან მიყვარს. ამ ბოლო დროს, რატომღაც, ფეხბურთის მიმართ არაკეთილგანწყობილი გავხდი.

— როგორც ვიცი, დაოჯახებული არ ხართ. რატომ?

— რა ვიცი, ალბათ, ჩემი მეორე ნახევარი ჯერ ვერ ვიპოვე. შეყვარებული არასდროს მყოლია.

— დაბოლოს, აქვს თუ არა პერსპექტივა ქართულ რეპს?

— პერსპექტივა რას ნიშნავს?! — რეპი მუდმივია! სანამ რაღაცით უკმაყოფილო ხარ, ვიდრე უსამართლობის განცდა გაწვალებს, მანამ რეპიც იარსებებს... დაკო, რამდენი წლის ხარ?

— 13-ის.

— ვა, მაგარია. შენ ისე გამოიყურები, როგორც — რეპერი. ამ სფეროში მოღვაწეობას ხომ არ გეგმავ?

— არა, მაგრამ რეპი ძალიან მიყვარს.

— კარგი, მაშინ ჩემს დისკს გამოგიგზავნი. ხომ გინდა?

— რა თქმა უნდა, მინდა. ძალიან დიდი მადლობა ყველაფრისთვის. წარმატებებს გისურვებთ!

— გმადლობ შენ.

ბედინა და დაკო ერთმანეთს დაემშვიდობნენ. რეპერის წასვლის შემდეგ თინეიჯერს ვკითხე:

— დაკო, რას ფიქრობ ბედინაზე?

— კარგი ტიპია, ძალიან მომეწონა. სიმართლე გითხრა, არ მეგონა, ასეთი კარგი ადამიანი თუ იქნებოდა. დიდი მადლობა თქვენ, ჟურნალ „გზას“, რომ მასთან შეხვედრაში დამეხმარეთ.

„გოგონებთან იმეგობრე, ეკლესიაში იარე და უფლის გწამდეს!“

„ვინც მედიცინაში ერკვევა, მიხვდება, რომ ეს შენი ბრალი არაა...“

„გზის“ №47-ში დაიბეჭდა სანდროს მესიჯი, სათაურით — „თუ მხოლოდ ორიენტაციის გამო „დამბლოკავ“, არ მეწყინება, მაგრამ...“ შეგახსენებთ, სანდრო, როგორც თავად ამბობს, არატრადიციული ორიენტაციის ადამიანია, რომელმაც არ იცის, როგორ იცხოვროს. მას საკუთარი ორიენტაცია თრგუნავს, აკომპლექსებს. ის თანატოლებს (და არა მარტო მათ) სთხოვდა: მირჩიეთ, რა უნდა მოიმოქმედოს ჩემნაირმა ადამიანმა იმისათვის, რომ თავი საზოგადოების ისეთივე წევრად იგრძნოს, როგორიც თქვენ ხართო.

მარიკუნა:

„ეეე, სანდრო, ეს ამბავი ცოტათი „ტეხავს“. ალბათ, ძმაკაცები არ გყავს, არა? საქართველში ცხოვრება გაგიჭირდება!.. მაგრამ მთავარია, შენ იყო კარგად. გოგონებთან იმეგობრე, ეკლესიაში იარე და უფლის გწამდეს! ლიკ, სანდროს ჩემი ნომერი მიეცი, თუ უნდა. მპუა“.

ნი-რუსთავსკი:

„შენ ახლა ისეთი რჩევა გჭირდება, რომელიც ჭუშმარიტ გზაზე დაგაყენებს. ახლა მოზარდი ხარ და იქნებ, დროთა განმავლობაში შენში რაიმე შეიცვალოს... შენც გაქვს უფლება ნამდვილი, წრფელი სიყვარულით გიყვარდეს (ოღონდ, გოგონა) და შენც უნდა იპოვო ბედნიერება. დარწმუნებული ვარ, ეკლესიაში ხშირად დადიხარ. ჰოდა, სულიერ მოძღვარს სთხოვე რჩევა, ის უფრო დაგეხმარება. უფალს ებარებოდე“.

green girl *(ნათათო):*

„მთავარია, არ დაკომპლექსდე. მე სიამოვნებით ვიმეგობრებ შენთან. თუ სურვილი გაგიჩნდება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი“.

უცნობი, *19 წლის:*

„გირჩევ, ყველასთან გახსნილი იყო. მერე რა, რომ ორიენტაციით სხვებისგან განსხვავდები? შენს მდგომარეობაში შესაძლოა, ნებისმიერი ჩვენგანი აღმოჩენილიყო. ამიტომაც, შენი გაკიცხვის უფლება არავის აქვს და ამის უფლება არც არავის მისცე. სანდრო, დღეს გიორგობაა და წმინდა გიორგის მადლი გფარავდეს“.

სოფა:

„შენც ადამიანი ხარ, ღვთის შვილი და ბედნიერების უფლება ნამდვილად გაქვს!!! შემეხმიანე“.

არგელოდი:

„სანდროს მხოლოდ ერთ რჩევას მივცემ: შეეცადე, ტაძარში იარო. დამიჯერე, უფალი დაგეხმარება... ლიკა, ჯამარაული მოინვიე, რა!“

ელე, *23 წლის:*

„არ შემეძლო, არ მომეწერა. სანდრო, შენს გაკიცხვას არ ვაპირებ. მე ვიცნობ არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს, რომლებიც ჩვეულებრივად ცხოვრობენ — მათაც ჰყავთ მეგობრები და საკუთარი საქმის საუკეთესო სპეციალისტები არიან. სანდრო, ნუ ჩაიკეტები საკუთარ თავში, დაისახე მიზანი და მის მისაღწევად იბრძოლე. გთხოვ, ტაძარში იარე და ილოცე. დამიჯერე, ამით სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებ... გახსოვდეს, შენი განსჯის უფლება არავის აქვს. წარმატებებს გისურვებ!“

ანი, *14 წლის:*

„სანდრო, გთხოვ, გამომეხმაურე. შენს ამბავს ძალიან განვიცდი და შენი გაცნობა მინდა. იმედია, რაიმეთი მაინც დაგეხმარები, ეს კი ბედნიერებას მომანიჭებს. ნომერი ლიკასთანაა“.

პუშკიკა:

„ყველა ადამიანი ერთნაირი არაა, თითოეულ მათგანს თავისი მინუსი და პლუსი აქვს. საკუთარ თავს ნუ დაითრგუნავ! მე, მაგალითად, ამ რაღაცაზე გართულება არ მაქვს. ადამიანებმა ისეთი უნდა მიგიღონ, როგორიც ხარ და ვინც არ მიგიღებს, თავის გზაზე წასულა. გისურვებ ისეთი მეგობრების ყოლას, რომლებიც გაგიგებენ, დაგაფასებენ და ეყვარები ისეთი, როგორიც ხარ. მთავარია, არ დაკომპლექსდე“.

შენმა „ესემესმა“ ლამის ჭკუიდან გადამიყვანა, ბევრი ვიტირე. საოცრად თანაგიგრძნობ

ეროზეფინა:

„შენ ისედაც ჩვენს საზოგადოებას ეკუთვნი. ხომ იცი, ნათქვამია, მთავარია, გული გულობდესო... თუ მოინდომებ, ყველაფერი კარგად იქნება. თუ გინდა, დამიმესიჯე, ნომერი ლიკასთანაა“.

ბზიკუნია:

„სანდრიკ, არ ვიცი, მე, არაპროფესიონალმა რა გირჩიო, მაგრამ შევეცდები, სწორ გზაზე დაგაყენო — ფსიქოლოგს მიმართე. თუ მასთან პირისპირ ლაპარაკი გეუხერხულება, ჟურნალ „ბარის“ ფსიქოლოგს, ლინდას დაუმესიჯე. გული არ გაიტეხო, ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. აბა, შენ იცი, ძამიკო, წარმატებებს გისურვებ!“

ბაწკუ, *17 წლის:*

„მერე რა, რომ სხვანაირი ორიენტაცია გაქვს?! შენ ხომ ასეთად დაიბადე?! გირჩევ, საკუთარ თავში არ ჩაიკეტო, ნუ შეიბოჭები. აჰყევი ცხოვრების რიტმს“.

დეიზი:

„ჩვენს ქვეყანაში არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს ცუდად ეპყრობიან, ამიტომ შეეცადე, შეიცვალო. ფსიქოლოგთან იარე და რაც მთავარია, ბევრი ილოცე“.

გათუმსკი მარი:

„სანდრო, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და მომწერე. გპირდები, ჩემი სახით მაგარ მეგობარს შეიძენ“.

ნატალი:

„გამარჯობათ. შენი კარგად მესმის, რადგან ჩემი ბავშვობის დროინდელი მეგობარიც შენნაირია და ეს ცოდვად არ მიმაჩნია. შენ უფალმა გარგუნა ასეთი ტვირთი, უფლის ნება კი შეუცნობელია. არავის აქვს შენი განსჯის უფლება. თუ გსურს, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ“.

ანუკი, ფიკვინე:

„სან, შენმა „ესემესმა“ ლამის ჭკუიდან გადამიყვანა, ბევრი ვიტირე. საოცრად თანაგიგრძნობ. არ ვიცი, რა გირჩიო. უფლის გარდა ვერავინ დაგეხმარება, ის კი მერწმუნე, არ გაგწირავს. ეკლესიაში იარე, ამის შესახებ მოძღვარს დაელაპარაკე. სან, ეძებე საკუთარ თავში ძალა და მას აუცილებლად აღმოაჩენ. შენს მეგობრად მიგულე. იცოდე, ადამიანი ხარ და ცხოვრების უფლება გაქვს“.

2 Pac:

„იცი, რას გეტყვი, ძმაო? დაიკიდე შენი ორიენტაცია, რა... გამომწვევად ნუ მოიქცევი და აგრესიულადაც არავინ მოგექცევა. აბა, შენ იცი, ძმაო, ყოჩაღად მოიქეცი!!!“

საიდუმლო აგენტი:

„გირჩევ, ეკლესიაში მიხვიდე, მღვდელს დაელაპარაკო და ის სწორ გზას გიჩვენებს. დამიჯერე, ლოცვით შეძლებ, რომ სრულფასოვანი ადამიანი გახდე“.

G.G:

ლიკა, „პრივეტ“, როგორ ხარ? იცი, რას ვფიქრობ? სანდრომ თავისი გასაჭირი გაგვანდო, ჩვენი იმედი აქვს და რატომ უნდა მოვეპყრათ აგრესიულად?! ის ადამიანია და მიუხედავად იმისა, თუ როგორი ორიენტაცია აქვს, მას ისევე სტკივა და ისევე განიცდის საკუთარ მდგომარეობას, როგორც თითოეული ჩვენგანი. სანდრო, შენ გვეკითხები: როგორ უნდა ვიცხოვროო? — რა თქმა უნდა, ისე, როგორც ჩვეულებრივმა ადამიანმა. მართალია, საშინელებაა, კაცი რომ ხარ და კაცთან წევხარ, მაგრამ ეს არ უნდა გახდეს იმის საბაბი, რომ საკუთარ თავში ჩაიკეტო. კარგი იქნება, რომ შეეცადო და კაცებზე ნაკლებად იფიქრო, გოგონებში ეძებო ის, რაც შენს ინტერესს იწვევს. იმედია, ჩემი რჩევა გამოგადგება. ლიკ, დამიბეჭდე, რა და ძალიან გთხოვ, ნიკი აღარ დამიმახინჯო :))“.

სოფო:

„ცხოვრებას არასდროს გაებუტო, ისწავლე ტკივილის ატანა და არასდროს შეგეშინდეს მომავლის. იცოდე, შენ გვერდით ვარ... თუ მოგინდება, ვიმეგობროთ“.

ვისაც შენთან მეგობრობა უნდა, ისეთს მიგიღებს, როგორიც ხარ

ლელუჩია:

„განსხვავებული ორიენტაციის ადამიანებიც საზოგადოების ისეთსავე წევრებად მიმაჩნია, როგორიც სხვები. მთავარია, მათი ცხოვრება „ზედმეტობაში“ არ გადაიზარდოს და საზოგადოების გაღიზიანება არ გამოიწვიონ. ყველას საკუთარი ცხოვრება აქვს, რომელშიც არავინ არ უნდა ერეოდეს. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და ვიმეგობროთ. იმედი მაქვს, ჩემი რჩევა გამოგადგება“.

განდეგილი:

„ლიკა, „პრივეტ“. ბოდიში, ასე გვიან რომ გაწუხებ, მაგრამ ახლა წავიკითხე სანდროს წერილი და სულ მასზე ვფიქრობ. ძალიან გთხოვ, ჩემი ნომერი მიეცი ან მე მომეცი მისი. ბევრი რამ გვაქვს საერთო მისი მეგობრების არატრადიციული ორიენტაციის შესახებ... ერთი საშინელი ჩხუბი რომ არა, მთელი ცხოვრება მის გვერდით ყოფნას ვაპირებდი. ასე მგონია, ახლაც მიყვარს და ალბათ, მთელი ცხოვრება ასე იქნება... შენ შენი ცხოვრება გაქვს და მასში ცუდად ჩარევის უფლება არავის აქვს. გკოცნი“.

გიო:

„რა მნიშვნელობა აქვს, რა ორიენტაციის ხარ?! მთავარია ის, რომ ადამიანი ბრძანდები. გირჩევ, ცოტა ხნით ბერებთან იცხოვრე. და კიდევ, საკუთარ თავს ასე ნუ უყურებ“.

ირმა:

„ჩემო სანდრო, დასახმარებელი და სამარცხვინო არაფერი გჭირს. ვისაც შენთან მეგობრობა უნდა, ისეთს მიგიღებს, როგორიც ხარ. შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი“.

ანა, *14 წლის:*

„ეს ამბავი ალბათ ბევრ ადამიანს ეტკინება, მაგრამ ეს ჩემი ბოლო ფიქრია. ალბათ, ეს ბოლო ფიქრიც. ეს ბოლო ფიქრი ... ალბათ, ეს ბოლო ... ეს ... ეს ... ეს

ბუზღუნა:

„გამარჯობა. ეკლესიაში იარე, მოძღვარი აიყვანე და მას დაელაპარაკე. დამიჯერე, ის დაგეხმარება. პირადად მე გვერდით დაგიდგები და შეძლებისდაგვარად დაგეხმარები. თუ გინდა შეიცვალო, ამას მიაღწევ კიდეც!"

ნინიკო:

„სალამი. სანდრო, პირველ რიგში, შენი თავის უნდა გჯეროდეს. ურთიერთობაში იყავი გახსნილი და ნუ დაკომპლექსდები იმის გამო, რომ არატრადიციული ორიენტაციის ხარ. ბოლოს და ბოლოს, ბიჭებთან თუ ვერ პოულობ საერთო ენას, გოგოებთან იმეგობრე".

მარი, *17 წლის:*

„პრივეტ", ლიკ, როგორ ხარ? ვეხმაურები სანდროს: შენი რა ბრალია, თუ ასეთი ორიენტაციის ხარ? სიამოვნებით გაგიცნობდი და ვიმეგობრებდი შენთან".

ელ ნინო:

„გამარჯობათ. მართლა ძალიან შემეცოდე, მაგრამ შენ არ მიგიჩნევ არც ავადმყოფად და არც საზოგადოებისგან უარყოფილად. მიუხედავად ჩემი ტრადიციული ორიენტაციისა, შენი და შენნაირების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს... „თუ საკუთარ თავს ვინმეზე ნაკლებად მიიჩნევ, იმასაც უნდა მიეჩვიო, რომ არასდროს არავინ ჩაგთვლის ადამიანად. შენი გაგება ძნელია და ამიტომაც, ალბათ ჯობს, არავის გაუმხილო შენი პრობლემა, თორემ უარესად გაგრიყავენ. გთხოვ, მაპატიე, თუ რამე ცუდად გითხარი და გაწყენინე, მაგრამ მართლა თანაგიგრძნობ". წარმატებებს გისურვებ!"

მია, *18 წლის:*

„გამარჯობა, ლიკა. მინდა, სანდროს ვუთხრა, რომ ის, რაც მის თავს ხდება, საშინელებაა. სანი, შენ გვეკითხები: რა უნდა ვქნა იმისათვის, რომ თავი საზოგადოების ისეთივე წევრად ვიგრძნო, როგორიც თქვენ ხართო? მგონი, ვერც ვერაფერს იზამ იმიტომ, რომ საქართველოში ცხოვრობ. ჩემო ძმიკო, სწორად გამიგე, OK? შენ გამო გული მეტკინა. ის, რაც გჭირს, შენი ბრალი არაა. გირჩევ, სულით არ დაეცე, ღმერთის გზას არ ასცდე და სატანას არ მისცე იმის საშუალება, რომ სული დაგიმახინჯოს. ჩემო ძმიკო, იმედი მაქვს, ეკლესიაში დადიხარ. უფალი იყოს შენი მფარველი. თუ სურვილი გექნება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და მომწერე. მართლა მთელი გულით მინდა, თავი გარიყულად და მარტოსულად არ იგრძნო. ღმერთმა გაგაძლიეროს".

ლიკა:

„ლიკა, გამარჯობა. სანდრო, შენც ჩვენსავით ნორმალური ადამიანი ხარ, ჩვენსავით გრძნობ და განიცდი ყველაფერს. ორიენტაციის გამო არ დაკომპლექსდე და თავი არავის დააჩაგვრინო. აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი".

კესო:

„შენ ჭეშმარიტი ქართველი მამაკაცი ხარ. ეს სიტყვები ხშირად გაიმეორე. ხომ გაგიგონია: ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო".

ანი:

„სანდრიკ, ღმერთმა ადამიანები კი არა, თითები არ შექმნა ერთნაირი. იცხოვრე ჩვეულებრივად და ნურავის აზრს მიაქცევ ყურადღებას. სიამოვნებით ვიმეგობრებდი შენთან".

თამა:

„მეც ვყოფილვარ შენს მდგომარეობაში, მაგრამ ყველაფერი მეგობრებმა დამაძლევინეს და ახლა, ნამდვილ ქალად ვგრძნობ თავს... გულს ნუ გაიტეხ, არავის საქმე არაა, ვინ რა ორიენტაციისაა. იმის არასდროს შეგრცხვეს, რასაც აკეთებ. დამიკავშირდი, მინდა მეგობრები ვიყოთ".

კვიკვი:

„პრივეტ", ლიკ. სანდრო, ვფიქრობ, ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება ძალიან გაგიჭირდება, მაგრამ მაინც, ყველანაირად შეეცადე თავის დამკვიდრებას. გკოცნით".

ნია:

„სანდრო, შენი ასეთ მდგომარეობაში ყოფნა მხოლოდ ქართული მენტალიტეტის ბრალია. გირჩევ, ფსიქოლოგს დაელაპარაკო".

თამუნა:

„იცხოვრე ისე, როგორც „გაგისწორდება". სხვები ნამდვილი კაცები რომ არიან, იმიტომ არ გვითმობენ „მარშრუტკაში" ადგილს?.. ეს შენი ცხოვრებაა, რომელიც თავადვე უნდა გაალამაზო".

სევდია:

„შენ საპატიებელი არაფერი გაქვს. მართალია, დღესდღეობით საქართველოში მიუღებელია შენი ორიენტაცია, მაგრამ ვინც მედიცინაში კარგად ერკვევა, მიხვდება, რომ ეს შენი ბრალი არაა. ძალიან მინდა შენი გაცნობა და თუ შეგიძლია, დამიკავშირდი. დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ".

გირლს-ფორევერ:

„სანდრიკ, მე თამუნა ვარ, შენსავით არატრადიციული ორიენტაციის ანუ ბიჭების მაგივრად, გოგონები მიყვარდება, მაგრამ ეგ რა პრობლემაა? ჩემთვის — არანაირი. გოგო „ლოვეც" კი მყავს და ძალიან ბედნიერები ვართ. ისე, გოგონებს რა დაუწუნე?"

ფერია 17:

„შენმა წერილმა ძალიან დამაბნია. პირველ რიგში, შიში უნდა დასძლიო და ამ თემაზე მეგობრებს დაელაპარაკო. მერწმუნე, საზოგადოება არ გაგრიყავს. აი, მე, მაგალითად, შენ მიმართ აგრესია არ გამიჩნდა, პირიქით, მომინდა დაგხმარებოდი. გამაგრდი, ღმერთის იმედი გქონდეს და ყველაფერი კარგად იქნება".

***P.S.** სამწუხაროდ, თითოეული თქვენგანის მესიჯის დაბეჭდვა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ პირობას გაძლევთ, ის ადრესატამდე მაინც მივა და იმედია, სანდრო თავად შეგეხმიანებათ. მომავალ კვირას კი, ჩვენს რუბრიკაში, სანდროს პრობლემების შესახებ, ამ საქმის სპეციალისტების (ფსიქოლოგი, სექსოლოგი) მოსაზრებებსა და რჩევებს გაგაცნობთ.*

„შარს მდებს და უმოწყალოდ მირტყამს... დამეხმარეთ!!!"

N-17:

„ჩემი ძმა 20 წლისაა. ამ ბოლო დროს, შინ სულ მთვრალი ბრუნდება. გეფიცებით, თითით საჩვენებელი ოჯახი გვქონდა და გვაქვს კიდეც (არ მინდა, მასზე ვინმემ ცუდი თქვას, ჩემი ძმის გამო)... ჰოდა, სახლში მოსული შარს მდებს ხოლმე და უმოწყალოდ მირტყამს. დედა მის წინააღმდეგ უძლურია, ჩემს დასაცავად ვერაფერს აკეთებს. გუშინ ღამე სახლიდან წამოვედი. ქუჩაში, სკამზე ჩამოვჯექი და სიცივისგან აკანკალებულს იქვე დამეძინა. თურმე, დედა მთელი ღამე მეძებდა... არ მინდოდა, შინ დაბრუნება, მაგრამ მერე, ისევ დედა შემეცოდა. ხალხნო, რითი დავიმსახურე ასეთი ცხოვრება? გთხოვთ, რაიმეთი მაინც დამეხმარეთ. არ ვიცი, როგორ მოვიქცე, როგორ დავაღწიო თავი ჩემს ტირან ძმას?.. თქვენ ალბათ, ყველაფერში დედაჩემს დაადანაშაულებთ, მაგრამ ისიც ხომ ისეთივე უძლურია ამ ყველაფრის წინაშე, როგორიც მე?! რჩევებისთვის წინასწარ გიხდით უღრმეს მადლობას. თქვენს მესიჯებს სულმოუთქმელად ველოდები".

P.S. თუ გაგიჩნდებათ სურვილი, N-17-ს გამოეხმაუროთ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები" ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის" გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ.

დაბოლოს, შეგახსენებთ: შეგიძლიათ მოგვწეროთ — ვის ნახვას ისურვებდით მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვებს დაუსვამდით მას? ან სულაც, თუ თქვენც გაქვთ რაიმე მოსაყოლი და გსურთ, ჩვენი ჟურნალის მეშვეობით რჩევები მიიღოთ ან უბრალოდ, საკუთარი გულისტკივილის თანატოლებისთვის გაზიარებას მოისურვებთ, დაგვიმესიჯეთ.

„კვირის პალიტრა“ წარმოგიდგენთ!



მაგარი გარეკანი,
დიდი ფორმატი (A4),
608გვ. + 128გვ.
ფერადი ილუსტრაციები
შემდგენელი თემურ ყიფიანი

ფასი
27.99
ლარი

წიგნი - ყველა ოჯახისათვის!

შეუკვეთეთ „ელვასერვისი“ www.elva.ge
ტელ: 38 26 73; 38 26 74; 42 43 40

შეგვიკვეთეთ და მიიღეთ „დიდი საძაგიდო ენციკლოპედია“
თქვენთვის სასურველ ნებისმიერ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

რაზე მიგვანიშნებს გულის ტკივილი?

როგორც კი ადამიანი იგრძნობს, რომ „გული ვერ აქვს კარგად", მაშინვე მარადიული კითხვა დაისმება: რა გავაკეთო? იქნებ, სერიოზული არაფერია და თავისით გამიაროს? იქნებ, „სასწრაფო" კარგა ხნის წინ უნდა გამომეძახებინა?.. მოდი, ამ საკითხში გარკვევა ვცადოთ.

ტკივილი

ადამიანმა გულმკერდის მარცხენა ნახევარში, იქ, სადაც გული მდებარეობს, ტკივილი იგრძნო. რა არის ეს?

1. ტკივილი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ

გადაუდებელი დახმარება სტენოკარდიის დროს

ა) ადამიანი დავაწვინოთ და სუფთა ჰაერის მიწოდებით უზრუნველვყოთ.

ბ) ენის ქვეშ ნიტროგლიცერინის აბი ამოვუდოთ.

გ) თუ პირველი აბის მიცემამ, შედეგი არ გამოიღო, ყოველ 3-5 წუთში თითო აბი დავამატოთ.

დ) თუ ტკივილი 4-5 აბი ნიტროგლიცერინის მიღების შემდეგაც არ გაივლის, ავადმყოფს ნებისმიერი ტკივილგამაყუჩებელი მივცეთ და „სასწრაფო დახმარებაც" გამოვიძახოთ — ეს შეიძლება, მიოკარდის ინფარქტის დასაწყისი იყოს!

თუ ფიზიკური დატვირთვისას შეტევითი ხასიათის ტკივილი წარმოიშვა მკერდის ძვლის მიდამოებში (შესაძლოა, ამ დროს ტკივილი მარცხენა ხელში, კისრის, ქვედა ყბის მიდამოებში ან სულაც, ბეჭქვეშაც იგრძნოთ) და წვის, დაწოლის ან მოჭერის შეგრძნებად აღიქმება, კარდიოლოგთან ვიზიტი არ უნდა გადადოთ. ასეთ შემთხვევაში შეიძლება, სტენოკარდიის (გულის იშემიური დაავადების) ერთ-ერთ ფორმასთან გვქონდეს საქმე.

როგორ მოვიქცეთ

გადაიღეთ ელექტროკარდიოგრამა, სტრეს-ელექტროკარდიოგრამა (დატვირთვისას გადაღებული კარდიოგრამა) და ელექტროკარდიოგრამის სადღეღამისო მონიტორინრება ჩაიტარეთ.

2. ტკივილი გაცივების დროს

უყურადღებოდ არც ასეთი სახის ტკივილი უნდა დატოვოთ, რადგან ის შეიძლება, როგორც ტოქსინებზე რეაქცია, ასევე რევმატიზმის ანდა მიოკარდიტის (გულის კუნთის ანთების) პირველი ნიშანი იყოს.

როგორ მოვიქცეთ

ტკივილის მიზეზის დაზუსტებაში კარდიოლოგი (ან რევმატოლოგი) დაგეხმარებათ, რომელიც გულმოდგინედ მოუსმენს გულის ტონებს, დაგინიშნავთ სისხლის საერთო და ბიოქიმიურ ანალიზს, ელექტროკარდიოგრამას და სხვა აუცილებელ გამოკვლევებს.

3. ტკივილი მშვიდ მდგომარეობაში

გულის ხანგრძლივი, შემაწუხებელი, მჩხვლეტი ტკივილი, რომელიც მკერდის მარცხენა ნაწილს მოიცავს და მშვიდად ყოფნის დროს, ზოგჯერ კი ნერვიულობის ფონზეც ჩნდება, ნერვული მოვლენაა. ყველაზე ხშირად, მას ვეგეტატიური დისფუნქცია და დეპრესია იწვევს.

როგორ მოვიქცეთ

აუცილებლად გაიარეთ კონსულტაცია ფსიქონევროლოგთან. ნუ გეშინიათ, მასთან ვიზიტის შემდეგ „გიჟებში" არავინ ჩაგწერთ, მკურნალობის გარეშე კი თქვენს ჯანმრთელობასა და განწყობილებას ნამდვილად სერიოზული ზიანი მიადგება.

4. ტკივილი მოძრაობისას

ტკივილი გულმკერდის მარცხენა ნაწილში (განსაკუთრებით, ახალგაზრდებში) ყოველთვის გულთან როდია დაკავშირებული.

თუ ღრმად სუნთქვის, სხეულის მიბრუნება-მობრუნების და ხელების გაქნევ-გამოქნევის დროს გულის მიდამოებში მჩხვლეტი ტკივილი ჩნდება, ნუ იფიქრებთ, რომ გულით ავადმყოფი ხართ. ამ უსიამოვნო შეგრძნების მიზეზი, ალბათ, უფრო საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის დაავადებებს შორის უნდა ეძებოთ. ამ დროს, პირველ რიგში, ხერხემლის გულის განყოფილების ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი, ნეკნთა-შორისი ნერვებისა და კუნთების ანთება უნდა გამოირიცხოს.

როგორ მოვიქცეთ

მიმართეთ ნევროლოგს ან ორთოპედს. ტკივილთან გამკლავებაში ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები, მანუალური თერაპია და სამკურნალო ფიზკულტურა დაგეხმარებათ.

5. საკვების მიღებასთან დაკავშირებული ტკივილი

ზოგჯერ, ზომაზე მეტი ცხიმიანი ან ცხარე საკვების მიღების შემდეგ ან მაშინ, როცა მშიერი ხართ, გულის მიდამოებში გეწყებათ ტკივილი? — ასეთი ტკივილი გულისა და მუცლის ღრუს ორგანოების საერთო ინერვაციის გამო ჩნდება და გასტრიტის, კუჭის წყლულოვანი დაავადების, პანკრეატიტის, ქოლეცისტიტის ან ნაწლავების შებერვის გამოვლინებაა.

როგორ მოვიქცეთ

ტკივილის წყაროს ამოცნობაში თერაპევტი დაგეხმარებათ. შეიძლება, გასტროენტეროლოგის კონსულტაციაც დაგჭირდეთ.

6. ტკივილი გამონაყარითურთ

გულმკერდის არეში მწვავე ტკივილი, რომელსაც თან კანზე გამონაყარიც ახლავს, ჰერპესის მიმანიშნებელია. ასეთ ტკივილს, როგორც წესი, ზრდასრული ადამიანები უჩივიან, ბავშვებში კი, იგივე ვირუსი ყველასთვის კარგად ცნობილ ჩუტყვავილას იწვევს.

როგორ მოვიქცეთ

მიმართეთ დერმატოლოგს ან ინფექციონისტს, რომელთაც თავიანთ არსენალში ანტივირუსული და ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები მოეძებნებათ.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲐᲐᲒ „ᲔᲚᲕᲐᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ"

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ Ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

„არანორმალური“ ძგერა

ზოგჯერ, გულის არეში არანაირი ტკივილი არ იგრძნობა, მაგრამ იმის განცდა, რომ „რაღაც წესრიგში არ არის“, ადამიანს მაინც არ ასვენებს. ეს არითმიაა.

გადაუდებელი დახმარება არითმიის დროს

1. ადამიანი დავაწვინოთ და უზრუნველვყოთ სუფთა ჰაერით.

2. თუ ადამიანი გონზეა, ვთხოვოთ, ღრმად ჩაისუნთქოს და მთელი ძალით გაიჭიმოს, რაც ხანდახან, არითმიის შეტევას აჩერებს.

3. თუ ამანაც არ უშველა და ადამიანი უგონოდაა, გაუკეთეთ საძილე არტერიის, ე.წ. სინუსის მასაჟი. ამისთვის კისერზე (მარჯვენა ყურის ცოტა უკან და ქვემოთ) უნდა დააწვეთ, ოღონდ — არა უმეტეს 1-2 წამისა! ამ მასაჟის გაკეთება არ შეიძლება ხანდაზმულებისთვის, რადგან მათ შეიძლება, საძილე არტერიის ათეროსკლეროზი ჰქონდეთ და ამით სისხლძარღვთა მთლიანობა დავარღვიოთ.

4. თუ ამანაც არ უშველა, ადამიანი კვლავ უგონოდაა და სისხლის მიმოქცევის დარღვევის ნიშნებიც სახეზეა (ტუჩები გალურჯებული აქვს და ფერმკრთალია), ტაქიკარდიის შეჩერება გულმკერდის შუაგულში, ძლიერი, პირდაპირი დარტყმით უნდა სცადოთ. ამ ხერხის გამოყენება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.

1. გულის „ზედმეტი“ დარტყმების შეგრძნება

ზოგჯერ, გულის ნორმალური რიტმული ცემისას, თითქოს ზედმეტი, „რიგგარეშე“ დარტყმაც შეიმჩნევა, რომელსაც ჩვეულებრივ, პაუზა მოსდევს. გულის ამ „რიგგარეშე“ შეკუმშვებს ექსტრასისტოლები ეწოდება. დღე-ღამეში 1500-მდე ასეთი დარტყმა შეიძლება, სრულიად ჯანმრთელ ადამიანებშიც ისე წარმოიშვას, რომ მათ არანაირი ზიანი არ მიაყენოს. მაგრამ თუ ექსტრასისტოლების რაოდენობა ბევრად მეტია და ის დისკომფორტსაც გიქმნით, ექიმთან ვიზიტი აღარ გადადოთ.

როგორ მოვიქცეთ

ასეთი დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა კარდიოლოგის კომპეტენციაა. ექსტრასისტოლების სახეობისა და რაოდენობის გარკვევა, როგორც წესი, ელექტროკარდიოგრამის სადღეღამისო მონიტორირებით ხდება. „ზედმეტი“ დარტყმის წარმოშობის მიზეზის დასადგენად კი დამატებით გამოკვლევას დაგინიშნავენ.

2. ძალიან სწრაფი გულისცემა

სწრაფი გულისცემა ანუ ტაქიკარდია შეიძლება, ფიზიკური ან ემოციური დატვირთვის დროს, ან სხეულის ტემპერატურის მომატებისას ნორმალური რეაქცია იყოს. თუ გახშირებული გულისცემა ადამიანს მშვიდ მდგომარეობაში ეწყება, პულსი წუთში 160-180-მდე ადის და თან, თავბრუც ეხვევა ან გულყრა ემართება, ასეთ მდგომარეობას პაროქსიზმალური ტაქიკარდია ეწოდება.

როგორ მოვიქცეთ

დაითვალეთ პულსი. თუ ის წუთში 180-200-მდეა, „სასწრაფო“ გამოიძახეთ. ექიმები პაროქსიზმს შეგიჩერებენ და შემდეგ, საავადმყოფოში გადაგიყვანენ, სადაც სპეციალისტები ამ მდგომარეობის მიზეზების ძებნას და პროფილაქტიკურ მკურნალობას მშვიდ გარემოში შეუდგებიან.

3. არარიტმული გულისცემა

თუ გულმა უცბად, „ალთაბალთად“ დაიწყო ცემა ანუ თუ დარტყმები ერთმანეთს დროის სხვადასხვა მონაკვეთში მოსდევს, ყურადღებით იყავით! ეს შეიძლება, მოციმციმე არითმიის შეტევა იყოს.

როგორ მოვიქცეთ

გასინჯვის მერე სასწრაფოდ, „03“-ში დარეკეთ! მოციმციმე არითმიის დროს ნორმალური რიტმის აღდგენა კარდიოლოგიური პროფილის საავადმყოფოში ხდება. ამის შემდეგ კი ექიმი მკურნალობას ინდივიდუალურად შეგირჩევთ და ის, ძირითადად, ახალი შეტევების პროფილაქტიკისკენ იქნება მიმართული.

30 წლის შემდეგ (მაშინაც კი, თუ გული საერთოდ არ განუხებთ), წნევა თვეში ერთხელ მაინც უნდა გაიზომოთ და წელიწადში ერთხელ კარდიოგრამა გადაიღოთ. ეს გადაუდებელი ზომები გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ადრეულ სტადიაზე ამოცნობასა და დროული მკურნალობის დაწყებაში დაგეხმარებათ.

ჟურნალი ჟურნალში

გზა ვნილები

29.11-5.12.2007

უსიყვარულოდ ჩავლილი ცხოვრება

ბიჭს საკუთარი ნებით ვუთხრა, შემაბი-მეთქი? ნუ, სხვა რა გზა იყო. ერთი სიმპათიური ბიჭი შევნიშნე, იქაურს არ ჰგავდა...

...მოეკაკუნებინათ ჩუმად და 80 ათასი ევრო ჩემთვისაც მოეცათ. მე ზუსტად მაგდენი მჭირდება

მარტივი რჩევები

რატომ ვერ ახერხებ გათხოვებას?

გრაფი თარხანი

რა ერის ჩუპაკაბრა?

სიტუაცია

ვინ უნდა გამოხვიდე?

უნდოდა, რომ მყავე ვაშლის დამტკბობი, ტუალეტის ქაღალდის გამომშვები და მაკარონის ხის მომვლელი გამოსულიყო...

უსიყვარულოდ ჩავლილი ცხოვრება

თინეიჯერი შინაბერა და „კარდონის“ კაცუნა ანუ მე თქვენ გიჩვენებთ სტრასბურგს!



მარი Хაშარიძე

როგორც იქნა, მივაღწიე იმას, რომ „გზავნილებში“ თინეიჯერების გარდა, უფროსი თაობის მკითხველებმაც დაამესიჯეს. როგორც ჩანს, შეთავაზებულმა თემამ აუჩუყათ გული. აი, ამას ვნატრობდი, სწორედ! დიდი მადლობა, ვინც არ დაიზარა და შეგვეხმიანა. ახლა ჯერ ერთი გოგონას მესიჯს გაგაცნობთ: „ხიდზე, 60 წელს მიტანებული კაცი იდგა, ხელში 50-მდე წითელი ვარდი ეჭირა და მტკვარში ყრიდა. ამ მოვლენით ჟურნალისტი დაინტერესდა და ჰკითხა კაცს — თუ რატომ იქცეოდა ასე? მან უპასუხა: „18 წლის საცოლე დამეღუპა, მანქანამ გაიტანა ჩემ თვალწინ და მის საფლავზე დავიფიცე, რომ ყოველ წელიწადს მის დაბადების დღეს ასე მივულოცავდი. ის ახლაც ჩემში ცხოვრობს და მე ამიტომ არ ვკვდები“. ეს ხომ სიყვარულით, მაგრამ უსიყვარულოდ ჩავლილი ცხოვრებაა. მარ, ახალი ვარ, მაგრამ ერთგული მკითხველი. იმედია, დაბეჭდავ. ამაზონკა-18“. არ ვიცი, ამაზონკამ ეს ამბავი ვისგან გაიგო. მუდმივ მკითხველს კი ალბათ კარგად ახსოვს ეს გულის ამაჩუყებელი სიყვარულის ამბავი. ის ჟურნალისტი, რომელმაც ხიდზე ასაკოვანი მამაკაცი შენიშნა, მე ვარ და მასთან ინტერვიუც იქვე, ბორდიურზე ჩამომჯდარმა ჩავწერე, შემდეგ კი „გზაში“ დაიბეჭდა. თუმცა, ამაზონკას ცოტა უზუსტობა გაჰპარვია. სინამდვილეში ეს ამბავი სულ სხვაგვარად მოხდა. თუმცა, ამას უკვე დიდი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ ვიღაცას მაინც გაახსენდა მოხუცი, რომელიც ამ რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა.

მოკლედ, ვერ მოვრჩი თქვენთან ჭორაობას და კიდევ ერთი ამბავი უნდა გამცნოთ: თურმე, წინა კვირას ჩვენი მგზავნელები ერთმანეთს შეხვედრიან. საწყალი ლელუჩია კი ვერ უპოვიათ და განაწყენებული, შინ დაბრუნებულა. შეხვედრილებს კი წაუქეიფიათ და „ხინკლის სახლიდან“ მესიჯს მესიჯზე, სათითაოდ მიგზავნიდნენ. სიმართლე რომ გითხრათ, გული დამწყდა, რომ მათთან ერთად ვერ მოვილხინე, მაგრამ სხვა დროს იყოს. მათ არ იციან, რომ მათ გარდა იქ, სხვა სუფრასთან მსხდომი ბიჭებიდან ერთ-ერთმა დამიმესიჯა და მომახსენა: „გზის“ მგზავნელები ქეიფობენ და სულით და გულით მათთან ყოფნა მინდა, მაგრამ ვერ ვახერხებო. როგორც ჩანს, ისიც ჩვენი მკითხველია. შემდეგ, მათი ლაპარაკისთვის ყური მიუგდია და ყველაფერს მიმხვდარა. ახლა ჯერ ჩვენი მოქეიფე მგზავნელების მესიჯებს გავეცნოთ, შემდეგ კი თემაზე მოსულ მესიჯებს.

„მარიიი, ახლა მე, კანიბალკა, დუჩი და პავლიკა „ხინკლის სახლში“ ვსხედვართ და პირს ვიქაფებთ მგზავნელებზე ჭორაობით. დღეს ლელუჩია არ მოვიდა პაემანზე. ჰოდა, ახლა ვისაც ჩვენთან უნდა ყოფნა და გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხა მოსვლა, მას გაუმარჯოს! მარი, შენი თამადობით შეწირულს და მგლის დას გაუმარჯოს! ახლა მე და ლანკა ერთმანეთს ვეჯიბრებით, რომლის მესიჯს დაბეჭდავ. გატოცე, მალ, ილინი“.

„დღეს, სრულიად შემთხვევით შევხვდი ილინს, დუჩის, კანიბალკას, ნელკას, სესის, ჩუქჩას და საბოლოოდ, სრულიად შემთხვევით „ხინკლის სახლში“ აღმოვჩნდით. ასევე სრულიად შემთხვევით ილინი დათვრა და კანიბალკამ მეგრულად დაიწყო გინება. „თავზე დაიხურა“ „ხინკლის სახლი“ და დუჩის მობილური ლამის შემოეჭამა. მონასტრის ბიჭი“.

„მარ, ახლა „ხინკლის სახლში“ ვსხედვართ მე, პავლიკა, ილინი, გოჭი, დუჩი და „თბილისურით“ შენს სადღეგრძელოს ვსვამთ. :) დღეს სამებაში შევიკრიბეთ. ამათ გარდა, კიდევ ჩუქჩა, სესი და ნელკაც იყვნენ, მაგრამ ნელკა „პრიმერკაზე“ წავიდა, ჩუქჩა გათბობას აკეთებს სახლში, სესის კი სტუმრები ჰყავდა. ლელუჩიამ გადაგვაგდო. მთელი სამება ჟურნალების ფრიალით და ლელუჩიას ყვირილით შემოვიარეთ, მაგრამ... :(შეწირული და მგლის დაც მთელი გულით ჩვენთან იყვნენ, მაგრამ ვერ მოვიდნენ. აუ, რამდენს ჭამს ილინი. ეგ გოჭი კი არა, უკვე ღორია. :-) მარ, შენთანაც გვინდოდა მოსვლა, ვარდების თაიგულით, მაგრამ მოგვერიდა... არადა, ნამდვილად გვინდოდა. უჰ, რა მორიდებულები ვართ, კაცო. ეს მორიდება დაგვღუპავს. :) აუ, ახლა პავლიკას ნაწლავების გადახლართვა დაემართებაა! :) დუჩ, რა ვაჟკაცურად მოიყუდებ ხოლმე ლუდის კათხას! :) დამიბეჭდეეეთ! :) კანიბალკა“.

„აუ, რა მაგარი იყო დღეეს! კანიბალკა, ჩუქჩა, მონასტრის ბიჭი, სესი და ილინი ვნახე. ძალიან კმაყოფილი ვარ, :) ძალიან შემიყვარდა ყველა. ტემბოლეე, ჩორტიოზნაეტი, რუსკა, ნიკოლი, კაკუ, მის-სიო, ბაო-ბაო, ზაზუნა, კეტრინა, ზმიზმი, ნინო-მილანი, ეშმაკუნა, პარიჟანკა, შეწირული,

ლეო91, BABY-SMILE, გიჟი-პოეტი, მაზოხისტკა, მაესტრო, ოქროკაცი, მგლის და, თეო-მგელო, სტიქია, მესიჯომანი, პენსიონერი, პრინცესა, კოხი, მის 13.07, ASHLEY, როზი, გველი16, GREEN GIRL, ლორელაი, ჟურნალისტკა, 9122, ლუციფერი, ისტერიჩკა, ანარქია, ლელუჩია, LILY-19, პატარა ლელა, მარის ნათლული, ოლეგარიო, ჯონი დეპი, მუკობაზიერი, ბებერი — ყველა ამ ადამიანის ნახვაც მინდაააა! :) აუ, ვინმე თუ გამომრჩა, ალბათ მაპატიებთ? ყველანი მაგრად მიყვარხაااართ! მარი რომ არა, რა გვეშველებოდა, არა? :) ჰოდა, მარი, ძალიან მიყვარხარ. ნეტავ, დამიბეჭდო... გკოცნით, თქვენი მარადმწვანე ნელკა".

„აუ, ისე, საღოლ ყველას, რა! ახლა მესმის ილინის და კანიბალკასი. ამ კვირასაც არავინ მოსულა სამებაში. :(რავი, მესიჯებში ერთმანეთს პაჩებიო, გატოცე-მიკალქალ და რავი, რას არ სწერთ. საქმე საქმეზე რომ მიდგა, არავინ შეიწუხა თავი. არ მეგონა, თუ ასე არ გინდოდათ ერთმანეთის გაცნობა... ლელუჩია".

ნაირ-ნაირი „პაკლოები"

„თემის სათაურს როგორც კი დავხედე, თვალწინ ჩემი დაქალი (გვარს, იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარის არ იყოს, არ დავასახელებ) დამიდგა. 21 წლისაა და ჯერ არ იცის, სიყვარული აბსტრაქტული გრძნობაა თუ „სენაკელი მკერავის მიერ მისთვის შეკერილი გიგანტური შორტი" :) არადა, ისეთი ჩასაყლაპი გოგოა, რომ მის ყოველ ავლა-ჩავლაზე კანცელარიის დაცვის ბიჭები (და არა მარტო) მეგრული მაფშალიებივით იწყებენ სტვენას და გალობას. არა და არა! არ იქნა მისი გულის გალღობა! თაყვანისმცემლები თავზე საყრელად ჰყავს, მაგრამ არავინ ეპიტნავება. რას ერჩის, ვერ გეტყვით. მერე რა, რომ ერთს ყურები „კარალიოკივით" აქვს, რომელთა მეშვეობით ზაფხულში ბუზებსაც იოლად იგერიებს და არც წყალში იძირება?! მეორე, მოხერხებულად იყენებს ცხვირს კოქტეილის დასალევად; მესამე კი, მიშა ანდღულაძის პერსონაჟის — ნანულის სრული პროტოტიპია და ა.შ. ღირს კი ამ წვრილმანების გამო ცხოვრების უსიყვარულოდ გალევა? არ დადიან, ბატონო, საქართველოში ვენტვორთ მილერები და... მოდუნდი, თამთიკუდა, შეიყვარე ვინმე (სიყვარული ხომ ისეთი საყვარელია), თორემ ბოლოს იტყვი: „თვალი ჩემსავით გაუხარელ, მჭკნარ ყვავილს დაუდგესო" და „გრელკით" შეწვები საწოლში. კარდიოლოგი".

პოლიტიკურ თემაზე

„რამდენიმე წუთის დაკვირვებაც არ დამჭირდა, დავხედე თუ არა „ფოტოტესტს", მიშა, ბოკერია, ნადირაძე, თარგამაძე და ა.შ. წარმომიდგა თვალწინ. ასეთი სახე ექნებოდათ 7 ნოემბრის დილას, აუარება ხალხს რომ ვერაფერი მოუხერხეს და ალბათ, ამ პოზაში მყოფებს დაებადათ ხალხის დარბევის იდეა. ხედავთ, რა უმადური ვარ? არადა, მიშიკომ პურის ფქვილი დაგვირიგა საჩუქრად. კარგად დაიმახსოვრეთო, პურის გემო, თორემ პრეზიდენტად თუ დავრჩი, რაც გინახავთ, ველარ ნახავთო! ამ ფქვილით დამცხვარ პურებს სულ მთელ-მთელად გვაყრევინებს უკანვე და რამდენიმე წლის მერე ვიტყვით — გახსოვს, რა კარგი გემო ჰქონდა... რა ჰქვია იმას... იმას, კაცო, გამახსენე, ჰო, პურს, პურსო... არა, მართლა მაგარი უმადური ვარ, მიშამ კი რამდენი კარგი გააკეთა და თქვა: ახალ წელს ყველა მაძღარი უნდა იყოსო! შე კაი ადამიანო, წინა 4 ახალი წელი 9 მაისი იყო? ააა, დაგავიწყდა ალბათ. არცაა გასაკვირი, ბოკერიას შემხედვარეს, საკუთარი სახელი და გვარიც დაავიწყდება კაცს და სანამ პასპორტში არ ჩაიხედავს, შანსი არაა, გაახსენდეს. უი, მგონი, თქვენი ჟურნალის პროვოკატორივით ავლაპარაკდი, ეს აპოლიტიკური გოგო. მაპატიეთ. კამელია".

გოდება-მონანიება

„ერთხელ ერთი კაცის დაბადების დღეზე წავედით მე, ჩემი დაქალი და მისი პატარა გოგონა. იქაც ახლობლები დაგვხვდნენ, მათ შორის იუბი-

წაგლეჯა და გაფსკვნა

„რა ამ თემის პასუხია და სიყვარულზე ქორწილი გამახსენდაა :) ახლახან ვიყავი დასავლეთში, ქორწილში და დიდუუ, რა ვნახე! :) რაცხა წესი ყოფილა, უბედურობა. მეჯვარემ უნდა დახიოს სადედამთილოს თავშალი, მერე იმის ნახევები გოუთხოვარმა გოგოებმა უნდა წეილონ და საოცნებო თეთრი პრინცი (თუ რაში) და მსგავსი სისულელეები დაესიზმრებათო. აუ, რას მიაწყდა ხალხი? ჰოდა, გადმოხტა ეს მეჯვარე, პატარა, ჩია ბიჭი, მიაწოდეს უზარმაზარი თავშალი. ეწვალება საწყალი, გასწევს — არ იხევა. კიდევ გასწევს — არ იხევა. ნუ, მოკლედ, ლამის თვითონ გაიხა. როგორც იქნა, დახია. მერე იმაზე ატყდა წივილ-კივილი. ვერ იყოფდნენ. ლამის თმით ითრიეს ერთმანეთი. მე იქ წაგლეჯები ვნახე. :) მერე ვილაცამ მომაწოდა პატარა ნახევი. პატივი მცა, როგორც სტუმარს (თავის ჭკუით). ახლა, როგორც გაირკვა, მარტო ეს არ ყოფილა საკმარისი. თურმე, ეს ნახევი უცნობ ბიჭს უნდა შეაბმევინო ხელზე. გავგიჟდი. ბიჭს საკუთარი ნებით ვუთხრა, შემაბი-მეთქი? :) ნუ, სხვა რა გზა იყო. ერთი სიმპათიური ბიჭი შევნიშნე, იქაურს არ ჰგავდა. ჰოდა, მომიბეზელი, ჰოლივუდური ღიმილით გავემართე „რაინდისკენ". მივუახლოვდი. მოტრიალდა და იცით, რა მკითხაა? — გავფსკვნაა? :(აი, რაინდობაც ასეთი უნდა, ბიჭებო! გკოცნით, ყველა კარგები ხართ. iTaly-ანა".

ყვავილის მოსაწყობად
შეკრა ხეები ვასილეობს.
ყველაზე საიმედოა
— საჭირო ოჯახში დაიბადო

ლარის დისშვილი, რომელიც ადრე მეპრანჭებოდა — ჩემს გათხოვებამდე. ჰოდა, კარგად ვიქეიფეთ, მე და დაქალის ბავშვი შინ ადრიანად წამოვედით და ჩემთან დავიძინეთ. მათ ქეიფი განაგრძეს. მერე კი ერთ მანდილოსანს (უკვე კარგად ნასვამები იყვნენ), სუფრაზე განუცხადებია: ახლა ახლობლის სასაფლაოზე მივდივართო. ის მიცვალებული იმ დღის დაკრძალული იყო. ვერაფრით გადაათქმევინეს და კარგა შორ მანძილზე ფეხით მოუწიათ სიარულმა. ჩემი დაქალი და იუბილარის დისშვილიც გაჰყოლიან და თურმე შიშით ერთმანეთს ეკვროდნენ. იქიდან ჩემთან მობოდიალდნენ. კარი ჩაკეტილი მქონდა. მხოლოდ დაქალმა იცოდა, რომ აივანზე გადმოსვლა შეიძლებოდა. ჯერ აკაკუნეს, მაგრამ ფეხზეც არ ავმდგარვარ. სარკმელი არ იკეტებოდა და იქიდან ფანჯარა გააღეს. მალე ამ გზით სახლში შემოაღწიეს და ყოფილმა „პაკლომ“ ჩემს საძინებელში გოდება დაიწყო დაკარგულ სიყვარულზე. ბავშვი გაოცებული უსმენდა, რადგან სინათლე არ ენთო და ვერ ხედავდა, რა ხდებოდა. მერე, ის იყო, მითხრეს — სასაფლაოზე ვიყავითო და ვიკივლეეე... მგონი, ისევ ფანჯრიდან გადაძვრნენ. ასე, „უსიყვარულოდ“ მიდის ჩემი ცხოვრება. სახელს არ ვაწერ, ამჯერად“.

„სასწრაფო დახმარება“

„თემა კია სევდიანი, მაგრამ... ერთხელ, მეც „ავმინიიუბკდი“ ავტობუსში და უკანა რიგში დავჯექი. ერთი კაცი ამოვიდა და თავისი უზარმაზარი ჩანთა პირდაპირ გასასვლელში ჩატენა. მთელი გზა თვალით ვზომავდი ბარიერს და გული მიწუხდა, როცა ვხედავდი, როგორ ახტებოდნენ ბიჭები ჩანთას. აშკარად ვერ გადავაბიჯებდი ჩემი „შპილკებით“, მაგრამ ჩასასვლელისაკენ მაინც თამამად გავემართე. ჩანთის პატრონმა შემატყო, გამოუვალ მდგომარეობაში რომ აღმოვჩნდი და „სასწრაფო დახმარება“ აღმომიჩინა: — მომაწოდე! — მითხრა. ვერ მივხვდი, რა უნდა მიმეწოდებინა და გაოცებულმა შევხედე. — ფეხი მომაწოდე, ჭირიმე, ფეხი! — გამარკვია უცებ. როგორ გადავლახე ბარიერი, აღარ მახსოვს, მაგრამ გადავრჩი და აწი მოკლე კაბის ჩამცმელის... :) პარიუანკა“.

ბალი

„ერთ დღეს სკოლიდან მოვდიოდი. გზაში მთვრალი კარის მეზობელი შემხვდა. სოფლიდან ბალი ჰქონდა ჩამოტანილი, დიდი, თეთრი, ემალირებული ვედროთი. შევთავაზე, მოგეხმარებით-მეთქი. ისე გაუხარდა, რომ ვედრო შემომაჩეჩა და თვითონ კაცებთან დაბრუნდა. შევედი სადარბაზოში. ლიფტით ასვლას ვარჩიე, ფეხით ავყოლოდი კიბეს. მაღალ სართულზე ვცხოვრობ და სანამ იქამდე ავედი, ვედროს ძირიც გამოჩნდა. მაგდენი ბალი ჩემს სიცოცხლეში არ მიჭამია. კარზე დავაკაკუნე და შემრცხვა. სირცხვილი არ არის, ქალს კომპოტი უნდა გაეკეთებინა, მე თითქმის სულ შევუჭამე, ახლა კიდევ, დამპატიჟებს და რაღა დარჩებამეთქი. უუჰ, მოიკლა თავი! ერთი მადლობა გადმომიგდო და კარი მომიხურა. რომ არ შემეჭამა, ხომ დავიღუპებოდი? ჭრიჭინა“.

რძეზე გაზრდილი პლანი

„ცოცხით დაბოლება მაგარი იყო. სოფელში ბიჭები თითქმის ყოველ საღამოს ეწეოდნენ პლანს. ამისთვის იმხელა რიტუალებს ატარებდნენ... ბებოსთან ქოთნის ლამაზი ყვავილები მქონდა და აივანზე ლამაზად იყო განლაგებული. ჩემი ძმაკაცები ისე მეხვეწნენ, ქოთნები გვათხოვეო, უარი ვერ ვუთხარი და რამდენიმე ვათხოვე, თავს დამანებებენ-მეთქი, მაგრამ ნურას უკაცრავად (როგორც დიდი საააკაშვილი იტყოდა). რძის გარეშე გაზრდილ პლანს ხომ ვერ მოსწევდნენ (მაგათი წინაპარიც რძით გაზრდილმა პლანმა მოკლა). რძესაც ბებიაჩემს ართმევდნენ. ჰოდა, დადგა ის დრო, როცა ეს ნანატრი პლანი გაიზარდა. ბიჭებმა საღამოსთვის მოსაწევად გაამზადეს და შეინახეს. მე ამდენ ზარალს როგორ ავიტანდი?! მოვიპარე, პლანი გადმოვყარე და შიგ გამხმარი ძროხის ფუნა ჩავუყარე. იქ ამბავი დატრიაალდაააა... ნათათო“.

სექსუალური თუთიყუში

„ეს რა თემაა? „სტარიკებისთვისაა“ ზედგამოჭრილი, ვისაც არ ეღირსა სიყვარული. ერთადერთი, ვისაც მასეთს ვიცნობ, ჩემი თუთიყუშია. :) ცოდვილს, არც შეყვარებული ღირსებია, არც ცოლი და არც საყვარელი. ერთადერთი, ვისზეც თუ რაზეც შეყვარებული იყო, ეს ნაჭრისგან შეკერილი ჩიტი გახლდათ და ისე იყენებდა, როგორც მამაკაცი — გასაბერ ქალს, მაგრამ რად გინდა? ორ დღეში ანადგურებდა. ჰოდა, ბებიაჩემიც ყოველ მეორე დღეს უკერავდა დაზიანებულ ადგილებს. ახლა უკვე დაბერდა. ბამბუჩა ჰქვია. ის აღარ არის, რაც იყო, სულ ჩაფიქრებულია. ალბათ ხვდება, რომ მოატყუეს, არა უშავს, გუშინ მესიჯები წავაკითხე „გზაში“ და ყველა ჩიტს მოკითხვას უთვლის. ბოროტი“.

ძალით რძალი

„აუ, დღეს, როცა დედაჩემმა მწვანილის საყიდლად გამგზავნა, ასეთი რამ შემემთხვა. მოკლედ, მივედი ერთ ქალთან, რომელიც ქუთაისელი აღმოჩნდა. გამიღიმა და მკითხა: აბა, შვილო, რა გინდაო? მეც ვუთხარი, რაც მინდოდა და სანამ მწვანილებს პარკში ჩამიწყობდა, მითხრა: მე ქუთაისში ვცხოვრობ, ექვსი შვილიშვილი მყავს, ექვსივე ბიჭია და შენ რძლად უნდა წაგიყვანოო. ამ საუბარში ჩემმა ტელეფონმა დარეკა. ტელეფონზე ლაპარაკს რომ მოვრჩი, მითხრა: ტელეფონი გქონია და შენი ნომერი ჩამაწერინეო. თავიდან თავაზიანი უარი ვუთხარი, მაგრამ რომ არ მომეშვა, იმ ხალხის შემრცხვა, რომელიც ჩვენ გვიყურებდა და ძველი ნომერი ჩავაწერინე. P.S. აბა, რა ეგონა, ჩემთვის არ უნდა ეკითხა, რძლად მივყვებოდი თუ არა? იმედია, სადმე რომ მნახოს, ვერ მიცნობს. NON STOP“.

თინეიჯერი შინაბერა

„გამარჯობა, ახალო და ძველო მესიჯომანებო! მე „გზის“ აქტიური მკითხველი და არააქტიური მგზავნელი ვარ. ძალიან საინტერესო თემაა და ჩემს ასაკსაც უხდება. ლამაზი არა და, სიმპათიური კი ითქმის ჩემზე. მამაკაცების ყურადღება და „ვითომ“ სიყვარული არ მაკლდა. ჩემი ამბები მოსაყოლად და ფილმის გადასაღებად ნამდვილად ღირს, მაგრამ ეს სხვის დასანახავად. მე კი ისე გავლიე ეს წლები, რომ ნამდვილი მამაკაცი არ შემხვედრია. ახლა უკვირთ ჩემი შინაბერობა. ასე გავლიე ცხოვრების საუკეთესო წლები, ვითომ სიყვარულში და თურმე უსიყვარულოდ. ახლა მარტო შევრჩი სიბერეს, მაგრამ არ გავბოროტებულვარ. გვიან მივხვდი, რომ აქტიური უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ოჯახი და „რას იტყვის ხალხი“ ვერ მოვიცილე თავიდან. სიყვარულს გისურვებთ ყველას! თინეიჯერი შინაბერა“.

დაუვიწყარი სიყვარული

„13 წლის ვიყავი, ტელეფონით დათო რომ გავიცანი. რამდენიმე დღეში შევხვდი და მაგრად მომეწონა. შემდეგ, შემიყვარდა კიდეც და მხოლოდ მისით ვცოცხლობდი. 2 წელი ერთად ვიყავით. მან დაუვიწყარი და ულამაზესი სიყვარული მაჩუქა. ასაკით ჩემზე საკმაოდ დიდი იყო, 21 წლის. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მაგარი პრობლემის გამო ცოლი მოიყვანა. :(წინა დღით კი თვითონ მითხრა ამის შესახებ. რას ვიზამდი? :(ახლა პატარას ელოდება უკვე. ამას წინათ, 1 წლის შემდეგ, პირველად მივწერე და გული ამიჩუყდა მისი პასუხებით. მე ის ისევ მიყვარს და რა ვუყო ამ გრძნობას? ბათუმსკი მარი“.

დირექტორი — მოტ. ნელი — მოსატ.

„თელავში ერთი მაგარი „პრიკოლი“ რუსულის მასწავლებელია. მანანა ჰქვია. ერთხელ ბაზარში შეირბინა, კარტოფილის საყიდლად. თათარმა აუწონა. მანანამ აიღო კარტოფილი და სასწორის თეფშიან-გირებიანად ჩაუძახა ჩანთაში. ამ დროს ეს თათარი ეკითხება: ქალო, როგორ ხარო? — მანანამ იფიქრა, ეტყობა, ნაცნობია და ვერ ვიცანიო და უპასუხა: კარგად, თქვენ როგორ ბრძანდებითო? — კარგად კი არა, ამაალაგე ჩანთიდან ჩემი გირებიო. — გაცხარდა თათარი. ერთხელ კიდევ, სკოლაში მასწავლებლები ფულს აგროვებდნენ. მანანამ სია ასე შეადგინა: ციური — მოტ. ნინო — მოსატ. დირექტორი — მოტ. ნელი — მოსატ. და ასე შემდეგ... მანანა მასწ, ნუ მიწყენთ, თქვენგან მაქვს ეს ამბები გაგონილი. ძალიან მიყვარხართ. კახელი სალომე“.

უსინდისო მძარცველები

„მარი, მაპატიე, გვიან რომ გწერ. ახლა მოვედი სამუშაოდან. მე საბერძნეთში ვცხოვრობ. ჩემი სახლის გვერდით, ძალიან ახლოს განთავსებულია ერთ-ერთი მსხვილი ბანკი. ისე ახლოს, რომ გვირაბის გათხრაზეც კი მიფიქრია. სულ რამდენიმე კედელი მყოფს მისგან. ჰოდა, რა დამაძინებდა მშვიდად? რაც ამ სახლში გადმოვედი, უძილობა დაჩემდა. გუშინ დილით, პურის საყიდლად რომ გავედი, ბანკთან უამრავი ფორმიანი ირეოდა. თურმე, მე როგორც კი, ჩამძინებია, ეს ჩემი საცნებო ბანკი გაუტეხიათ და უამრავი ფული წაუღიათ. ღმერთმა შეარგოთ, მაგრამ მოეკაკუნებინათ ჩუმად და 80 ათასი ევრო ჩემთვისაც მოეცათ. მე ზუსტად მაგდენი მჭირდება. რას „აკაწრავდი“ აქედან! საბრალო ნასტია“.

რა ყოფილა სიყვარული...

„პირველად გწერთ და თინეიჯერი არ გეგონოთ. მაგ ასაკიდან ძალიან დიდი ხნის წინ გამოვედი. საკმაოდ ასაკოვანი ვარ და ახლა გავიგე, სიყვარული რა ყოფილა. თუმცა, ჩემი უაზრო ეჭვიანობით დავკარგე. ამ ასაკში რომ სიყვარულის გემოს გაიგებ და დაკარგავ, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვარ. სიცოცხლე აღარ მინდა და ჯანმრთელობაც შემერყა. მინდა, თქვენი საშუალებით ჩემს კუნას ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. თუ ჩემი სიკვდილი არ უნდა, დამიბრუნდეს, ეს ხომ დროებითი, მაგრამ ჩემთვის მუდმივი სიყვარულია, რომელსაც საფლავში წავიღებ. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავი, მისთვის ერთადერთი ქალი გახლდით, ამას მასთან არ ვაღიარებდი და დავღალე ჩემი ეჭვიანობით. ახლა მივხვდი ჩემს შეცდომას და ამიტომ მინდა, რომ მომიტევოს და მომცეს კიდევ ერთი შანსი. არ მინდა, ასე განადგურებული ვიყო. კუნი, ძალიან მიყვარხარ და მენატრები. წინასწარ გიხდით მადლობას. ვიცი, დამეხმარებით და დამიბეჭდავთ. ნანუკელები“.

პასუხი — „არა“

„ამ კვირაში მარიმ ცენზურა დამადოოო! რაც შეეხება განსხვავებული შრიფტით წერას, მე პირადად, ძალიან მომწონს და კარდიოლოგიც საუკეთესო არჩევანია. ახლა, რაც შეეხება თემას: ცხოვრებაში არავინ მყვარებია, შარშანდლამდე. შემდეგ, ერთი გოგო შემიყვარდა და როდესაც მას ამ გრძნობაში გამოვუტყდი, პასუხი — „არა“ იყო. პირველი სიყვარული, პირველი იმედგაცრუება, პირველი სიძულვილი სამყაროს მიმართ, სწორედ ამ გრძნობამ განმაცდევინა. ყველაფერი ჩამუქდა ჩემთვის. ხელმეორედ უარი ამ გოგოსგან...

თუმცა, მეგობარი დამეხმარა და „დაგრუზვის“ საშუალება აღარ მომცა. მივხვდი, რომ უაზრო ტანჯვა არაფერს მომიტანდა და ეს ადამიანი დიდი ძალისხმევის შედეგად გადავიყვარე. მის მიმართ აღარაფერს ვგრძნობდი, როცა მისგან მოვისმინე, რომ ყოველთვის ვუყვარდი და მაწვალებდა, მაგრამ მისი შეყვარება უკვე აღარ შემეძლო. ახლა ის ისევე უიმედოდ იტანჯება, როგორც მე — ადრე და რომ არა მისი უარყოფითი პასუხი, როცა თურმე „კის“ ფიქრობდა, ახლა ბედნიერები ვიქნებოდით, მაგრამ... გ.გ“.

მგზავრული

„შემთხვევითი ნაცნობიო? სულ შემთხვევით არ ხდება ყველაფერი? რასაც მოგიყვებით, ეგ კი შემთხვევა ნამდვილად არ არის. ჯიქიას ქუჩაზე ასასვლელად 149 ნომერ „მარშრუტკას“ მივყვები ხოლმე, მაგრამ დილის საათებში ისეთი გადაჭედილია, რომ ჩემი ჩასაჭუჭყნი ადგილი (არადა, სულ რაღაც 44 კილო ვარ და როგორც მეგობრები

მეუბნებიან — მეტრა-ოცი ნახტომში) არსადაა. რა ადგილი მე მინდა, ინდაურის წონა მაქვს და 14 წლის გოგოს გარეგნობა. არადა, მეორეკურსელი ვარ. სხვებს კი ეცინებათ, მაგრამ აბა, მე მკითხონ?! ჰოდა, ერთ დილას ასე მოვიქეცი: გაჩერებაზე ვიღაც ტიპი დავლანდე, ცოტა ზემოთ იდგა. 149-ს ხელი დაუქნია და არ გაუჩერა. დავუქნიე მეც ხელი ამაყად (არადა, მაგის ქვემოთ ვიდექი და რატომ დავუქნიე, აზრზე არა ვარ). გასკდა ტიპი სიცილით: მე არ გამიჩერა და შენ რას გაგიჩერებდაო. იცინის და თავის 32 კბილს ისე მაჩვენებს, თითქოს კბილის ექიმი ვიყო, ეს იურისტი გოგო. გავბრაზდი და მის ზემოთ ავიწიე. 2 წუთის შემდეგ უფრო ზემოთ არ ამოვიდა, „ნაგლად“? მეც, ისევ გადავუსწარი და ასე ჯიბრობაში ლამისაა, ბოლო გაჩერებამდე ავედით. ეს „მარშრუტკაც“ ჯიბრზე არც ერთს არ გვიჩერებდა. რაღა მექნა? სხვა ნომერ „მარშრუტკაში“ ჩავჯექი გამწარებული. „დელისის“ მეტროსთან ჩამოვედი თუ არა, ის ტიპი ისევ იქ არ გაეძრო? აუ, ნერვებზე ავითხარე... თვითონ კი ისევ სიცილით სკდებოდა და კბილებს „ამარიაჟებდა“. ახლა, უკვე კარგა ხანია, ყოველ დილას, ასე ზემოთ-ქვემოთ სიარულში ვეჯიბრებით ერთმანეთს და სადამდე მეყოფა ნერვები, არ ვიცი. ერთხელაც იქნება, ხელში დავაკავებინებ და სათითაოდ დავათვლევინებ მაგ კბილებს. მაშინ ვნახოთ, როგორ გამეკრიჭება. ჩემი ბედის ამბავი რომ ვიცი, პროთეზს გაიკეთებს და მაინც მომიშლის ნერვებს. ლიმონა-მანიუ“.

მადლი ქენი...

„სულ პირველად გწერთ. ამას დაბეჭდვა არ უნდა, მთავარია, შეძლო, რომ პასუხი გამცე. მინდა გთხოვო, თუ შეგიძლია, გამიგო, სად შემიძლია, ჰუმანიტარული სამუშაოების შესრულება? მინდა, რაიმე ორგანიზაციაში გავწევრდე, ხელფასის გარეშე, რომ საქართველოს გაჭირვებულ მოსახლეობას ან ავადმყოფ ბავშვებს დავეხმარო. ვიფიქრე, იქნებ, საპატრიარქოსთან რომ სასადილოა, იქ მივიდე-მეთქი. კვირაში 2 დღე მაინც რომ ვიმუშაო და იმ უსახლკარო ხალხს რაიმე მხარდაჭერა ვაგრძნობინო... იქნებ, ამით სულ ცოტათი დავეხმარო და მივახვედრო, რომ ცხოვრებას მათზე ხელი სამუდამოდ არ ჩაუქნევია. მოხუცებსაც მოვუვლიდი, ავადმყოფ ბავშვებსაც. თუ შეგიძლია, მირჩიე რაიმე. მინდოდა, იქ მისვლა, მაგრამ მრცხვენია. არ ვიცი, როგორ ხდება ასეთი სამსახურის დაწყება, მაგრამ დიდი ხანია, მინდა. ახლა სამსახურს თავი დავანებე და დრო მაქვს, გავაკეთო ის, რაც მთელი ცხოვრება მინდოდა. თუ დამეხმარები, მადლობელი დაგრჩები. P.S. თუ მაინც დაბეჭდავ, იქნებ, უკეთესიც იყოს. ხომ შეიძლება, სხვებმაც გადაწყვიტონ ამ საქმეში პატარა წვლილის შეტანა“.

ილინის გასაჭირი

„კვირას სამებაში შევიკრიბეთ. მერე, ვისაც ეცალა, სახინკლეში დავსხედით. გავაკოტრეთ პავლიკა. :) ღამე პავლიკამ მიმაცილა „მარშრუტკამდე“. რომ შეივსო და დაიძრა, უკნიდან ვიღაც ბიჭმა მორიდებით „დამიკაკუნა“ მხარზე: გოგონა, ეს ბიჭი თქვენი ვინ იყოო? — მეგობარი-მეთქი, — გაკვირვებულმა ვუპასუხე. არაა, მეგობარს არ ჰგავდა, სად გაიცანიო? — ახლა მოპირდაპირე მხარეს მჯდომმა ქალმა ჩამიკრა თვალი... მაშინ კი ჩამომივარდა ყბა... აუუუ, კინაღამ გადამრია იმ ქალმა. — „გზაში“ გავიცანი, ქალბატონო, თქვენთვის რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი? — ვკითხე გაცოფებულმა. — ვაااი, რა კარგია, რა არის ეს შემთხვევითობა?! მერამდენე ოჯახი უნდა შეიქმნას ასე? (?!) ჩემმა გოგომ და სიძემაც „მარშრუტკაში“ გაიცნეს ერთმანეთიო. :) მე ხომ ჯვარი დამწერა, შემდეგ პავლიკაზედაც მკითხა რაღაცები და ანკეტა შევუვსე. მერე კი, გადასასვლელ ხიდამდე იმას ჰყვებოდა, როგორ მოიტეხა მეჯვარემ ქორწილში ფეხსაცმლის ქუსლი და როგორ არ უნდოდა პატარძალს სხვა სახლში გადაბარგება (დედა ენაცვალოს). რომ ჩავიდა და პირჯვარი გადავიწერე, მთელმა „მარშრუტკამ“ იმხელა ხმაზე გადაიხარხარა, გვერდით მომავალი „მარშრუტკიდან“ ხალხმა გაოცებულმა გამოიჭყიტა. :) ვაااი, მამაااა... დავაშავე რამე? ილინი“.

მატრონას თხა

„შაბათ-კვირას მამიკოს ჩავაკითხე სოფელში. ჩემი დაბნეული თავის ამბავი ყველამ იცის და წამოსვლის წინ, კოლექტიურად ამოწშებდნენ, რამე ხომ არ მრჩებოდა. როცა გავიფიქრე, უპრეცედენტო მოვლენა მოხდა და მგონი, არაფერი დამრჩენია-მეთქი, უკვე სახლის კართან ვიდექი და გასალებს ვეძებდი. დამრჩა! გასალები დამრჩა! ჰოდა, რას ვიზამდი? ბედი ჩემი, ოთახის ფანჯარა აივანზე გადის და ღია დამრჩენია... ჰოდა, დავფოფხავ ასე, ფანჯრიდან გარეთ და პირქით... გადავრეე მეზობლები. ისე მიყურებენ, თითქოს მათ რომ ჩაჰკეტოდათ კარი, კოპერფილდივით კედელში გაივლიდნენ... ქეთინო დეიდა, ნუ მიყურებ მატრონას თხასავით, თორემ თუ დამიცდა ფეხი, მკურნალობის ხარჯები არ აგცდებაააა! ილინი“.

შემთხვევა

„მთელი ჩემი ცხოვრება შემთხვევითი ნაცნობებითაა სავსე. :) ერთხელ, ერთი ტიპი გადამეკიდა, გინდა თუ არა, შემხვდიო. ჯიბრზე არ შევხვდი. :) ჰოდა, ერთხელ ამ ტიპზე ვეტლიკინებოდი დაქალს, „მარშრუტკაში“ და მაგრად ვილანძღებოდი. ერთი ბიჭი შემოტრიალდა და გამოშტერებული მიყურებდა. ცოტა ხანში მეუბნება: ვა, საღოლ, ნათათო! საკუთარი ყურით მოვისმინე. სხვას რომ ეთქვა, არ დავიჯერებდიო. :)) ახლა კარგი მეგობრები ვართ. :) GREEN GIRL“.

უიმედო

„გამარჯობა. იმედი მაქვს, ამას დაბეჭდავთ. ჩემი გულისტკივილი მინდა, გაგანდოთ. შემიყვარდა გოგო, რომელიც მეგონა, ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდებოდა, მაგრამ მან მიმატოვა. ერაყიდან რომ ჩამოვედი, მისმა დაქალმა მითხრა — ავარიაში მოყვაო. მართლაც ასე იყო. 1 თვის მერე კი მითხრა — დაიღუპა, აქ არ მოხვიდე, პრობლემები შეიქმნებაო. 1 წლის შემდეგ, ერთ-ერთ სოფელში, ძმაკაცთან ჩავედი და შემთხვევით ვნახე, თავის მეუღლესთან ერთად. მან მომატყუა და მიღალატა. ახლა მარტო ვარ. თქვენ რას მირჩევთ? კახელო“.

სიკეთე

„შემთხვევითი, ხომ? მოდი, მარ, „ჩაგიჩანახატებ“: თქვენ იცით, რას ნიშნავს იმედის დაკარგვა? იმედი სხვადასხვანაირი არსებობს. მე, ცხოვრების, სიცოცხლის იმედს ვგულისხმობ... ჰო, მოვიდა ეს იმედი და მერე ისევ წავიდა... უკვალოდ გაქრა... ის მან თვალცრემლიანმა გააცილა... როდესაც შუა რუსთაველზე ატირებული, გულზე თოჯინაახუტებული მოდიხარ და საკუთარ თავს ვერ პატიობ იმას, რომ ხალხს შენს სისუსტეს აჩვენებ, როცა გამვლელები გაოცებულ მზერას გაყოლებენ, როცა მუნჯი გამყიდველის თვალებში იმხელა სიბრალულსა და ტკივილს დაინახავ, რომ საკუთარი თავი სიძულვილამდე შეგეცოდება... როცა აკანკალებულ ხელებში სიგარეტს ვერ იმორჩილებ, როცა კიბეზე ჩამომჯდარს, რამდენიმე ბიჭი გამოგელაპარაკება და გთხოვენ, რომ მისი სახელი უთხრა, ვინც გაწყენინა... როცა მათ აკვირვებთ თოჯინა, ხოლო შენ — ამდენი უაზრობა და იარაღს ნატრობ, რომ გაუსწორდე ყველას, ნაცნობს თუ უცნობს... როცა რამდენიმე დღის შემდეგ შემთხვევით შეგხვდება ერთ-ერთი იმ ბიჭთაგანი, რომელიც შენს დამშვიდებას ცდილობდა იმ საღამოს, მოგიახლოვდება, შენ წინ დაიჩოქებს, ხელებს დაგიჭერს, თავს ჩაღუნავს და მადლობას გეტყვის, რომ შენ სიკვდილს გადაარჩინე! როცა ის ყულფში თავს უყრიდა, გაახსენდა, რომ შენ გჭირდებოდა დახმარება და სხვებსაც... და გადაიფიქრა, იმიტომ, რომ ასეთ ხალხს დახმარებოდა! მაშინ, შენც ტირი, ისიც ტირის, ტირიან გამვლელებიც... ღმერთიც ტირის... ილინი“.

ჩიმაროს ფანებთან

„გახსოვს, მარი, მიწისძვრაზე რომ მოგწერე? მეზობელი შემოვიდა ჩემთან ერთხელ, „გზა“ მაგიდაზე იდო. წაიკითხა „მიწისძვრა“ და გადაფიჩინდა ქალი. — ეგ რა არის, ჩემმა ქმარმა ჩემი კაბა გადაიცვა შიშისგან და ისე გავარდაო. ახლა უკვე მე გადავბჟირდი. ჰო, რაც შეეხება თემას, ახალი ცოცხი კარგად გვისო, მართალს ბაზრობ, მარი, როგორც უკვე ჩაბანძებული დიადი ლექს-სენი იტყვის ხოლმე... მაგრამ ტყუილია მაგი და რატომ: მე (ე.ი. ახალი ცოცხი) გავიჩითე ბებოსთან, სოფელში. ოჯახური დადგენილების თანახმად, 3 კვირა იქ უნდა მეყურყუტა. კი გავაპროტესტე, მაგრამ ნამეტანი „გაჭირვებული“ პროტესტი გამომივიდა და გავჩუმდი... წარმოიდგინეთ, რომ ბავშვი „წამლად“ არ იყო სოფელში. შევრჩი მარიო ჩიმაროზე გაგიჟებულ მოხუცებს ხელში. როცა მომბეზრდა ყოველღამე ხუანის ფანებთან „კოფეს“ სმა, ჭიქაში ჩაჭყეტა და აფერისტობა: „უი, ქალო, ნახე, რა კარგი ჭიქა გაქვს, ფიგურები ხომ გადასარევია!“ გადავწყვიტე, ეს ჩამკვდარი სოფელი გამომეცოცხლებინა. „კარდონისგან“ გამოვჭერი ადამიანის სიმაღლის ფიგურა, „გამოვჩისტე“, თვალები დავუხატე, ორივე მხრიდან ხელებზე თოკი მოვაბი, ეს ჩემი კაცუნა გავიტანე და შუა ტრასაზე წამოვაწვინეეე... როცა მანქანამ ჩამოიქროლა, მე და 5 წლის ბავშვმა წამოვაყენეთ(!) მძღოლს კინაღამ გული გაუსკდა. ისეთი „დაატორმუზა“, ბორბლებს ბოლი აუვიდა. სწრაფად დავუშვით ქვემოთ კაცუნა და სეირს დაველოდეთ. აუუუ, კაცი ისე გაბრაზდაააა... ცოფებს ყრიდა, მთელი სოფელი დაიხვია თავზე. იმ 5 წლის ბიჭიკომ კი ისე საყვარლად ჩამიშვა, რომ დამალვაც ვერ მოვახერხე. გასკდა გულზე ბებია. ცოცხით გამომიდგა და სულ თავზე გადამამტვრია, იმ დღეს ნაყიდი ცოცხი. რატომ, იცით? — ხუანი მთავრდებოდა, ბოლო სერია იყო და შენ გამო მოვცდიო, — ასე მითხრა. რა თქმა უნდა, ეს მერე თქვა, რომ გადაუარა წყენამ. ასე რომ, ახალი ცოცხი კარგად კი არ გვის, კარგად წეწავს თმას და ეფექტურად გეფშვნება თავზე... P.S. ეგ კაცუნა დაპატენტებულიაააა... მაარ, ბებოს უნდა წავაკითხო და ცხოვრებაში პირველად და უკანასკნელად შეგეხვეწები, დაბეჭდე-მეთქი. მერე უკვე შენ გადაწყვიტე ხოლმე“.

სამსახურში ხომ ამ წაკსოლიყავ? გაკიფიქრე და ამ წაკედი

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

მეცნიერებო, გვესაჭიროება დახმარება!

„ეჰ... მთელი 20 წელი უსიყვარულოდ არ გავატარე? არც შეყვარებული მყოლია. ვფიქრობდი, რომ საჭირო არ იყო. რა თქმა უნდა, ჩემს ცხოვრებაში იყო რამდენიმე ადამიანი, რომელთა მიმართაც გარკვეული გრძნობები გამაჩნდა. თუმცა, სიყვარული ხომ სულ სხვა რამაა. ახლა კი აზრი შევიცვალე და ვფიქრობ, დროა, მაგრამ... არ ჩანს. იკჩო-სიხო“.

„ცხოვრებამ მართლა უსიყვარულოდ ჩამიარა. ისე კი, მგონი, უკვე ვადაგასულიც ვარ. ახლა სიყვარული და აზრიანი ცხოვრება 12-დან 16 წლამდეა. 18 წლის კი უკვე ვადაგასული ვარ. ნათათო“.

„მარი, მე ეკონომისტი ვარ. ეკონომისტიც გყავს უკვე... თემას რაც შეეხება, ძნელია ისეთი ადამიანის გვერდით ყოფნა, რომლის ცხოვრებამაც უსიყვარულოდ ჩაიარა. სულ დარტყმა-დაგდებაზე ფიქრობენ და სულ იღრინებიან. თუ გინდა, ნუ დაბეჭდავ, მიჩვეული ვარ. :(ნათათო“.

„უსიყვარულოდ? კარგა ხანია, სიყვარულის აღარ მჯეროდა. ქალვაჟურს ვგულისხმობ, თორემ სიყვარულია, აბა რა, როცა გიორგობა დღეს, იმის მაგივრად, რომ რესტორანში გავყვე მეგობრებს, წვიმასა და სიცივეში საათ-ნახევარი ველოდები „მარშრუტკის“ გავსებას, რომ რაიონში დედიკოს ჩავაკითხო და სიურპრიზი მოვუწყო. მიკალხალ, დედიკო! P.S. ისე კი, ამ ბოლო დროს სიყვარულის ვირუსმა ცუდად შემომიტია და დაინფიცირების მეშინიაა! :(განვედ, სიყვარულო, ჩემგან! :) ილინი“.

„უდიდესი სიყვარული მეწვია, მაგრამ ერთ წელიწადში ისე დავკარგე, გააზრებაც ვერ მოვასწარი. ალბათ, ჩემი ცხოვრება უსიყვარულოდ ჩაივლის, რადგან დაკარგულ სიყვარულზე დღემდე ვფიქრობ და გული მტკივა. მეგრელების სარძლო“.

„რა ცუდია, რომ ვერავინ

მამჩნევს. არადა, ორი თვეა, ვამესიჯებ. მაინც გაკოცეთ, ყველას. VIP-GIRL".

„აი, საჩემო თემაც. უსიყვარულოდ ჩავლილი ცხოვრება, უფრო სწორად, ქრონიკული ცალმხრივობა, რომლის განსაკურნებელი წამალიც ჯერ არ შეუქმნიათ მეცნიერებს. ნეტავ, რას ელოდებიან, ხომ იციან, რომ უამრავ ადამიანს აღენიშნება მსგავსი სიმპტომები? მეცნიერებო, გვესაჭიროება დახმარება! SOS! გვიშველეთ რამე! VIP-GIRL".

„21 წლის ვარ და ჯერ პატარა გატაცებაც არ მქონია. არც არავინ მომწონს და არც არავის მოვწონვარ. ნუ, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის არ უთქვამთ. ხანდახან მგონია, რომ ჯადო მაქვს გაკეთებული. :) არადა, გარეთ რომ გავდივარ, ყურადღებას ვგრძნობ, ვიზუალურად ნორმალური გოგო ვარ. ერთი თვის წინ, ცხოვრებაში პირველად მომეწონა ვიღაც. თან ისე, რომ რამეს თუ მკითხავდა, ვწითლდებოდი. სულ მასზე ვფიქრობდი და თუ თვალს მოვკრავდი, ისე ვღელავდი, გული ყელში მებჯინებოდა, მაგრამ ბედი არ მქონია. წავიდა სამსახურიდან ეს ბიჭი. რა ვქნა ახლა მე? მარიამი".

„რა დროს უსიყვარულოდ ჩავლილი ცხოვრებაა, ჯერ მხოლოდ 18 წლის ვარ. ვიცი, რომ ამ ბოლო დროს საინტერესოს ვეღარაფერს გწერ, მაგრამ რა ვქნა? ყველაფერი ერთდროულად დამატყდა თავს. ჯერ უცხო ქალაქში ჩამოვედი, სადაც არც ერთი ნაცნობი და მეგობარი არ მყავდა და სადაც ერთი გზა ვიცოდი: სახლი-თსუ, თსუ-სახლი. შეყვარებულსაც დავშორდი, მერე დეპრესიონერა, კოლოკვიუმები და ა.შ. მხიარულად ვეღარ (ან აღარ) ვარ და ისე ვეღარ გწერ, რომ დასაბეჭდავად ღირდეს. რაც მთავარია, კანიბალკა, არავითარ შემთხვევაში არ უნდა წახვიდე „გზიდან". პირიქით, პირველი, ვინც აქ უნდა ამესიჯებდეს, შენ ხარ და ის ძველი მგზავნელები, ვის მესიჯებსაც დიდი სიამოვნებით ვკითხულობ. ბოროტ ადამიანებს ყურადღებას ნუ მიაქცევ. განაჩენი გამოტანილია: კანიბალკა კვლავაც რჩება „გზაში". მოსამართლე ლელუჩია. P.S. განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარება".

„ძალიან მომწონს რუბრიკის სიახლე. შენს გემოვნებასაც ვენდობით. ყველა არჩეული SMS კარგია. განა მარის ადამიანი გემოვნებაში შეედავება? ამ სიახლით უფრო გაახალისე მგზავნელები. დიდი სტიმულია მათთვის, ჩარჩოში ჩასმულ საკუთარ SMS-ს რომ ხედავენ. მე კი იმის მადლობელი ვარ, საერთოდ რომ ხვდება ჩემი მესიჯი „გზავნილების" ფურცლებზე. მიყვარხართ. კამელია".

„მინდა, კანიბალკას და ყველა იმ მგზავნელს, ვინც „გზავნილებიდან" წასვლაზე ფიქრობს, ვთხოვო: უკუაგდეთ ეს საშინელი აზრი, ჩვენ უთქვენოდ გაგვიჭირდება. „გზა" კანიბალკას გარეშე, სევდიან სურათს დახატავს. „გზავნილები" კი კიდევ ერთ, კეთილ შვილობილს დაკარგავს. გთხოვთ, არც იფიქროთ წასვლა. ეს, არ არის ადვილი. არავინ ხართ ზედმეტი, ყველას გაქვთ თქვენი ადგილი. ყველას, ვინც გულს გტკენთ, სიმტკიცე უნდა უჩვენოთ. თქვენ „გზის" გარეშე ვერ გაძლებთ და ვერც ჩვენ ვიქნებით უთქვენოდ! კამელია".

„მარი, ნეტავ, რას მოგწერენ ამ თემაზე? ალბათ შენც ეს გაინტერესებდა, სიხარულო, რადგან მეეჭვება, მგზავნელებში ისეთი ადამიანის არსებობა, ვისი ცხოვრებაც უსიყვარულოდ მიდის. თუმცა, რას გაიგებ? „ბევრი რამ ხდება ქვეყანაზე, ჰორაციო"... ჰოდა, კანიბალკა, კაი რა, მე არავის და არაფრის გამო არათუ წავალ „გზიდან", არც კი გადავუხვევ. ჩემ მიმართაც იყო ამდაგვარი რაღაცები, მაგრამ არაფრად ჩააგდო, გენაცვალე. ჩვენ შენ გაფასებთ და მორჩა! სწორად იქცევი, რომ შენს ღირსებას წარმოაჩენ და არ ემსგავსები მოწინააღმდეგეს. ასე რომ, ჩვენ ერთად ვიქნებით, „გზავნილებს" წაიკითხავენ ჩვენი შვილები, შვილიშვილები და ა.შ. მიყვარხართ. ელისო".

„არა, ვერ გავიგე, რა?! მაინც, რას ერჩიან კანიბალკას, ვისი რა საქმეა, როგორია? მეც ბევრი ვინმე არ მომწონს, მაგრამ სახალხოდ არ ვყვირი. უკომენტაროდ! პატარა ლელა".

„უღრმესი მადლობა, ვინც მე მეხმიანება. ელისოს მესიჯი რომ ჩავიკითხე — „შენც, ბრუტუს"-მეთქი? აღმომხდა. :) დაიკო, ძააალიან ბევრი მადარებს იმ მომღერალს. პავლიკა ყოველი შეხვედრისას მაშაყირებს — ავტოგრაფი მომეციო. :) ქუჩაში ერთხელ მისი სახელიც კი დამიძახეს (შეგნებულად არ ვასახელებ ამ მომღერლის სახელს). იმ სურათში ყველაზე ნაკლებად იყო მსგავსების აღმოჩენა შესაძლებელი, მაგრამ... :) ახლაც მგზავნელების ფართიდან მოვდივარ. ლელუჩია, კვირას სად იყავი? P.S. ლამაზი არ ვარ, არაააა! :) ილინი".

„როგორ ხართ, ძველო მგზავნელებო? იმდენი ახალია, ერთმანეთში მერევა. :) აქამდე ნიკი არ მქონდა. უფრო სწორად, ხშირად ვიცვლიდი. ამიერიდან, ნერვიული-111 ვიქნები".

„23 წლის ვარ და ასე მგონია, უკვე დავბერდი. 16 წლის მომიტაცა ჩემმა ქმარმა და ჯოჯოხეთიც დაიწყო. მიკვირს, როგორ მოვედი დღემდე. უამრავი დამცირება, მუშტი და წიხლი ამიტანია, იმიტომ, რომ სხვა გზა არ მქონდა. გვერდით არავინ მედგა, ვისი იმედიც შეიძლებოდა, მქონოდა. ეს იცოდა ჩემმა ქმარმა და უარეს დღეში მაგდებდა. ისევ მუშტი, ისევ წიხლი... ისევ გინება... ყველაფერი ერთმანეთში აირია და რობოტად ვიქეცი, მაგრამ ახლა ყველაფერი სხვანაირადაა. რატომ? სხვა კაცზე ვარ შეყვარებული".

„მეზობლად ერთი ქალია, 70 წლის და „ხელუხლებელი". საწყალს, რომ ჰკითხო, რატომ არ გათხოვდიო, გეტყვის — როგორ გავთხოვდებოდი, არავინ მიყვარდაო. მის ცხოვრებას რა აზრი აქვს, აბა?!"

„ყოველ ხუთშაბათს ვრწმუნდები, რომ „გზავნილები" ცხოვრების გასახალისებლად უმაგრესი საშუალებაა. ყველა მგზავნელი უმაგრესია: პარიჟანკა, ილინი, ლორელაი, აბლახანუმი, მონასტრის ბიჭი, პენსიონერი, კანიბალკა (ვინ გიშვებს, სად მიდიხარ?), ვირუსა 89, გერასიმე, კამელია, კარდიოლოგი, ელისო, ზუუუ, ველური ყვავილი და ყველა დანარჩენიც. ყველას გილოცავთ გიორგობის დღესასწაულს. ჩორი-ჩორი".

„მეშინია, რომ ჩემმა ტანჯულმა ცხოვრებუკამ უსიყვრულოდ არ გაიქროლოს. არადა, ამ ზაფხულს ამ ოხერ სიყვარულს სულ ერთი ბეწო „მოვაციცქნე" და გემო გავუსინჯე... აუუ, რა გემრიელი ყოფილა და როგორ არ ვიცოდი! ამას მიმალავდით?! ჯიგარონე".

„მარი, რა მოგივიდა, ასეთ უნიჭო მესიჯებს რომ ბეჭდავ? ჯული".

„მარ, ორი ანგელოზის, ლანკას და გიოს ქორწილში, იმედია, გაგიცნობ. ლან, უღრმესი მადლობა. მართლა ძალიან მაგარი ადამიანი ხარ, მაგრად მიყვარხარ და გაფასებ. შენი და გიოს მეგობარი ვარ და სიყვარულს გაუფრთხილდით. ჰო, იმათ საყურადღებოდ, ვინც ლანკაზე ცუდს ამბობს: ალბათ არ იცნობთ, ასე რომ ლაპარაკობთ. მე ვიცნობ და ვიცი, რომ მართლა ძალიან მაგარი ადამიანია. ახლა რაც შეეხება თემას: ჯერ რა

დროს ჩემი ჩავლილი ცხოვრებაა? 19 წლის ვარ, მაგრამ მაინც უსიყვარულოდ მოვდივარ. იმ უკვდავ სიყვარულს ველოდები, რომელიც ცხოვრებას ცისარტყელას ფერებში დამანახვებს, ცაში მაფრენს (ოღონდ არასდროს არ ჩამომაგდებს)... და უბედნიერეს ადამიანად მაქცევს. თუმცა ახლაც უზომოდ ბედნიერი ვარ. „გზის" უერგულესი მკითხველი, ბათუმელი ნინო".

„გაზაფხული მინდა, ლამაზი და მშვიდი... სიყვარული მინდა, უსაზღვრო და დიდი. თაი".

„გზავნილებს" ვკითხულობ და ტუტუცის სახელზე მეცინება. ტუტუცები მეფის კარზე მსახურობდნენ და მეფეებს ერთ რაღაცას ფხანდნენ. თოდა93".

„კი, ძალიან მოგვწონს განსხვავებული შრიფტით დაბეჭდილი მესიჯები. საერთოდ, მაგარი „იდეინი" ხარ და ყველაფერში აგყვებით. მერე რა, თუ ჩემი მესიჯი არ იქნება ჩარჩოში? შენ ხომ ძალიან დიდხანს იარსებებ, რიგში ჩავდგებით და ყველას მოუწევს განსაკუთრებული შრიფტით საკუთარი მესიჯის წაკითხვა".

„მარ, კი გაწუხებ, მაგრამ მინდა, შენს თხოვნას გამოვეხმაურო. განსხვავებული დიზაინით მესიჯების დაბეჭდვა მაგარი იდეაა, მაგრამ რაღაც, მგონი, კარგად ვერ არჩევ მესიჯებს. ეს ისე, ჩემი მოკრძალებული შენიშვნაა. ჰო, მართლა, პირფერობაში არ ჩამითვალო და ვგიჟდები სვანებზე. ძალიან მინდა, სვანი ვიყო და იქ სოფელი მქონდეს. თეთრი შურით მშურს ჩემი სვანუკა დაქალის. ბზიკუნია".

„რაა უსიყვარულოდ ჩავლილი ცხოვრება? „ე მაგ გრძნობის გარეშე, ერთი დღეც ნუ მაცოცხლოს ღმერთმა..." :) ეჰ, არადა, ერთი დღე კი არა, კაი 18 წელი ჩავატარე... აფსუს! პარიჟანკა".

„უსიყვარულოდ ჩავლილი ცხოვრების თუნდაც ერთი დღე, უფერულია. მახსოვს, როგორ მიყვარდა, ჩუმად და სევდიანად... ის კი თვალებში მიყურებდა და ვერ ხვდებოდა... დღეები ისე დარდობენ უსიყვარულოდ და ვერც დარდი წარმომიდგენია სიყვარულის გარეშე. სიყვარული ცხოვრების აზრია, უაზროდ ცხოვრება კი — ნული... ოხერი-18"

„პირველ კურსზე ვიყავი, როდესაც ჩემმა ახალმა დაქალმა ლექციაზე ჩამჩურჩულა: დღეს პაემანი მაქვს, 6 თვეა, ერთ ბიჭს ვურეკავ, დღეს უნდა შევხვდე და მინდა, შენც გამომყეო. უარი არ მითქვამს. გავყევი და იმ ბიჭს მე მოვეწონე. დღეს 4 წლის ნიკუშას მშობლები ვართ და ძალიან ბედნიერები. ჩემი დაქალი კი ისევ მთხოვს ვალის დაბრუნებას. დედიკო".

„უბედურია, ვინც უსიყვარულოდ დაამთავრა ცხოვრება. სიმართლე გითხრა, არ მჯერა არსებობდეს ადამიანი, ვიმეორებ — ადამიანი უსიყვარულოდ. ძალიან მიყვარს ჩემი ქმარი და სუნთქვა მიჭირს მის გარეშე, ოღონდ — მართლა. ეს არის სიყვარული და ნუ აურევთ ამას კაპრიზში. ამ ქვეყანაში სიყვარული ბოზობა ჰგონიათ და „გაფორმებული" ბოზობა — სიყვარული. მიყვარხარ, ნუგზარ. შენი ცოლი, რუსა".

„მეც მომავალი კარდიოლოგი ვარ. „გზავნილების" სამყაროში მეც ამ ნიკით მინდოდა შემოსვლა, მაგრამ „ამ ქალაქში ხომ ყველაფერი დასწრებაზეა"? :-) ჰოდა, „პოეზიის დედოფალი" ვიქნები, რადგან პოეზიაც ისევე მიყვარს, როგორც მედიცინა. რადგან თემა სიყვარულს ეხება, გავკადნიერდები და ერთ „უბადრუკ" ლექსს მოგწერ, ჩემი ავტორობით: „ერთხელ ისურვე მხოლოდ და შენთვის, თიბათვის დილას ფიფქებით მოვრთავ, ზეცას მისწვდება ხმა გულთა ფეთქვის, ფიფქებს როს ავედევნებით ორთავ"... იმისათვის, რომ არ იყო დაცლილი, დაცარიელებული და უარსო, უნდა გიყვარდეს და თუ სიცოცხლე უსიყვარულოდ ჩაივლის, ე.ი. კი არ გიცხოვრია, უბრალოდ ცოცხლობდი... პოეზიის დედოფალი".

„18 წლის ვხდები და სერიოზული შეყვარებული ჯერ არ მყოლია. ჯერ კიდევ ველოდები ჩემს ნამდვილ სიყვარულს. იმედია, მალე მოვა, თორემ დავიტანჯე".

„ერთი მონატრება მკლავს, უკვე 15 წელია და ვერაფერს ვუხერხებ. არც ის ვიცი, რა იქნება. ბოლოს და ბოლოს, ვნახავ თუ არა ოდესმე, მაგრამ იმედი მაქვს, სანამ მოვკვდები, ვნახავ ჩემს დაკარგულ მარის. ნინი".

„მოხევეს გაუმარჯოს! პირადად მე ვიზრუნებ, რომ „გზის" 45-ე ნომერი ჩამოვიდეს ყაზბეგში. :) კეთილი-ბოროტი".

„მარი, არ დამიბეჭდე მესიჯი, ხომ? კაი, არა უშავს, არ მოგეშვები და მაინც დავამესიჯებ. უსიყვარულოდ ნამდვილად არ ჩაუვლია ჩემს ცხოვრებას, რადგან ჯერ 15 წლის ვარ. გაიხარეთ. შავი ვარდი".

„მარი, როგორ ხარ, გენაცვალე? რა თქმა უნდა, კარგად იქნები. მე არაფერი მიჭირს. :-) ძალიან დავიკარგე, ხომ? ვიცი. რა ვქნა, მასწავლებლებთან ვათენ-ვაღამებ და აბა, სად მაქვს, სიყვარულის დრო? შეიძლება აბო ან გრიგოლი შემიყვარდეს, ან კვადრატული განტოლება, ან Present Continiusi? რადგან მხოლოდ მათთან ვატარებ 7 დღეს. თუმცა, სიმართლე გითხრა, სულაც არ მინდა შეყვარებული. ზედმეტი თავის ტკივილია. გკოცნი. კუსო".

„აღარც სიყვარული მინდა და აღარც სიცოცხლე. სიყვარულმა გამაუბედურა და ყველაფერი დამაკარგვინა, ჩემი მშობლების გადამკიდე... ნერვიული-111".

„უსიყვარულოდ ჩავლილი ცხოვრება იგივეა, რაც ცოცხალი მკვდარი. ხიპიშა".

„აუუ! ჩემი მესიჯი „გზავნილებში"! რა მაგარია! მპუა, მარი, გენათალე შენა! :) მოხევე. დიზაინს შევუცვლი, თორემ მეცილებიან. მე აქ პირველი მოვედი, ლუციფერის რჩევით".

„არ ვიცი, რამდენად შეეფერება თქვენს თემას ჩემი მონაყოლი, მაგრამ მაინც მოგიყვებით. მე და ჩემი დაქალი რუსო ერთ კურსზე ვართ. ამ კვირის ხუთშაბათს ბათუმის ქუჩებში დავდიოდით წვიმაში, ვმღეროდით და ვკიოდით. ხალხი გაოცებული გვიყურებდა. ნეტავ, მაინც რა გვიხაროდა? ალბათ, ის, რომ „გზა" გამოვიდოდა და ჩვენს გზავნილებს ამოვიკითხავდით. გაკოცეთ. ნათკა".

„აქ ერთი ქუთაისელი თავისი ფანჯრის მუხთალ ბედზე და გადარჩენილ „ლაკოსტა" მეზობელზე წერდა. ჭინკა, გენაცვალე, რა უბნელი ხარ? ბალახვანში ხომ

თუ ვიღა ვიღაცას,
ჭადს სიყო ამ
შეჭამს ყაცი

არ ცხოვრობ? ისე, ქუთაისელებსაც შეგვიძლია, ხელში „გზა“ დავიჭიროთ და სადმე შევიკრიბოთ. ჰა, რას იტყვით? თაისი“.

„მე ადრე ვამესიჯებდი აქ და ბევრი კარგი ადამიანი გავიცანი. ძალიან გთხოვ, ეს დაგვიანებული მესიჯი დამიბეჭდე. „გზავნილებით“ გავიცანი ნინო, დედიკო ბერძენას ვეძახი. ერთ წელზე მეტია, ვმესიჯობთ. ის ჯერ საბერძნეთშია, ოჯახთან ერთად, აქ კი მისი შვილები გავიცანი. იმედია, ზაფხულში ჩამოვა საქართველოში და ვნახავ, ჩემს „დედიკოს“, რომელიც ყველანაირად ჩემ გვერდითაა. მე მშობლები არ მყავს, მან კი ბევრი რამ მომცა, რის გამოც ღირს სიცოცხლე! ძალიან მიყვარხარ, ბერძენ, მალე ყველაფერი მოგვარდება, სულ მალე, აი, ნახავ... სვანჩიკა“.

„ვირუსა89, გაიხარე, ფსიქოლოგიის ლექტორის ცოლის ამბავი რომ გამახსენე. :) ეგ ლექცია გავაცდინე, მაგრამ მერე რომ მომიყვნენ, მაშინაც ისე გულიანად ვიცინე, როგორც ახლა. ნინი-ქოქი“.

„სიყვარული ის არაა, როცა ყველა და ყველაფერი გავიწყდება, მის გარდა? ეს ის გრძნობა არაა, როცა 3 საათი ერთად ხართ, წამოხვალთ და გზაში ტელეფონით ლაპარაკობ, სანამ არ დაჯდება? თუმცა, ეს და სხვა მრავალი ჩემს მეგობარს სჭირს... მისი მანქანა უკვე თავისით დადის ვაკის სტუდქალაქისკენ... მე კი ვუყურებ მათ და მიხარია. თან თეთრი შურით მშურს. მეც მინდა, ყოველ საღამოს ვინმესთან მეჩქარებოდეს, მეც მინდა, ხელჩაკიდებულმა ვისეირნო რუსთაველზე. მინდა, ვინმეს ვუთხრა, რომ მენატრება... ოდესმე ჩემს ქუჩაზეც მოვა, გაზაფხული. სვანჩიკა ვარ“.

„კანიბალკას ვეხმაურები. სად უნდა წახვიდე, გოგო, არ გრცხვენია, მაგას რომ ამბობ? თუ ვინმეს თვალში ეპატარავები, ეგ მისი პრობლემაა და არა შენი. გაიკეთოს გამადიდებელი შუშები და კარგად დაგინახავს. იმიტომ უნდა წახვიდე, რომ ვიღაც კონკურენციას ცუდად გინწევს? მგზავნელების უმეტესობას ძალიან გვიყვარხარ. მე პირადად, ძალიან გაფასებ. როცა „გზავნილებს“ ვკითხულობ და იქ შენი მესიჯია, მიმაჩნია, რომ ნომერი შედგა. ასეთივე დამოკიდებულება მაქვს სხვების მესიჯებისადმიც — შენ, ის, ის და კიდევ სხვა, აი, ესაა „გზავნილები“. არ წახვიდე, შენ შენსას მიაწექი. მოკლედ გეტყვი და უზრდელობაში არ ჩამითვალო: დაიკიდე და მოგეშვება! მანაველი“.

„ძალიან ცუდად ვარ, სიცოცხლე აღარ მინდა. უსამართლო ცხოვრება მაქვს და მიუხედავად იმისა, რომ მას მართლა ვუყვარვარ, ერთად ვერასოდეს ვიქნებით. ჩემს ყოფილ შეყვარებულს ჩუმად ვხვდები, იმიტომ, რომ მას ცოლი ჰყავს, მე — საქმრო და წლების მერე ჩვენი გზები ისევ შეიყარა. ღმერთმა მეორე შანსი მოგვცა და ნუთუ არ უნდა გამოვიყენოთ? მაგრამ სხვა იქნება ჩემი ქმარი. მის მომავალ შვილს კი ჩემი სახელი ერქმევა. ჩვენ უკანასკნელ სუნთქვამდე გვეყვარება ერთმანეთი. პაწკუ“.

„არ განმირისხდე, სვანეთის ასულო და ეს კარდიოლოგი შენ ხომ არ ხარ? რაღაც, ისე კარგად არის დაწერილი მაგის ამბები, რომ მეეჭვება, შენ გარდა ვინმეს შეეძლოს მსგავსი თხრობა. მაპატიეთ, თუ ვცდები“.

„გწერთ გამწარებული ხულიგანკა. ძალიან გთხოვთ, ჩემი საჩივარი თქვენ მაინც გაიზიაროთ. ვარკეთილის მეტროში, უკვე მერამდენედ, ჟეტონის გამყიდველი ქალები ხურდას არ მიბრუნებენ. არ რცხვენიათ, თვალებში რომ მიყურებენ და ისე მატყუებენ, იურისტ ქალს? სტუდენტებს იბრიყვებთ, არა? კააარგი, მე თქვენ გიჩვენებთ სტრასბურგს! :) ხულიგანკა“.

„მარიკუნა, საღამო მშვიდობისა! იტყვი ახლა, რა საღამო, სადაცაა შუაღამე დადგებაო, არა? გეთანხმები, „ნა ვსე“ 100%, მაგრამ კანიბალკას მინდა ვუთხრა, რომ ამქვეყნად ყველასათვის მოსაწონი და სამაგალითო ვერ იქნები. ამიტომ, იგნორირება გაუკეთე ვიღაცების გამოხდომებს და შენი ცხოვრებით იცხოვრე. რატომ უნდა წახვიდე „გზიდან“? შენ აქ ბევრს უყვარხარ. პირადად მეც გაფასებ და არავითარი წასვლა არ გამაგონო! :) ფინტიკოზა“.

„ერთხელ მოწყენილი ვიყავი, რადგან არ ვიცოდი, რა გზას დავდგომოდი. დავინახე ჟურნალი „გზა“, ვიყიდე. :) მართლაც შემთხვევით ვიპოვე გულის მეგობარი. :) კნოპკა“.

„პრივეტ“, მარიამ, როგორ ხარ? ხომ ხარ, სტამბოლის კაჟივით? აი, მე კი ვერ ვარ კარგად. რა ძალა მადგა იმ დღეს, ვიღაც გოგოს „გზა“ რომ დავუნახე ხელში და ავტეხე ერთი ამბავი: არიქა, მგზავნელი ხომ არ ხართქვა და დიდის ამბით გავეცანი. არა, მაშინ კი გამომხედა რაღაც უცნაურად, მაგრამ მე გავუტარე. გუშინ გზაზე შემხვდა და კაფეში დამპატიჟა. ცოტა ვისაუბრეთ და „ვდრუგ“, არ მოხია, მაგარი დამევასე, მაგარი ნაშა ხარო? ეგ იყო და ისეთი მოვწეწე, ფეხები ბეჭებზე მომხვდა. დაფეთებული პატარა მავნე“.

„მაგრად ვიხალისე ოლეგარიოსა და ფინტიკოზას მესიჯებზე... ჯიგრები ხართ, გაიხარეთ! გკოცნით და გეხვევით, თქვენი რიგითი რეზერვისტი, ბედინა“.

„პრივეტები“! ჩემს ოჯახში ყველა ქერაა და ცისფერი ან მწვანე თვალები აქვს, რძლებსა და სიძეებსაც კი. მხოლოდ ბებია შავგვრემანი და შვილიშვილებიდან მე დავემსგავსე. გარეგნობას არ ვუჩივი, მაგრამ ჩემს დეიდაშვილს რომ ვუყურებ, ბიჭია და ისეთი ლამაზია... მოდი და ნუ გასკდები გულზე. ჰო და წეღან დედა მეუბნებოდა, შენ ჩემს შემთხვევით ნაცნობს ჰგავხარო. დაქალებს უფრო ვგავართ. მარადმწვანე ახალგაზრდაა, ქერა თმითა და მწვანე თვალებით. მე კიდევ, ისეთი შავთვალა ვაააარ... ბებერი“.

„არა, არა, იცით, რაზე მეცინება? ჩემი გიოც დავაჩვიე თქვენი ჟურნალის კითხვას. მაგარია, არა? არადა, ჟურნალების კითხვა მაინცდამაინც არ უყვარს. მარი“.

„ტელეფონით შემთხვევით ერთი ბიჭი გავიცანი (თვითონ დამირეკა). კარგა ხნის ნაცნობობის მერე, თბილისში უნდა ჩავსულიყავი და ვუთხარი — გნახავ-მეთქი. ნათქვამი ჰქონდა, რომ სიმაღლით 179 სმ იყო. დანიშნულ ადგილზე რომ მივედი, მაღლა ვიყურებოდი და მას ვეძებდი. ამ დროს ვიღაც დაბლიდან მექაჩება ხელზე — მარი ხარო? :) თურმე სულაც არ ყოფილა ისეთი, როგორადაც თავი აღმიწერა. P.S. მგზავნელებო, ყველა კუთხისა, მიყვარხართ! პატარა ჟურნალისტკა“.

„ძალიან მინდა თქვენთან შეხვედრა, მაგრამ თბილისში ჩამოსვლას ვერ ვახერხებ. :(შემდეგ შაბათ-კვირას მოვდივარ და იქნებ, მაშინ შევხვდეთ ერთმანეთს? ყველას გაცნობა მინდა. დაბეჭდეთ თქვენი სურათები, რა! :(პარიჟანკა, კანიბალკა, ლეო, კაკუ, მონასტრის ბიჭი, ანარქია, სტიქია, ოლეგარიო, ილინი... რავი, ყველა ძალიან მიყვარხართ. მარი, შენც და ყველას, მინდა, გიორგობა მოგილოცოთ. ეს დამიბეჭდე და მეტს აღარ გთხოვ, კაი? გაკოცე, მარიკუჭა. პატარა ჟურნალისტკა“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემა იქნება — იძულებითი ქორწინება. ახლა არ დამიწყოთ, ვინც ჯერ არ გავთხოვილვართ, რა ვქნათო? სხვებზე მომიყევით — ახლობლებზე, ნათესავებზე, მეგობრებზე... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. კითხვა მოკლე ჩართვისთის: ვის მინდა, ვგავდე?

რამდენიმე წუთის განმავლობაში დააკვირდი ქვემოთ მოცემულ ფოტოებს და შეეცადე, შემოდგომა რომელიმე მათგანის დახმარებით აღიქვა. შემდეგ ქვემოთ მოცემული ტესტის პასუხებს გაეცანი.



1. თუ შემოდგომას ისე აღიქვამ, როგორც პირველ სურათზეა მოცემული, სავარაუდოა, რომ მარტოხელა ადამიანი ხარ და ყოველ წუთს სიყვარულს ელი. არც ამ შემოდგომაზე გაგიმართლა, მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა. თუ ქალბატონი ხარ, ამ ტესტის მეოთხე პუნქტიც შენ გეკუთვნის.

2. თუ შენს განწყობილებასთან მეორე სურათი უფრო ახლოსაა, სავარაუდოა, რომ ხელგაშლილი, მხიარული და კეთილი ადამიანი ხარ. ყველა საქმე კარგად გამოგდის, თამადობის ჩათვლით. ზამთრის სიცივე არ გაშინებს, რადგან რომანტიკული ადამიანი ხარ და იცი, რომ ზამთარს გაზაფხული, სითბო და საამო სურნელი მოჰყვება.

3. თუ შენი ყურადღება მესამე სურათმა მიიპყრო, სავარაუდოა, რომ უცოლო მამაკაცი ხარ და გოგრის დანახვაზე ან ხირხალა და ბაბულა გაგახსენდა, ცნობილი ქართული ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“, ან იცი, რომ უკრაინაში არსებობს წესი: როცა სასიძო გულის ვარდთან ხელის სათხოვნელად მიდის, თან გოგრა უნდა წაიღოს. თუ გოგრას უკან გამოატანენ, ეს იმას ნიშნავს, რომ საოცნებო ქალმა უარი უთხრა, ხოლო თუ გოგრას დაიტოვებენ, მალე ქორწილი იქნება.

4. სიყვარულის მომლოდინე, მამაკაცებზე გულგატეხილი ქალი შემოდგომას მეოთხე ფოტოს მიუსადაგებს. ასე გულგაყინულები არიან მამაკაცები და სამწუხაროდ შენი ცხელი გულის ფეთქვა არ ესმით. შესაძლოა, მარტოხელობის დაძლევაში „გზავნილების“ მე-13 გვერდზე მოცემული „მარტივი რჩევები“ დაგეხმაროს.

ვინ უნდა მეამოხვიდე?

ბავშვებთან ურთიერთობა მშვენივრად გამომდის. ამიტომ, როდესაც მეგობარმა მთხოვა, რომ მთელი დღის განმავლობაში მისი 5 წლის დაჩისთვის მიმეხედა, უარი არ მითქვამს. მოკლედ, დილის 8 საათზე უკვე მათთან ვიყავი. პატარას ჯერ კიდევ ეძინა, როდესაც დედამისმა კარი გაიხურა და 2 ფურცელზე ჩამოწერილი „დღის განრიგი" დამიტოვა. დაჩიმ რომ გაიღვიძა და შინ მხოლოდ მე დამინახა, სიხარულით ტაში შემოჰკრა, რადგან იცოდა, რომ წინ მხიარული დღე ელოდა (მე ხომ მას ყველაფერს ვუსრულებ). ჰოდა, დილა ჩაცმით დავიწყეთ. შემდეგ, ყველაზე რთული პროცესი — საუზმე იწყებოდა. დაჩის ჭამა არ უყვარს და ათასი ხერხია საჭირო, რომ თითოეული ლუკმა გადააყლაპო. „დღის განრიგს" ჩავხედე: „საუზმე — ზღაპრის მოყოლა, რაკეტასა და რონალდოზე", — ჩაეწიკწიკებინა ჩემს მეგობარს. გონებაში ზღაპრის შინაარსის მოკლე მონახაზი გავაკეთე და დავიწყე:

— აბა, ახლა კარაქიან პურს უკბიჩე და რონალდოზე ზღაპარს მოგიყვები, — სერიოზული სახით მივმართე მას.

ბავშვმა მორჩილად გააღო პირი.

— რაკეტაზეც? — ძლივს გავიგონე, რა თქვა, პირი ისე ჰქონდა კარაქიანი პურით გამოტენილი.

— ჰო, რაკეტაზეც.

— მიდი, — შემაგულიანა და პირი ისე მოკუმა, რომ მივხვდი, სანამ მოყოლას არ დავიწყებდი, მომდევნო ლუკმას აღარ შეჭამდა.

— რონალდომ საქართველოს ნაკრებთან თამაშის დროს, მაგარი გოლი გაიტანა, — დავიწყე და თან დაჩის ისევ გამოვუტენე პირი.

— თავით?

— ჰო, თავით. ჰოდა, გადაწყვიტეს, რომ დაეჯილდოებინათ. ჰკითხეს, ყველაზე მეტად რა უნდოდა.

— გაფრენა უნდოდა, — მიხვდა პატარა ვუნდერკინდი.

მოკლედ, რონალდოს რაკეტით მოგზაურობა რომ დასრულდა, დაჩის ულუფის ნახევარიც არ ჰქონდა შეჭმული. ბავშვი რომ შემექცია, საყოველთაოდ მიღებული კითხვა დავუსვი:

— დაჩი, რომ გაიზრდები, ვინ უნდა გამოხვიდე?

— იცი, რა, მარი, მინდოდა, რომ ტელევიზორის ხელოსანი გამოვსულიყავი, — კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გამცა პასუხი.

— მერე?

— მერე, სახლში მარტო რომ ვიყავი, ტელევიზორი დავშალე. „შნურებს" ცეცხლი წაეკიდა. მერე, მინდოდა, რომ „პაჟარნიკი" გამოვსულიყავი, რომ ტელევიზორები ჩამექრო. ავდექი და „შნურებს" ლიმონათი დავასხი. დენმა დამარტყა და მერე მომინდა, რომ „ელექტრიკი" ვყოფილიყავი, — სერიოზული სახით ჰყვებოდა დაჩი. — დედამ რომ მცემა, მერე მინდოდა, რომ ბეტმენი ვყოფილიყავი. აღარ მეტკინებოდა. კიდევ ძაღლების ექიმი, იმიტომ, რომ ყველა ძაღლს კუდს მოვაჭრიდი.

— რატომ? — გამიკვირდა მე.

— იმიტომ, რომ როცა დედა მცემდა, ჩვენს ძაღლს უხაროდა და კუდს აქიცინებდა.

— კარგი, კარგი, დედაშენს ვეტყვი და აღარ გცემს. ოღონდ, ტელევიზორი აღარ დაშალო, კარგი?

— კარგი, — შემპირდა, ბოლო ლუკმა გადაყლაპა და სკამიდან ჩამოძვრა.

ვიდრე მე სამზარეულოს მივალაგებდი, დაჩის ყვავილის ქოთნიდან იატაკზე მიწის დაყრა მოესწრო, ზედ წყალი დაესხა და „ცომს" ზელდა. ჩემი გაფართოებული თვალები რომ დაინახა, მითხრა:

— რომ გავიზრდები, პურის მცხობელი გამოვალ! — გადავწყვიტე, დამესაჯა და კუთხეში დავაყენე. — კიდევ მშენებელი, — დაამატა, ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ოთახის კუთხე კარგად შეათვალიერა. — ან შენსავით „უფროსი" გამოვალ და სხვებს დავაყენებ კუთხეში.

ცოტა ხნის შემდეგ, გადავწყვიტე, გაგვესეირნა. სააბაზანოში ხელის დასაბანად შევიყვანე, მაგრამ ონკანში წყალი არ მოდიოდა.

— მე „წყლის კაცი" ვიქნები და წყალი სულ იქნება.

ეზოში რომ ჩავედით, დაჩიმ სილაში თამაში დაიწყო.

— მე არქეოლოგი გამოვალ და მიწაში ოქროებს ვიპოვი. კარგი?

— კარგი, — დავეთანხმე მეც.

იმ დღეს დაჩის კიდევ ბევრი პროფესიის ათვისება მოუნდა. უნდოდა, რომ მუავე ვაშლის დამტკბობი, ტუალეტის ქაღალდის გამომშვები და მაკარონის ხის მომვლელი გამოსულიყო. საღამოს, როდესაც შინ დაბრუნებულმა დედამისმა დაჩი აბაზანაში ჩასვა, მეზღვაურობა, თევზობა და გემობა მოუნდა. ოცნებებითა და თამაშით დაღლილს, მალევე ჩაეძინა. დედამისმა ნაზად აკოცა. — ჩემი მომავალი პრეზიდენტი! — ჩაილაპარაკა და გადმომხედა. თითქოს ჩემგან დასტურს ელოდა.

დაჩის კი ტკბილად ეძინა. მეორე დღეს ხომ ისევ ბევრი უნდა ეოცნება.

რატომ ვერ ასერსებ მუთსოვებას?

ეს საკითხი ყველა ასაკის ქალისთვის აქტუალურია. რატომღაც, ქეჩეიანი და ლამაზი მანდილოსნები გასათხოვრები რჩებიან, ხოლო შედარებით ნაკლები გარეგნული მონაცემების ქალები იოლად თხოვდებიან. გთავაზობთ გაუთხოვრობის მიზეზების ჩამონათვალს.



1. უბრალოდ, არ გიმართლებს. ასეც ხდება, მაგრამ გულს ნუ გაიტეხ. ბედნიერების შანსი ყველას ეძლევა. მთავარია, სიყვარულის სურვილი და მისი გაცემის საშუალება გქონდეს.

2. ძალიან გინდა გათხოვება და ამას არც მალავ, ამან კი შესაძლოა, მამაკაცები დააფრთხოს. შენი ყურადღება იმ ადამიანზე გაამახვილე, ვისთანაც ურთიერთობ და არა — ქორწილზე.

3. საკუთარ თავზე ხელი ჩაიქნიე და სწორედ ამიტომაც მამაკაცები ქალად ვერ აღგიქვამენ. განიერი მაისური, კაბა თუ პიჯაკი, რომელიც ქალურ აღნაგობას ხაზს არ უსვამს, შენს შანსებს ამცირებს.

4. თვითშეფასების დონე დაბალი გაქვს. სასწრაფოდ ფსიქოლოგს მიაკითხე!

5. თუ თვითშეფასების დონე მაღალია და თავდაჯერებულიც ხარ, ეს კარგია, მაგრამ ასეთ დროს კონკურენციას ვერ გრძნობ. კონკურენცია კი კარგია იმ მხრივ, რომ ის მუდამ ფორმაში ყოფნისკენ გიბიძგებს.

6. როდესაც ოჯახურ ცხოვრებაზე ფიქრობ, გონება მთლიანად საკუთარ კეთილდღეობაზე, მომავალში შვილებისგან მონიჭებულ სიხარულზე გაქვს გადატანილი და ამ დროს, ყველაზე მთავარ პერსონაჟს — ქმარს ვერ ხედავ.

7. რჩეულს საინტერესო ადამიანად ვერ აღიქვამ.

8. გიჭირს მასთან ქორწინებაზე საუბარი. თუ თქვენი ურთიერთობა სტაბილურია, გირჩევ, შენი სურვილების შესახებ ღიად დაელაპარაკო.

9. არ ცდილობ, საინტერესოდ იცხოვრო. კავალრის დაინტერესება და მასზე შთაბეჭდილების მოხდენა ვერაფრით შეძელი.

10. დაგავიწყდა, რომ ქალის მთავარი იარაღი სილამაზე და სინაზეა.

11. ჩაკეტილი ცხოვრების სტილს ამჯობინებ და მამაკაცებთან არ ურთიერთობ.

12. მამაკაცებთან არ მეგობრობ.

13 ფლირტი არ გახასიათებს.

14. მამაკაცისთვის დახმარების თხოვნა არ შეგიძლია და ყველა საზრუნავს საკუთარ თავზე იღებ. მიეცი მას საშუალება, თავი საჭირო ადამიანად მიიჩნიოს.

15. რჩეულთან შეხვედრის დროს სიხარულს არ ამჟღავნებ. ამასთანავე, მისი შექება არ გიყვარს.

16. მამაკაცმა შენთან ურთიერთობა ჯილდოსავით უნდა მიიღოს და იბრძოლოს იმის დასამტკიცებლად, რომ ამის ღირსი ნამდვილად იყო.

17. ცდილობ, თაყვანისმცემლებს გაეჯიბრო და მათ შენი უპირატესობა დაუმტკიცო. ეს კი, როგორც წესი, მამაკაცებს შენ მიმართ სიმპათიით არ განაწყობს.

18. საკუთარი წარუმატებლობის გამო ხშირად წუწუნებ, ეს კი თაყვანისმცემლებს აფრთხობს. წარმატებული და იღბლიანი ადამიანი ყველას უყვარს.

19. პირადი ცხოვრებისთვის დრო არ გაქვს, რადგან სამსახური მთელ თავისუფალ დროს გართმევს.

20. ცხოვრების ჩვეული სტილის შეცვლის გეშინია, ეს კი ოჯახის შესაქმნელად აუცილებელია.

21. „რანგით დაბალი" მამაკაცები შენთან ურთიერთობას თავს არიდებენ და შენც, ყველა ასეთ მამაკაცს ხელს ჰკრავ.

22. ახალი კავალრის გამოჩენისას, თავიდანვე სკეპტიკურად ხარ განწყობილი.

23. მამაკაცისთვის თვალებში ჩახედვა არ შეგიძლია. ეს კი ერთ-ერთი უმთავრესია, რაც ურთიერთგაგებას უწყობს ხელს.

24. ვილაცამ დაგარწმუნა, რომ გათხოვება არც ისე იოლია და ალბათ, ვერასოდეს გათხოვდები, შენ კი მას დაუჯერე.

25. მომავალი მეუღლის მიმართ გადაჭარბებული მოთხოვნები გაქვს. .

26. მხოლოდ ცოლიანი მამაკაცები გიზიდავენ.

27. გათხოვებას თავისუფლების შეზღუდვად აღიქვამ.

28. ჯერ კიდევ არ გაქვს ჩამოყალიბებული ის თვისებები, რომელიც შენს რჩეულს უნდა ახასიათებდეს.

29. ინიციატივის გამოჩენის გეშინია.

30. ჯერ არ შეხვედრიხარ იმ „ერთადერთსა და განუმეორებელს" ან ყველა მამაკაცზე შთაბეჭდილება გაქვს წახდენილი.

ყველაზე იშვიათი ენები



• ახალ გვინეაში დაახლოებით 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და მათ ერთმანეთთან ურთიერთობა 800 ადგილობრივ ენაზე უწევთ. ამ ენებს შორის არ მოიძებნება ისეთი, რომელზეც, თუნდაც 100 ათასი ადამიანი ლაპარაკობდეს.

• იმის მიუხედავად, რომ ტაილანდში ოფიციალურ ენად ტაილანდური მიიჩნევა, მოსახლეობის ნახევარი სხვადასხვა დიალექტით საუბრობს. ლინგვისტების აზრით, ზოგიერთი ამ დიალექტთაგანი უკვე დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბდა. ეს გახლავთ ლაო, კამუნაგი და პაკისტანური.

• ინდოეთში არ არსებობს ენა, რომელზეც მოსახლეობის უმეტესობა ლაპარაკობს. თითქმის ყველა შტატში თავის საკუთარ ენაზე ლაპარაკობენ. ყველაზე იშვიათი ინდური ენებია — მარატი, ორიია, ტელუგუ და ტამილური.

• კიდევ ერთი „ციცქნა“ ენაა ალფენდიო, იგივე აღმოსავლური სეპიკი, რომელზეც 633 ადამიანი ლაპარაკობს.

• კანდასურად (ახალი ირლანდიური) 480 ადამიანი ლაპარაკობს.

• ლილაუს ენას 450 ადამიანი ფლობს.

• კიდევ უფრო იშვიათი ენაა ოუნი. მასზე 384 ადამიანი ლაპარაკობს.

• იუნესკოს გადაწყვეტილებით კიდევ ერთი, ყველაზე იშვიათი ენა ესტონურია. სხვათა შორის, ესტონელ მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მშობლიური ენის შესწავლას, ისინი ინგლისური ენის დაუფლებას ამჯობინებენ.

• ევროპაში ყველაზე იშვიათ ენად ლივონიური მიიჩნევა, რომელიც ფინურის მონათესავე ენაა. ამ ენაზე დაახლოებით ლატვიის 200 მოქალაქე ლაპარაკობს.

• ცოტა ხნის წინ დარეგისტრირებულ იშვიათ ენებს შორის, სუსუამიცაა მოხსენიებული. ამ ენაზე მოროვიის პროვინციაში მხოლოდ 2 ოჯახი ლაპარაკობს. ამასთან, ოჯახის უმცროს წევრებს ენა ესმით, მაგრამ თვითონ ამ ენაზე არ მეტყველებენ.

• პლანეტაზე ყველაზე იშვიათი სალაპარაკო ენა ბიკია გახლავთ, რომელზეც ერთადერთი, 87 წლის ქალი ლაპარაკობს. ის კამერუნისა და ნიგერიის საზღვარზე მდებარე სოფელში ცხოვრობს. საინტერესოა, ნეტავ, ვის ელაპარაკება?

1. XIX საუკუნეში ადამიანებს ალბათ, ძალზე ბევრი პრობლემის გადაჭრა უხდებოდათ, ვინაიდან სწორედ ამ პერიოდში შემოიღეს ტკივილგამაყუჩებელი სიროფები. ამასთან, აცხადებდნენ, რომ წამალი ჯანმრთელობისთვის საზიანო არ იყო. სინამდვილეში კი „ჯადოსნური“ ხსნარის თითოეული პატარა ფლაკონი ნარკოტიკული ნივთიერებებით იყო სავსე. თითოეულ მათგანში 65 მილიგრამი სუფთა მორფინი იყო გახსნილი. დიდი ხნის შემდეგ, გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ გადაწყვიტა, გამოექვეყნებინა სტატია ამ წამლის შესახებ, სადაც ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული პრეპარატი სულფატს, ჰიდროქლორიდს, ქლოროფორმს, კოდეინს, ჰეროინს, ოპიუმსა და ჰაშიშს შეიცავდა. სწორედ ამიტომ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ამ პრეპარატით მკურნალობისას ბევრი ბავშვი იღუპებოდა.

2. ექიმი რობერტ პატრიკი ცდილობდა, ვერცხლისწყლით მკურნალობის მეთოდი დაენერგა. ის აცხადებდა, რომ ამ ნივთიერების გამოყენებით პრაქტიკულად ყველა დაავადების მკურნალობა იყო შესაძლებელი. ამჟამად ცნობილია, რომ ვერცხლისწყალი შხამია. მისით მოწამვლის ნიშნებია: ტკივილი მკერდის არეში, გულთან და ფილტვებთან დაკავშირებული პრობლემები, ხველა, კუნთების ძლიერი სპაზმი, ცნობიერების დარღვევა, ჰალუცინაციები და მრავალი სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ვერცხლისწყლით მკურნალობის შედეგად ბევრი ადამიანი იღუპებოდა, ექიმ რობერტს პაციენტები მაინც მრავლად ჰყავდა. ის ვერცხლისწყლით სიფილისის განკურნებასაც კი ცდილობდა.

3. ძნელი დასაჯერებელია, რომ XIX საუკუნეში ხველას ჰეროინით მკურნალობდნენ. არ ღირს კიდევ ერთხელ იმის მტკიცება, როგორი ცუდი შედეგი მოჰყვებოდა ამას. მაშინ აღნიშნული ნარკოტიკი უვნებელ ასპირინად მიიჩნეოდა და ექიმები ამტკიცებდნენ, რომ მას ხველისგან განკურნება შეეძლო.

4. XIX საუკუნეში გამოგონილ ელექტროენერგიას ბევრ ჯადოსნურ თვისებას მიაწერდნენ. რეკლამის თანახმად, სხვადასხვაგვარ ელექტროსაწოლსა და ქამარს მამაკაცებში იმპოტენციის განკურნება შეე-

მკურნალობის ყველაზე უცნაური მეთოდები, მსოფლიო მედიცინაში

ხანდახან გვებადება აზრი, რომ ექიმებს მკურნალობის არაფერი გაეგებათ. ამ აზრს კიდევ უფრო განგვიმტკიცებს ექიმების მიერ ჩატარებულ მკურნალობის მეთოდებზე მედიცინის ისტორიაში არსებული დაუჯერებელი ფაქტები.

ძლო. ასეთი მოწყობილობების დასამზადებლად მთელი ინდუსტრია განვითარდა. დამამზადებლები კლიენტს ისეთ ქამარს სთავაზობდნენ, რომელსაც ასოს ზომის გაზრდაც კი შეეძლო. მისი გამოყენება ისეთი მტკივნეული გახლდათ, რომ პირველი მყიდველების არაადამიანური ყვირილი ლამის მეზობელ ქალაქებში ესმოდათ.

5. წარმოიდგინე, რომ დეპრესიაში მყოფი მიდიხარ ფსიქოლოგთან, ის კი გრძელ, წვრილ რკინის წკირს დაგანახვებს და გეუბნება: „ახლა ამას შევიყვან შენს თვალში, საიდანაც ჩაქუჩის დახმარებით ტვინში შევაღწევ და ტვინის იმ ნაწილზე ვიმოქმედებ, რომელიც დეპრესიას იწვევს“. გასული საუკუნის 40-იან წლებში სწორედ ასე წყვეტდნენ „სულიერ“ პრობლემებს. ტვინის მკურნალობის ასეთი მეთოდი, რომელსაც ლობოტომია ერქვა, ძალზე პოპულარული იყო და ფსიქიკასთან დაკავშირებული თითქმის ყველა დაავადების განკურნებას ასე ცდილობდნენ. მკურნალობის მეთოდის გამომგონებელს 1949 წელს ნობელის პრემია მიანიჭეს. ვიდრე მიხვდებოდნენ, რომ ფსიქიკურ პრობლემებს ამ მეთოდით ვერ გაუმკლავდებოდნენ, მანამდე ლობოტომია უკვე 70 ათას ადამიანს ჰქონდა გაკეთებული.

6. აღმოჩნდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში, იმ ადამიანების რიცხვი, ვისაც შარდით მკურნალობის სჯეროდა, საკმაოდ დიდი იყო. მათ მიაჩნდათ, რომ ამ „ჯადოსნურ“ სითხეს მთელი რიგი დაავადების განკურნება შეეძლო. უფრო მეტიც, ფიქრობდნენ, რომ თუ შარდს დალევდნენ, ხარივით ჯანმრთელები იქნებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ურინოთერაპია დღესაც გამოიყენება. მისი მკურნალობის დადებითი შედეგის დამამტკიცებელი არც ერთი მეცნიერული მტკიცებულება არ არსებობს.

7. მედიცინის ისტორიაში სისხლის გამოშვება მკურნალობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ მეთოდად მიიჩნეოდა. ეს მეთოდი პირველად ბერძნებმა გამოიყენეს. მიიჩნეოდა, რომ ადამიანის სისხლი 4 ძირითადი ნივთიერებისგან შედგებოდა. თითოეული მათგანი კი სხვადასხვა დაავადების საფუძველი გახლდათ. შესაბამისად, თუ ავადმყოფს სისხლს გამოუშვებდნენ, ის იკურნებოდა. XIX საუკუნეში მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ სისხლის გამოშვება ვერც ერთ დაავადებას ვერ კურნავს.

8. პუტკუნა ქალები მოდაში აღარ არიან. XX საუკუნეში გახდომა ყველა ქალის ახირებად იქცა. გამოჩნდა სხვადასხვა სახის დიეტური აბები, რომლებიც ქალბატონებს ჭარბი წონისგან გათავისუფლებას ჰპირდება. მაგრამ როდესაც ქალი ამ აბებით წონაში დაიკლებს, მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები უჩნდება. გასული საუკუნის 60-იან წლებში ისეთი აბები გამოვიდა, რომელიც მიჩვევას იწვევდა, ხოლო უფრო მოგვიანებით, გამოჩნდა ისეთი აბები, რომელიც ნაწლავის ჭიის, სოლიტერის კვერცხებს შეიცავდა.

9. ტრეპანაცია, ისეთი ოპერაციაა, რომლის დროსაც ადამიანის თავის ქალაში ხერხის საშუალებით ხვრელს აკეთებენ. ეს ძალიან ძველი, სამედიცინო პროცედურაა. წინათ ამ მეთოდს თურმე შაკიკისგან განსაკურნებლად იყენებდნენ. ძველი ტომების წარმომადგენლები კი ტრეპანაციას კოსმეტიკური მიზნით იყენებდნენ. ზოგიერთი სპეციალისტი ტრეპანაციის მეთოდით ავადმყოფებს დღესაც მკურნალობს.

10. ყველა მამაკაცმა იცის და არც ერთი ქალი არ აღიარებს, რომ ეს უკანასკნელნი ძალიან პრეტენზიულები და ისტერიკულები არიან. XIX საუკუნეში მოღვაწე მეცნიერებს ეს მოვლენა რომელიღაც დაავადების სიმპტომად მიაჩნდათ. ყველაზე საინტერესო მისი მკურნალობის მეთოდია. ექიმები პრეტენზიულ ქალებს ვაგინალურ მასაჟს უკეთებდნენ. შემდგომში, ვიბრატორი მკურნალობის მეთოდის დახვეწის მიზნით იქნა გამოგონებული.

ოცნებიდან ჯარიმებამდე

• შვეიცარიაში შესაძლოა იმის გამო დაგაჯარიმონ, რომ სახლის გარშემო ბაღი არ გაქვს, რადგან ხელისუფლების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ „შიშველი“ სახლი არაესთეტიკურად გამოიყურება.

• შუა საუკუნეების ესპანეთში 10 ოქრო უნდა გადაგეხადა, თუ პროდუქტს იმავე დახლთან შეიძენდი, სადაც მეფის ოჯახისთვის ყიდულობდნენ სურსათსანოვაგეს. თუ ისეთსავე კაბას შეიკერავდი, როგორიც სამეფო ოჯახის წევრს ეცვა, ამის გამო ეგზეკუცია და გადასახლება არ აგცდებოდა.

• ასევე ესპანეთში შემოღებული იყო გადასახადი ცხენების დიდ რაოდენობაზე. 8-ცხენიანი ეტლით სეირნობა მხოლოდ დიდგვაროვნებს შეეძლოთ. დაბალი ფენის წარმომადგენლებს ეტლში 4 ცხენზე მეტის შებმის უფლება არ ჰქონდათ.

• ისრაელში დღესაც მოქმედებს კანონი, რომლის თანახმადაც, თუ საღორეში პარკეტი არ გაქვს დაგებული, ჯარიმა უნდა გადაიხადო. საერთოდ, ებრაელები ღორის ხორცს არ ჭამენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, გოჭებს მაინც ამრავლებენ. პარკეტი კი იმისთვისაა საჭირო, რომ მათ თავიანთი ბინძური ფეხებით ისრაელის წმინდა მიწაზე არ იარონ.

• სპარსეთში არსებობდა გადასახადი „შაჰის ჯანმრთელობისთვის“, რათა მას დიდი ხნის განმავლობაში შესძლებოდა ქვეყნის მართვა.

• ნოვგოროდში (ვიდრე მას ივანე მრისხანე დაიპყრობდა) ჯარიმას ახდევინებდნენ იმის გამო, თუ სახლის წინ გზა არ იყო. ამბობენ, რომ ეს ბიუჯეტისთვის ყველაზე შემოსავლიანი მუხლი იყო. ბევრი ნოვგოროდელისთვის გაცილებით მოსახერხებელი იყო ჯარიმის გადახდა, ვიდრე გზის შეკეთება ან გაყვანა.

• პორტუგალიელი ვაჭრები მუშებს დაბალი ხმის გამო ახდევინებდნენ გადასახადს. თუ დაბალი ხმა გაქვს, ბაზარში შენს ხმას ვერავინ გაიგონებს. შესაბამისად, მოგებაც ნაკლებია, — ამბობდნენ ისინი.

• სვაზილენდში დღემდე ახდევინებენ ჯარიმას იმ მშობლებს, რომელთაც თავიანთი გოგონა ქორწილისთვის კარგად არ გამოკვებეს. გამხდარი პატარძალი იქ არავის სჭირდება.

• შუა საუკუნეების საფრანგეთში ეკლესია ჯარიმას ახდევინებდა იმ სიძე-პატარძლის ოჯახს, ვინც ქორწილის მეორე დღეს აივანზე პატარძლის ქალწულობის დამადასტურებელი ნიშნის მქონე ზეწარს არ გამოფენდა.

• ძველ საბერძნეთში თუ ვენერა კალიპიგას სახელობის ტაძარს ან მის ქანდაკებას საჭირო პატივს არ მიაგებდნენ, ჯარიმა უნდა გადაეხადათ. „ერთჯერადი“ უპატივცემულობის გამო — მცირე ჯარიმა, ხოლო თუ მის იგნორირებას ზედიზედ რამდენჯერმე მოახდენდნენ, ჯარიმა 3 თვის განმავლობაში უნდა ეხადათ. სხვათა შორის, კალიპიგა „ლამაზსაჯდომიანს“ ნიშნავს.

• წარმოიდგინე, რომ სააბაზანო არ გაქვს. XVIII საუკუნეში, პეტერბურგში, აბანოს უქონლობის გამო ჯარიმას ახდევინებდნენ. ეს მაშინ დაიწყო, როდესაც მეფე პეტრე პირველმა მოსკოვიდან პეტერბურგში მგზავრობის დროს დაბანა ვერ მოახერხა. ევროპელებს კი აბანო ბარბაროსულ გადმონაშთად მიაჩნდათ.

შოდესაც ცოლს ეხოცები, ფრთხილად იყავი, ფრთიანი ვარ „დაოჭმოჭნა“

ბიჯები

დასაწყისი იხ. „გზა“, №45-47

ვაგრძელებთ რეალური დეტექტიური ამბის თხრობას, ერთადერთი ქართველი სერიული მკვლელის, „რუსთაველ მანიაკად“ წოდებული, ფრიდონ პირტახიას შესახებ. მკითხველს შევახსენებ, რომ მის მიერ ჩადენილი მკვლელობების სერია 1999 წლის 13 აგვისტოს დაიწყო და ბოლო, მეექვსე მკვლელობა 2000 წლის 29 ივლისსაა დაფიქსირებული, ხოლო 2001 წლის 12 ნოემბერს ფრიდონ პირტახია მარტვილში, ბავშვის გაუპატიურების მცდელობის გამო დააკავეს. სერიული მკვლელის მსხვერპლთა ოჯახების მდგომარეობის გათვალისწინებით, რომანში ყველა მოქმედი პირის სახელი და გვარი შეცვლილია, თავად ფრიდონის გარდა. თხრობა იმ მომენტში შევწყვიტეთ, როდესაც სამძებროს უფროსის, დავით ფრუიძის კაბინეტში, 2 „ბომჟი“, რამდენიმე დღის წინ მოკლული მეგობრის შესახებ ჰყვებოდა.

მარი ხაფარიძე

— როგორი იყო და დაბალი, ჭაღარა თმა ჰქონდა და ქართულად კარგად ლაპარაკობდა.

— დალევის დროს თავისი ოჯახის, საცხოვრებელი ადგილის ან სამსახურის შესახებ ხომ არაფერი უთქვამს? — ჰკითხა დავითმა.

— არა, არაფერი უთქვამს, მარტო სადღეგრძელოებს ამბობდა და თან ხშირად ოხრავდა.

— კარგი, ზინა, თუ მეტი სათქმელი არაფერი გაქვს, წადი. თუ რამეს გაიხსენებ, მაშინ შეგიძლია, ისევ მოხვიდე.

ზინა წამოდგა და კარისკენ გაემართა. მას კოლიაც უკან მიჰყვა. მალე ორივენი კარს მიღმა გაუჩინარდნენ და დავითს გონებაში კვლავ წინადღეს დაკარგული გოგონა და მისი მშობლები ამოუტივტივდა. „ხვალ თუ არ გამოჩნდება გაუჩინარების ფაქტზე საქმეს აღვძრავ“, — გაიფიქრა და თითქოს გულზე მოეშვა.

ირმა არც მეორე დღეს გამოჩნდა. საქმე მართლაც აღიძრა და პირველი მოწმეც დაიბარეს.

ჯერ კიდევ დილა იყო, როდესაც მისი კაბინეტის კარი თოთხმეტიოდე წლის ბიჭუნამ შეაღო. მას უკან ახალგაზრდა ქალი მოჰყვებოდა.

— გამარჯობა, — მიესალმა ქალი. — მე ლუკას მასწავლებელი ვარ.

დავითმა გადაწყვიტა, დაკითხვა თვითონ ეწარმოებინა და ოქმის შესადგენად მდივანს უხმო.

როდესაც ყველა ფორმალური მხარე მოგვარდა, დავითმა დაკითხვა დაიწყო. ლუკა ერთ-ერთი მათგანი იყო, ვინც ირმა უკანასკნელად ნახა.

— როდესაც ირმა ეზოში ჩამოვიდა, მე დავუძახე და ვკითხე, სად მიდიოდა. მითხრა, რომ ბებიასთან აპირებდა წასვლას, — ჰყვებოდა ბავშვი და გული ყელში ებჯინებოდა.

— რამდენ ხანს ელაპარაკე?

— სულ 2-3 წუთი. მერე წავიდა.

— ხომ არ უთქვამს, რომ მეგობართან აპირებდა წასვლას?

— არა.

— მარტო წავიდა?

— დიახ, მარტო.

— ეზოში უცხო მამაკაცი ხომ არ შეგინიშნავს?

— არა, იმ დღეს არავინ მინახავს, მაგრამ წინა დღეებში ერთი უცნაური კაცი მოდიოდა ხოლმე და გოგონებს ხატავდა.

— ვინ იყო ის კაცი? — ყურები ცქვიტა დავითმა. ეს უკვე სიახლე იყო. გაუხარდა, რომ ხელჩასაკიდ ძაფს მიაგნო.

— არ ვიცი, რა ერქვა იმ კაცს. საღამოობით მოდიოდა ეზოში, ფანქარი თვითონ ჰქონდა, ფურცლებს კი ჩვენ, ბავშვები ვაძლევდით. მერე იჯდა და ხატავდა. კარგად გამოსდიოდა. ზუსტად ამსგავსებდა. ერთხელ, მეც ვთხოვე, დავეხატე, მაგრამ უარი მითხრა — ბიჭებს არ ვხატავო. მერე თავის ნახატებს გოგონებს აჩუქებდა ხოლმე.

— ირმაც დახატა?

— დიახ, დახატა, მაგრამ თავისი პორტრეტი არ მისცა. უთხრა: ძალიან ლამაზი ნახატი გამოვიდა, წავიღებ, გადავხატავ და მერე მოგიტანო. იმის მერე, ის კაცი აღარ გამოჩენილა.

— მარტო მოდიოდა ხოლმე?

— დიახ, მარტო, მაგრამ ერთხელ ვიღაც კაცი მოჰყვა. მასზე გვითხრა, რომ მამამისი იყო. ის კაცი მხოლოდ ერთხელ ვნახე.

— მხატვრის სახელი არ გახსოვს? — ჩაფიქრდა დავითი.

— არა, ბიძია, არ მახსოვს. არც არავის უკითხავს მისთვის სახელი, — ბავშვი დაიძაბა. თითქოს თავს დამნაშავედ გრძნობდა, იმ კაცის სახელი რომ არ იცოდა.

— კარგი, ლუკა, ახლა წადი. კარგი ბიჭი ხარ, — გაამხნევა დავითმა და ბავშვის დაკითხვა შეწყვიტა.

ამის შემდეგ კიდევ რამდენიმე მეზობლის ბავშვი დაჰკითხა. ყველა იმავეს ამბობდა, რაც ლუკამ თქვა. ბავშვები სიტყვასიტყვით იმეორებდნენ მეგობრის ნათქვამს.

— მდა�ა, ზურა, სად უნდა ვიპოვოთ ის მხატვარი? — მიუბრუნდა დავითი ოპერა-

ტიულ მუშაკს, როდესაც მარტო დარჩენენ.

— რა ვიცი, გიორგევიჩ, უნდა ვიპოვოთ.

— არ მომწონს ამ ბავშვის ასე გაუჩინარება. რადგან ამდენი დღის განმავლობაში არ გამოჩნდა, ალბათ ცუდს უნდა ველოდეთ.

— გიორგევიჩ, ვიღაც ქალია მოსული და თქვენთან შეხვედრა უნდა. ამბობს, რომ დაკარგულ გოგონაზე რაღაც იცის.

— შემოვიდეს, — ამოიოხრა დავითმა.

ქალი საქმიანი იერით შევიდა კაბინეტში, საერთო სალამი თქვა და სკამზე დაეშვა.

— მე ექიმი ვარ და თანაც, დაკარგული გოგონას მეზობელი. გავიგე, რომ იმ კაცით დაინტერესებულხართ, ჩვენს ეზოში რომ მოდიოდა და ბავშვებს ხატავდა. ზუსტად ვიცი, რომ ეგ კაცი ფსიქიკურად შეშლილია. მისი სახელი და გვარია ანზორ კობაიძე. წინათ ეგ კაცი ჩემი პაციენტი იყო და ასე დაწვრილებით მის შესახებ ამიტომ ვიცი, — ერთბაშად დაასრულა თხრობა ქალმა.

— როგორ ფიქრობთ, ამ კაცს რაიმე დანაშაულის ჩადენა შეეძლო?

— ხანდახან ძალზე აგრესიული იყო, მაგრამ ძირითადად, მშვიდი ადამიანია. არა მგონია, რომ მას ცუდის ჩადენა შეეძლოს. მისი სისუსტე ხატვაა. ხატავს ყველგან, ყველაფერზე და ნებისმიერ დროს. სულ ეს არის, რაც ვიცი. ოქმის შედგენა და მსგავსი ფორმალობები საჭირო არაა, ეს ყველაფერი იმიტომ მოგიყევით, რომ გოგონას მოძებნაში დაგეხმაროთ, — თქვა ქალმა და ფეხზე წამოდგა. დავითმა მადლობა გადაუხადა და კარამდე მიაცილა.

— აჰა, გიორგევიჩ, ხომ ხედავთ, ინფორმაცია თავისით მოვიდა. ახლა დროა, ამ კაცის ძებნას შევუდგეთ.

მეორე დღეს ქალაქში მცხოვრები ყველა ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის მონაცემები ნახეს, მაგრამ მსგავსი სახელისა და გვარის ადამიანი მათ შორის არ აღმოჩნდა. დავითს ახალი საფიქრალი გაუჩნდა.

მას შემდეგ, რაც ფრიდონმა დანაშაულის ადგილი დატოვა, ქალაქში კარგა ხანს იბორიალა. უაზროდ დაეხეტებოდა. ბრმასავით დადიოდა და ხან რას დაეჯახებოდა, ხან — რას. საოცარი ის იყო, რომ არაფერზე ფიქრობდა. გვიან ღამემდე ასე უმისამართოდ იხეტიალა, შემდეგ სახლისკენ გაემართა. სახლთან ახლოს ნაცნობი სილუეტი დალანდა. კარგად დააკვირდა და წინ მიმავალ ქალში ის ოლია ამოიცნო, რომელიც რამდენიმე დღის წინ გაჩერებაზე შეხვდა და რომელსაც ამდენი დღის განმავლობაში ეძებდა. ჯერ ნაბიჯს აუჩქარა, უნდოდა, დასწეოდა, მაგრამ მერე გადაიფიქრა და თავისი კორპუსისკენ მიმავალ გზაზე გადაუხვია. სიბნელეში ეზოში ჩუმად შეიძურწა. საპირისპირო მხრიდან მომავალი ვიღაც კაცი დალანდა. პირველსავე სადარბაზოში შევიდა და თვალს მიეფარა. იქიდან მხოლოდ მას შემდეგ გამოვიდა, როდესაც თავი მარტო დაიგულა. თვითონვე უკვირდა, რატომ იმალებოდა. ცოტა ხნის წინ, მთელი ქალაქი შემოიარა და შიში არ უგრძნია. ახლა კი ყოველ გაფაჩუნებაზე შიშისგან თრთოდა. როგორც ჩანს, ნაცნობ ადამიანებთან შეხვედრას გაურბოდა, რადგან მათთვის თვალის გასწორების ეშინოდა. კარი უხმაუროდ გააღო და საკუთარ სახლში ქურდივით შეიპარა. შუქი არ აუნთია. სააბაზანოში შევიდა და სახეზე წყალი შეისხა. გახურებულ სახეზე გრილი წყალი მალამოსავით მოელამუნა. შემდეგ, საძინებელში გავიდა და საწოლზე გაუხდელად დაწვა. ჯერ გულაღმა იწვა. თვალწინ იმ დღეს დატრიალებული მოვლენები ედგა. მერე გვერდზე გადაბრუნდა და მოიკრუნჩხა. ჩანასახის პოზა მიიღო და ხელები მუხლებზე შემოიჭდო. გონებაში ათასი სურათი სლაიდივით მოძრაობდა და ერთმანეთში ირეოდა. უცნობი, მოკლული გოგონას სახეს მისი შვილის სახე ცვლიდა, რომელიც სწორედ იმ გოგონას თანატოლი იქნებოდა. ფრიდონმა ყრუდ დაიღმუვლა და თვალებიდან ცრემლები ჩამოუგორდა. ნანობდა, ძალიან ნანობდა ჩადენილს, მაგრამ ახლა უკვე ძალიან გვიანი იყო. რას არ გაიღებდა ახლა, რომ ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო და უცებ გამოღვიძებოდა. რა ბედნიერი იქნებოდა...

უცნობი, მოკლული გოგონას სახეს მისი შვილის სახე ცვლიდა, რომელიც სწორედ იმ გოგონას თანატოლი იქნებოდა

დილით ფრიდონმა ისევ ადრიანად გაიღვიძა, როგორც სჩვეოდა. კარგა ხანს თვალგახელილი იწვა. შემდეგ წამოდგა და ფანჯარას მიუახლოვდა. ეზოში მეზობლები ისევ ისე დაფუსფუსებდნენ, როგორც გუშინ და გუშინწინ, ისევ ისე ცხელოდა, როგორც წინა დღეებში... ფრიდონს ყველასი შეშურდა, რადგან მასსავით გული არავის ჰქონდა დამძიმებული. უცებ, კარზე კაკუნი შემოესმა და შეხტა. გულმა გამალებით დაუწყო ძგერა. კარს ფეხაკრეფით მიუახლოვდა და საჭვრეტში გაიხედა.

ჭროფესიონალი იგივე დილეტანტია, შოქელმაც ზუსტად იცის, სად დასუქვა შეცდომა

რა არის ჩუპაკაბრა?

ამ კვირაში თემა არც ერთმა მკითხველმა არ შემომთავაზა და ის იყო, ტვინის ჭყლეტას ვიწყებდი, თუ რა შემომეთავაზებინა თქვენთვის, რომ ნიას მესიჯი მოვიდა: „გამარჯობა, თარხან. თუ გაგიგონიათ რაიმე ჩუპაკაბრას შესახებ? იქნებ, ზუსტად მითხრათ, რა არის ეს? პატივისცემით, ნია“. დიდი სიამოვნებით ვუპასუხებ მის კითხვას და ვფიქრობ, ეს არც თქვენთვის იქნება უინტერესო.

გრაფი თარხანი

ჩუპაკაბრას შესახებ პირველად 6 წლის წინ, ლათინურ ამერიკაში ალაპარაკდნენ. სიტყვა „ჩუპაკაბრა“ 2 ესპანური სიტყვისგან შედგება: „ჩუპა“ — სისხლის გამოწოვას ნიშნავს, „კაბრა“ — თხას.

ჩუპაკაბრას წარმოშობა უცნობია და ხალხი მას უცხოპლანეტელს უწოდებს. მისი სიმაღლე 120-180 სმ, წონა — 50-60 კგ-ია. არის უთმო, ორეშვიანი არსება, რომელსაც წითელი, ოვალური ფორმის თვალები და მუქი ყავისფერი კანი აქვს. მისი სქესი დაუდგენელია. ზოგიერთი თვითმხილველი ამბობს, რომ მას ფრთები, თათებზე 3-3 თითი და ზურგზე ხერხის პირის მსგავსი წანაზარდი აქვს, რომელიც სიბნელეში ანათებს.

ჩუპაკაბრა ღამით ნადირობს და დაუცველ ცხოველებს ესხმის თავს. ის მათ სისხლს სწოვს და უკვალოდ ქრება. მეორე დილით, პატრონი სისხლისგან სრულიად დაცლილ, მკვდარ ცხოველს პოულობს, რომელსაც სხეულზე მცირე ზომის იარა (რომლის ნაპირებიც იდეალურად სუფთა და მრგვალი ფორმისაა) აქვს. შემთხვევის ადგილზე ერთ წვეთ სისხლსაც ვერ პოულობენ. იყო შემთხვევა, როცა სისხლისგან დაცლილი, 70 მსხვილფეხა პირუტყვი ერთდროულად იპოვეს. ზოგჯერ, ცხოველებს რომელიმე ორგანოს — ტვინის, თვალის, კუდის გარეშეც პოულობენ. ჩუპაკაბრას მსხვერპლი თითქმის ყველანაირი ცხოველი გახდა.

ჯერჯერობით, მისი წარმომავლობის შესახებ არაფერია ცნობილი. ერთნი ფიქრობენ, რომ ეს საშინელი არსება ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამხედრო ბაზიდანაა გამოქცეული, სადაც მას გენეტიკურ ექსპერიმენტებს უტარებდნენ, ხოლო სხვებს მიაჩნიათ, რომ მას უცხოპლანეტელებთან აქვს კავშირი, რადგან ის სწორედ უცხო მფრინავი ობიექტის გამოჩენის შემდეგ ჩნდება.

„ნასას“ თანამშრომელმა ერთ-ერთ გაზეთს სკანდალური ინტერვიუ მისცა, სადაც ამბობდა, რომ მათი ლაბორატორიიდან 3 ექსპერიმენტული მონსტრი გაიქცა, რომელთა დაჭერაც ვერ მოხერხდა. კალამაში არსებულმა სამხედრო ნაწილმა მართალია, ერთი მათგანის დაჭერა შეძლო, მაგრამ უკან არ დააბრუნაო.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ჩუპაკაბრა მრავლდება და თავის სამფლობელოს აფართოებს. სულ ცოტა ხნის წინ, ის მექსიკაშიც გამოჩნდა. თვითმხილველნი ამბობენ, რომ მოზრდილ ცხოველებთან ერთად, პატარებიც შენიშნეს. მათ მიერ შედგენილი ჩუპაკაბრას „პორტრეტები“ კი, ერთმანეთს წყლის წვეთებივით ჰგვანან.

ზოგიერთი მეცნიერი, ვინც უცხოპლანეტელების არსებობას უარყოფს, ამტკიცებს, რომ ეს საშინელი არსებები მილიონი წლის წინ წარმოიშვნენ და მათი ერთი პოპულაცია დღემდე შემორჩა. მართალია, ისინი აქამდე არ ჩანდნენ, მაგრამ რაღაც უცნობი ფაქტორის ზეგავლენით, მათი რიცხვი იმდენად გაიზარდა, რომ საკვების მოსაპოვებლად საცხოვრებელი არეალიდან

გამოსვლა მოუხდათ.

2000 წლის აპრილის ბოლოს, ჩილედან მოსულ ცნობებში აღნიშნული იყო, რომ ჩუპაკაბრა იქაც გამოჩნდა. 20 აპრილიდან 12 მაისამდე, ჩილეს დედაქალაქ — სანტიაგოდან 300 კილომეტრის რადიუსში ჩუპაკაბრამ 500-ზე მეტი ცხოველი მოკლა, რის გამოც, პოლიციაში 30 განცხადება შევიდა.

29 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ფერმერმა ხოსე ისმაილმა ტყის თავზე მანათობელი სფერო შენიშნა. როდესაც სფერო ძირს დაეშვა და ხეებს მიეფარა, ფერმერი მის სანახავად გაეშურა. ხოსემ ხეებს შორის უცნაური არსება შენიშნა, რომელიც სავარაუდოდ, სწორედ იმ სფეროდან ჩამოვიდა. „ის 150 სმ სიმაღლის იყო და მაიმუნს ჰგავდა, — ჰყვებოდა მოგვიანებით ხოსე. — პირიდან 2 ეშვი მოუჩანდა, ხოლო ზურგზე ფრთები ჰქონდა". შეშინებული ფერმერი თავქუდმოგლეჯილი გამოიქცა. მეორე დღეს, მისი 6 ძროხა სისხლგამოცლილი იპოვეს. ცხოველებს კისრის არეში ნაკბენის კვალი ეტყობოდათ.

3 მაისს, ქალაქ ლაგუნაში მცხოვრები პროფესორი ძაღლის ყმუილისა და საცოდავი წკავწკავის ხმამ გააღვიძა. პროფესორმა იარაღი მოიმარჯვა და ეზოში გავიდა. მან ჭიშკართან თავისი როტვეილერები შენიშნა, რომლებიც შიშისგან ღობეს აჰკვროდნენ და წკავწკავებდნენ, მათ წინ კი ადამიანის სიმაღლის, ფრთებიანი არსება იდგა. ის პროფესორისკენ ზურგით იდგა და მთვარის შუქზე ფრთები კარგად უჩანდა. პროფესორმა დამიზნებით ესროლა. ის შექანდა, ფრთები გაშალა და ღობეს გადააფრინდა. ეს საშინელი არსება მის ეზოში აღარ გამოჩენილა.

ხალხი ჰყვება, რომ ცხოველები ჩუპაკაბრას გამოჩენას წინასწარ გრძნობენ.

ა. წ. 1 სექტემბერს, „სი-ენ-ენმა" გადმოსცა სიუჟეტი ნიკარაგუიდან, რომელშიც ჩუპაკაბრას გვამი იყო ნაჩვენები. ზოოლოგებმა, რომლებსაც მისი გამოკვლევა დაევალათ, განაცხადეს, რომ მსგავსი არაფერი ენახათ. კომენტატორმა აღნიშნა, ეს მუტაციის ან გენეტიკური ექსპერიმენტის შედეგიაო. თურმე, ჩუპაკაბრა ფერმერ ხოსე ლუისს მოუკლავს — მას მოჰბეზრდა დილაობით დახოცილი ცხვრების გადაყრა და ჩუპაკაბრას ჩაუსაფრდა. როდესაც ეს უცნაური არსება მის ფერმაში შეიპარა, ერთი გასროლით მოკლა. მკვდარი ჩუპაკაბრა ნიკარაგუის ნაციონალურ უნივერსიტეტს გადასცეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, მეცნიერებმა განაცხადეს, რომ ის იყო... ძაღლი! როგორ მივიდნენ ასეთ დასკვნამდე, არავინ იცის, მაგრამ ერთ-ერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ გზაში გვამი ვიღაცამ შეცვალა და ამის დამტკიცებაც შეუძლია: თურმე, მას ჩუპაკაბრასთვის თათი წინასწარ მოუჭრია. ახლა მეცნიერი აცხადებს, რომ ამ ნივთმტკიცებას მხოლოდ და მხოლოდ, საერთაშორისო მკვლევრებს გადასცემს.

იდუმალებით მოცულ ცხოველზე, რომელიც თავის მსხვერპლს სისხლს სწოვს, ლათინურ და სამხრეთ ამერიკაში ლაპარაკობენ. ბოლო თვის განმავლობაში, მის შესახებ ცნობები მექსიკიდან მოდიოდა.

იმ შემთხვევაში, თუ თვითმხილველი უცნაურ არსებას ფარანს მიანათებს, ის მაშინვე მიწაზე წვება და საშინელ ყვირილს იწყებს, რადგან მას სინათლე „აბრმავებს".

ყიდვა ან შეჭამო
ისეთი, რომ გაგხდე?

ჩუპაკაბრას დიდი სიჩქარის განვითარება შეუძლია და ამიტომაც, ძაღლებისგან თავის დაღწევას ყოველთვის ახერხებს. ეს ცხოველი იმდენად ძლიერია, რომ იყო შემთხვევა, როდესაც მან მსუბუქი ავტომობილი გზიდან იოლად გადააგდო.

„ერთხელ, მეუღლესთან ერთად ჩაის მივირთმევდი, — ჰყვებოდა თვითმხილველი. — დავინახე, რომ ბავშვები ვიღაცას ქვებს ესროდნენ. გარეთ რომ გამოვედი, ცოლმა მითხრა, ამ ადგილებში „პატარა ადამიანი" დაძრწისო. ბავშვებმა მოზრდილ სოროსთან მიმიყვანეს და მითხრეს, რომ ეს უცნაური არსება იქ შეძვრა, მაგრამ შემეშინდა და მას ვერ შევყევი. სოროდან კი ისეთი მყრალი სუნი გამოდიოდა, როგორიც საკანალიზაციო ჭიდან".

1995 წლის ივნისში, შუადღისას, ახალგაზრდა ქალი 6 წლის შვილთან ერთად სასეირნოდ გავიდა. სულ მალე, შინ დარჩენილმა ქმარმა დედა-შვილის ყვირილი გაიგონა და გარეთ გავარდა. მან დაინახა, როგორ ადიოდა ცაში მანათობელი სფერო, იქიდან დაშვებულმა წვრილმა, წითელმა სხივმა კი ბავშვს ხელზე დაანათა და იმ ადგილზე დამწვრობა და ამობერილი ადგილი დარჩა. რამდენიმე დღის შემდეგ, ოჯახის უფროსმა შენიშნა, რომ მათი ქათმების გალიის კარი ღია იყო, ახლოს მისულმა კი სისხლისგან დაცლილი, რამდენიმე მკვდარი ქათამი აღმოაჩინა. ეს ჩუპაკაბრას ნახელავი იყო და ივარაუდეს, რომ ის მფრინავ ობიექტს მოჰყვა.

1995 წლის სექტემბერში, ხუან მურატი თავისი მანქანისკენ გაემართა. მან ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო. ირგვლივ მიმოიხედა და შენიშნა, რომ მისგან 10 მ-ის მოშორებით, ხეზე საშინელი, წითელთვალებიანი არსება იჯდა. ხუანმა შიშისგან ხმამაღლა იყვირა. მის ყვირილზე უცხო არსება გაფრინდა. მასთან შეხვედრიდან რამდენიმე დღეში, ხუანმა თავისი 2 ძაღლი სისხლისგან დაცლილი იპოვა. მათ კისრებზე ჩუპაკაბრასთვის დამახასიათებელი, თითო მრგვალი

ხვრელი ემჩნეოდათ.

ვეტერინარები ამ პროცესში მგლის ან სხვა მტაცებელი ცხოველების მონაწილეობას უარყოფენ.

ერთ-ერთი თვითმხილველი საშინელ არსებას ხელით იგერიებდა. „მას არ ჰქონდა არც ძვლები და არც — კუნთები. როცა მუშტს ვურტყამდი, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მყარი მასალით გატენილი ტომარა იყო", — დასძენდა ის.

ბოლო დრომდე მიაჩნდათ, რომ ჩუპაკაბრა მხოლოდ ლათინურ ამერიკაში ბინადრობდა, მაგრამ რამდენიმე თვის წინ ის უკრაინაში, კრემენჩუგშიც გამოჩნდა... დოქტორი ვერგილიო მაიამის ანომალიური მოვლენების შემსწავლელ ცენტრს ხელმძღვანელობს. ის ჩილეში მაშინ გამოიძახეს, როდესაც ერთ პატარა ქალაქში ჩუპაკაბრას გამოჩენამ დიდი პანიკა გამოიწვია. ქალაქში სულ 8 ათასი მოსახლე ცხოვრობს და მათი ძირითადი საქმიანობა მაღაროში მუშაობაა. პანიკა ისე გაძლიერდა, რომ მაღაროს ხელმძღვანელობამ ხალხი სამსახურიდან დროებით დაითხოვა. დოქტორ ვირგილიოს ჩუპაკაბრას ბრჭყალების ნაკვალევი და მისი სხეულიდან ამოგლეჯილი ბალანი უჩვენეს. დოქტორმა ქალაქთან ახლოს ისეთი ნიშნები იპოვა, როგორიც ამოუცნობი მფრინავი ობიექტის მიწაზე დაჯდომის შედეგად რჩება. ბალნის გამოკვლევამ უჩვენა, რომ ის დედამიწაზე არსებული არც ერთი ცხოველის ბალანს არ შეესაბამებოდა. იმ ვერსიას, რომ ჩუპაკაბრა დედამიწაზე მცხოვრები არსება არ გახლავთ, კიდევ ერთი ფაქტი ადასტურებს: კალამაში, ერთ-ერთი კერძო სკოლის დირექტორმა განაცხადა, რომ ჩუპაკაბრა ცხოველების სადგომში შეიპარა და თხას სისხლი გამოსწოვა. როდესაც ეს ინფორმაცია გავრცელდა, იმ ტერიტორიაზე მობინადრე ადამიანების უმეტესობამ დაინახა, თუ როგორ დაეშვა „ნასას" თვითმფრინავი. ჩვეულებრივი, მიწიერი არსებისთვის ისინი თავს არ შეიწუხებდნენ. თანაც, ჩუპაკაბრას გამოჩენამდე რამდენიმე ხნით ადრე, ადამიანებს შიშის გრძნობა ეუფლებათ და უცნაურ სუნსაც შეიგრძნობენ, რაც მხოლოდ ამოუცნობი მფრინავი ობიექტისთვისაა დამახასიათებელი.

და კიდევ ერთი დეტალი: ამა თუ იმ ტერიტორიაზე, ჩუპაკაბრა მოულოდნელად ჩნდება, გარკვეული ხნის განმავლობაში ცხოველებს სისხლს სწოვს და შემდეგ — ქრება. შესაძლოა, ის იყოს უცხოპლანეტელი ბიოროობოტი, რომელიც დედამიწაზე ადამიანების ცხოვრების შესასწავლადაა გამოგზავნილი და სწორედ ამიტომაც, ადამიანებს არ ერჩის — მათზე თავდასხმისა და რაიმე ზიანის მიყენების არც ერთი ფაქტი არაა დაფიქსირებული.

ახლა კი თქვენს შეკითხვებს გავცემ პასუხს.

? **— გამარჯობა, გრაფო. უკვე 25 წლის ვარ. რამდენიმე თვეა, ერთ გოგოს ვხვდები. ძალიან შემიყვარდა, მაგრამ არ ვიცი, ეს ამბავი როგორ გავუმხილო. იქნებ, ვერ გამიგოს ან რაიმე ეწყინოს?**

— თუ გოგონასთვის სიყვარულის გამხელა გსურს, ამაში არაფერია საწყენი და გაუგებარი. სიყვარულის ახსნა ნებისმიერ გოგონას სიამოვნებს. სხვა საქმეა, ეს როგორ უნდა გააკეთო. ამ დროს მამაკაცთა უმეტესობა ძალიან ღელავს და ხშირად, შეცდომასაც უშვებს. ამიტომ, წინასწარ შეგიძლია უთხრა, რომ ძალიან ნერვიულობ და ღელვაც გაგივლის. სთხოვე, რომ შენს ნათქვამს სერიოზულად მოეკიდოს. მთავარია, გულახდილი იყო. როგორც უფრო გაგიადვილდება, ისე გაუმხილე შენი გრძნობის შესახებ. ნურაფერს დააძალებ, დრო მიეცი, რომ ყველაფერი კარგად აწონ-დაწონოს.

? **— გრაფო, გამარჯობა. ჩემს ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. მეუღლემ მითხრა, სხვა შემიყვარდაო. თურმე, მას რამდენჯერმე შეხვდა კიდეც, ილაპარაკეს და აღმოჩნდა, რომ მასაც უყვარს. მეუღლემ დახმარება მთხოვა, მე კი გავარტყი და...**

— საქმე ისაა, რომ ამის დავიწყებას ვერასოდეს შეძლებთ. ღალატის ატანა ძნელია. მტანჯველი ფიქრები გარკვეული დროის შემდეგ გაივლის. ახლა კი დაფიქრდით: საყვარლები ისე, უბრალოდ არ ჩნდებიან. როგორც ჩანს, ოჯახური პრობლემა მანამდე წარმოიშვა, ვიდრე ის სხვას შეიყვარებდა. ქორწინების გადასარჩენად რაიმე ღონისძიების ჩატარება შედეგს იმ შემთხვევაში მოგიტანთ, თუ ამის სურვილს მეორე მხარეც გამოთქვამს. თქვენი მესიჯიდან კი ჩანს, რომ ყოველგვარი მცდელობა ამაო იქნება, ვინაიდან მან გადაწყვეტილება უკვე მიიღო. რადგან თავისი სიყვარულის შესახებ გაგიმხილათ, ის უკვე ოჯახის დასანგრევად მზადაა, ხოლო ის, რომ მან დახმარება გთხოვათ, უბრალოდ, მცდელობაა, თქვენი შეტევისგან და თავდასხმისგან დაიცვას თავი, თავი შეგაცოდოთ და მოგაჩვენოთ, რომ თქვენთან განშორების გამო ძალიან დასწყდება გული. დაუნანებლად გაუშვით და დარწმუნდებით, რომ ის შინიდან ბედნიერი წავა.

P.S. იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი გრაფთან მოხვდეს, მობილურის „ესემეს"-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა grafi გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე 8884.

ბრაფი თარხანი

ქუსლის ჯოლი სიყვარულის ფილოსოფიაში

ჩვენს ემანსიპირებულ სამყაროში უკვე აღარავის უკვირს საქმიანი ქალების არსებობა, რომელთა ქმრებიც, ვიდრე „ბიზნესსოლები" საქმიან შეხვედრებსა და გაქიანურებულ დირექტორთა თათბირებზე დადიან, საოჯახო საქმით არიან დაკავებული.

ქალები ბიზნესის აწყობის დროს ძალისხმევას არ იშურებენ, რომ წარმატების მწვერვალს მიაღწიონ ან შეუპოვრად ცდილობენ კარიერის კიბეზე წინსვლას. ამ სირბილსა და ორომტრიალში შესაძლოა, კიბის საფეხურზე ფეხსაცმლის ქუსლიც მოსცყდეთ, მაგრამ არ ჩერდებიან. მოკლედ, ისინი ამაყად თავაწეულნი მიიწევენ დასახული მიზნისკენ. ეს მიზანი კი წარმატებული ბიზნესლედის სტატუსია.



წარმატებისკენ მიმავალი კიბის ქვეშ დაყრილი, მოტეხილი ქუსლების რაოდენობის შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ ეს ქუსლები რაღაც ჯადოსნური ხერხით გავლენას სხვა სტატისტიკურ მონაცემებზე ახდენს. კერძოდ — დანგრეული ოჯახების რაოდენობაზე.

ქალებს, რომლებიც ქუსლიან ფეხსაცმელს ატარებენ, კარიერა გაცილებით წარმატებული აქვთ, ვიდრე „უქუსლოებს". სად არის აქ ჯადოქრობა? ან საერთოდ, პირადი ცხოვრების მოწყობას ჯადოქრობა სჭირდება? ნუთუ, „უქუსლო" ქალბატონს არ შეუძლია პირადი ცხოვრების მოწყობა და საკუთარი კერიის გაღვივება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ქუსლების თემაზე მცირე განხილვა მოვაწყოთ.

მაშ ასე, რა ემუქრებათ ქალებს, ვინც უქუსლო (და არა — დაბალქუსლიან) ფეხსაცმელს ამჯობინებს? ქუსლის სანტიმეტრების კლებასთან ერთად, მამაკაცის თვალში ქალი სინაზეს კარგავს.

როდესაც ქალი საქმიანი ხდება, მის ცხოვრებაში ქუსლის სიმაღლესთან ერთად, ბევრი რამ იცვლება: მის დღის განრიგში აღარ რჩება დრო ტრადიციული რეცხვისა და კერძების მომზადებისთვის. ასევე არ ჰყოფნის დრო ძილისთვის, რაც ავტომატურად ამცირებს დროს ქმართან სექსუალური ურთიერთობისათვის. შვილები (თუ ჰყავს) დედას ვერ ხედავენ. თუ ჯერ არ ჰყავს, მათ „გასაკეთებლად" და აღსაზრდელად დრო არ ჰყოფნის. თანდათანობით სიტყვა „მეგობარს" — „კოლეგა" ცვლის. დღისით მისი ტელეფონი გამუდმებით რეკავს და საქმიანი საუბრებითაა დაკავებული, ხოლო ღამით, იმავეს მისი გონება აკეთებს. ოდესღაც ნაზ და საყვარელ ხმას მბრძანებლური, ფოლადის ჟღერადობა ეძლევა. მის სახლში აღარაა ფუმფულა სათამაშოები და ოთახის ყვავილები. მაცივარში — ტკბილეული. საამისოდ არც ძალა ჰყოფნის, არც სურვილი და არც მეხსიერება. მშობლები იშვიათად ხედავენ თავიანთ ბიზნესშვილს. თავისუფალი დრო სიახლის ძიებასა და უფრო მყარქუსლიანი ფეხსაცმლის ძებნაში იხარჯება. გონების მთელი რესურსი ბიზნესის გაფართოებისკენ და ეფექტიანი სტრატეგიის ძებნისკენაა „გადასროლილი".

აღარც საყვარელი მეზობელი გოგონა ჩანს (ნეტავ,

თუ თავს შედნიერად ერთი დღეზე მეტი ხნის ვანმავლობაში გრძნობ, ოლონდ შაოლაღას გიმალავენ

რა ერქვა?). სახელი შეუძლია ქმარს ჰკითხოს, ახლა ხომ ისინი მეგობრობენ. ოჯახში მომხდარ ვერავითარ სიახლეს ვერ ამჩნევს. სამაგიეროდ, საყვარელი ქმარი (ჰო, მართლა, ნეტავ რა ჰქვია?) ამჩნევს სხვა ქალებს — მათ, ვისაც დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი აცვიათ.

ახლა მისთვის გადაადგილების ერთადერთი საშუალება ავტომობილია. დაბალძირიანი ფეხსაცმლით კიბეზეც კი უჭირს ასვლა. დაბადების დღეზე უკვე აღარავინ ჩუქნის საყვავილე ვაზებს, გულებსა და სათამაშოებს. ახლა მას ოქროს „როლექსს“, ცნობილი კუტიურიეების ტანისამოსსა და ბრენდულ ავტოკალმებს უძღვნიან. მამაკაცების ყურადღებას მბრძანებლური ტონით იქცევს და არა — ეშმაკური გამოხედვით.

სამსახურში უფრო ხშირად ხედავენ, ვიდრე საჭიროა, ხოლო შინ — გაცილებით იშვიათად, ვიდრე სასურველია. ახალ ნაცნობებს საქმიანი იერით სავიზიტო ბარათებს ურიგებს და ტელეფონის ნომრებს ხელსაწმენდზე პომადით აღარ იწერს. სკოლის მეგობრების შეხვედრა მის გარეშე ტარდება, რადგან დრო არა აქვს. მას ხომ საქმიანი ვიზიტების ჩამონათვალი 2 კვირით ადრე აქვს ჩამოწერილი. მეგობრებისა და ნათესავების დაბადების დღეებზე მის ნაცვლად გაგზავნილი საჩუქარი, „ბოდიში“ და დაპირება, რომ გაისად აუცილებლად ეწვევა „მიდის“.

ის ისე გვიან ბრუნდება შინ, რომ ახალ მეზობლებს ქმრის საყვარელი ჰგონიათ.

ქმარი დიდი ხანია, მის გამოხედვაში სიყვარულსა და სინაზეს ვეღარ ამჩნევს. ამიტომ ის სხვაგან იწყებს სითბოსა და ყურადღების ძებნას.

დიდი ხანია, მის გარდერობში მოკლე ქვედაბოლო აღარაა. საქმიანი ქალისთვის ყველაზე მოკლე ქვედაბოლო მუხლისთავს ოდნავ სცილდება და არავითარი თავბრუდამხვევი ჭრილები არ აქვს. საყვარელ ქმარს დილაობით რძიანი ყავით ვერ ანებივრებს. ისე ადრე დგება, რომ განთიადი სწორედ იმ რძიანი ყავის ფერს აგონებს, რომელიც დიდი ხანია, ქმრისთვის საწოლში აღარ მიურთმევია და მაშინ წვება, როდესაც ღამე ყველაზე ძლიერ „ესპრესოზე“ მუქია.

გული სწყდება, როდესაც სხვებისგან ესმის სიტყვები: „შვებულება“, „დასვენება“ და „გასეირნება“.

...და საერთოდ, მას ძალიან უჭირს უქუსლო ფეხსაცმლით სიარული. იცის და ჯერ კიდევ ახსოვს, რომ დაბალძირიანი ფეხაცმელი გაცილებით მოსახერხებელია, მაგრამ ძვირფას რესტორანში, მნიშვნელოვან პრეზენტაციაზე ან თუნდაც საკუთარ ოფისში ასე ხომ ვერ წავა? ამიტომ, ფეხსაცმლის შერჩევის პროცესს ძალიან მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ადგილი უჭირავს. მან არ იცის, რომ შიკი და კომფორტი ერთდროულად არ არსებობს. თუ არ მეთანხმებით, შეგიძლიათ, სცადოთ და საწინააღმდეგო დაამტკიცოთ.

სასარგებლო ინფორმაცია

როგორ იგონებენ სახელწოდებებს კოსმოსური ობიექტებისთვის

• კოსმოსური ობიექტისთვის სახელის მინიჭება იმ ადამიანის პრეროგატივაა, ვინც მას აღმოაჩენს. ჰოდა, უცნაურმა ასტრონომებმა მათთვის უცნაური სახელები მოიგონეს. ამგვარად, ცაზე 93 ასტეროიდი დაფრინავს, რომელთაც ნატო, იუნესკო და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ჰქვიათ.

• კოსმოსში არსებობს ვარსკვლავები, პლანეტები და ასტეროიდები, რომელთაც ლიტერატურულ ნაწარმოებთა გმირების სახელებით მოიხსენიებენ. კოსმოსში ასეთი 112 ობიექტი დაფრინავს. მათ შორის — ევგენი ონეგინი, მადამ ბოვარი და შერლოკ ჰოლმსი.

• სამყაროში არსებობს კიდევ ერთი მოცარტი, სალიერი და რიმსკი-კორსაკოვი. გარდა ამისა, კოსმოსში კიდევ 130 ობიექტია, რომელსაც ამა თუ იმ გენიოსი მუსიკოსის სახელი ჰქვია.

• აღმოჩნდა, რომ კოსმოსი გადაჭედილია ბაირონებით, დიკენსებითა და პუშკინებით. მწერლების პატივსაცემად შერქმეული სახელი 275 ობიექტს ჰქვია.

• დამეთანხმეთ, რომ ნაპოლეონი ასტეროიდისთვის მშვენიერი სახელწოდებაა, მაგრამ ცნობილი ისტორიული პირების რაოდენობა, კოსმოსური ობიექტების რაოდენობას ბევრად აღემატება. ამიტომ, ასტრონომებმა გადაწყვიტეს, რომ აღმოჩენილ ობიექტებს საყვარელი ოჯახის წევრებისა თუ ნათესავების სახელები დაარქვან. ცაზე ასეთი სახელწოდების 406 ობიექტი დაფრინავს. ვარსკვლავებს ასევე გამოჩენილ მეცნიერთა და გეოგრაფიულ სახელებს არქმევენ.

• ძალზე მიღებულია, როდესაც კოსმოსური ობიექტის აღმომჩენი, მას თავის სახელს არქმევს. ასე რომ, კოსმოსში ასტრონომების სახელის მქონე 1172 ობიექტი დაფრინავს. ამასთან, რამდენიმე სახელი მეორდება. წარმოიდგინე, რომ ცხოვრობ პლანეტაზე — ჯაფარიძე, ოღონდ ამის შესახებ მხოლოდ მე მეცოდინება და სხვას არავის. აი, ასეთი სიტუაციაა კოსმოსში.

ყველა ადამიანი
თავისებურად მშვენიერია,
ჩვენებურად კი — ვარ

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

1. გავიცნობ 15-16 წლის ბიჭს. ბაჯბაჯა-2.

2. მინდა გავიცნო სიმპათიური მამაკაცი. ვარ განათხოვარი, 21 წლის. ნანა.

3. ყველა რაჭველს მივესალმები. კიკვაძეებო, გთხოვთ, გამომეხმაუროთ ჟურნალ „გზაში“. მე თქვენ ძალიან მიყვარხართ. ნათია კიკვაძისგან.

4. ვარ 33 წლის, სიმპათიური გოგო. სერიოზული ურთიერთობისთვის და ოჯახის შესაქმნელად გავიცნობდი 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს.

5. ტემბოლ, ჩორტიოზნაეტ, ბაო-ბაო, კაკუ, ნიკოლ, ისტერ, მის-სიო, პრინცესა და ყველა, ვინც ჩემი მეგობარია, ნომერი გაიგეთ. იმედია, ქალებში ჩამწერ, მარ. გეხვეწები. :) ნელკა.

6. მარი, გთხოვ, დამაკავშირო „გზის“ 47-ე ნომრის მე-40 მესიჯის ავტორს, ბესო შუკაკიძეს.

7. გავიცნობ 20 წლამდე ასაკის, მომხიბვლელ და სულით და გულით კეთილ გოგოს, რომელიც იქნება უზომოდ მოსიყვარულე. ვარ 21/172/70, საკმაოდ სიმპათიური. ჩემი მობილი ელის შენს მესიჯს.

8. გავიცნობდი თბილისელ, თბილ ქალბატონს, მარტოხელას, ბინიანს, რომელსაც სითბო სჭირდება. ვარ 45 წლის, თბილი, სიმპათიური, სერიოზული მამაკაცი, თბილისიდან.

9. გამარჯობა, გოგონებო, ვარ 25 წლის. გავიცნობ 20-30 წლამდე ასაკის, ლამაზ მანდილოსანს, ინტიმური ურთიერთობისთვის. კარგი წარსულის მქონეს. მაქვს ოჯახი, მინდა მეგობარი.

10. „გზა“ №42-ის შესაბამისი ასაკის და ლამაზი სულის მანდილოსანი დამიკავშირდეს. ვარ 50 წლამდე ასაკის მამაკაცი.

11. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა“ №47, მე-10 მესიჯის ავტორს.

12. ვარ 28 წლის. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის მანდილოსანს, დაოჯახების მიზნით. ვარ დედისერთა და იუმორის გრძნობით სავსე პიროვნება. გელით, გოგონებო! დათო.

13. ვარ სერიოზული მამაკაცი, 47 წლის. გავიცნობ სამეგობროდ სიმპათიურ მანდილოსანს.

14. გავიცნობ ლამაზ და თბილ გოგოს, მეგობრობის მიზნით. სასურველია, ბორჯომელი იყოს.

15. ვარ 24 წლის, სიმპათიური ბიჭი. გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, თბილისელ გოგოს, ინტიმური ურთიერთობისთვის და ფარული შეხვედრებისთვის. გაცნობამდე. უცნობი.

16. თბილისელი, დასაქმებული ინტელიგენტი ეძებს ცხოვრების მეგზურს. გამომეხმაუროს მაღალი, სიმპათიური და თბილისელი ქალიშვილი, 35 წლამდე.

17. ვარ 28 წლის. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 30 წლამდე ასაკის მანდილოსანს. მსუქნებმა თავი შეიკავეთ. ძალიან მხიარული ვარ და სიმპათიური. გელოდებით, გოგონებო. დათო.

18. ვეხმაურები „გზა“ №47, მე-8 მესიჯის ავტორს. ვარ ძალიან საყვარელი, 25 წლის ბიჭი.

19. ვეხმაურები „გზა“ №47, მე-4 მესიჯის ავტორს. ვარ 39 წლის, მქვია გიორგი. სია-

მორჩა! მეც ალარ მოვწევ. ჭრილობაში, ალარც ნასროლს

მოვნებით გაგიცნობდით.

20. ვარ 31 წლის. გავიცნობდი კარგ მანდილოსანს. დათო.

21. ვარ 40 წლის. მხოლოდ ინტიმი იმ ქალებს, ვისაც აკლია სექსუალური ალერსი. გამომეხმაურონ ქალები 25-45 წლამდე. გამოცდილი კაზანოვა.

22. ვთხოვ, გამომეხმაუროს დაახლოებით 50 წლის ქალბატონი, რომელიც გადაყოლილი იყო შვილებზე, ისინი და გარემოცვა კარგადაა, მაგრამ თვითონ მარტოსულად გრძნობს თავს.

23. გავიცნობ გემრიელ მანდილოსანს, ყველაფრით უზრუნველყოფილს. ვარ 29 წლის, ცოლს გაშორებული მამაკაცი. გამომეხმაურეთ მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით. გელოდებით. გაბე.

24. ვეხმაურები „გზა" №44, მე-3 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, დაგვაკავშიროთ. დიდი მადლობა, წინასწარ. დიმა.

ბაღანა

25. ვეძებ ქუთაისელ კახას. მისი სიძე ზვიად თუთბერიძეა, ცოლი — ლანა. ცხოვრობენ ვარციხეში. კახა, ერთმანეთი ამ ოჯახში გავიცანით, ეს იყო 3 წლის წინ. ლიკა.

26. ვეძებ მარიამს, რომელიც სპორტსმენია, კარატისტი. მას ვუყვარდი, მე მეგობრობა შევთავაზე, იმიტომ, რომ საზღვარგარეთ მივდიოდი. მინდა ვნახო. კახა.

სმენადსაცვლელი

• ლუკაااااااااა! თუ არ დაიპყრე ალპები, გლდანის მასივში დალპები :).

• ცისფერი თვალები დაგნისლავს/ შავი თვალები დაგათრობს/ თაფლისფერ თვალებს მიენდვე/ იგი თაფლივით დაგატკბობს. ბაჯბაჯა-2.

• ეჰ, შოტლანდია ლამაზი სიზმარი ყოფილა... არგელოდი.

• სირაძე რომ „გაითიშა", ლამის ავბღავლდი. არგელოდი.

• ლიკ-ლიკა, გამაწითლე, ხომ იცი? მადლობა ასეთი გულახდილი, თბილი სიტყვებისათვის. ლეო91.

• მაესტრო, შენს ნაცვლად პასუხი — „არა უშავს", კანიბალკას მივწერე. შენი ნომერი კი წამეშალა. ასე რომ, უყურადღებობაში არ ჩამომართვა. ლეო91.

• ეჰ, მე და ბატი ტასის გზები გაიყარა. ალბათ ასე იყო საჭირო. :(ლეო91.

• იქნებ შევეშვათ ერთმანეთის კბენას და ქილიკს? უბრალოდ, გავუგოთ ერთმანეთს. ლეო91.

• მგელო, ჩვენ რომ პოლიტიკაზე ლაპარაკი და მიშას ავ-კარგის განსჯა დავიწყოთ, საკმაოდ შორს წაგვიყვანს. :) მართალია, მთავრობა ჟურნალ-გაზეთებს არ კითხულობს, მაგრამ მობილურებს უსმენენ და რა იცი, იქნებ მარი ჯაფარიძე დაადანაშაულონ, ანტიქართულ პროპაგანდაში? :) აქ მაინც გვეყოს პოლიტიკა. ლეო91.

• კანიბალკა, მართალია, იმ სიაში მე არ მომიხსენიე, მაგრამ თავს მეც ერთგულ მკითხველად მივიჩნევ. ამიტომ, მეც ვიტყვი ჩემს სიტყვას: ნუ იგრუზები, შენი სტაჟის მქონე მგზავნელი ახლა ცოტაა და ძველებიც ნუ დავიკარგებით. გაიხარე, ლან. ისე, ახლებს მინდა ვუთხრა: გეყოთ სხვისი ლანძღვით ვაი-პიარის კეთება. მკითხველი ყველაფერს ხედავს. ლეო91.

• კანიბალკა, ნამუსი არ გაქვს, რომ მეპასუხები? პატარა ვარ, მაგრამ შენგან განსხვავებით, დიდი სითბო, მეგობრობა და სიყვარული შემიძლია. ჩემს თვალში ნულიც აღარ ხარ.

• კანიბალკა! უმადურობას ვიწვევ დუელში/ მოურჩენელის მტკივა იარა/ ვისაც რიონზე გავუდე ხიდი/ სუყველამ გულზე გადამიარა. თურმე გიო შენზე მეტად მყვარებია.



ჭუკებს შემოდგომაზე ითვლიან...

მე რომ მოვრწყე, ამხელა იმიგომ გაიზარდა

• როზი, lily19-ის მესიჯი წავიკითხე და გავოცდი. ბოვში მეგონე. არგელოდი.

• ბაჭია, მეც ძალიან მიყვარხარ! სიცოცხლეზე მეტადაც კი და მინდა იცოდე, რომ შენც ყველაფერ საუკეთესოს იმსახურებ. რაც შეეხება იმ ადამიანს, უკვე აღარ ვდარდობ. გარიყული.

• ბაჭია, შენი სახით ამ ჟურნალმა მეც უძვირფასესი ადამიანი მაპოვნინა. შენ რომ არა, სიცოცხლის სურვილს საბოლოოდ დავკარგავდი. შენსავით ვერავინ გამიგებს. გარიყული.

• ყველას პრივეტები. მეც ახალი ვარ. იმედია, თქვენს სასტავში მიმიღებთ და ჩამიხუტებთ. გაკოცეთ ყველას. მაგრები ხართ, ძაან. :) უპასუხოდ არ დამტოვოთ, ფლიის... :) კილერი-22.

• არგელოდი, კარგი რა, შენ კიდევ მაგაზე ფიქრობ? მე უკვე დამავიწყდა. ისე, არც გავბრაზებულვარ. უბრალოდ, ცოტა სერიოზული მესიჯი გამომივიდა და არ მინდოდა. მუზკა.

• ნინო-მილან და მუზკა, „ევრო-2008" ინგლისის გარეშე ცუდი იქნება, არა? მაინც ინგლისია, ფარერის კუნძულები ხომ არა? არგელოდი.

• მაგრად მეტკინა თვალები, თანაც, მომშივდა, მგრამ „გზა" ხელიდან ვერ გავუშვი. მონასტრის ბიჭო, მგონი დაგავიწყდა, რაღაც ნომრებს რომ დამპირდი, ხომ? lily19.

• საყვარელო გოგო, ჩემი გაცნობა პრობლემას არ წარმოადგენს. შეგიძლია ნებისმიერ დროს შემეხმიანო. ლეო91.

• კარდიოლოგო, კარგი ხარ, კარგი. მაგრად ვმხიარულობ შენს მესიჯებზე. თუ სურვილი გაგიჩნდება, შეგიძლია მგელოს ანუ თეოს დაუმესიჯო. გელოდება, გაკოცეეე. :) მეგრელი მგელო-30.

• გერასიმე და ლეო, მადლობა, რომ გახსოვთ, იუბილარი რომ ვარ. გერასიმე, შენ გაგახსენდა მგელოს დღეობა და ძაან გამახარე. მადლობა, ვინც მომილოცااა. მპაااჰ! :) მეგრელი მგელო-30.

• პრივეტები ხალხნო, რავა ხართ? ე, ახალი ვარ და იმედია, მიმიღებთ და შემიყვარებთ:) ყველანი ძალიან მაგრები ხართ:) elf-girl.

• ვაი, გენაცვალე, მეგრელო მგელო, რა მაგარი ქალი ხარ! :) მაგრად გამიხარდა, სიის თავში რომ მომაქციე და კანიბალკას შეურიგდი. :) გაკუცუნე, პატარავ. მგლის და.

• ნერვები მეშლება და სულელურად ვწერ მესიჯებს, ფუუ! არგელოდი.

• ზოგი ია-ვარდის კონას ისურვებდა, ზოგიც შროშანების ტრფობას დაიგულებს, მე კი ავირჩევდი ნიშნად მეგობრობის, წითელი ტიტების ლამაზ თაიგულებს. ბზიკუნია.

• lili19, მოგესალმები. ჯუჯღუნა ქმარი არ მყავს. ბულკივითაა, მაგრამ მაინც ჩვენ ერთად ვიყოთ. იცოდე, რომ ჩვენ ქმრები ვერ შეგვაშინებენ. გკოცნი. როზი.

მე განდიდების მახია
ამ მეტის. დიად ადამიანების
ეს ამ ახასიათები

• მეგრელო მგელო30, არ გინდა, რა, ვინ ვისისტია და ვინ ფანდარასტი. პოლიტიკა უკვე მომაბეზრებელია. აქ განტვირთვისთვის ვამესიჯებთ და ერთმანეთს ნუ დავგრუზავთ! სინიორელა.

• მარი, გამარჯობა. ახალი არ ვარ, ზოგჯერ ვამესიჯებ, მაგრამ ორიგინალურობით ვერ გამოვირჩევი მგონი და ვერ ვხვდები „გზის" ფურცლებზე. ზოგჯერ ჯობია, უსიყვარულოდ ჩაიაროს ცხოვრებამ.

• ეჰ, ნელკა, ვისლა ახსოვხარ, თეო მგელოს გარდა? :) ბაჭია, მოგკლააავ! ხომ იცი, რატომ? გველი-16 იყავი რა და არა ბაჭია. :(ჩემი სიხარულები ხართ, შენ და ashley. :) ნელკა.

• ქართველებს არ გვყავს საკუთარ თავზე დიდი მტერი. ჩვენ ვერავინ დაგვაჩოქებდა და დაგვჯაბნიდა, თუ არა ქართველი. ისტორიამ მოღალატეთა გვარებიც შემოინახა! სინიორელა.

• ყველას ყველაფერს გილოცავთ! ყვე-ლას! კვირას დანარჩენები რატომ არ მოხვედით, ჰა? :) ილინ, მოდი, ყველა გავროზგოთ. :) ეს ხუმრობით. ვისაც შეეძლო, მოვიდა. მპუა ალლ. ნელკა.

• სანამ ლანას გავიცნობდი, მეც არ მეგონა საყვარლობა გოგო, მაგრამ უაზრო რეპლიკებს არ ვისროდი მასზე. დამიჯერეთ, კანიბალკა სიცოცხლე გოგოა და არ წახვიდე, ლან. ნელკა.

• ჩემო სიხარულო, სად ხარ, ნიკოლ? :(მაზოხისტკა, გაიხარე, ქმართან ერთად. ძალიან მაგარი ქალი ხარ. ნიკოოოლ, მალაააათ. მიყვარხააართ! თქვენი მარადმწვანე ნელკა. :)

• გამარჯობა. მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. მეც მინდა, შემოგიერთდეთ. სუყველა მაგრები ხართ, ძალიან მიყვარხართ. მარი, გთხოვ, დამიბეჭდო. ფანცქვალა.

• ეს სტიქია სად წავიდა, ნეტავ? ალბათ, სხვა ნიკით არის ისევ ჩვენთან. არადა, მართლა კაი იყო, ხომ იცით. ნუ, ყველაზე გრანდიოზული ამ „გზავნილებში" დაააა... თაი.

• „მობილი-ზაცია" კი არა, ამას უნდა ერქვას „თინეიჯერული პონტები". მეგრელები არ მიყვარს იმიტომ, რომ ამის საბაბი მაქვს, შენ კი კანიბალკა, არ შედრკე, შენ გვერდით ვარ. ბოა.

• ძალიან მიკვირს იმ ადამიანის, რომელიც ლანკაზე ცუდს ამბობს. ხალხო, ჯერ გაიცანით კარგად და მერე მიხვდებით, რომ უძალიანმაგრესი ადამიანია. მე პირადად ძალიან მაგრადმიყვარს და ვაფასებ. დამერწმუნეთ, ლანკა მართლა ანგელოზია და არავის გაქვთ უფლება, გული ატკინოთ. ლაააან, გფარავდეს უფალი მუდამ, შენ და შენს საყვარელ ადამიანებს. ნინო.

• პირველად გწერთ და თან, არა — თინეიჯერი. :) იმედია, მიმიღებთ, ბავშვებო. ყველანი ძალიან მიყვარხართ. მატილდა.

• გაუ, ყველას. როგორ გიკითხოთ? მართალი გითხრათ, პირველად ვამესიჯებ თქვენთან, მაგრამ ყოველთვის ვკითხულობდი „გზავნილებს". გკოცნით ყველას. ეთუშკინა.

• ყველას მოვიკითხავ, ჩემს ზემლიაკებს. მეგრელი მგელო-30 და მეგრელ კანიბალს გენაცვალეთ, ყველანი ჯიგრები ხართ. აგენტი 8-07.

• მეგრელო მგელო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ყოველივე კარგს, ცხოვრებაში. ჯანმრთელობას, შენი მიზნების 100%-ით ასრულებას, უფალი იყოს შენი მფარველი. აგენტი8-07.

• მეგრელო მგელო, მე კი ყოველ ზაფხულს დავდივარ თურქეთში, თანაც მინიმუმ, 1 თვით. იქაური მეგობრებიც მყავს, მაგარი სასტავი ვართ. წაგიყვანო? :) lily19.

• მგზავნელებო, ყველამ გამოგზავნეთ თქვენი წლოვანება, o.k? სად ცხოვრობთ? მარ, რატომ არ დაბეჭდე ჩემი ნომერი? ჩემს პატარას სიცხე აქვს. :(lily19.

• საგარეჯოელო ლევანი არავიაშვილო, შენ რომ გხედავ, ვდნები და ვიშლები, მარტივ მამრავლებად, შენზე ვაბოდებ, ბიჯოოო! ლიკა.

ბავშვები — ვედრო ლარად

• ვაიმე, ხალხო, რა ბედნიერი ვარ! მამიკომ ახალი მობილური მიყიდა და მთლიანად ავითვისე. :) ძაან მიყვარხარ, მაააა! miss girl.

• ბაჭია, შენი სახით ამ ჟურნალმა მეც უძვირფასესი ადამიანი მაპოვნინა. შენ რომ არა, სიცოცხლის სურვილს

• მივლინებიდან დაბრუნებულმა ცოლს ვუთხარი, მოკეთებულხარ-თქო. მერე აღარაფერი მახსოვს. თურმე, ერთი თვე დიეტაზე ყოფილა. ოლეგარიო.

• მეუღლესთან ერთად ქუჩაში მივდიოდი. თვალს ვაყოლებდი ლამაზ გოგონებს. — თხილდი, მარტო არ დატოვო! თუ კი შეიყვარებ, აღარ მიატოვო. გაიგეთ, მგზავნელობო? გიყვარდეთ და გაუფრთხილდით ერთურთს, შეცადეთ, გული არ ატკინოთ არავის. დუჩი.

• ზაზუნ, ვიზიარებ შენს მწუხარებას. ბავშვებო, ზაზუ-



ამ კაცს არ ენდოთ. რუსეთის აგენტია...

საბოლოოდ დავკარგავდი.

• ბავშვებო, თუ არ დაიზარებთ, მითხრით, გოგოსა და ბიჭის მეგობრობის გჯერათ? ყველანაირი სხვა გრძნობის გარეშე. ზოგადად ვიცი, რომ გამონაკლისები არსებობს. გარიყული.

• ზაზუ ნ, ვიზიარებ. გამაგრდი. მიყვარხარ, სიხარულო, ძაან. ღმერთი გფარავდეს. ნელკა.

• მარი, რა ხდება? 5 მესიჯი გამოვგზავნე და 2 დამიბეჭდე. ნიკოლს რომ მივულოცე დაბადების დღე, ის მაინც დაგებეჭდა. :(მეგრელი მგელო, კი მინდა, დაი. ashley pcd.

• მგზავნელებო, შინაური ცხოველები ან ფრინველები გყავთ? 9122, მეც მთიული ვარ. :) ნელკა, სესი, ლეო91, მაესტრო-21, მიხარია, რომ გაგიცანით. ashley pcd.

ნუ გავიწყდება, რომ ცოლიანი ხარო, მითხრა. — პირიქით, ტვინს მიბურღავს. — გავიფიქრე მე. ოლეგარიო.

• ეშმაკუნ, რამდენი გიწვალია, ჩემი დაბადების დღის გასაგებად. დაქალი ეგრე უნდა დატანჯო? :) ლეო91.

• ჰმ... მართალი ყოფილა: თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო, ადრე კი არ მჯეროდა. ლეო91.

• სიყვარულს გაუფრ-

ნას ძმა დაელუპა. აუ, რა ცუდია, მაგრად მეწყინა. სინიორელა, გულკეთილი სულელი უნდა იყო. სიბოროტეს ჯობია, სულელი იყო. დუჩი.

• გოუმარჯოს, ბოვშებო. რაფერ ხართ, თუ იცით? :) ოლეგს მინდა ვუთხრა, რომ შენც კარგი და მხიარული ადამიანი ხარ. მპუები, შენა. კარგები ხართ. ზოგიერთი ნუ იკბინებით, რა? დუჩი.

• ხევსურო, შენს ლექსს ვკითხულობ და ასე მგონია,

მოთხარი, რას ეძებ
ინტერნეტში და გეცოდვი,
ვინ ხარ შენ

მთელი საქართველოს სატკივარს შენ ამბობ. გაიხარე. ველური ყვავილი.

• პატარა ლელავ, შენს მეუღლეს თუ შეეხო ამნისტია? შენ გვერდით მიგულე. კანიბალკა, აგრეთვე შენ გვერდით ვარ, შეეშვით ამ ბავშვს.

• ჰო, მართლა, ნიკის მიწერა დამავიწყდა. პატარა ლელა და კანიბალკა მე მოვიკითხე. ბოა.

• კანიბალკა, რა შუაშია მაგ ვიღაცის ფიზიკურობა? შენ დიდი ხარ? სამაგიეროდ, სულით ხარ დადაბლებული. მაგან წინა ნომერში რაღაც მოგწერა და შენ ეს არ უნდა გეკადრა.

• გუმარჯოს! მე პირველად გწერთ და უნდა ვაღიარო, რომ „მობილიზაცია" მაგარია. მეგრელო მგელო, ილინ, ნინო-მილან, ყველანი მაგრები ხართ.

• მარგალ გერი-30, მა ხოლო გერეფს ვბალეიშიკენქ. lily19, მე მაგალითად, ფერრარი მირჩევნია.

• ილინ, მართლა ლამაზი ხარ. :) ზურა88.

• მიყვარხარ. ინო, მენატრები. ხუჭუჭა.

• ხელი ხელს, გული — გულს, გაუმარჯოს სიყვარულს! თიკო ხარაზიშვილს. უცნობი.

• ზურა ქილითაურო, მენატრები და მიყვარხარ. ციხის კედლები გვაშორებს ერთმანეთს, აგნეს. დამიბრუნდი მალე, გთხოვ. შენი თამო.

• აუ, რა მაგარი გოგონა ხარ. უზომოდ მიყვარხარ, ასეთი კეთილი რომ ხარ. შენთან მეგობრობა ღირს, ნამდვილად. ნინო, გილოცავ მთავარანგელოზობას. შენი კეთილი მეგობარი.

• გიორგობას გილოცავთ, სიცოცხლე ხალხო, მაგრები ხართ. სესიმ იმდენი მახარბა სამებაში შეკრება, ლამის ბეტონის მიქსერს ჩამოვყევი წყნეთიდან. :-) მაესტრო-21.

• ყველა ჭეშმარიტ ქართველს გიორგობას ვულოცავ. გაიხარეთ, ხალხო! ლეო91.

• გერასიმე, გმადლობთ, საყვარელო, შენც, ხევსურო. შემოგევლოთ თქვენა ბაჭია (გველი-16). მეგრელ მგელოს დაბადების დღეს ვულოცავ. ბედნიერებას გისურვებ, პატარავ. მპუა, მპუა, მპუა, შენა.

• როზი, არ გიყვარს, მაგრამ მაინც გილოცავ დაბადების დღეს! მე ჩემი დაბადების დღე იმიტომ მიყვარს, რომ ჩემთან ერთად ძმა და მამაა დაბადებული. არგელოდი.

• მეგრელი მგელო-30, ძალიან კარგი ადამიანი ხარ. გილოცავ დაბადების დღეს წინასწარ. დაესწარი მრავალს, სულ ბედნიერად და ჯანმრთელად. ღმერთი გფარავდეს. მუზკა.

• მეგრელო მგელო, ანუ მე, ვულოცავ ჩემს თავს დაბადების დღეს, 30 ნოემბერს. მრავალს დაესწარი, თეო, და მალე გაბედნიერებაც მომელოცოს. :) ხა, ხა, ხა! მე ვარ, მეე! მეგრელი მგელო-30.

• თეო, გილოცავ გიორგობას. მრავალს დაესწარი, ჩემთან ერთად. მიყვარხარ ძაან. შუთურია.

• აგნესას, დათო ქავთარაძეს, ქოსას, რიზას, პიტერას, ჯიბეს, ჯაგარ ჯაგარიჩს, უჩას, სიკვდილას, ვატოს, ვიტალი ჩოჩიევს, რამაზ ზაზაძეს, თემოს ვულოცავ გიორგობას. თამო.

• დაგვიანებით გილოცავთ ყველას გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს. დაესწარით მრავალს. წმინდა გიორგი ყოფილიყოს თქვენი მფარველი. non stop.

• მეგრელო მგელო-30, გილოცავ დაბადების დღეს. იყავი ყოველთვის მშვიდი და თბილი. ზოგჯერ ძალიან აგრესიული ხარ. კარგი ადამიანი ხარ და არ გიხდება. არ გეწყინოს.

შეიცვალა „მობილიზაციაში" ნომრის გაგების წესი. დღეიდან სასურველი ნომრის გასაგებად, ჩემს ნომერზე: 8.77.45.68.61 დარეკვა აღარ დაგჭირდებათ და ამის შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გექნებათ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 39-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება.

ჰორიზონტი



ოპტიმისტი

თავი აარიდე საქმიან შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს. ნუ გაიხსენებ ძველ წყენას. თუ ვინმესთან ურთიერთობის გარკვევა გსურს, ჯობს, ეს სხვა, უფრო ხელსაყრელი დროისთვის გადადო.

საქმიანი

კარგი დღეა დასვენებისა და მოგზაურობისთვის. შესაძლოა, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა დაგეძაბოს და წარსულში არსებული რომანტიკული ურთიერთობის გახსენებამ კამათიც კი გამოიწვიოს.



ოპიბმანი

ამ დღეს არ გირჩევ გაბედული ნაბიჯის გადადგმას. კარგი იქნება, თუ იმ ადამიანებთან ურთიერთობის აღდგენას შეეცდები, ვისზეც გულში წყენა გქონდა ჩარჩენილი. თავი აარიდე ახალ ნაცნობობას და ნურც სასიყვარულო პაემანზე წახვალ.

ხოთმსუთი

შესაძლოა, დღეს ღალატის მსხვერპლი გახდე, ხოლო ოჯახის წევრებმა თავიანთი სიზარმაცით გაგაბრაზონ. კარგი დღეა კარიერაში წინსვლისთვის. სასიყვარულო ვნება, რომელსაც განიცდიდი, ჩაცხრება.

ჯამასყოგი

თავი აარიდე ინტიმურ კონტაქტებს. სავარაუდოა, რომ მატერიალური სიძნელეები შეგექმნას და სამსახურში უსიამოვნება შეგემთხვევა. დღის ბოლო მშვიდი და სასიამოვნო მოვლენებით იქნება დატვირთული.

მუსუთი

არ არის სასურველი სატრანსპორტო საშუალებებით მოგზაურობა. ეს დღე კარგია საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად და ახლობლებთან საურთიერთოდ.

ყეკოსა

პირად ცხოვრებაში „ამინდი" შეიცვლება. წყენა და ურთიერთობის გამწვავება წარსულს ჩაჰბარდება. კარგი იქნება, თუ ამ დღეს საკუთარ ჯანმრთელობაზე იზრუნებ. ორგანიზაციული ნიჭი სამსახურებრივ წინსვლაში დაგეხმარება.

ჩუტჩუტ დაჭაანებულ თავს ყავის სვამს

ყავა, საქონელბრუნვის მიხედვით, ნავთობის შემდეგ პირველ ადგილზეა და თითქმის ყველა ადამიანის დღის რაციონში შედის. თუმცა, მკვლევრები მისი მავნებლობის შესახებ ბევრს წერენ.

• ნიუ-იორკში, ყავამ ლუდს „დილის ყველაზე პოპულარული სასმლის“ ტიტული წაართვა.

• ჭადრაკის პირველი ჩემპიონატები ყავახანებში ტარდებოდა.

• 1732 წელს, ყავისადმი მიძღვნილი ხელოვნების პირველი ნიმუში შეიქმნა. იოჰან სებასტიან ბახმა „ყავის კანტატა“ დაწერა.

• ოტომანთა იმპერიის კანონის თანახმად, ქალს შეეძლო ქმარს გაჰყროდა, თუ ის ცოლს ყოველდღიური ყავის ფულით ვერ უზრუნველყოფდა.

• ნორვეგიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დღის განმავლობაში მირთმეულ 3 ფინჯან ყავას ალკოჰოლის მავნე ზეგავლენის მოხსნა შეუძლია.

• უძველეს დოკუმენტებში მოხსენიებულია ღვინო, რომელიც ყავის მარცვლებისგან მზადდებოდა. მას კახვა ერქვა.

• ინგლისურ სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია, სადაც ნათქვამი იყო, რომ ქალები, რომლებიც დიდი რაოდენობით ყავას მიირთმევენ, ძნელად ორსულდებიან.

• ყავისა და ალკოჰოლის ნარევს — „ყავა ირლანდიურად“, შეუძლია ინსულტის შედეგად დაზიანებული ტვინის უჯრედების აღდგენა.

ყავის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი ამბობს, რომ ის სასარგებლოა, ზოგიერთი კი ამტკიცებს, რომ ყავა მავნებელია. განსაკუთრებით მაშინ, თუ მას დიდი რაოდენობით მიირთმევ. თუ ასეა, აიძულე თავი, რომ ყავის სმას მოუკლო ან საერთოდ აღარ დალიო. დაიმახსოვრე, რომ ვინც ყავას ხშირად სვამს, დილით მოთენთილი იღვიძებს. თუკი რჩევას გაითვალისწინებ, გაცილებით ენერგიულად იგრძნობ თავს, მათთან შედარებით, ვისაც „დოზა“ სჭირდება საიმისოდ, რომ დღე დაიწყოს.

1. თანდათანობით დააღწიე თავი ყავას. ეს განსაკუთრებით მას ეხება, ვინც დღის განმავლობაში რამდენიმე ფინჯანს მიირთმევს.

2. ადამიანი ეჩვევა კოფეინს. თუ ყავის სმას უცებ დაანებებ თავს, ეს აბსტინენტის სინდრომს გამოიწვევს, რაც ძლიერი თავის ტკივილით, დაღლილობის, გულისრევის შეგრძნებითა და დეპრესიით გამოიხატება.

3. ყავის დოზა ყოველდღიურად შეამცირე. მაგალითად, თუ დღის განმავლობაში 6 ფინჯან ყავას მიირთმევდი, ახლა შეეცადე, სამზე მეტი არ დალიო. გარკვეული ხნის შემდეგ, ეს დოზაც გაანახევრე. თუ ზემოთ ხსენებული აბსტინენტის სინდრომს გამოიწვევს, მაშინ დოზას ასე მკვეთრად ნუ შეამცირებ.

4. შესაძლებელია, მეორე მეთოდს მიმართო. ჩვეულებრივი ყავა უკოფეინო ყავით შეცვალე. დღის განმავლობაში შეგიძლია, იმდენივე ფინჯანი მიირთვა, რამდენსაც წინათ სვამდი და მხოლოდ 1 ფინჯანი ჩვეულებრივი ყავა.

5. მეტი იძინე. ადამიანთა უმეტესობას 7-9 საათის ძილი სჭირდება, რომ დაისვენოს.

6. საძინებელი ოთახი სახლის მყუდრო ნაწილში უნდა მოაწყო, რათა ხმაურმა არ შეგაწუხოს; ამასთანავე, ის ხშირად უნდა გაანიავო.

7. თუ კარგად ვერ გამოიძინებ, დილით დაღლილი გაიღვიძებ. ამიტომ, თუ უძილობა გაწუხებს, ექიმს მიაკითხე.

8. როდესაც იღვიძებ, ფარდები ბოლომდე გადასწიე და ოთახი კარგად გაანათე. მკვეთრი სინათლე ტვინს „აცნობებს“, რომ გაღვიძების დროა.

9. დილით აუცილებლად ისაუზმე. ეცადე, ცილებით მდიდარი საკვები მიიღო. გამოკვლევების თანახმად, პროტეინი ადამიანს აფხიზლებს და ენერგიას მატებს.

10. ტკბილეული დაივიწყე. თავიდან გაგიჭირდება, მაგრამ მერე ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და თავსაც უკეთ იგრძნობ.

11. დილაობით ივარჯიშე. ეს მთელი დღის მანძილზე ენერგიას შეგინარჩუნებს.

12. თუ დილით კოფეინის დოზა გჭირდება, უმჯობესია, მწვანე ჩაი მიირთვა. მასში გაცილებით მცირე რაოდენობითაა კოფეინი, ვიდრე ყავაში. თანაც, მწვანე ჩაი ანტიოქსიდანტებს შეიცავს და შესანიშნავი გამამხნევებელი სასმელია.

ქალი იცინის, შოცვა შეუძლია და ღიმილს — შოცვა უნდა

პირამიდები, ჭაობი ცენტრალურ ქუჩაზე, „დაკრეჭილი“ ეუმიები და აკირიოდან დანაკული თბილისი

ქართველების საქართველოს მოგზაურობა ეგვიპტეში

დასაწყისი იხ. „გზა“, №47

ნათია ქევეძე

ეგვიპტეში ისტორიულად ყველაზე საინტერესო ქალაქი კაირო, რადგან, როგორც ცნობილია, იქ ჩასულ ტურისტებს უძველესი პირამიდებისა და სფინქსის ქანდაკების ნახვა შეუძლიათ. რა თქმა უნდა, გამონაკლისი არც ჩვენ ვყოფილვართ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მოგზაურობიდან უკვე 12 დღე იყო გასული და ორივეს საქართველოში დაბრუნება გვინდოდა, გადავწყვიტეთ: პირამიდების გამო ეგვიპტეში კიდევ 2 დღით გაჩერება ნამდვილად ღირდა.

შარმ-ელ-შეიხიდან ჩაფრენისთანავე, კაიროს აეროპორტში ისევ ჩვენი ულვაშიანი „ტრანსფერი“ დაგვხვდა, რომელსაც ისე აინტერესებდა, როგორ გავატარეთ ზღვის სანაპიროზე ის დღეები, რომ სასტუმრომდე სულ შეკითხვებს გვისვამდა. მერე სასტუმრო „ზოსერში“ დაგვაბინავა და გვამცნო, რომ მეორე დღეს ჩვენი გიდი რუსი ქალბატონი ლიდია იქნებოდა. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ კაიროში ჩასული ტურისტები თუ ოთხვარსკვლავიანის ნაცვლად, უფრო დაბალი დონის სასტუმროში დაბინავდებიან, ეს სანანებლად გაუხდებათ, რადგან როგორც „გზის“ წინა ნომერში მოგითხრობდით, კაირო მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ბინძური ქალაქია. მასში შესვლისთანავე, ისეთი სიმყრალე გეცემა ცხვირში, რომ თავდაპირველად, შესაძლოა, ამოსუნთქვაც კი ვერ შეძლო. გარდა ამისა, არც ერთი შენობის მინები გაწმენდილი არ არის. როგორც ჩანს, იქ მინის საწმენდი საშუალებების ბიზნესს არ ეწევიან. ვათვალიერებდით საცხოვრებელი ბინების სარკმლებს და გვიკვირდა, ასეთი ტალახიანი რომ არის, გარეთ გახედვა მაინც არ უნდათ-თქო? მით უმეტეს, რომ ფანჯრებს საერთოდ, არ აღებენ, რადგან კლიმატის გამო, ყველა ფენის ოჯახს კონდიციონერი აქვს დამონტაჟებული.

სასტუმრო „ზოსერიც“ ქალაქშიც ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სასტუმროდაა მიჩნეული, მაგრამ მასში შესასვლელი კარი მინისაა და ისეთი ბინძურია, შიგნით ვერ შეიხედავ. ვისაც სად გაუხარდება, ნაგავს იქ ყრის. ჩვენი განსაკუთრებული აღშფოთება ქალაქის ერთ-ერთმა ცენტრალურმა ქუჩამ გამოიწვია, რომლის შუაშიც, მთელ სიგრძეზე ჭაობი იდგა, მის გაყოლებაზე კი ნაგავსაყრელი გაემართათ. ქუჩის ორივე მხარეს სახლებია ჩამწკრივებული, რომელთა მობინადრენიც აივნებზე მშვიდად სადილობდნენ...

როგორც ცნობილია, კაირო აფრიკის ყველაზე დიდი ქალაქია, იქ 17 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ამის გამო, აბსოლუტურად ყველა ქუჩასა თუ ჩიხში ავტომობილების უშველებელი საცობია, ამდენად, ერთი ადგილიდან მეორემდე მისაღწევად საკმაო დროა საჭირო. რაც შეეხება იქ მცხოვრებთ, — მიუხედავად აღნიშნული კლიმატური პირობებისა, ყველა ქალი საკმაოდ გრძელი და თბილი კაბითაა შემოსილი და გარეთ თავსაბურავის გარეშე არ გადის. ალბათ სწორედ ამიტომ, თბილისისგან განსხვავებით, კაიროში არც ერთი საპარიკმახერო და სილამაზის-სალონი არ შეგვინიშნავს...

როგორც იქნა, მეორე დღეც გათენდა და ქალბატონმა ლიდიამ სასტუმროში მოგვაკითხა. სწორედ მაშინ შევიტყვეთ, რომ თურმე გიზის გამზირზე ვცხოვრობდით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სწორედ ჩვენი ქუჩის ბოლოში მდებარეობდა გიზის პლატო, სადაც უძველესი სამი პირამიდა და სფინქსის ქანდაკებაა შემორჩენილი.

ამ სამი პირამიდის გარშემო პაგარ-პაგარა ქვის სახლების ნანგრევებია

პლატოზე მისულებს, შესასვლელთან იმდენი ავტობუსი და ტურისტი დაგვხვდა, რომ კარგა ხანს რიგში დგომამ მოგვინია. როგორც ჩვენმა გიდმა გვიამბო, პირველი, ყველაზე დიდი პირამიდა, მეფე ხუფუმ ჩვ.წ.აღ-მდე 2551-2528 წლებში ააგო. ხუფუ სამეფო გვარის მეოთხე დინასტიის მეორე მმართველი გახლდათ და იგი ბერძნულად, „ხეოფსად“ მოიხსენიება. ხეოფსის პირამიდა უძველესი სამყაროს შვიდი საოცრებიდან ერთადერთია, რომელიც კაცობრიობას აქამდე შემორჩენია. სამწუხაროდ, ხეოფსის კვალი დიდ პირამიდაში დღემდე არ არის აღმოჩენილი, რადგან მისი მუმია სამარხების მძარცველებმა გაიტაცეს. ხეოფსის პირამიდის სიმაღლე 147 მეტრია და მეცნიერთა გამოთვლით, მის ასაგებად, მილიონზე მეტი ქვის ლოდია გამოყენებული. ამ პირამიდის გვერდით, ხუფუს ვაჟის, ხაფრას პირამიდაა აგებული, რომლის სიმაღლეც 143,5 მეტრს აღწევს; მესამე, ყველაზე პატარა პირამიდა კი, ფარაონ მენკაურას ეკუთვნის და მისი სიმაღლე 65 მეტრია. ამ სამი პირამიდის გარშემო პატარ-პატარა ქვის სახლების ნანგრევებია, სადაც თურმე არქიტექტორები და სხვა მომსახურე პერსონალი ცხოვრობდა...

ამ ამბის მოყოლის შემდეგ, ლიდიამ გვითხრა, რომ თვითონ ჩრდილში დაგველოდებოდა, ჩვენ კი პირამიდაში შესვლის საშუალება გვქონდა, თან მკაცრად გაგვაფრთხილა, — არც ერთ არაბს არ გამოელაპარაკოთო. რამდენიმე ნაბიჯის გადადგმისთანავე, ჩემს მეუღლეს გვერდით ვიღაც არაბი ამოუდგა და ბედნიერი ღიმილით ჰკითხა, — საიდან ჩამოხვედითო? პასუხის მიღებისთანავე, მე ამათვალიერ-ჩამათვალიერა და შემდეგი კითხვა დასვა: ამის (ე.ი. ჩემ) გარდა, კიდევ რამდენი ცოლი გყავსო? როცა შეიტყო, რომ ჩვენი რელიგია ერთზე მეტი ცოლის ყოლას კრძალავს, კმაყოფილების ნიშნად, თავი გადააქნია: — ეს ერთი გყავს და ძალიან კარგიო. მერე ჩვენივე ფოტოაპარატი მომაჩეჩა ხელში და მთხოვა, — მე და შენ ქმარს სურათი გადაგვიღეო. მოგვიანებით, ერთი ფოტო თვითონაც გადაგვიღო და როცა ვემშვიდობებოდით, გაოცებულმა გვკითხა, — ფოტოებისთვის ფული არ უნდა გადამიხადოთო? თურმე ამის გამო გაგვაფრთხილა ქალბატონმა ლიდიამ, არაბებს არ გამოელაპარაკოთო. იმ კაცის შემდეგ კიდევ უამრავმა ადამიანმა სცადა ჩვენთან სურათის გადაღება, ბედუინები აქლემებით დაგვდევდნენ და მკაცრი ტონით მოითხოვდნენ, — ახლავე ფული მოგვეციოთო! როგორც ჩანს,

პირამიდების დათვალიერების შემდეგ, სფინქსის ქანდაკებისკენ გავემართეთ

არაბების ერთი ნაწილი ასე არჩენს ოჯახს...

როგორც იქნა, პირამიდამდე ავედით და შესასვლელს მივუახლოვდით, სადაც 20 დოლარი უნდა გადაგვეხადა, შიგ რომ შევსულიყავით. შესვლისთანავე, ვიწრო გვირაბში მოვხვდით, რომელშიც დაახლოებით 5 წუთის განმავლობაში, მოხრილ მდგომარეობაში უნდა გვევლო. იმ დერეფნის ბოლოს დიდი ოთახი იყო, სადაც წესით, ხეოფსის მუმია და სარკოფაგები უნდა დაგვხვედროდა, მაგრამ ოთახი ცარიელი გახლდათ. არაბებმა გამოაცხადეს, — ხეოფსის არა, მაგრამ სხვა ფარაონების მუმიების ნახვა მუზეუმში შეგიძლიათო.

პირამიდების დათვალიერების შემდეგ, სფინქსის ქანდაკებისკენ გავემართეთ, რომელიც პირამიდების ქვემოთ დგას, მათგან სამხრეთით მდებარეობს. ეს ქანდაკება ჩვ.წ.აღ-მდე დაახლოებით 2500 წელს, ხაფრას მმართველობის დროს, კლდის გაშიშვლებული ქანებისგან გამოკვეთეს. მისი თავი სავარაუდოდ, მეფე-ღმერთის — ხაფრას ხატის მიხედვითაა შექმნილი. მოგვიანებით, ქანდაკებას თაყვანს სცემდნენ, როგორც მზის ღმერთ ჰარემახეთს. სფინქსი ბათქაშით დაფარული და მკვეთრი ფერებით მოხატული ყოფილა, მაგრამ ამჟამად ძალზე დაზიანებულია, ცხვირი და წვერი ჩამონგრეული აქვს, თუმცა შუბლზე ჯერ კიდევ შემორჩენილია კობრის სიმბოლოს ნაწილი.

გიზის პლატოდან კვლავ გამზირზე გავემართეთ, სადაც პარფიუმერიის ცენტრია განთავსებული. ამ ცენტრში ყვავილების ნატურალურ ზეთებს ამზადებენ, რომლებსაც, სხვათა შორის, ფრანგი პარფიუმერები იყენებენ. ეს ზეთები საფრანგეთში პირველად, ნაპოლეონის მმართველობის დროს გაიტანეს. ფრანგული პარფიუმერია მსოფლიოში ცნობილია, მაგრამ ის კი არავინ იცის, რომ იქაური სუნამოების განუმეორებელი არომატი ეგვიპტური ყვავილების წყალობითაცაა მიღწეული.

მომსახურე პერსონალმა პირველად, ყვავილის — ლოტოსის ზეთი გვიჩვენეს, რომელსაც თურმე მხოლოდ ფარაონის ცოლები იყენებდნენ და მათ ამ ზეთს, სარკოფაგებშიც კი აყოლებდნენ. ეგვიპტელებს მიაჩნიათ, რომ ლოტოსი სიყვარულის სიმბოლოა. სხვათა შორის, ბევრი ზეთი სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, ჩემი არჩევანი მაინც ლოტოსზე შევაჩერე და სწორედ ეს ზეთი შევიძინე. ეგვიპტელთა ღრმა რწმენით, ადამიანმა სუნამო პირამიდისებურად უნდა დაისხას: თვალებს შორის და ყურების ქვეშ. მარჯვენა ყური სიყვარულის სიმბოლო ყოფილა, მარცხენა — ბედნიერების, ხოლო შუბლი — მარადისობის.

პარფიუმერიის ცენტრიდან, პაპირუსების ცენტრისკენ გავემართეთ. დარბაზში შესვლისთანავე აღვფრთოვანდით, რადგან ყველა კედელზე სხვადასხვა ფერისა და ზომის პაპირუსი იყო გამოფენილი. მსურველს მათი შეძენაც კი შეეძლო, მაგრამ ამაზე თავიდანვე უარი ვთქვი, რადგან საკმაოდ ძვირი ღირდა. თანაც, სწორედ ასეთი პაპირუსები შარმ-ელ-შეიხში საკმაოდ იაფად გვქონდა ნაყიდი. არაბმა გოგონამ აგვიხსნა, — თქვენი პაპირუსები ყალბი შაქრის ღეროსაგან იქნება დამზადებული და ამიტომ ღირდა იაფიო. მერე ჯერ ის გვიჩვენა, თუ როგორ მზადდება ნამდვილი პაპირუსი, მოგვიანებით კი ისიც გაგვიმხილა, ნამდვილი ყალბისგან როგორ უნდა გაგვერჩია. ფოტოების გადაღება რომ დავაპირეთ, გვითხრეს, — ეს აკრძალულია, თუ პაპირუსს შეიძენთ, მხოლოდ მაშინ დაგრთავთ ამის ნებასო. მიუხედავად ამისა, ქართული სიჯიუტე გამოვიჩინეთ და რამდენიმე კადრი მაინც გადავიღეთ.

სულ ბოლოს, კაიროს ეროვნულ მუზეუმს ვესტუმრეთ, რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში მდებარეობდა და იქ მისასვლელად, დაახლოებით 2 საათი დაგვჭირდა. გზად, მდინარე ნილოსს ჩავუარეთ. სხვათა შორის, ნილოსის სანაპიროზე გაშენებული სახლები კაიროსთვის უჩვეულოდ ფეშენებელურია და ის ქუჩაც სისუფთავით გამოირჩევა, რამაც ჩვენი გაკვირვება გამოიწვია. გიდმა აგვიხსნა: — აქ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები და კაიროს მთავრობის წევრები ცხოვრობენ, საელჩოებიც აქვე განთავსებული, ამიტომაა ეს უბანი ასეთი სუფთაო. ნილოსის სანაპიროზე უამრავი რესტორანია აშენებული. უმრავლესობას გემისა და ტივის ფორმა აქვს.

სულ ბოლოს, კაიროს ეროვნულ მუზეუმს ვესტუმრეთ

რასაკვირველია, მუზეუმში შესასვლელადაც გარკვეული თანხის გადახდა იყო საჭირო, მაგრამ მისი გაღება ნამდვილად ღირდა იმად, რაც შიგნით ვიხილეთ. სამსართულიანი შენობა საკმაოდ ვრცელია. პირველ სართულზე ფარაონებისა და მათი ცოლების ქანდაკებები და ნივთები იყო გამოფენილი, რომლებიც არქეოლოგებმა გათხრების შედეგად, სხვადასხვა დროს აღმოაჩინეს. მეორე სართული მთლიანად ტუტანხამონის მმართველობის ამსახველი ექსპოზიციისთვის იყო დათმობილი. როგორც ცნობილია, ის 12-დან 20 წლამდე იჯდა ფარაონის ტახტზე, ხოლო შემდეგ გარდაიცვალა. მისი სახელი ისტორიას არც შემორჩებოდა, ერთ-ერთ ფრანგ მეცნიერს ტუტანხამონის სამარხი რომ არ აღმოეჩინა, სადაც ძალზე დიდი განძი იყო ჩამარხული. როცა სარკოფაგი გაუხსნიათ, მის მუმიას სახეზე ოქროს ნიღაბი ჰქონია აფარებული. ეს ნიღაბიც იმავე მუზეუმში ინახება. გარდა ამისა, იქ გამოფენილია ფარაონის სხვა, ოქროსა და ფაიფურის ნივთები, წარმოიდგინეთ — მისი ოქროს ფეხსაცმელები და საწოლიც კი. როგორც ცნობილია, ტუტანხამონს ნეფერტიტის ქალიშვილი ჰყოლია ცოლად. დარბაზის ბოლოში ფარაონის პარიკები იყო გამოფენილი, რომლებიც თურმე ბუნებრივი თმისგან ყოფილა დამზადებული. პარიკებს რომ ვათვალიერებდით, ჩვენმა გიდმა ასეთი აზრი გამოთქვა, — როგორც ჩანს, ქართული ფაფახი ფარაონების მიბაძვით შეიქმნაო. მიუხედავად იმისა, რომ ლიდია მთელი ექსკურსიის მანძილზე საკმაოდ თბილად გვეპყრობოდა, ქართველებისადმი აგრესია ამ ფრაზით გამოხატა. ბუნებრივია, შევეკამათე. მთის ხალხს სად ჰყავდათ ნანახი ფარაონები-მეთქი?! — მაგრამ მაინც არ დამიჯერა...

მუზეუმის მესამე სართულზე მუმიების განყოფილებაა. იქ შესასვლელად, კიდევ უნდა გადაიხადო გარკვეული თანხა. დამერწმუნეთ, „დაკრეჭილი" მუმიები არც ისე სასიამოვნო სანახავია...

მუზეუმით ჩვენი ექსკურსია დასრულდა და სასტუმროში დაგვაბრუნეს. იქ. შემოგვთავაზეს, — არაბული ცეკვის ღამეზე დაგპატიჟებთო, — მაგრამ თავაზიანი უარი ვუთხარით. არც შევმცდარვართ, რადგან მთელი ღამე სასტუმროს დარბაზიდან გულის გამაწვრილებელი ჰანგები გვესმოდა. ერთი კი გავიფიქრე, — ნეტავ, დამანახვა, არაბი ქალები დისკოთეკაზეც ჩადრებით ცეკვავენ თუ არამეთქი, — მაგრამ მალევე გადავიფიქრე. ერთი სული გვქონდა, დილა როდის გათენდებოდა და საქართველოში გამოვემგზავრებოდით. სწორედ კაიროს ფონზე მივხვდი, რომ თბილისი საოცრად ლამაზი და სუფთა ქალაქი ყოფილა...

როგორ გამოვიწეროთ ჟურნალი „გზა“

ამოჭერით და შეავსეთ ქვითარი. თქვენი პირადი მონაცემები (სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი) მიუთითეთ გარკვევით.

შევსებული ქვითრით მიმართეთ ნებისმიერ ბანკს და გადაიხადეთ თქვენ მიერ შერჩეული ვარიანტის შესაბამისი თანხა. აუცილებლად შეინახეთ ქვითრის ის ნაწილი, რომელიც ბანკის მიერ არის დამოწმებული.

თანხის გადახდიდან 3 დღის განმავლობაში თქვენ დაგიკავშირდებათ შპს „ელვასერვისის“ წარმომადგენელი და დაგიდასტურებთ თქვენ მიერ გადახდილი თანხის ჩარიცხვას ჩვენს ანგარიშზე, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ თქვენი შეკვეთა მიღებულია.

შენიშვნა: ყოველი თვის 20 რიცხვამდე თანხის გადახდის შემთხვევაში გამოცემას მიიღებთ მომდევნო თვიდან, 20 რიცხვის შემდეგ გადახდის შემთხვევაში – ერთი თვის გამოტოვებით.

მიმღები: შ.პ.ს. „ელვასერვისი“
„საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი
ა / ა 3602000113. ბანკის კოდი 220101502
საიდ. კოდი 211399299

გადახდის დანიშნულება:
ჟურნალ „გზის“ გამოწერა 6 თვით: ☐ 20,80 ლარი
ჟურნალ „გზის“ გამოწერა 1 წლით ☐ 41,60 ლარი
(მონიშნეთ თქვენთვის სასურველი ვარიანტი)

აირჩიეთ გამოწერის პერიოდი:

2008 წელი											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

გადამხდელი: _____
(სახელი და გვარი ან ორგანიზაციის დასახელება)

მისამართი _____
(გამოწერა შესაძლებელია მხოლოდ თბილისის ფარგლებში)

ტელეფონი _____
(ტელეფონის და მისამართის მითითება სავალდებულოა)

გადასახდელი თანხა: _____
6 თვით - 20,80 ლარი, 1 წლით - 41,60 ლარი

მიმღები: შ.პ.ს. „ელვასერვისი“
„საქართველოს ბანკის“ ცენტრალური ფილიალი
ა / ა 3602000113. ბანკის კოდი 220101502
საიდ. კოდი 211399299

გადახდის დანიშნულება:
ჟურნალ „გზის“ გამოწერა 6 თვით: ☐ 20,80 ლარი
ჟურნალ „გზის“ გამოწერა 1 წლით ☐ 41,60 ლარი
(მონიშნეთ თქვენთვის სასურველი ვარიანტი)

აირჩიეთ გამოწერის პერიოდი:

2008 წელი											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12

გადამხდელი: _____
(სახელი და გვარი ან ორგანიზაციის დასახელება)

მისამართი _____
(გამოწერა შესაძლებელია მხოლოდ თბილისის ფარგლებში)

ტელეფონი _____
(ტელეფონის და მისამართის მითითება სავალდებულოა)

გადასახდელი თანხა: _____
6 თვით - 20,80 ლარი, 1 წლით - 41,60 ლარი

მდევარი ბოლონი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-47

ზაზა ვაჩნაძე

ქუჩაში, უცხო ქალაქში, უცხო ენაზე მოლაპარაკე ხალხში მარტოდმარტო დარჩენილმა ანუკიმ, რომელიღაც სკოლას შეაფარა თავი. სკოლის მოსწავლე ამაზე უკეთეს ადგილს ვერც ინატრებდა. ხან ტუალეტში იმალებოდა, ხან ცარიელი კლასი მოძებნა. პირველ სართულზე ერთ-ერთ კლასში, გატეხილი ფანჯარა იპოვა და სკოლის უკანა ეზოში გადაძვრა. ხეხილის ბაღში აღმოჩნდა. ძირითადად, წვრილკურკოვანი ხეები იყო, ქლიავის და ტყემლის. გაუკვირდა, ჯერაც მწიფე ხილი რომ ესხა ხეებს და ბავშვებს არ ჩამოელეწათ ტოტები. მიაძღა. ხილს ფრინველი შესეოდა. იდგა ერთი ჟივჟივი და ჟრიამული. ჩამობნელდა, ფრინველი გაიკრიფა და ბაღი დადუმდა. ისევ იმ გატეხილი ფანჯრიდან გადაიპარა სკოლაში. თუ ფიზკულტურის დარბაზი ღია იქნებოდა, გადარჩენილი იყო — ლეიბი და ბალიში გარანტირებული ჰქონდა. დაადო თავი და პირდაპირ დარბაზს მიადგა.

იქაური სკოლა მისი სკოლისგან არაფრით განსხვავდებოდა. ყველაფრით მისი ასლი იყო. ანუკი ამან მაგრად გააკვირვა, მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა, რომ კომუნისტები ყველა ქალაქში ერთნაირ სკოლებს, კინოდარბაზებსა და თეატრებს აშენებდნენ?.. არსებობდა ტიპური პროექტი და მორჩა. ასე რომ, ანუკის არც ტუალეტის მოძებნა გასჭირვებია და არც ბუფეტის მიგნება, რომელიც ცხადია, დაკეტილი დახვდა.

...მერე იწვა საჭიდაო ლეიბზე სპორტდარბაზში და ჭერს შეჰყურებდა. თანდათან მანქანების ხმაურიც მიწყდა. დაბნელდა და ანუკიც წყვდიადისა და სიზმრების საუფლოში გადასახლდა. ჩაეძინა. ესიზმრა, თითქოს პატარა იყო, კარუსელზე იჯდა და ხელებს წინ იწვდიდა, რადგან წინა ცხენებზე დედიკო და მამიკო ისხდნენ, რაღაცას ლაპარაკობდნენ და ანუკისკენ არც იყურებოდნენ. გოგონა ეძახდა, უნდოდა დასწეოდა, ხელი მოეკიდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. კარუსელი სიჩქარეს უმატებდა, თავბრუდამხვევად ტრიალებდა, ანუკი კი მშობლებს მაინც ვერა და ვერ სწვდებოდა...

გამოეღვიძა. მიხვდა, რომ კიოდა. ისევ ძილ-ღვიძილში იყო. კარგა ხანს ვერ მოვიდა გონზე, ვერ მიმხვდარიყო — რატომ იწვა უზარმაზარ დარბაზში ცარიელ ტყავის ლეიბზე და ზედ არაფერი ეფარა. ოფლში ცურავდა. აბოდებდა... მიხვდა, რომ სიცხე ჰქონდა. წყალი სწყუროდა. წამოდგა. ბორძიკ-ბორძიკით მიაგნო ბნელში ტუალეტს. პირი მოიბანა. წყალი დალია და უკან დაბრუნდა... სციოდა, ტანზე აუცილებლად რაიმე უნდა დაეფარებინა. დარბაზის ერთ კუთხეში, ფრენბურთის დახვეულ ბადეს მიაგნო, გაშალა და გადაიფარა. დიდხანს, ძალიან დიდხანს ბორგავდა. როდის-როდის ჩაეძინა — გათენებისას, ბაღში პირველი ფრინველი რომ აჟღურტულდა, მაშინღა...

ბესლანის უზარმაზარი ბაზრობა რამდენჯერმე ჯვარედინად და გარდიგარდმოც რომ გადათელ-გადმოთელეს, ვალიკომ და გოჩუნამ ახლა ქალაქის ცენტრალური ქუჩები და საგარეუბნო გზებიც კი გვარიანად ტკეპნეს. ვინ იცის, იმ სკოლასაც აუარ-ჩაუარეს, რომელსაც ანუკიმ შეაფარა თავი, კვალს კი მაინც ვერსად წააწყდნენ. ვაგზალშიც შეიარეს და ავტობუსებისა და „მარშრუტკების“ ოფიციალური თუ არაოფიციალური სადგურებიც გვარიანად „გადაჩხრიკეს“.

...ილიას ცოლს, გულიკოს ხაბიზგინებიც დაეცხო, ქათამიც დაეკლა და როცა დაღლილ-დაქანცული მამაკაცები გამოჩნდნენ, სწორედ იმ ქათამს აშიშხინებდა ტაფაზე. მასპინძლების მესამეკლასელი გოგონა, ზეინაბი კი, საძინებელ ოთახში თავის პატარა მაგიდას მისჯდომოდა და გაკვეთილებს სწავლობდა.

— იმათ თუ თავ დააღწია, არაფერღა უჭირს... ცოცხალ იქნების, უეჭველი, შეიკედლებდის ვინმეი, — ამშვიდებდა ორივეს ილია.

— ძალიან ლამაზია, — მეტი ვერაფერი თქვა გოჩუნამ, რომელსაც სიყვარულის ცეცხლი ახლა უფრო მძლავრად შემონთებოდა, რადგან ანუკის დაკარგვას საკუთარ თავს აბრალებდა, — ამისთანა გოგო მარტო როგორ დავტოვე?! მე რომ მის გვერდით ვყოფილიყავი, ხომ თავს შევაკლავდი, არ გავატანდი და გადავარჩენდიო, — ფიქრობდა. ყველაფერს, ყველა დეტალს, მასთან გატარებულ ყოველ წუთსა და წამს მერამდენედ იხსენებდა და სასოწარკვეთილებას ეძლეოდა. ვინ იცის, ვიღაც მხეცების ხელშია, აწამებენ და... დანარჩენზე ფიქრი უკვე აგიჟებდა და აცოფებდა. სასმელს მიეძალა, კაცებს სადღეგრძელოებზე თავს უქნევდა და უაზროდ ყლურწავდა. შიგადაშიგ სუფრაზეც ბრუნდებოდა, ერთ-ორ სიტყვას ჩააგდებდა, ვალიკოს ხუმრობაში აჰყვებოდა, მაგრამ მალევე ისევ თავის სიყვარულს უბრუნდებოდა. ანუკი სჭირდებოდა, მის გვერდით ყოფნა უნდოდა, ანუკის გარეშე ერთი წამითაც აღარ შეეძლო ცხოვრება... არაყმა ტვინი აუდუღა. მტევნებს მუშტავდა და გულში თავისთვის, უჩუმრად იმუქრებოდა.

— ახლა გავიდეთ და ფეხბურთ, ხო გინდათ? ხო ითამაშებთ? — თქვა უეცრად ილიამ და კაცებს გადახედა. — ხო თამაშობ ფეხბურთს? — შეეკითხა ის გოჩუნას.

— ფეხბურთს? ჰო, როგორ არა! — გამოერკვა გოჩუნა.

— ჰოდა, ჩვენს სახლს უკან სკოლის მინდორ არ, ნამდვილი სტადიონი, — დაამატა ილიამ. — წამოით!

წამოიშალნენ და გავიდნენ, მთვრალები, გალეწილები...

გაშლილმა მწვანე მინდორმა სამივენი ცოტათი გამოაფხიზლა. ვიღაც ბიჭები მოედანზე უკვე დასდევდნენ ბურთს.

— აბაი, მაკედით მასტერ-სპორტები! — დაიძახა ილიამ. — მახეეები არიან ესენიცა.

ბიჭებმა თამაშს თავი ანებეს და ყველანი მათკენ წავიდნენ. ვალიკო ყველამ სათითაოდ გადაკოცნა. მოიკითხეს, გაეღლაბუცნენ, რადგანაც კარგად იცოდნენ მისი ხასიათი. გოჩუნას კი ხელი ჩამოართვეს.

სამეულს ორი ბიჭი დაამატეს, ვალიკო კარში ჩააყენეს და გაჩაღდა ფეხბურთი, რომელიც გოჩუნასთვის ანუ მისი თავდავიწყებისთვის, ნამდვილი მისწრება იყო. დაღამებამდე, დაბნელებამდე სდიეს ბურთს. გოლებსაც ითვლიდნენ. მერე კი, როცა ბურთი აღარც ჩანდა და სიბნელის გამო თამაში შეუძლებელი გახდა, დაამთავრეს, ცოტა იტრაბახეს, გატანილი გოლები გაიხსენეს, — ხვალ გავაგრძელოთო, — დათქვეს და დაიშალნენ.

ამდენი შთაბეჭდილებით და ფეხბურთის თამაშით უზომოდ დაღლილ-დაქანცულ, ნამთვრალევ გოჩუნას მკვდარივით, ლამის საღამოს ძილით ჩაეძინა.

როცა გამოღვიძებულმა ანუკიმ თავი ასწია და მიმოიხედა, საოცარი სურათი დაინახა: დარბაზი ბავშვებით გადაჭედილიყო, ტანზე გაეხადათ და იატაკზე

იწვნენ. ვიღაც იარაღმომარჯვებული ნიღბიანები კი, რომლებიც მათ წინ სკამებზე ისხდნენ და ნიღბის ჭრილებიდან თვალებს აბრიალებდნენ, ყველა იქ მყოფს, ლაპარაკსა და განძრევას უკრძალავდნენ. „მალჩაკ! რაზგავორი!“ მალ-მალე ისმოდა მათი ზიზღნარევი ხმა. ანუკიმ თვალები მოიფშვნიტა და დასიცხული პირი დააღო. საშინლად სწყუროდა, ტანზე კი ისევ ოფლად იყო გაღვრილი. ჯერ ვერ მიხვდა, რა ხდებოდა, იფიქრა, ფილმს თუ იღებენო, მერე და მერე კი ბავშვების გაკვირვებულ და უიმედო სახეებზე სასოწარკვეთილება, მონური მორჩილება და უსაზღვრო შიში რომ ამოიკითხა, მისთვის ცხადი გახდა, საზარელ რეალობაში რომ აღმოჩნდა. მიხვდა, რომ სხვებთან ერთად, ისიც მძევალი იყო და არ უნდა გატოკებულიყო. ღამით, სიცხის გამო, ფრენბურთის ბადეც მოესროლა და ტანზეც გაეხადა თურმე, ასე რომ, სხვა ბავშვებისგან არაფრით განსხვავდებოდა და ამიტომაც არავინ შეხებია. წყურვილი კლავდა და ტუალეტშიც უნდოდა, მაგრამ როგორ უნდა მოქცეულიყო, არ იცოდა. ანუკი კედელთან იწვა. მის გვერდით კი ათი-თერთმეტი წლის გოგონა გამტკნარებულიყო, ცარიელ ტრუსში. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. გოგონამ თავი დაუქნია, ანიშნა, — არაფერი თქვაო. ანუკიმ თვალები დახუჭა. „სადა ვარ, რა მინდა აქ?“ — გაიფიქრა. გაღვიძებულს მალე შეაშრა ტანზე ოფლი, ახლა შესცივდა და გააჟრჟოლა. აკანკალა. ანუკის ფეხების მოძრაობაზე გოგონა მიხვდა, რომ მას ტუალეტში უნდოდა: ხელი ასწია.



— „ვ ტუალეტ ხაჩუ“, — თქვა გოგონამ.

ანუკი მიხვდა, რომ გოგონამ მიანიშნა, როგორც უნდა მოქცეულიყო და მანაც ხელი ასწია.

— „ხაჩუ ვ ტუალეტ“!

— „ტოლკო ვდვაიომ“! — გაისმა ბრძანება.

ის გოგონა და ანუკი ერთდროულად წამოდგნენ.

— „პაშლი“! — გაისმა ბრძანება.

ტუალეტისკენ ნიღბიანი შეიარაღებული მამაკაცი მიაცილებდა. ანუკი ლიფსა და ტრუსში იყო, ის გოგონა კი მხოლოდ — ტრუსში. ანუკი თითქოს ცდილობდა, გოგონას ამოჰფარებოდა. კორიდორი გაიარეს და ტუალეტში შევიდნენ. ნიღბიანი გარეთ დარჩა. ორივე გვერდიგვერდ ერთდროულად ჩასხდნენ...

— „ია გრუზინკა“, — თავი მიაბრუნა და ჩუმად უთხრა ანუკიმ.

— მეც, — დაიჩურჩულა გოგონამ, — შენ ანუკი ხარ?

— ჰო, — გაუკვირდა ანუკის.

— მიცხვდი. გუშინ მთელი დღე გეძებდნენ ვალიკო და გოჩუნა... მე ილიას შვილი ვარ, ზეინაბი, აქვე ვცხოვრობთ, სკოლის გვერდით.

„მეძებს...“ — გაუელვა ანუკის. სხვაც ბევრი რამ აინტერესებდა, მაგრამ დრო არ ითმენდა.

— გინდა, გაიქცე? — ჰკითხა მან გოგონას.

— მინდა, ძალიან! — სწრაფად უპასუხა გოგონამ.

— არ შეგეშინდება?

— არა, არა!

— აქედან მესამე კლასში, ბოლო, დიდი ფანჯარა გატეხილია... მე დაგიცავ!

— კარგი! — თქვა გოგონამ, რომლის ძარღვებშიც, ვინ იცის, ჯერაც ჩქეფდა თავისუფლებისმოყვარე მოხევეების სისხლი.

ნიღბიანი ტუალეტში შემოვარდა.

— „ჩეგო ტუტ შუშუკაეწეს?! მარშ! ბისტრა“!

გოგონები სწრაფად წამოდგნენ და გამოვიდნენ. წინ პატარა წავიდა, უკან ანუკი მიჰყვა, მის უკან კი ნიღბიანი მიაბიჯებდა. მესამე კარს რომ გაუსწორდნენ, ზეინაბი მიტრიალდა, კარი გამოაღო და შევარდა. ანუკიმ კარი მიხურა და აეწება!

— „ოჰ, სუკი, სვოლოჩი“! — იღრიალა ნიღბიანმა და ავტომატის ლულა პირდაპირ მკერდზე მიადო.

ანუკიმ ხელები უნებურად მაღლა ასწია და მკვლელს თვალი თვალში გაუყარა. მისი ლამაზი მკერდიც ზემოთ წავიდა და თავგადაგდებული, განრისხებული, აწითლებული, სიკვდილის პირისპირ მდგარი შიშველი ქალი კიდევ უფრო უღვთო სილამაზით გაბრწყინდა... იქნებ ესეც იყო იმის მიზეზი, რომ კაცს თითი სასხლეტზე შეეყინა. ავტომატი რომ მოერიდებინა, ლულა ზემოთ წაიღო, სამიზნე ლიფის სფეროების გადასაბმელზე გამოედო და გოგონა უნებურად გააშიშვლა. ანუკიმ მექანიკურად მკერდზე ხელი აიფარა და მიბრუნებას აპირებდა, რომ უეცრად, საშინელი გრუხუნის ხმა გაისმა. ერთი, ორი, სამი... ტერორისტი მიტრიალდა და დარბაზის კარისკენ გაიქცა. ანუკიმ კი კარი გამოაღო, კლასში შევარდა და გატეხილი ფანჯრიდან სკოლის ბაღში ისკუპა.

სროლა გრძელდებოდა. საშინელი გრუხუნი და ავტომატების ჯერი ერთმანეთს ცვლიდა. ანუკიმ სირბილით გადაჭრა ბაღი და ბოლოში, აგურის კედლის ძირში, ბალახებში ჩაწვა. საკუთარი თვალით უყურებდა, როგორ გამოვარდა ერთმანეთში არეული მტვერი და კვამლი სკოლის სპორტდარბაზის ფანჯრებიდან; როგორ გარბოდნენ კედლის გასწვრივ შეიარაღებული „სალდათები“; ჩაესმა, როგორ აკვნესდა და აწივლდა სკოლა; უმზერდა, როგორ ხტებოდნენ ფანჯრებიდან, როგორ ცვიოდნენ და გარბოდნენ, ვისაც საით შეეძლო, გადარჩენილი — შიშველი, შეშინებული და თავზარდაცემული ბავშვები... მერე სროლის ხმა მიჩუმდა. კვამლი და მტვერიც გაიფანტა და უფრო აუტანელი გახდა კვნესისა და ბღავილის მოსმენა. ანუკი წამოდგა, ჯერ კედლის გასწვრივ ნელა მიდიოდა, მერე გაიქცა. სკოლის შენობას შემოურბინა და გაგიჟებულ, შეშინებულ, გადარჩენილ მოსწავლეებს შეუერთდა. იქ, ეზოში, ჯოჯოხეთი ტრიალებდა. „სალდათებს“ მკვდრები, დაჭრილი და ცოცხალი, შიშველი ბავშვები გამოჰყავდათ. მშობლები და ახლობლები გადარჩენილებს ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, ზეცისკენ იშვერდნენ ხელს და იწყევლებოდნენ. საშინელი ღრიანცელი იდგა. ამ არეულობაში ანუკიმ კორესპონდენტი შენიშნა, რომელსაც ხელში მიკროფონი ეჭირა და გადარჩენილ ბავშვებს პირდაპირ პირში სჩრიდა. ჩვენი, ქართული არხის „ნამდვილი“, „ცოცხალი“ კორესპონდენტი. ვინ იცის, ინტუიციით თუ რაღაც მეექვსე გრძნობით, ანუკი კორესპონდენტის სიახლოვეს გაჩერებულ, „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში შეხტა და საკაცის უკან მოთავსებულ პატარა სკამზე მიიყუჟა. მძღოლმა, ახალგაზრდა კაცმა, ალბათ მანქანის ამოძრავების გამო, კაბინის სარკმლიდან შემოიხედა და ანუკი შენიშნა, რომელიც შიშველ მკერდზე ხელს იფარებდა და კბილებს აკანკანებდა.

მძღოლი კაბინიდან გადმოვიდა და ანუკის მოესმა, როგორ დაუძახა ვიღაცას ქართულად:

— თამრიკო, მოდი, ნახე, ერთი, ვიღაც ბავშვი ზის მანქანაში.

„ქართველები ყოფილან!..“ — გაუხარდა ანუკის და ისევ აძაგძაგდა.

სანამ ექიმი მოვიდოდა, ვიღაც კაცმა მხარზე გადაგდებული, გულწასული ბიჭი აიყვანა მანქანაში და საკაცეზე დაასვენა. ბავშვი მთლად სისხლში ამოსვრილიყო, ფეხზე კი ბარძაყის ძვალი გარეთ ჰქონდა გამოჩრილი. თამრიკომ სასწრაფოდ აიფარა ჟანგბადის ნიღაბი და წვეთოვანი დაუდგა. მძღოლმა სიგნალები ჩართო და

მანქანა ადგილიდან მოსწყვიტა. ექიმმა ახლაღა შენიშნა აძაგძაგებული, შიშველი ანუკი და მაგრად გაუკვირდა. მერე, გვერდით რაღაც უჯრა გამოაღო, იქიდან სანიტრის ლურჯი ხალათი ამოიღო და ანუკის მიაწოდა.

— „აძენნე ეტო!“

— ქართველი ვარ! — ანუკიმ ხალათი გამოართვა და გადაიცვა. — სიცხე მაქვს.

— ქართველებიც სწავლობთ ამ სკოლაში? — შეეკითხა ექიმი.

— არა, მე აქაური არა ვარ, მე თბილისელი ვარ, იქაურ გიმნაზიაში ვსწავლობ, აქ შემთხვევით, თვითონაც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი.

ექიმი დაიბნა:

— როგორ თუ შემთხვევით? — მერე კი ანუკის წითლად აღუებულ ლოყებსა და სახეს რომ შეხედა, იფიქრა, — ალბათ ჯერაც შოკშია ბავშვი და ვერ გამოსულაო. შუბლზე დაადო ხელი.

— იწვები? — გაუკვირდა ექიმს.

— ჰო! — უპასუხა ანუკიმ.

ექიმმა ისევ რაღაც უჯრა გამოხსნა, იქიდან პატარა ფლაკონი ამოიღო და ანუკის მისცა.

— შენ თვითონ გახსენი და ორი აბი შეგიძლია გადაყლაპო, — და ბოთლით წყალიც მიაწოდა.

ექიმი მაშინვე დაჭრილ ბავშვს მიუბრუნდა. მაჯაზე მოჰკიდა ხელი, პულსი შეამოწმა. ანუკიმ ფლაკონს თავსახური მოხსნა, აბები ხელის გულზე გადმოიყარა, ორი ცალი ენაზე დაიდო და წყალი დააყოლა.

მანქანა გაჩერდა. კარი გარედან გააღეს, სანიტრები ამოქანდნენ, ბავშვს ნიღაბი მოხსნეს, საკაცე მანქანიდან გადაიტანეს და გააქანეს.

— შენ რატომ არ ჩადიხარ? გადადი და მოგხედავენ საავადმყოფოში, — მიუბრუნდა ექიმი ანუკის.

— არა, რა! — შეეხვეწა ანუკი. — თქვენ ხომ თბილისში დაბრუნდებით, მეც გამოგყვებით, ძალიან გთხოვთ.

— შენ მართლა თბილისში ცხოვრობ? — შეეკითხა ექიმი.

— კი, კი, ნამდვილად, დამიჯერეთ! ყველაფერს გზაში მოგიყვებით. მე აქ ისეთი რამ გადამხდა, ყველაფერს მოგიყვებით... — აღელვებული, ათრთოლებული ეხვეწებოდა ანუკი.

მანქანა ისევ აფეთქებული სკოლისკენ მიჰქროდა.

კოტიკო კი იწვა თავისი მოლარის, როზის ტახტზე და ზაზას ელოდა. კარმა გაიჭრიალა. კოტიკომ ყური ცქვიტა და გაისუსა. როგორც ჩანს, ზაზა სახელოსნოს ათვალიერებდა. კოტიკომ იგრძნო, გულისცემა როგორ აუჩქარდა. „არა, რატომ გამყიდდა? ჯილდო ხომ არ არის ჩემზე გამოცხადებული! შიშის გამო?.. არც ისეთი მშიშარაა“.

— კოწიკ! — გაისმა ზაზას ფრთხილი, ტკბილი ხმა და კოტიკოს იმწამს გაუარა შიშმაც და ეჭვმაც. — კოწიკ! — იმავე ხმაზე ფრთხილად დაუძახა ზაზამ.

— აქა ვარ, აქ! — შევარდა საშრობში კოტიკო. — დაბლა, დაბლა!

— დაბლა? — გაუკვირდა ზაზას.

— ჰო, მარჯვნივ, კარს ხომ ხედავ, ღიას?

— კი.

— ჰოდა, შემოდი, რაღა!

ზემოთ ნაბიჯების ხმა გაისმა. მერე კი ზაზამ მაღლიდან ჩაიხედა.

— ე, მანდ როგორ მოხვდი, ტო? იმალები?

— რა ვიმალები?! დასხლტა ეს დედამიწერილი და ჩამოვვარდი! — კოტიკომ ზაზას, სახატავი ტილოსგან გაკეთებული თოკი დაანახვა.

— და რას ჩადიოდი, რომ? ვისი სახლია, მანდ რა გინდოდა, მეც უნდა ჩამოვიდე?

— გაგიუდი?! სად უნდა ჩამოხვიდე?.. გამომივიდა ესეც, გამომძიებელი. რომ ჩამოვედი, ალბათ მინდოდა. აბა, გიჟი ვიყავი, ტყუილად გამერისკა?!

— ვერაფერი გავიგე. შენ რა, ქურდიც ხარ?

— ქურდი შენა ხარ, შენი ჭკუაც ვატირე!.. ყური დამიგდე. მე მგონი, ეს გასაღები ამ ქვედა კარისაა. ამ ერთმა შუა საკეტი გააღო, მაგრამ შიგნიდან მეტი არ იღება. ამოგიგდებ და სცადე, აბა! თუ ვერ გააღებ, ისევ უკან ამოხვალ და სხვა რამე უნდა მოვიფიქროთ.

კოტიკომ ზაზას გასაღების ასხმულა აუგდო. მანაც დაიჭირა და სტვენა-სტვენით გაემართა კარისაკენ.

— რას უსტვენ, ბიჭო, გაგიუდი?! — გადაირია კოტიკო.

ზაზა გაჩუმდა. კოტიკოს შემოესმა, როგორ დაიკეტა ზემოთ კარი. მალე კი ქვედა კარის საკეტში გასაღების ჩხაკუნი გაისმა. კოტიკო დაძაბული უგდებდა ყურს. მალე ერთი გასაღები რაოდენჯერმე გადატრიალდა, მერე მეორეც და კარიც გაიღო.

— აუ, სიმონ, ქურდები ვართ?! — ქურდულად იკითხა ზაზამ.

ბიჭებმა ერთმანეთი გადაკოცნეს.

— რა დროს ეგ არის?! დავახვიოთ უნდა აქედან, ვინმემ არ მოგვისწროს! — კოტიკომ იმწამსვე გამოაღო კარი და ზაზას ანიშნა, გასულიყო.

კარში გამოვიდნენ თუ არა, კოტიკო სწრაფად დაუყვა კიბის საფეხურებს. ზაზაც უკან მიჰყვა.

— რომ არ დავკეტეთ? — შეეკითხა ის კოტიკოს.

— გადააგდე ეგ გასაღები, თან მოგაქვს?!. — გაუკვირდა კოტიკოს.

ზაზამ გასაღებების ასხმულა ისე მოისროლა, თითქოს რაღაც ჭუჭყი მოიცილაო. ასხმულა ბეტონის კიბეზე გაჩხრიალდა და ქვედა სართულზე ჩავარდა.

გარეთ გამოვიდნენ თუ არა, კოტიკომ შვებით ამოისუნთქა.

— რა უნდათ შენგან, რატომ გაგწეწეს, რა დააშავე? — აინტერესებდა ზაზას, კოტიკოს ამბავი. — ტელევიზორში ვუყურე, როგორ მიუშვეს შლანგებით შენი ღვინო პირდაპირ კანალიზაციაში... მე შენ დაჭერილი მეგონე.

— ვახო თუ დაიჭირეს, ჩვენ გვიხათრებდნენ?

— მართლა, ეგ რაღაზე დაიჭირეს?

— მე რა ვიცი, წილები ვერ გაიყვეს, ალბათ. ჩაჯექი, რა, მანქანაში!

— ჩემსას რა ვუყო, მერე?

— ჩაჯექი ორი წუთით, დაგელაპარაკები და მერე გადაჯდები.

მანქანაში ჩასხდნენ თუ არა, კოტიკომ ტორპედოზე დაგდებული კოლოფიდან სიგარეტის ღერი ამოიღო და გააბოლა.

— მომისმინე!

— გისმენ, — დაიძაბა ზაზა, რადგან მიხვდა, კოტიკოს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა.

— უნდა გავიქცე, თუ მოვახერხე.

— ცხადია.

— უფულოდ სად წავიდე?..

— როგორ, არაფერი გაქვს სიდერ-სიმამრის სახელზე მაინც გადანახული?

— სიდედრ-სიმამრი — არა... მთლიანად საქმეში მქონდა ჩადებული...

— მთლიანად?

— ჰო, სამ მილიონამდე.

— მეტი არ გქონდა?

— ცოტა იყო, ბიჭო, სამი მილიონი?! მაცალე, რა!

— ჰო, ჰო, — სწრაფად უპასუხა ზაზამ, რადგან მიხვდა, რომ რაღაც შეეშალა.

— მქონდა გადანახული.

— ჰოო?

— ჰო, ჰო, სეიფში, სამსახურში.

— სამსახურში? მერე, წაიღეს იმ ავრეებმა?

— არა, „სეკრეტი“ ჰქონდა იმ სეიფს, ჩემ გარდა არავინ იცოდა.

— მერე?

— მე ანტალიაში ვიყავი მოტეხილი, იმ ჩემს ტურფასთან ერთად. ამიტომ ვარ გარეთ. ამან გადამარჩინა.

— მერე?

— ის სეიფი შემოწმებამდე გამქრალა, მოლარესთან ერთად. ახლა ვისი სახლიდანაც გამოვედით. ფირმის მთელი საბუთებიც იმ სეიფში მქონდა.

— ფულიც?

— ფულიც.

— რამდენი?

— ექვსასი ათასამდე.

ზაზამ შეუსტვინა:

— გასაგებია. მოტეხილან. დაემშვიდობე იმ ფულს. აკი, „სეკრეტის" ამბავი მარტო მე ვიცოდიო?..

— ჰოდა, მაგიტომ ვეძებ იმ სეიფს, იქნებ ის ფული ისევ ისე დევს, ხელუხლებელი, ვინ იცის?! მაგრამ როგორ გინდა აღმოაჩინო?

— რა? რომ ვერ მიეგნოთ, რატომ მოტყდებოდნენ?

— იქნებ მე მემალებიან და არც არსად გაქცეულან? — თქვა ჩაფიქრებულმა კოტიკომ.

— ნუ მარჩიელობ, რა!

— რა მგონია, იცი?.. — განაგრძო კოტიკომ. — ფული ნახეს თუ ვერ ნახეს, ის სეიფი მაინც უნდა გადაეგდოთ.

— მერე?

— ვილაცა ხომ ნახავდა, არა?.. ქუჩაში იმას არავინ დატოვებდა. ჯართში ჩააბარებდნენ, ასიანი. რა ვიცი, იქნებ გადაადნეს კიდეც უკვე, იმ ჩემი ფულებიანად.

— ვინ იცის... — დაუმოწმა ზაზამაც.

— ჰოდა, იქ უნდა ვეძებოთ, ჯართის მიმღებ პუნქტებში.

— შენ ხომ არ გარეკე?! „მილიონ ტრისტა" მაინც იქნება ქალაქში!..

— მაგდენი არ იქნება. თუ ჯართში ჩააბარებდნენ, ან თავიანთ სახლთან ახლოს, ან ჩემს ფირმასთან ახლოს... უფრო იქ.

— და გგონია, იპოვი? იქნებ მტკვარში გადააგდეს?

— მოიცა, რა! რას ითარსები?! ვცდი, რას ვკარგავ? იქნებ მივაგნო?

— ჯართის მიმღებ პუნქტებში?! შენ, ძმაო, ფსიქიატრი გჭირდება, გეუბნები!

— შენ იყო ჩემს ადგილზე, შენ მიგეკარგა ამხელა მაყუთი და ვნახავდი, რა ჭკუაზე იქნებოდი. არა, უნდა მოვძებნო, დარწმუნებული ვარ, რომ მივაგნებ.

— სად, ბიჭო, ჯართის მიმღებ პუნქტებში?!

— ჰო, ჰო. მორჩი ახლა, დაამთავრე, რა!

ზაზამ შეუსტვინა. ამას, ეტყობა, ტვინი გადაუტრიალდა, ამის საქმე წასულიაო, — გაიფიქრა.

— შენ რაც გინდა, ქენი, მე თავი დამანებე, მაშინ! — თქვა და მანქანიდან გადასვლა გადაწყვიტა, მაგრამ კოტიკომ ხელი სტაცა:

— ჩემთან უნდა იყო, ვერსად ვერ წახვალ!

— მერე, მანქანას რა ვუყო, აქ დავაგდო უპატრონოდ?

— დააგდე, ვინ გაეკარება?!

— რა? ამ უცხო ადგილას? სხვას თუ არაფერს, სარკეს მომიგლეჯენ ან საბურავებს დახსნიან.

— დახსნან, მე გადაგიხდი, — და აღარ დაელოდა, რას უპასუხებდა ზაზა, კოტიკომ გასაღები გადაატრიალა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა. იქვე პროფილაქტიკა ეგულებოდა, კინოსტუდიის ასახვევში. ხელოსნებს ნაღდად ეცოდინებათ ჯართის ჩამბარებელი პუნქტებიო, — იფიქრა და მათ მიადგა.

— ერთი, სამი მაინც არის. გორის ქუჩა იცი? სამშობიაროს უკან: ერთი მანდ არის. მეორე, ხიდს რომ გადახვალ, გაზის დამტენი კანტორა როა, ხომ იცი?.. მანდაც არის. და მესამე — „ვეფხვისა და მოყმის" ძეგლი ხომ იცი? მაგას გასცდები და „ბეემვეს" მაღაზიის უკან, სამრეცხაოც არის მანდ, მანქანების, აი, მაგის გვერდზე... — ეგრევე ჩამოუყოლა „ჟესტიან-შჩიკმა".

საკმარისი იყო და კოტიკომაც უახლოესი პუნქტისკენ გასწია.

— სეიფი?.. რკინისა?.. უუანგავი? — შეეკითხა ჯართის ჩამბარებელი.

— სეიფია, რა, ჩვეულებრივი, უუანგავი-ჟანგიანი რას ჰქვია?

— ვა, სეიფები ცხრაასნაირია, ზოგი ფოლადისაც კია.

— ეგ რა შუაშია, მე ჩემი სეიფი მაინტერესებს.

— რას მეჩხუბები, ძმაო, მმართებს რამე შენი?! მეც სწორედ მაგიტომ არ გეკითხები, უუანგავი იყო თუ ჟანგიანი?

— კაი, უუანგავი.

— ჰოდა, მასე, რა!.. — მეჯართემ რაღაც, ნაფლეთებად ქცეული რვეული აიღო, ბოლო გვერდზე გადაშალა და იქიდან აუყვა ზემოთ.

— სეიფი, ინგლისური... ჰო, მართლა, შენი სადაური იყო?

— რა მახსოვს?.. ალბათ, რუსული, იმიტომ, რომ ჩემმა სიმამრმა დაითრია ინსტიტუტიდან.

— უუანგავი, ორკარიანი, ორასი კილოგრამი... ინგლისური ხომ არ იყო? — მიუბრუნდა ის კაცებს.

— არა, — მოკლედ მოსჭრა კოტიკომ.

— სეიფი, სეიფი, — ისევ ზემოთ აუყვა მეჯართე. — სეიფი, რუსული... უუანგავი, ერთკარიანი. სამოცდაცამეტი კილოგრამი. ეს ხომ არ არი?

— მე რა ვიცი, აბა?! მე კილოობით კი არ მიყიდია ის სეიფი... ისე, ერთკარიანი იყო, კი.

— აბა, მე საიდანღა უნდა ვიცოდე? მე ხან თვეში ხუთ სეიფს ვყიდულობ.

— თვე და რიცხვი მიწერილი გაქვს?

— ჰო, აი, თორმეტი მაისი, ოცი მაისი...

— ოცის მერე ხომ არ შემოსულა? ოცამდე არ მაინტერესებს.

— არა, მერე არ შემოსულა.

— მაშინ, მაჩვენე, რა, ამ მარჩიელობას... თუნდაც ეგ, ოცში რომელიც მიიღე.

— ეს ორკარიანია, შენ ამბობ, ცალკარიანი იყოო. ცალიანი ნაღებულია.

— რას ნიშნავს, წაღებულია?

— წაიღო, რა... კაკოს წაღებულია.

— კაკო ვინღაა?

— ჩემგან ვისაც მიაქვს, ძმაო. კაკო ჰქვია. მერე ის ახარისხებს, რაც გამოადგება, იტოვებს და რაც არა, თურქეთში მიდის. როგორც ხდება, რა!

— ეგ კაკო როგორ უნდა ვნახო?

— კაკო?.. კაკო ვაგზალზე ზის, სატვირთოში, თავის ოფისში.

— რა გვარია?

— რავი — გრიბოედოვი... ჩემი გვარი აღარ მახსოვს, კაკოს გვარი მემახსოვრება?!

— წავედით! — მიუბრუნდა კოტიკო ზაზას.

— სად? — შეეკითხა ზაზა.

— ვაგზალზე, სატვირთოში. თუ უკვე თურქეთში არ არის წასული...

— შენ თუ სეიფი გაინტერესებს, დატოვე ტელეფონის ნომერი და რომ შემოვა, დაგირეკავ.

— არა, არა... გასაგებია, — ჩაილაპარაკა კოტიკომ და მიტრიალდა. ზაზაც უკან მიჰყვა.

— მოდი, მე გამიშვი, რა! მაგრად მეეჭვება, რამე გამოგივიდეს... — ჩასხდნენ თუ არა მანქანაში, სთხოვა ზაზამ კოტიკოს.

ზაზას სიტყვებს ღალატის სუნი ასდიოდა, რაც კოტიკომ ეგრევე იგრძნო.

— ჰო, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეა.

— რა ბედის მონახევრე?! შენ იცი, ვაგზალზე რა ხდება?..

— რა ხდება?

— ჯართის მთები დგას, იცი, რამხელა?!

— რა-ა?! სულ ჯომოლუნგმაც რომ იდგეს, გადავადგმევინებ! მაშ, ნახევარი მილიონი გადავადნობინო?! სანამ სეიფს არ მივაგნებ, ვერსად გაგიშვებ — არ გეწყინოს.

— რას ჰქვია, ვერ გამიშვებ?! რა, შენი ყმა ვარ თუ მონა?! — ზაზას ხმაში წყენა გაერია. — შენ თუ გაგიჟდი, მე არ გავგიჟებულვარ!..

— დაიწყო, არა, ქართული პონტები?..

— რა ქართული პონტები?!

— ღალატი, ორგულობა, სხვა რა?! — პირდაპირ აჯახა კოტიკომ.

— ვის ეუბნები, ბიჭო, მაგას?! შენ ეტყობა, მართლა, მაგრად აგრევია დავთრები. გინდ, თამარ მეფის საფლავი გიძებნია და გინდ, ეგ შენი ნახევარი მილიონი!..

— მოდი, მოვრჩეთ, რა, ამაზე. სულ ორი-სამი საათი მჭირდები.

— კაი, მიაჭირე, წავედით! — ზაზამ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲓᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲩᲘᲚᲝ

„ᲒᲖᲘᲡ“ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

(ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ)

ᲥᲕᲔᲛᲝᲗ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲣᲣᲠᲜᲐᲚ „ᲒᲖᲐᲨᲘ“ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ. ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲔᲗ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲒᲐᲡᲪᲔᲗ ᲐᲛ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲛ

„ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲢᲔᲠᲘᲡᲐᲥᲜ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲔᲥᲪᲔᲗ ᲗᲐᲚᲘ.

1. ᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲝᲜᲐ ᲐᲙᲕᲐᲚᲐᲜᲒᲘ?
2. ᲠᲐᲡ ᲔᲫᲐᲮᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲔᲑᲘ „ᲨᲐᲠᲝᲩᲜᲝᲔ ᲖᲜᲐᲙᲝᲛᲡᲢᲕᲝᲡ“?
3. ᲕᲘᲡ ᲔᲫᲐᲮᲓᲜᲔᲜ ᲫᲕᲔᲚ ᲠᲝᲛᲨᲘ ᲠᲔᲪᲘᲐᲠᲡ?
4. ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲛᲘᲡᲯᲘᲚᲘᲡ ᲯᲕᲐᲠᲖᲔ ᲛᲘᲚᲣᲠᲡᲛᲕᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲐ. ᲠᲘᲢᲘ ᲙᲕᲓᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲬᲔᲡᲘᲗ ᲓᲐᲡᲯᲘᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ?
5. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚ ᲙᲝᲜᲐᲜ-ᲓᲝᲘᲚᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ, ᲒᲐᲛᲝᲔᲪᲜᲝ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ ᲘᲥ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘᲡ ᲬᲘᲜ. ᲛᲐᲜ ᲣᲧᲝᲧᲛᲐᲜᲝᲓ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲕᲚᲐᲛᲓᲔ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲗᲐᲒᲒᲛᲐ ᲒᲐᲘᲠᲑᲘᲜᲐ. ᲠᲐ ᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲡ ᲡᲘᲡᲬᲝᲠᲔᲡ?
6. ᲨᲣᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲔᲑᲨᲘ ᲓᲝᲟᲘ ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲣᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘ�კᲔᲑᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲠᲐᲡ ᲔᲫᲐᲮᲓᲜᲔᲜ ᲓᲝᲟᲘᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ?
7. ᲠᲔᲛᲑᲠᲐᲜᲓᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔᲜᲘ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲘᲗ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲛᲘᲡᲘ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲬᲔᲕᲐ ᲪᲮᲕᲘᲠᲘᲗ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲝ. ᲠᲐᲢᲝᲛ?
8. ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ 1984 ᲬᲔᲚᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲨᲘ ᲐᲜᲢᲘᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ, ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲔᲑᲛᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ, ᲦᲕᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲧᲘ 11 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲔᲧᲘᲓᲐᲗ. ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲚᲝᲗᲔᲑᲛᲐ „ᲛᲒᲚᲘᲡ ᲡᲐᲐᲗᲘ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲡ. ᲠᲐᲢᲝᲛ?
9. ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲝᲛᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲒᲐ ᲑᲐᲮᲩᲘᲐᲜᲘᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ: „ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ ᲩᲔᲛᲘ, ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ „ᲙᲝᲛᲞᲠᲝᲛᲘᲡᲘᲡ“. ᲐᲮᲚᲐ ᲕᲐᲞᲘᲠᲣᲒ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲕᲬᲔᲠᲔ, ᲝᲚᲝᲜᲓ, ᲡᲐᲗᲐᲣᲠᲘ ᲯᲔᲠ ᲯᲔᲠ ᲛᲝᲛᲘᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲐ“. ᲠᲐ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲛᲐᲡ ᲑᲐᲮᲩᲘᲐᲜᲘᲐᲛᲐ?
10. ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲐᲨᲘ, ᲐᲡ ᲬᲔᲚᲘ�წᲐᲓᲖᲔ ᲛᲔᲢᲮᲐᲜᲡ, ᲮᲔᲚᲣᲮᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲓᲝ ᲛᲝᲥᲐᲜᲓᲐᲙᲔ ᲓᲘᲙᲣᲩᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲚᲝᲡ ᲣᲖᲐᲠᲛᲐᲖᲐᲠᲘ ᲚᲝᲓᲘ. ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ, ᲚᲔᲝᲜᲐᲠᲓᲝ ᲓᲐ ᲕᲘᲜᲩᲘᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲝᲑᲘᲗ, ᲘᲒᲘ ᲣᲕᲐᲠᲒᲘᲡᲐᲓ ᲪᲜᲝ. ᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲐ ᲔᲡ ᲚᲝᲓᲘ?
11. „ᲛᲝᲘ ᲞᲐᲞᲐ Ვ ᲓᲔᲢᲡᲢᲕᲔ ᲑᲘᲚ ᲒᲠᲣᲖᲘᲜ“, — ᲕᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲓᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲝᲑᲐᲨᲘ?
12. ᲠᲝᲛᲔᲚ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲪᲔᲜᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲛᲐ �თᲔᲝᲓᲝᲠ ᲨᲐᲚᲘᲐᲞᲘᲜᲛᲐ?
13. ᲕᲘᲡ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ �წᲘᲜ ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲛᲐ — „ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲗ, ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ“?
14. ᲡᲐᲓ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲝᲜᲘ?
15. ᲩᲐᲘᲡ ᲡᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲡᲘᲩᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐᲡ ᲘᲐ�პᲝᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲛ ᲝᲠ ᲗᲔᲛᲐᲡ ᲔᲮᲔᲑᲐ. ᲠᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲐᲡ?

ᲐᲜᲔᲥᲓᲝᲢᲔᲑᲘ

***

ᲥᲣᲩᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲞᲘᲠᲐᲡ ᲛᲓᲒᲐᲠ ᲛᲔᲫᲐᲕᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲐᲮᲔᲚᲘ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ ᲐᲩᲔᲠᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ:

— ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲯᲐᲜᲘᲐᲜᲘ?

— ᲛᲔ! — ᲬᲘᲜ �გᲐᲓᲛᲝᲓᲒᲐ ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ.

— 200 ᲓᲝᲚᲐᲠᲡ ᲛᲝᲒᲪᲔᲛ. ᲠᲘᲡᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐ ᲐᲡᲔᲗ ᲤᲐᲡᲐᲓ?

— ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡ!

— ᲩᲐᲯᲔᲥᲘ!.. ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲨᲘ ᲑᲔᲢᲝᲜᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲡᲮᲛᲔᲚᲘ!..

***

— ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲐᲠᲕᲐᲚᲘ?

— ᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲐᲠᲐᲕᲐᲓ.

***

ᲡᲕᲐᲜᲛᲐ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲘᲧᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ, �გᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲐᲓᲒᲐ ᲧᲝᲤᲘᲚ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲡ:

— ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ, ᲡᲐᲠᲙᲔ ᲗᲣ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ �გᲐᲤᲣᲭᲔᲑᲣᲚᲘ?!

— ᲠᲐᲡ ᲰᲥᲕᲘᲐ, �გᲐᲤᲣᲭᲔᲑᲣᲚᲘ?!

— ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲡ ᲕᲮᲔᲓᲐᲕ!

***

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲡ ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ:

— ᲩᲥᲐᲠᲐ ᲬᲐᲛᲝᲓᲘᲗ, ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲐᲛᲐᲩᲔᲛᲡ ᲡᲪᲔᲛᲡ!

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲘ ᲥᲣᲩᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ, ᲝᲠᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲒᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ ᲣᲠᲢᲧᲐᲛᲡ.

— ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲛᲐᲨᲔᲜᲘ?

— ᲔᲒᲔᲜᲘᲪ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ ᲛᲐᲒᲐᲡ ᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲜ...

***

— ᲕᲘᲜ ᲘᲬᲕᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲚᲝᲒᲘᲜᲨᲘ? — ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲐᲑᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲮᲝ.

— ᲣᲘ, ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘ, ᲕᲘᲜ ᲐᲦᲐᲠᲐ... — ᲛᲝᲠᲪᲮᲕᲐᲓ ᲓᲐᲮᲐᲠᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲠᲝᲛ.

***

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ ᲛᲔᲫᲐᲕᲡ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ:

— ᲠᲝᲒᲝᲠ �გᲐᲮᲓᲘᲗ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲠᲘ?

— ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲖᲔ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲕᲘᲓᲔᲝᲙᲐᲛᲔᲠᲐ ᲓᲐᲛᲥᲝᲜᲓᲐ.

***

ᲔᲠᲗᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔᲡ ᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲐ:

— ᲐᲜᲓᲠᲔᲘ, ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲡᲐᲓ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲜᲔ?

— „ᲡᲝᲩᲐᲨᲘ“.

— ᲛᲝᲒᲔᲬᲝᲜᲐ?

— ᲐᲠᲐ, ᲛᲔ ᲒᲐᲛᲥᲣᲠᲓᲔᲡ, ᲩᲔᲛᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲒᲐᲚᲐᲮᲔᲡ, ᲪᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲔᲡ.

— ᲬᲔᲚᲡ ᲡᲐᲓ ᲛᲘᲓᲘᲮᲐᲠ?

— ᲬᲔᲚᲡ ᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲜᲐᲡᲕᲚᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲪᲝᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲘ ᲐᲦᲧᲓᲜᲔᲜ, ᲘᲡᲔᲕ „ᲡᲝᲩᲐᲨᲘ“ ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗᲝᲗ.

***

ᲪᲝᲚᲘ ᲡᲐᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲝᲨᲘ ᲤᲣᲡᲤᲣᲡᲔᲑᲡ. ᲥᲛᲐᲠᲘ ᲘᲥᲕᲔ, ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲐ ᲓᲐᲑᲝᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ.

— ᲬᲐᲓᲘ ᲙᲐᲪᲝ, ᲩᲐᲘᲪᲕᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪᲐᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜ.

— ᲛᲝᲕᲚᲔᲜ ᲓᲐ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ!.. ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲝᲜ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲪᲐ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲒᲝᲜ, ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲐᲭᲛᲔᲕ!..

— ᲑᲐᲠᲔᲛ, ᲥᲕᲔᲓᲐ ᲡᲐᲪᲕᲐᲚᲘᲪ ᲒᲐᲒᲔᲮᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲔᲜᲐᲮᲕᲔᲑᲘᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲛᲐ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲗᲣ ᲮᲐᲠ ᲠᲐᲛᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲘ!..

***

მიხო თვითმფრინავის ტრაპიდან ბუზღუნ-ბუზღუნით ჩამოდის და თან, შარვალს იკრავს:

— არ ამირია თავგზა ამ სტიუარდესამ?!. ხან შეიკარით ქამრები, ხან — გაიხსენითო...

***

90 წლის კაცი დაიჭირეს.

— რაზე დაგიჭირეს, ბაბუ? — ეკითხება თანამოსაკნე.

— მეზობელმა 16 წლის გოგო გააუპატიურა და მე დავიბრალე.

— ვაა, რატომ?

— „პრიატნა", რა.

***

ქმარი ცოლს ეუბნება:

— ძვირფასო, ექიმმა მითხრა, 8 საათის სიცოცხლეღა დაგრჩაო და წამო, საუკეთესო რესტორანში წავიდეთ, მერე სასტუმროში ნომერი ავიღოთ...

— ჰო, შენ რა გენაღვლება, დილით ადრე ასადგომი არ იქნები!...

***

ებრაელს შეხვედრაზე აგვიანდება. მანქანას ვერსად აყენებს და ღმერთს ევედრება: ოღონდ ახლა დამაყენებინე მანქანა და სინაგოგაში ვივლი, ცოდვებს მოვინანიებ, მხოლოდ სიკეთეს გავაკეთებ, გაჭირვებულებს დავეხმარებიო. უცებ, ავტოსადგომიდან ერთი მანქანა გაიყვანეს.

— ღმერთო, აღარ შეწუხდე, ადგილი გათავისუფლდა.

***

ოსი ვალოდას კარზე კაკუნია:

— რომელი ხარ?

— კასიუს კლეი! — ხუმრობის ხასიათზეა ვიღაც.

— აბა, დროზე აახვიეთ ორივემ მაქიდანა, თორე, თუ გაგიგდეთ წიხლქვეშა, სულ დაგავიწყდებათ მაგი ტუტუცი სიტყვები.

***

— რატომ სიამოვნებთ ქალებს ზღაპრების მოსმენა?

— იმიტომ, რომ ზღაპრებში პირიქითაა — ჯერ გომბეშოები არიან და მერე ხდებიან მზეთუნახავები.

***

— ექიმო, ბავშვი მყავს ცუდად, — „სასწრაფოში" რეკავს მშობელი.

— 15 წუთში მანდ ვიქნებით.

— თქვენს მოსვლამდე რა ვქნათ?

— ფული მოამზადეთ.

***

— ისე გავხდი, რომ თაგვის სოროში შევეტევი, — ტრაბახობს 120-კილოიანი ჯემალა.

— მე ისე გავსუქდი, რომ სავარძელში ვეღარ ვეტევი, — ამბობს 43-კილოიანი იონა.

— ისე იტყუებიან, რომ თმა ყალყზე მიდგება, — ამბობს მელოტი კირილე.

***

შვილიშვილი პორნოგრაფიულ ფილმს უყურებს. ოთახში სათვალიანმა ბებიამ შემოყო თავი.

— რას უყურებ, შვილო?

— კინოა, ბებია, ნუ მიშლი ხელს



და დახურე კარი, შენთვის არ შეიძლება.

— რა კინოა, ამფერი, ბებია?

— „ანა კარენინაა" და გადი ახლა გარეთ.

— ვინაა, რო კვნესის, შვილო?

— ხომ გითხარი, ანაა-მეთქი, კარენინა... ახლა გამოათრიეს მატარებლის ბორბლებიდან!..

ჯერ ბავშვის საჭირბოროტო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ჟაკ ივ კუსტომ.
2. რაიმის შესახებ ზერელე, ზედაპირულ ცოდნას.
3. ბადითა და სამკბილათი შეიარაღებულ გლადიატორს.
4. მას ფილტვები უშუპდება და იგუდება.
5. სავარძელზე დატოვებული ქალის ფეხსაცმლის კვალი.
6. დოგარესას.
7. ჰოლანდიელი ფერმწერის ტილოებზე ძალზე სქლად არის დადებული საღებავი.
8. 11 საათზე ობრაზცოვის თეატრის კოშკურაზე მგლის ფიგურა ჩნდება.
9. „დაარქვით „კომპრომისის".
10. მიქელანჯელომ. მან მისგან „დაკითი" გამოაქანდაკა.
11. სტალინის ქალიშვილი სვეტლანა.
12. თბილისში.
13. საკუთარ წიგნებს.
14. ყიზლარში (დაღესტანი).
15. ბუნებას ან ხელოვნებას.

***

— იცით, თქვენი ქალიშვილი თანახმაა, რომ ცოლად გამომყვეს.

— შენს თავს დააბრალე, ძამიკო, რას დაეთრეოდი ჩვენთან ყოველდღე?!

***

— ამდენ წყალს რატომ სვამს ჭიჭიკია?

— ალბათ, გოურეცხავი ვაშლი შეჭამა.



მიდიები და რეალობა ლამაზი თმის შესახებ

ხალხში გავრცელებული ამრის თანახმად, ძილის წინ თმა გულმოდგინედ და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ. სპეციალისტები კი ამტკიცებენ, რომ მცდარი და მოძველებული შეხედულებები შეიძლება თმის ცვენის, მტვრევადობის და სიქაჩლის მიზეზი გახდეს. აი, რამდენიმე მითი ლამაზი თმის შესახებ:

სტრესი თმის ცვენას ინვევს

მიუხედავად იმისა, სტრესის ქვეშ იმყოფებით თუ არა, ყოველდღიურად 50-დან 120 ღერამდე თმა გცვივათ. რასაკვირველია, ნერვიულობის, ჰორმონული დარღვევების შემთხვევაში, თმის ცვენა ძლიერდება. თუ სრულფასოვნად იკვებებით და დღე-ღამეში სულ ცოტა 8 საათი გძინავთ, 1-2 კვირაში თმა თავისით აღდგება.

თმა დღის განმავლობაში ხშირად და ხანგრძლივად უნდა ივარცხნოთ

რაც უფრო ხშირად და ხანგრძლივად ივარცხნით თმას, მით მეტი ჩამოგცვივდებათ. სავარცხელს მრგვალი, მეჩხერი კბილები უნდა ჰქონდეს. თმა მანამ ივარცხნეთ, სანამ სავარცხელი სრიალს არ დაიწყებს.

დროდადრო შამპუნი უნდა შეცვალოთ

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ თმისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ერთი და იმავე შამპუნით იბანთ თუ არა. მთავარია, ის ხარისხიანი იყოს. თუ ცხიმიანი თმა გაქვთ ან ვარცხნილობის შესანარჩუნებლად სპეციალურ, ცვილის შემცველ საშუალებებს იყენებთ, მაშინ კვირაში ერთხელ თავი ისეთი შამპუნით უნდა დაიბანოთ, რომელიც თმიდან ამ ნივთიერებებს ჩამორეცხავს.

ჭაღარა ულამაზოა

მთლად ასეც არ არის. თუ თმა ჯანსაღია, ფაფუკი და ლამაზად არის დავარცხნილი, ფერს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. მთავარია, ჭაღარა ბზინავდეს.

40 წლის გადაკვლეულობა ქალებმა მოკლე ვარცხნილობა უნდა აცარონ

თუ ლამაზი და ჯანსაღი თმა გაქვთ, მნიშვნელობა არა აქვს, მოკლე ვარცხნილობა გექნებათ თუ გრძელი. მთავარია, გიხდებოდეთ. გაითვალისწინეთ, თუ ფართო სახე გაქვთ, მოკლე, კიბისებურად აჭრილი თმა მოგიხდებათ; თუ ვიწრო — გრძელი, ლამაზად აჩეხილი. ვინაიდან, ასაკის მატებასთან ერთად, თმა იფიტება, რეკომენდებულია სპეციალური ბალზამის გამოყენება.

გრილი წყლის გადავლება თმას ბზინვარებას სძენს

ასეთი პროცედურა ნამდვილად გაგამხნევებთ, მაგრამ თმას ბზინვარებას არ შესძენს. სხვა საქმეა, თუ დაბანილ თმაზე მწვანე ჩაის, გვირილის, სალბის ან ჭინჭრის ნაყენს გადაივლებთ.

თმის შელებვა მავნეა

თანამედროვე თმის საღებავები იმდენად კარგი ხარისხისაა, რომ თმას ზიანს არ აყენებს. პირიქით, ზოგი მათგანი ისეთ ნივთიერებებს შეიცავს, რომელიც თმას აჯანსაღებს, არბილებს და ბზინვარებას მატებს. მთავარია, საღებავი სწორად შეარჩიოთ.

სპეციალური საშუალებებით თმის გაყოფილ ბოლოებს აღიდგენთ

გაყოფილი ბოლოების აღდგენა შეუძლებელია. სპეციალური საშუალებებით შესაძლებელია, ის მხოლოდ ნაკლებშესამჩნევი გახდეს. თმის გაყოფილ ბოლოებს მხოლოდ მოჭრა უშველის (იმ ადგილამდე, სადაც ღერი იყოფა).

რბილი, სნორი თმა მოყვლილობითი არ არის

თმა მსხვილი თერმობიგუდით დაიხვიეთ, 5-10 წუთის შემდეგ ნახავთ, როგორი მოცულობითი გახდება. ვარცხნილობა სპეციალური ლაქით დააფიქსირეთ და ხშირად დავარცხნას მოერიდეთ.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო შპს „ელვასერვისი"

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

როდის არის საჭირო ბოდიშის მოხდა

ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, რომელსაც კრიტიკა და საყვედური არ მოუსმენია. თუმცა ამის მიმართ ყველას სხვადასხვანაირი დამოკიდებულება აქვს. მთავარია, სამართლიანი კრიტიკის მოსმენა, აღიარება და დროულად გამოსწორება შეძლოთ.

არსებობს კრიტიკის სამი ძირითადი ტიპი: სამართლიანი, უსამართლო და ზოგადი.

სამართლიანი კრიტიკა

თქვენ მიმართ გამოთქმული კრიტიკა სამართლიანია. ეს თქვენც კარგად იცით, მაგრამ მაინც ცდილობთ, თავი გაიმართლოთ და თავდასხმაზე გადახვიდეთ. ნერვიულობა არ ღირს. უმჯობესია, ყველაფერი აღიაროთ და თუ საჭიროა, ბოდიშიც მოიხადოთ. ამაში სათაკილო არაფერია. თუ ასე მოიქცევით, ადამიანი, რომელიც გაკრიტიკებთ, მოლბება, აღარ განაწყენდება და თქვენ მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლის.

უსამართლო კრიტიკა

ყველაზე ხშირია და ამავე დროს, ყველაზე ძნელი მოსასმენი. ჩვეულებრივ, ასეთ დროს, ადამიანი შესაბამისად ვერ რეაგირებს, რადგან იბნევა. კარგი იქნება, თუ თავის ხელში აყვანას, აზრების მობილიზებასა და ყოველგვარი ნერვიულობის გარეშე, დასაბუთებული არგუმენტის მოყვანას შეძლებთ.

ზოგადი კრიტიკა

დაუკონკრეტებელი და უსამართლო კრიტიკის მოსმენა, სამწუხაროდ, ხშირად გვიწევს. ასეთ დროს რთულია, რაიმე მოვიმოქმედოთ. მაგალითად, თუ ახლო მეგობარი გეუბნებათ, რომ მის მიმართ ყოველთვის უსამართლო ხართ, ბუნებრივია, გულნატკენი დარჩებით. რაც მთავარია, არ იცით, რა უპასუხოთ. უმჯობესია ჰკითხოთ, კონკრეტულად რომელ შემთხვევას გულისხმობს. ამ შეკითხვით თანამოსაუბრეს ან ჩიხში მოაქცევთ, ან კონსტრუქციული დიალოგისკენ უბიძგებთ.

როგორ აღვკვეთოთ კონფლიქტი?

ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენი პირველი რეაქციაა, რადგან სწორედ ამაზეა დამოკიდებული, რამდენად გაღრმავდება კონფლიქტი. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ლაპარაკის ტონს: სიმართლეც კი, თუ მკაცრი ტონით ან ირონიით იქნება ნათქვამი, ტკივილს მოგაყენებთ. უმჯობესია, თუ იფიქრებთ, რომ თანამოსაუბრეს, უბრალოდ, ზედმეტი მოუვიდა და თქვენი წყენინება არ უნდოდა. მიუხედავად ყველაფრისა, თუ იგი აშკარად კონფლიქტისკენ გიბიძგებთ, თავი შეიკავეთ და არ აჰყვეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, უმნიშვნელო წყენაც კი, სერიოზული სკანდალის მიზეზი გახდეს.

გაიარეთ რეპეტიცია

ზემოთ მოცემული რჩევების გასათვალისწინებლად, კარგი იქნება, თუ ცოტას „წაივარჯიშებთ". თქვენ და თქვენმა პარტნიორმა რიგრიგობით ჩამოთვალეთ ერთმანეთის ნაკლი, შენიშვნები, უარყოფითი მხარეები. ბუნებრივია, მოსმენისას არაფერი უნდა გეწყინოთ (რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ კრიტიკა სამართლიანი იქნება). ამასთან, შენიშვნები დასაბუთებული უნდა იყოს. თუ პრეტენზიების მშვიდად მოსმენა ვერ მოახერხეთ, ესე იგი, ზემოთ მოცემული შენიშვნები ვერ გაითვალისწინეთ, ამიტომ გირჩევთ, კიდევ ერთხელ გულდასმით წაიკითხოთ. ■

ჰამბურგერი



მასალად საჭიროა:

70 გ კეტჩუპი;
100 მლ წყალი;
100 გ მაიონეზი;
ცხიმში წინასწარ მოხრაკული 100 გ ხახვი;
2 ცალი სალათის ფურცელი;
1 ს/კ მდოგვი;
1 პატარა თავი ხახვი;
600 გ საქონლის ხორცი;
4 ცალი მუავე კიტრი;
200 გ ქათმის ფილე;
2 ცალი მოზრდილი პომიდორი;
50 გ მცენარეული ზეთი;
4 ცალი დიდი, არატკბილი ფუნთუშა (შეგიძლიათ გამოიყენოთ ბიგ-მაკი)
მარილი, პილპილი გემოვნებით.

მომზადების წესი:

ხორცი მსხვილად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაუმატეთ მოხრაკული ხახვი, წყალი, პილპილი და მარილი. ფარში გააბრტყელეთ, მიეცით ჰამბურგერის ფორმა და შეწვით ზეთში. მიაქცევეთ ყურადღება, რომ ზომაზე მეტად არ დაიბრაწოს — ხორცი წვნიანი უნდა იყოს! ფუნთუშა გაჭერით შუაზე და ისიც შეწვით.

სალათის ფურცლები გაჭერით შუაზე, პომიდორი დაჭერით მრგვალად, კიტრი — წვრილად, ხახვი — ალყა-ალყა.

ფუნთუშის ერთ ნახევარზე მოათავსეთ ხორცი, მეორეზე კი — დანარჩენი ინგრედიენტები. კეტჩუპი აურიეთ მაიონეზში და შუაში წაუსვით. ■



დასაწყისი იხ. „გზა" №27-47

არმენის ბუნდოვანმა მკვლელობამ, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. მის გარეშე ლუკა თბილისთან მყარ კავშირს კარგავდა. მართალია, რეზო არწმუნებდა, რომ პირადად წარმართავდა პროცესებს, მაგრამ ლუკა ხვდებოდა, რომ ის ტყუოდა. ასეთ ვითარებაში, საქმის რეალური ხელმძღვანელი, თავად არასოდეს დაუკავშირდებოდა. ამას დაბალი რგოლის ხელმძღვანელს დააკისრებდა, თავად კი ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა. თუმცა შექმნილ ვითარებაში, ლუკას დაბალი რგოლის ხელმძღვანელთან კავშირიც აკმაყოფილებდა, მაგრამ ბოლო ხანებში მასთან დაკავშირებასაც ვერ ახერხებდა. თავიდან ამას განსაკუთრებით არ აუღელვებია. ვიდრე მისი გეგმა სრულიად არ ამოქმედდებოდა, რეზოსთვის არაფერი ჰქონდა სათქმელი და საჭიროების შემთხვევაში, მასზე გასვლას ტატეოსიანის მეშვეობით შეძლებდა. მაგრამ იმ დროს, როდესაც ლუკა გეგმის ამოქმედებას ელოდა, სოხუმიდან ტატეოსიანის დაღუპვის ცნობა მოვიდა... მოგვიანებით კრასნოდარში რუსლან ტარბა ჩამოვიდა. სწორედ მისგან შეიტყო ლუკამ არმენის მკვლელობის დეტალები. ის სოხუმში ჩასვლიდან მესამე დღეს მოეკლათ. თანაც ამის დაფარვა არავის უცდია. ტატეოსიანი ქალაქგარეთ დაცხრილეს. გვამი გზატკეცილზე დააგდეს. იმას, რომ ეს გამიზნული მკვლელობა იყო, ერთი გარემოება ადასტურებდა: არმენი ავტომატით დაცხრილეს. მერე კი შუბლში კიდევ ორი ტყვია დაახალეს.

— შენ სად იყავი მაგ დროს?! — ლუკამ ბრაზით შეახსენა ტარბას მისი დავალება — შორიდან ედევნებინა თვალი ტატეოსიანისთვის.

— ჩემზე ნუ გადატეხთ ჯოხს, — მძიმედ ალაპარაკდა აფხაზი. — მე ვერაფერს შევცვლიდი...

— არ მაინტერესებს, რას შეცვლიდი და რას — ვერა!.. — ცივად შეაწყვეტინა ლუკამ. — სად იყავი იმ დროს, როცა ტატეოსიანს კლავდნენ?!

ტარბამ სწრაფი მზერა მიმოავლო კვამლში ჩაძირულ ოთახს, მაგიდაზე გაფანტულ სიგარეტის კოლოფებს, ნამწვებით სავსე საფერფლეებს და მერე ალაპარაკდა:

— თქვენ წარმოდგენა არ გაქვთ, რა ხდებოდა სოხუმში. არმენი მაშინვე „ჩანგალზე" დასვეს. ჩემს ხალხს ეგრევე გაშიფრავდნენ. ეს სერიოზულ პრობლემებს შემიქმნიდა. ისედაც მგლებივით მიყურებდნენ. ახლა კი საერთოდ აზრზე არ ვარ, ჩამესვლება სოხუმში თუ — არა. ვინ იცის, რა იბაზრა არმენმა სიკვდილის წინ. ერთი ნაღდია: ყველაფერს იტყოდა. ის ნაბიჭვარი ჩემი და შენი გულისთვის, ტყვიას შუბლს არ მიუშვერდა!

— რა აქა-იქ ბაზრობ?! — ხმას აუწია ლუკამ. — რისთვის გაგგზავნეთ სოხუმში?!

— არმენისა და ჩაჩბასთვის თვალი უნდა მედევნებინა, — თავი ჩახარა ტარბამ.

— მერე?!

— ასეც იყო... მაგრამ რას წარმოვიდგენდი, რომ ჩაჩბა თვითონ დაბრიდავდა ტატეოსიანს!

— ჩაჩბა?! — გაუკვირდა ლუკას.

— ჰო... იმ ნაბიჭვარმა დაბრიდა ტატეოსიანი!.. — სწრაფად განაგრძო ტარბამ. — ჩემი ხალხი ახლოს ვერ ეკარებოდა მაგათ, მაგრამ მაინც ვიცოდი, სად იყვნენ და ვის ხვდებოდნენ. ტატეოსიანი თავიდანვე გავაფრთხილე: ჩაჩბას არ ენდო, რამე საეჭვო თუ შენიშნე, მაშინვე დამიკავშირდი; თუ დარეკვას ვერ შეძლებ, ზარი მაინც გამოუშვი-მეთქი!.. პირველმა დღემ მშვიდად ჩაიარა. ჩაჩბა რამდენიმე აფხაზს შეხვდა. საღამოს არმენიც დამიკავშირდა: ყველაფერი კარგად არის, ჩაჩბა საქმეზე ჩალიჩობსო. მეორე დღეს, იგივე განმეორდა... ჩაჩბა კიდევ რამდენიმე კაცს შეხვდა. საღამოს რესტორანშიც შეიარეს და მერე დაბრუნდნენ სახლში. მესამე დღეს, სადღაც თერთმეტი საათისთვის გამოვიდნენ სახლიდან და მაშინვე გუდაუთისკენ დაუბერეს. გამიკვირდა და არც მომეწონა — ჩაჩბას და არმენს გუდაუთაში არაფერი ესაქმებოდათ. ჩემს ხალხს უკან მიყოლა ვუბრძანე. მერე ტატეოსიანს დავუკავშირდი: რა ხდება-მეთქი?.. არაფერი, საქმეზე მივდივართ, ჩაჩბას ახლობელს უნდა შევხვდეთო... ამ დროს, ჩემი ხალხი აფხაზურმა მილიციამ „დაატორმუზა". ისეთი არაფერი მომხდარა. საბუთები შეუმოწმეს, მანქანა გაჩხრიკეს და ოც წუთში გაუშვეს. ის იყო, ჩემმა ხალხმა გზა გააგრძელა, რომ საპირისპირო მხრიდან მომავალი ჩაჩბა გამოჩნდა. ბიჭები მაშინვე დამიკავშირდნენ: ჩაჩბა მარტო ბრუნდება სოხუმში და რა გავაკეთოთო?.. ეს ამბავი არ მომეწონა. მაშინვე მოვწვი, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა და ბიჭებს ვუბრძანე, იქაურობას მოშორებოდნენ. მერე კი გუდაუთისკენ სხვა „სასტავი" გავუშვი. ვიდრე ამას მოვაგვარებდი, ტატეოსიანის „ტრუპი" უკვე აღმოეჩინათ. ტრასის პირას ეგდო. ჩემმა ხალხმა საკუთარი თვალით ნახა, როგორ გადაასვენეს მორგში.

— ჩაჩბას, გარდა, კიდევ ვინ ნახა შენმა ხალხმა? — ჩაურთო ლუკამ.

— არავინ... ჩაჩბა და ტატეოსიანი მანქანაში მარტონი იყვნენ.

— იქნებ სხვა მანქანა მიჰყვებოდათ?

— არა, — თავი გაიქნია ტარბამ, — ჩემს ხალხს არ გამოეპარებოდა. ჩაჩბას „სასტავიდან" ყველას იცნობენ.

— შენ ფიქრობ, რომ არმენი ჩაჩბამ დაბრიდა?

— სხვას ვის უნდა დაებრიდა?! — გაიკვირვა ტარბამ. ქალაქიდან ორნი გავიდნენ. ერთი მალევე დაბრუნდა უკან... მეორე ტრასაზე შუბლგახვრეტილი დარჩა. — ნაღდად ჩაჩბას დაბრედილია. მაგრამ საკუთარი ხელით არ ესროდა. კარგად ვიცნობ იმ ნაბიჭვარს... კურდღელია, ვერ გაბედავდა. თანაც ხვდებოდა, რომ თვალს ადევნებდნენ. ამიტომ, არავინ გაიკარა სიახლოვეს. არმენი მარტომ გაიყვანა ქალაქიდან, თავის კილერებს ჩააბარა, თვითონ კი მაშინვე უკან გამობრუნდა.

— მე სხვა რამეზე ვლაპარაკობ... ჩაჩბას არ ჰქონდა ტატეოსიანის მოკვლის მიზეზი! — შეაწყვეტინა ლუკამ.

— მე არ ვიცი, რატომ გააკეთა ეს ჩაჩბამ. შეიძლება თვითმკვლელია და თავის „ბრატთან", გუშბასთან შეხვედრას ჩქარობს. შეიძლება, საერთოდ გაბუერა და აზრზე არ არის, რას აკეთებს... გითხარით ის, რაც ჩემმა ხალხმა ნახა. ისე, რომ იცოდე, ტატეოსიანი ჯერ მორგში არ იყო გადმოსვენებული, როცა ჩაჩბამ მოხია!.. არმენის დაბრედვამ მაგრად არია მონასტერი. ჩაჩბას თვალი ვეღარ მივადევნე. მერე კი გავიგე, რომ იმ დღესვე მოუხევია სოხუმიდან. თანაც მაგარი „სტრანნი" მარშრუტით... ტატეოსიანი

სოხუმი-გუდაუთის ტრასაზე დაბრიდეს. ნაღდია, რომ იმ დროს ჩაჩბას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა აფხაზეთიდან გასვლა. მაგრამ იმის მაგივრად, რომ გზა გაეგრძელებინა და გუდაუთის გავლით გასულიყო რუსეთში, უკან დაბრუნდა და სოხუმიდან გემით მოხია. ეს ყველაფერი არ არის. საქმე ისაა, რომ სოხუმიდან გემი ყოველდღე არ გადის. ეს, ჩაჩბასა და არმენის სოხუმში ჩასვლის მერე, პირველი რეისი იყო. შემდეგი რეისი კი დანიშნული სამი დღის მერე იყო. თანაც ჩემმა ხალხმა გაარკვია, რომ ჩაჩბას ბილეთი წინასწარ ჰქონდა შეკვეთილი. თანაც მარტო ერთ რეისზე არა!..

— რაა? — გაუკვირდა ლუკას.

— ბილეთი მეორე რეისზეც ჰქონდა შეკვეთილი. იმ გემზე, რომელიც სამი დღის შემდეგ უნდა გასულიყო სოხუმიდან!.. ის ნაბიჭვარი სამი დღე ემზადებოდა. ორივე შეკვეთა რუსეთიდან იყო გაკეთებული. თან შენ გებაზრებოდა და ბილეთებსაც „აზაკაზებდა“!.. პირველ რეისზე ხელი რომ შეშლოდა, მეორეზე მაინც დაბრიდავდა ტატეოსიანს და რუსეთში მოხევდა!..

— როდის მისცა შეკვეთა? — მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა ლუკამ.

— ოცდაექვს ივლისს.

„ოცდაექვსი ივლისი“, — ჩაფიქრდა ლუკა. — თარიღი მართლაც ემთხვეოდა. ეს მისი და ჩაჩბას შეხვედრის მეორე დღე იყო. მომდევნო რეისებზე ბილეთების შეკვეთაც ბევრის მთქმელი იყო. ასე მხოლოდ ის ადამიანი მოიქცეოდა, რომელიც რაღაც მოვლენას უკავშირებდა გამგზავრებას. ამ შემთხვევაში ეს მოვლენა, ტატეოსიანის მკვლელობა აღმოჩნდა. ამას ტარბას ნაამბობიც ადასტურებდა. მაგრამ ლუკას ყოველივე ეს მაინც ალოგიკურად ეჩვენებოდა. ჩაჩბას არ ჰქონდა ტატეოსიანის მოკვლის მიზეზი!.. მისი სიკვდილით ხომ არაფერი შეიცვლებოდა. ეს არ იყო მათი დავის საგანი. ჩაჩბას ყოფნა-არყოფნა, მხოლოდ ჩერმენთან, „სხადნიაკზე“ გადაწყდებოდა. ის იცოცხლებდა, თუ დაამტკიცებდა, რომ არაფერი აკავშირებდა ვოლინას მკვლელობასთან, თუ ვერ დაამტკიცებდა — მოკვდებოდა!.. და რას ცვლიდა ამ შემთხვევაში ტატეოსიანის მკვლელობა?.. ის ხომ უმნიშვნელო ფიგურა იყო. ჩაჩბას ნაბიჯი სრულიად გაუგებარი იყო. თანაც მაშინ, როდესაც მან უკვე იცოდა, რომ ვოვას არაფერი უთქვამს მის წინააღმდეგ. ვოლინას მკვლელობაში მას აღარ ადანაშაულებდნენ. დანარჩენი „სხადნიაკზე“ გადაწყდებოდა. ჩაჩბასთვის წინასწარ უნდა ყოფილიყო ცნობილი, როგორც დამთავრდებოდა თავყრილობა. ვოვა ქურდებთან გაიმეორებდა ლუკასთვის ნათქვამ სიტყვას, რომ ვოლინა ჩაჩბასა და მის ხალხს არ მოუკლავს. ამის შემდეგ, ლუკა „სხადნიაკიდან“ გაქცევას შეახსენებდა და ოფიციალურ პრეტენზიას წაუყენებდა. ბუნებრივია, რომ ჩაჩბა ვერაფრით გაიმართლებდა თავს. ქურდის წოდებას სამუდამოდ დაკარგავდა, სამაგიეროდ, სიცოცხლეს შეინარჩუნებდა. ეს მისთვის საუკეთესო ვარიანტი იყო, რასაც უკვე შეჰგუებოდა. და, ასეთ დროს, ის კლავდა ტატეოსიანს, რითაც ღიად უპირისპირდებოდა ლუკას!.. ეს არ იყო გონიერი ადამიანის საქციელი!.. ამის შემდეგ, მას აღარ მიესვლებოდა „სხადნიაკზე“, რასაც მარტო ერთი რამ — მისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მოჰყვებოდა.

— ჩაჩბა სასწრაფოდ უნდა მოვძებნოთ! — ლუკა ფიქრს ტარბას ხმამ მოსწყვიტა.

— შენ როდის აქეთ იღებ აქ გადაწყვეტილებებს?! — ცივი მზერით უპასუხა ლუკამ.

— არა... — შეცბა ტარბა. — მაგრამ რაღაც ხომ უნდა გავაკეთოთ.

— ვინ უნდა გააკეთოს?!

— ჩვენ.



— ჩაჩბა ქურდებთან ჩაიჭრა და ჯერ ამაზე აგებს პასუხს!
— მერე?
— მერე აღარ იქნება. ჩაჩბა დაიბრიდება. თუ „ტრუპისგან“ მაყუთის აღებას შეძლებ, გზა დამილოცნია!
— ირონიულად მიუგდო ლუკამ.

— ჩვენ?! — გაიკვირვა ლუკამ. — შენ შენი საქმე უკვე გააკეთე. დანარჩენს ჩვენ თვითონ მივხედავთ.

— მოიცადე!.. — მოიღრუბლა ტარბა. — შენ რა, ჩემი ასე გაშვება გინდა?!

— მაშ, რას ელი?.. მადლობას?!

— მადლობა არაფერში მჭირდება. ამ საქმის გულისთვის ჩაჩბა მოსისხლე მტრად მოვიკიდე. ადრეც არ გვქონია „ვასვასები“, მაგრამ არსებობდა რაღაც საზღვრები. მე მის საქმეში არ ვეტენებოდი და ის — ჩემსაში!.. ახლა ეს ყველაფერი მოკვდა. ჩაჩბა არ შემარჩენს ამ საქმეს!..

— შენ რა, ჩვენთან ყოფნით აპირებ მისგან თავის დაცვას?! — ცივად შეაწყვეტინა ლუკამ.

— არა... მე არავისი მეშინია. მით უმეტეს, იმ გაბოზებული ნაბიჭვრის. უბრალოდ, ჩემსას მოვითხოვ. ჩვენ თავიდანვე ერთად ვიყავით ამ საქმეში და...

— ხმას დაუწიე!.. — სავარძლიდან წამოიწია ლუკა. — ტატეოსიანი სოჭში შენ მომიყვანე. ამაში მისგან მაყუთი უნდა მიგეღო. სოხუმშიც მაყუთისთვის გაჰყევი. მთელი ამ დროის განმავლობაში, საერთო საქმისთვის არაფერი გაგიკეთებია. ისე, საერთოდ რამის აზრზე რომ იყო, შენ თვითონ უნდა გინდოდეს აქედან მოხევა. ვერ ხვდები, რომ ყველაფერი დამთავრდა?! მაყუთს არავინ მოგცემს და შეიძლება, მუქთად წაგო თავი!

— რა დამთავრდა? — გაოცებული სახით გახედა ტარბამ.

— ეს საქმე მარტო ტატეოსიანისა და მისი „პადელნიკის“ ბიზნესს არ უკავშირდება. დანარჩენი ქურდულს ეხება, რაშიც შენ არავინ ჩაგახედებს. ბიკის, არმენისა და ჩაჩბას კონფლიქტი სხვანაირად რომ მოგვარებულიყო, ყველა მივიღებდით წილს. შენც მიიღებდი შენს მაყუთს. მაგრამ ბიკი და ტატეოსიანი დაიბრიდნენ. ახლა ვისგან ელი ფულს?!

— ჩაჩბა ცოცხალია! — სწრაფად თქვა ტარბამ.

— მერე? — ჩაეძია ლუკა.

— ბიკის და ტატეოსიანის ბიზნესს ის აკონტროლებს. ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული. მისაღებს მაინც მივიღებთ!

— აა... — ცივად ჩაიცინა ლუკამ. — ესე იგი, მაინც მაყუთი!.. სხვა არაფერი გაინტერესებს?!

— რა უნდა მაინტერესებდეს? — გაიკვირვა ტარბამ.

— ჩაჩბა ქურდებთან ჩაიჭრა და ჯერ ამაზე აგებს პასუხს!

— მერე?

— მერე აღარ იქნება. ჩაჩბა დაიბრიდება. თუ „ტრუპისგან“ მაყუთის აღებას შეძლებ, გზა დამილოცნია! — ირონიულად მიუგდო ლუკამ. — შემიძლია სხვა რამ გირჩიო: შენ თვითონ მოძებნე ჩაჩბა. მისაღები მიიღე და დაბრიდე. რა გინდა, საქმესაც გააკეთებ და ქურდებთანაც „აჩოკს“ დაიწ-

ერ. ბოზის დაბრედვისთვის ყველა შეგაქებს!.. მაგრამ გაფრთხილებ: იჩქარე, იჩქარე, თორემ მაყუთის მაგივრად ხელთ ჩაჩბას აქოთებული მძორი შეგრჩება!..

— მეტი არაფერი? — დაუფარავი ღვარძლით ჰკითხა ტარბამ.

— სულ ეს არის... და თუ შენც არაფერი გაქვს სათქმელი, შეგიძლია დაგვტოვო, — უპასუხა ლუკამ და ვოვას ანიშნა: გააცილეო.

ტარბას აღარაფერი უთქვამს. ბრაზიანი მზერა ესროლა ლუკას. შემდეგ ადგა და უკან მიჰყვა ვოვას, რომელიც უკვე კართან ელოდა.

— არ ღირდა მისი ასე გაშვება, — ჩაილაპარაკა ჯაბამ, როგორც კი ტარბა ოთახიდან გავიდა.

— მაშ, როგორ უნდა გამეშვა, ესკორტით? — გახედა ლუკამ.

— რაც არ უნდა იყოს, სქმეში იყო, — შენიშნა ჯაბამ.

— რა, „პადელნიკად“ მითვლი? — მოიღრუბლა ლუკა. — შენ კარგად იცი ჩვენი წესი: პიდარასტიც რომ იყოს, „პადელნიკი“ „პადელნიკია“ და თავის წილს ნებისმიერ შემთხვევაში მიიღებს. რუსლანი კი არასოდეს ყოფილა ჩვენს საქმეში. ჩემი „პადელნიკები“ თქვენ ხართ... შენ, ვოვა, შუბა, ირაკლი... ის კაცი კი მარტო თავისთვის ჩალიჩობდა, ჩვენით ცდილობდა, თავისი საქმის მოგვარებას.

— ლუკა, აფხაზეთში მაინც გამოგვადგებოდა...

— ჩვენ აღარაფერი გვესაქმება აფხაზეთში!

— ჩაჩბა, — შეახსენა ჯაბამ, — უკან რომ დაბრუნდეს, ასე იოლად ველარ დავითრევთ.

— თუ ძმა ხარ, ჯაბა!.. მაგას იქ დარჩენის შანსი რომ ჰქონოდა, რუსეთში არ გაიქცეოდა!.. ასეა თუ ისე, იმ ნაბიჭვარს ტარბას გარეშეც მოვძებნით!.. და საერთოდ, ერთი რამ დაიმახსოვრე. ამას როგორც ძმას, ისე გეუბნები: მნიშვნელობა არა აქვს, ვისთან დაიძინებ. მთავარია, ვისთან გაიღვიძებ!..

— ამით რისი თქმა გინდა?

— იმის, რომ ასეთ შარახვეტიებთან რომ გვეძმაკაცა, ახლა გვერდით ათი კაცი კი არა, ასი სირი გვეყოლებოდა. შენ კი კარგად იცი მათი და მათი გაკეთებული საქმის ფასი! — ცივად ჩაილაპარაკა ლუკამ და სიგარეტის კოლოფს გადასწვდა.

ასლანი ცუდი ცნობით დაბრუნდა კაფე „პიცუნდაში“, სადაც ჩაჩბა თავის ხალხთან ერთად ელოდა... სვანებმა უარი თქვეს შეხვედრაზე. მართალია, ჩაჩბას ამაში არაფერი მოსჩვენებია უცნაური (ისინი ადრეც ცივად ეკიდებოდნენ მის დაჯგუფებას; ირაკლისა და ლუკას ხალხთან დაჯახების შემდეგ კი საერთოდ მოსისხლე მტრებად მიაჩნდათ), მაგრამ მაინც დაწვრილებით გამოჰკითხა ასლანს მათთან საუბრის დეტალები.

— რატომ თქვეს უარი შეხვედრაზე?

— უარი?! — გაიკვირვა ასლანმა. — ეს უარი არ იყო. იქით დააგდეს „სტრელკა“!

— ვერაფერი გავიგე, — მხრები აიჩეჩა ჩაჩბამ, — თავიდან მითხარი: არ შეგხვდებიანო!.. ახლა კი მეუბნები, რომ თვითონ გვიბარებენ „სტრელკაზეო“!

— გვიბარებენ, მაგრამ იქ ბაზარი არ იქნება.

— მაშ, რა იქნება?

— სროლა და „ტრუპები“!.. მაგათ ჩვენი სისხლი სწყურიათ და არა ჩვენთან ბაზარი!

— ვერ გაბედავენ! — ბრაზით ისროლა ჩაჩბამ.

— კარგი, რა, ზენერ, სოხუმელი მაინც

— ვიდრე ჩაჩბა სიტყვას დაასრულებდა, კაცს კარი ხმაურით გაიღო და დარბაზში რამდენიმე შეიარაღებული ძმაკაცი შემოვარდა

— ისევე დი არეს- სულახურად თქვენი დედასნიშნავს, ნაბიჭვრებო!

არ იყო. ისე ბაზრობ, თითქოს პირველად ხვდები სვანებს. დაგავიწყდა, რომ იმ „პერესტრელკაში“ მაგათი კაცი დაიღუპა?! ვიდრე იმის სისხლს არ აიღებენ, გამჩერებლები არ არიან!

— ჩერმენის სიტყვას ეგენიც ვერ გადავლენ! ამას თვითონ გეგეშიძე არ აპატიებს!

— შენ პირველმა დაარღვიე „სხადნიაკისთვის“ მიცემული პირობა, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ასლანმა.

— რა თქვი?! — იფეთქა ჩაჩბამ.

— ხალხი პანიკაშია, ზენერ. ვატყობ, რომ ხვალინდელი დღის შიში გაუჩნდათ. ყველამ იცის, რომ ჩერმენთან და გეგეშიძესთან სერიოზულ კონფლიქტში ხარ. ცალკე სვანებმა გამოგვიცხადეს ომი... იცი, რას ბაზრობენ ჩვენები?

— რას ბაზრობენ?

— ყველამ იცის, რომ ვოლინა ჩვენ არ მოგვიკლავს; პირიქით, იქით შეგვეძლო პრეტენზიის წაყენება — იქ ხომ ჩვენი ძმა, გუმბა დაიბრიდა, მაგრამ ზენერმა ვერ გაქაჩა, ჩვენი სიმართლე ვერ დაამტკიცა და ახლა ომითა და ჩვენი სისხლით უნდა ავტორიტეტის აღდგენაო...

— რომელი ნაბიჭვარი ამბობს ამას?!

— ხალხი, — მზერა აარიდა ასლანმა.

— რომელი ხალხი?! დაგავიწყდათ, ვინ იყავით რამდენიმე წლის წინ?! თხის მწყემსები, ნაბიჭვრები, „შნირები“, რომლებმაც მარტო ქართველების სახლების ძარცვით მოითქვით სული?! მერე კი დაკერებული შარვლებით მომადექით მოსკოვში: რამე გვიშველე, ზენერ, თხის მწყემსვა აღარ გვინდა და აფხაზეთშიც გასაძარცვავი აღარაფერი დარჩა; ოღონდ უკან არ გაგვაბრუნო და „შნირებად“ დაგიდგებითო!.. თქვენ ბაზრობთ ჩემზე, ნაბიჭვრებო?! — ჩაჩბამ ბროლის საფერფლეს წამოავლო ხელი და კედელთან გამწკრივებულ თავის ხალხს მიუბრუნდა.

— ზენერ... — მისი დამშვიდება სცადა ასლანმა.

— არ უნდა ამას, „ზენერ“!.. — ყვირილით განაგრძო ჩაჩბამ. — დაეჩვიეთ კარაქიან პურს და იმ ხელს დაუწყეთ კბენა, რომელიც გარჩენთ!.. ჩემი და გუმბას გარეშე ერთ დღესაც ვერ გაქაჩავდით. და ახლაც ვერ გაქაჩავთ!.. რა, გეგეშიძემ დაგაშინათ?.. რით განსხვავდება გეგეშიძე იმ ქართველებისგან, სოხუმში რომ ამოხოცეთ?.. ცისფერი სისხლი აქვს?! აა... ვიცი, რითაც განსხვავდება. თქვენ ხომ მარტო ქალებისა და ბავშვების დაწიოკება შეგიძლიათ, დანარჩენს კი...

— ზენერ, მათქმევინე!.. — ხმას აუწია ასლანმა.

— მიდი, — დამცინავად მიუგდო ჩაჩბამ, — მაინც რა გაქვს სათქმელი?

— რად გინდა ეგ ბაზარი. უბრალოდ „გაგვიიასნე“, რა ხდება. აქ არავინაა „ზადნის“ მიმცემი, მაგრამ ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ და რატომ დაგვეჯახა?

— მაინც, რა გაინტერესებთ?

— სვანებსა და ვოლინასთან დაკავ-
ირებით, ყველაფერი გასაგებია. გეგე-
ეიძეც მაგათი ახლობელია, მაგრამ რა
ეაშია ჩერმენი?!

— ეგ თქვენ არ გეხებათ. ჩემი პირა-
ი საქმეა.

— არა, ზენერ. მაგ შენი „პირადი"
ქმის გამო, ყველანი დარტყმის ქვეშ
ემოვჩნდით. სვანები და გეგეშიძე აღარ
ოგვეშვებიან. ახლა მაგათ ჩერმენსა
ა შუბასაც თუ დავამატებთ, „იასნია",
რომ შანსი არ გვაქვს... ჩაგვძირავენ!..

— მე კიდევ გეუბნებით, რომ
რაფერი მოხდება. გეგეშიძე პირადად
ე წამომიყენებს პრეტენზიას.

— ჩერმენი... შუბა?..

— ეგ ერთი „სასტავია". გეგეშიძ-
ესთან ურთიერთობის მოგვარება, ყვე-
ასთან „დაბროს" ნიშნავს.

— გასაგებია, — ეჭვით ჩაილაპარ-
ა ასლანმა, — ჩვენგან რას მოითხოვ?

— დასხდებით? — თავის ხალხს
ახედა ჩაჩბამ და როგორც კი ისინი
ქეთ-იქით ჩამოსხდნენ, ლაპარაკი გა-
აგრძო. — თქვენგან არაფერი მაქვს
ასამალი, მაგრამ ყველაფერი მეც ვერ
აგავიასნე". ეს კონფლიქტი არც ჩვენ
ეკავშირდება და არც გეგეშიძის „სას-
ტავს". ყველამ იცით, რა კაცია გამზათი....

— ქურდი კაცია, — ჩაილაპარაკა
ასლანმა.

ჩაჩბამ უკმაყოფილო მზერა ესროლა
და შემდეგ თქვა:

— აქ მარტო შინაურები ვართ და
ველაფერს თავისი სახელი დავარქ-
ვთ. ყველამ კარგად ვიცით, როგორ
და რისთვის აკურთხეს გამზათი. მა-
გრამ იმ ნაბიჭვარს არ ეყო „პადაჩკა"
და უფრო მეტი მოინდომა. აზრზე არ
ვარ, ბიჭებო, რა და როგორ, მაგრამ
ერთს ნაღდს გეტყვით: გამზათის დამ-
ახურებით ჩავეფალით ამ განავალში!..
ჩვენ გეგეშიძის „სასტავთან" არაფერი
გვქონდა გასაყოფი. ისინი უკრაინაში
ალიჩობენ, ჩვენ — მოსკოვში. ნაბიჭ-
ვარმა ჩეჩნებმა და რუსებმა დაგვაჯახ-
ეს ერთმანეთს. ამიტომ დაიღუპა გუმბა
და ჩემი პატიოსნება კითხვის ნიშნის
ქვეშ დადგა. სხვა ხალხთან რომ გვქონ-
ოდა საქმე, სხვანაირადაც მოვიქცეო-
დით, მაგრამ გეგეშიძესა და მის საახ-
ლობლოსთან „კაჩავი", კარგს არაფერს
მოიტანს. მე ვცადე ამ კონფლიქტის
მშვიდად მოგვარება, შევხვდი გეგეშიძ-
ეს, შუბას, ჩერმენს... ყველაფერი კარ-
გად იყო. „სხადნიაკზე" დრო მომცეს.
ამ დროში უნდა დამტკიცებულიყო, რომ
ვოლინაზე ჩვენ არ აგვინევია ხელი.
ყველაფერი კარგად იყო. გეგეშიძის ახ-
ლობელმა, ჩუმამ „კაპეზედანაც" შემოთვ-
ალა და გამოსვლის შემდეგაც თქვა,
რომ პირველი ტყვია არც ჩვენგან გა-
ვარდნილა და არც მათგან... ხვდებით,
საითკენაც მიდიოდა ბაზარი?..

„სტრელკაზე" ორი ქურდი მოკვდა — ვოლინა და გუმბა: ერთი — ჩვენი, მეორე მათი მხრიდან. ჩვენ მიგვაჩნდა, რომ მათ დაგვცხეს, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ჩვენ ვისროლეთ და მათ „აბაროტი" მოგვცეს. სისხლი უკვე დაღვრილი იყო და ამის მერე ორივე „სასტავს" ერთი გზა გვრჩებოდა — ერთმანეთი უნდა ამოგვეხოცა! მაგრამ გეგეშიძემ გაქაჩა. ბრმად არ დაგვეჯახა. ჯერ ყველაფერი გაარკვია და მერე გამოიტანა სწორი „რეშენიე" — ერთად, ქურდების წრეში გაგვერჩია ყველაფერი!.. — ჩაჩბამ სიგარეტს მოუკიდა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და ლაპარაკი განაგრძო. — „დალშეც" ასე რომ წასულიყო, ჩვენ გავარკვევდით, ვინც ისროლა „სა სტარანი" და ერთად ვაზღვევინებდით გუმბასა და ვოლინას სისხლს!.. ახლა კი ყველას გეკითხებით: ვის არ უნდოდა ეს?..

— „იასნია", ვისაც არ უნდოდა — ვინც ისროლა, — ყველას მაგივრად უპასუხა ასლანმა.

— მართალი ხარ, — გახედა ჩაჩბამ, — მაშინ იმ კაცის სახელიც თქვი!

ასლანმა უხმოდ გაშალა ხელები: არაფერი მაქვს სათქმელიო.

— მაშინ მე მიგახვედრებთ, ვინცაა ის ნაბიჭვარი. ამ ახვარმა ჩვენი ახლობლობით ისარგებლა და ვიდრე გეგეშიძესთან ურთიერთობას ვარკვევდი, ჩვენი და თავისი ხალხი ხარკოვში ჩუმას დასაბრედად გაგზავნა — იმ კაცის დასაბრედად, რომელსაც „სხადნიაკზე" უნდა დაედასტურებინა, რომ ვოლინა ჩვენ არ მოგვიკლავს!..

— გამზათი?! — ერთხმად აღმოხდათ აფხაზებს.

— გამზათი, — დაუდასტურა ჩაჩბამ, — გვიან მივხვდი ამას, ძალიან გვიან, მაგრამ ჯერ ყველაფერი არ არის დაკარგული. ჯერ კიდევ შეიძლება საქმის შემობრუნება.

— როგორ? — შუბლი მოისრისა ასლანმა. — ახლა გეგეშიძე და მისი ხალხი დარწმუნებულები არიან, რომ ხარკოვში ჩვენი ინიციატივით მოვაწყვეთ „ნაეზდი". თანაც ჩვენმა ხალხმა მათი მაყურებელი მოკლა!

— წელან უკვე ვთქვი. სხვა ხალხთან სხვანაირად მივაწვებოდით, მაგრამ გეგეშიძე სულ სხვა ყაიდის კაცია. ის გაგვიგებს. მთავარია, მასთან შეხვედრა მოვახერხოთ.

— შენ ხომ უკვე შეხვდი?! რა გიშლის ხელს კიდევ ერთხელ შეხვედრაში? — გაიკვირვა ასლანმა.

— არა... გეგეშიძე მარტო არ შემხვდება. ის ჩერმენთან, ქურდების წრეში დამიბარებს.

— მერედა, რა არის ამაში ცუდი?

— იქ სხვა ბაზარი წავა. ვერ გავქაჩავ. ჩერმენთან სიტყვა ითქვა, რომ საქმის „გაიასნებამდე" ერთმანეთს არ შევეხებოდით. ამ ბაზარის მერე კი ჩვენმა ხალხმა ხარკოვში მაყურებელი მოკლა და ჩუმას ესროლა. ამისთვის „ბეზბაზარა" მომიყომარებენ და მერე თქვენ დაგერევიან. როგორ დავამტკიცებ, რომ ის ხალხი მე არ გავგზავნე ხარკოვში?! ერთი შანსი გვაქვს: გეგეშიძეს ცალკე უნდა შევხვდე, მაგრამ ამას კიდევ ერთი საქმე უშლის ხელს. ნაბიჭვარმა გამზათმა ყველა გზა მომიჭრა. სოხუმში კიდევ ერთი კაცი დაბრიდა!..

— ვინ? — ახმაურდნენ აფხაზები. — ვინმე ჩვენიანი?!

— არა, — თავი გაიქნია ჩაჩბამ, — სომეხი „დიშოვკა" ბიზნესმენი იყო... „პეშკა", მაგრამ ძალიან სერიოზული „კრიშა" ჰყავდა!

— ვინ? — ჰკითხა ასლანმა.

— გეგეშიძე!.. ის კაცი გეგეშიძემ გამ-

ყურადღება!

გოჩა მანველიძის
ახალი, თავგრუდამხვევი
დეტექტივი
„თეთრი სიკვდილი"

კუბოში დამალული ნარკოტიკები,
გაბაცებული მიცვალებული და
მკვლელობათა კასკადი

იკითხეთ ნიგნის მაღაზიებში ან შეგიკვეთეთ
და მიიღეთ შინ ფასნამატის გარეშე
ტელ.: 38-26-73; 38-26-74.

აყოლა სოხუმში. ერთი საქმე უნდა მოგვყოლმარებინა. ეს საქმე ქურდების წრეში ბაზარის წინ სერიოზულ „აჩოკს“ დამაწერინებდა, მაგრამ... ახლა გეგეშიძემ იცის, რომ მაყურებელი დავუბრიდეთ, მეორის მოკვლას ვცდილობდით და მისი ბიზნესმენიც გავაგორეთ!.. ასეთ ვითარებაში ჩემთან სალაპარაკოდ არ დაჯდება. კარგად ვიცი, რა ტიპიცაა. გამგებია, მაგრამ არც სისხლის ღვრა აშინებს. მაშინვე სროლაზე გადავა!

— საინტერესოა, რა შუაში არიან სვანები? — ჰკითხა ასლანმა. — ისინი ვერ შეაჩერებენ გეგეშიძეს.

— ვერ შეაჩერებენ, მაგრამ სვანებს შორის არის კაცი, ვისაც გეგეშიძე მოუსმენს.

— ვინ?

— ნარსავიძე!

— ვიცნობ, მაგრამ ეგ კაცი მოსკოვში არ არის, — უპასუხა ასლანმა.

— აუუ.... შენ მე გამაგიჟებ! — ბრაზი მოერია ჩაჩბას. — მოსკოვში, წითელ მოედანზე რომ აბირჟავებდეს, უშენოდაც შევხვდებოდი!.. რისთვის გაგგზავნე სვანებთან?..

— უკვე გითხარი, რა ტალღაზეც არიან ისინი! — გაღიზიანდა ასლანი.

— კონკრეტულად რა უთხარი?

— რაც დამაბარე: თქვენთან საბაზრო გვაქვს-მეთქი. ამის მეტი ვერაფერი მოვასწარი. ეგრევე იარაღი დაითრიეს: თქვენთან მარტო ამით გვექნება ბაზარი და სად შევხვდეთო!..

— და შენც ეგრევე დაახვიე? — შეუბღვირა ჩაჩბამ.

— კი, არ დავახვიე, დამახვევინეს!.. მესმის შენი, ზენერ, მაგრამ სვანებთან საერთო ენას ვერ გამოვნახავთ. გინდაც, შეგვახვედრონ ნარსავიძე. რა შეიცვლება ამით?.. იმ „პერესტრელკაში“ მაგისი ძმაკაციც დაიბრიდა. შენ გგონია, რამეს მოისმენს?.. არა, ძმაო, არ მოისმენს. პირველი ეგ დაიწყებს სროლას!..

— ეგ, შენ არ გეხება. ნარსავიძეს მე შევხვდები. შენ მარტო გზა მომიძებნე. თუ სვანებმა უარი გითხრეს, სხვა ხალხი მოძებნე. იმ კაცს მოსკოვში ბევრი ახლობელი ჰყავს და არა მარტო ქართველებს შორის: რუსებიც პატივს სცემენ და ჩეჩნებიც... და კიდევ ერთი... — ვიდრე ჩაჩბა სიტყვას დაასრულებდა, კაფეს კარი ხმაურით გაიღო და დარბაზში რამდენიმე შეიარაღებული მამაკაცი შემოვარდა.

— ისგვეი დი არუ... (სვანურად თქვენი დედას... ნიშნავს), ნაბიჭვრებო!.. — იყვირა ერთ-ერთმა მათგანმა და ავტომატი შემართა.

ნაცნობ ენაზე წარმოთქმულმა ფრაზამ უმალ მიახვედრა ჩაჩბა, ვინც იყვნენ თავდამსხმელები.

— სვანები!.. — იყვირა მთელი ხმით და ელვის სისწრაფით გავარდა უკანა გასასვლელისკენ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

როგორ იღებენ ეროტიკულ სცენებს

რაოდენ მშვენიერიც არ უნდა იყოს სულიერი, პლატონური ლტოლვა, სიყვარული — სექსის გარეშე მაინც არასრულფასოვანი გვეჩვენება. ეროტიკული სცენების გადაღებისადმი მსახიობებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ზოგი მიიჩნევს, რომ ეს მისი სამუშაოს ნაწილია, ზოგი კი კატეგორიულ უარს აცხადებს... მაინც როგორ ხდება ეროტიკული სცენების გადაღება?.. როგორც ამბობენ, ეკრანზე პირდაპირ გადატანილი ნამდვილი ვნება ულაზათოდ და ცოტა არ იყოს, უაზროდ გამოიყურება. ალბათ, სწორედ ამიტომაცაა, რომ კინოს არსენალში პრივატული სცენებ-

ის გადასაღებად სხვადასხვაგვარი ტექნიკური მოწყობილობა მოიპოვება, რომლის უმრავლესობაც მსახიობებს თავზარს სცემს... მაგრამ ის ვარსკვლავები, რომლებიც ამგვარ სცენებში გადაღებებზე უარს ამბობენ, იძულებულნი არიან „ტექნიკურ პროგრესს“ დაემორჩილონ და „აბჯარი აისხან“. ასე რომ, გასაკვირი არ უნდა იყოს, როდესაც მსახიობი „სპეცტანსაცმლისთვის“ თავის დასაღწევად საკუთარი სხეულის გამომზეურებაზე თანხმდება. უნდა ითქვას, რომ „ნატურალისტთა“ რიგები უფრო და უფრო იზრდება!.. მათ შორისაა ცნობილი დრამატული მსახიობი ჰელენ ჰანტერი... „სექსუალურ სცენებში დუბლიორების, მით უფრო სპეცტანსაცმლის გამოყენება მიუღებლად მიმაჩნია. სისულელეა! ვისაც ამგვარ ეპიზოდებში თამაში არ სურს, როლზე უარი უნდა განაცხადოს. მე და ჰარვის მსგავსი რამ აზრადაც არ მოგსვლია“, — ამბობს მსახიობი, რომელმაც ფილმში „პიანინო“, ჰარვი კეიტელთან ერთად „სიყვარული გაითამაშა“. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ სურათში სასიყვარულო სცენები ძალზე ორგანულად ერწყმის ნაწარმოების საერთო ჟღერადობას და ჰელენ ჰანტერის დუბლიორით შეცვლა, მოქმედების განვითარების ერთიან ხაზს დაარღვევდა...

აი, ნატალი პორტმანი კი სხვაგვარად ფიქრობს. ახალგაზრდა ვარსკვლავი ძალზე უკმაყოფილო დარჩა, როდესაც „ვარსკვლავური ომების“ გადაღების დროს, დარტ ვეიდერის როლის შემსრულებელ ჰეიდენ კრისტენსენს საათობით კოცნიდა. მოგვიანებით ნატალიმ აღიარა, რომ როდესაც რეჟისორი პარტნიორის კოცნას ასწავლიდა, თავი მეძავი ეგონა. მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა? კოცნიდა და კრისტენსენთან ერთად რეკლამებშიც მონაწილეობდა, რადგან შიშობდა, ტლანქი ქალის სახელი არ გავარდნოდა!

მსგავს ეპიზოდებში მონაწილეობა მსახიობ მაიკლ დუგლასსაც ნაკლებად ხიბლავს. ამის მიზეზი ფილმის — „ძირითადი ინსტინქტი“ — სექსუალური სცენების გადაღებების მწარე გამოცდილება უნდა იყოს: როდესაც 6 დღე შერონ სტოუნთან ერთად, ლოგინში გაატარა...



ედი მერფი საკუთარ შვილზე უარს აცხადებს

ედი მერფის ადვოკატები აცხადებენ, რომ მსახიობს მელანი ბრაუნთან შეძენილი შვილის ნახვა არ სურს. მერფიმ შვილისადმი გულგრილი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ დაადასტურა, როდესაც სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდა. მან ალიმენტის შესახებ შეთანხმებასა და ბავშვის მონახულებაზე უარი განაცხადა. ამ გადაწყვეტილებამ მის ყოფილ საყვარელს თავზარი დასცა.

გასულ კვირას ჯგუფის — Spice Girls სოლისტი მელანი ბრაუნი, სასამართლოში ედი მერფის ადვოკატებს შეხვდა, რათა მამა-შვილის შეხვედრებთან და ალიმენტის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები მოეგვარებინა. მაგრამ 46 წლის კინოვარსკვლავის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ მას შვილის ნახვა არ სურს. მოსამართლემ სხდომა 3 თვით გადადო, რადგან მერფის მხარემ საკუთარი პირობები არ წამოაყენა. „მელის მრისხანებას საზღვარი არა აქვს. თავდაპირველად, ენჯელის სასამართლოში მიყვანას აპირებდა, რათა ბავშვს საკუთარი მამა ეხილა, მაგრამ შეიტყო, რომ ედი სასამართლოში გამოცხადებას არ აპირებდა. იგი ალიმენტისა და ვიზიტების შესახებ მერფის პირობებს ელოდა, მაგრამ ამაოდ. როგორც ჩანს, ედისთვის გოგონა ზედმეტი ტვირთია", — განაცხადა მელანი ბრაუნის ერთ-ერთმა მეგობარმა. გასულ წელს მელანისთან დაშორების შემდეგ, ედი მერფი მამობას უარყოფდა, მაგრამ მოგვიანებით, დნმ-ის ანალიზმა დაადასტურა, რომ მელანი ბრაუნის ბავშვის მამა სწორედ ის არის. ■

სიმართლე მრიტნი სპირსის ქალწულობის შესახებ

ამერიკულმა ჟურნალმა US Weekly ბრიტნი სპირსის ყოფილი ადვოკატის ერიკ ერვინის ინტერვიუ გამოაქვეყნა, რომელიც ირწმუნება, რომ მომღერლის მიერ შეთხზული მითი მისი ქალწულობის შესახებ ჩვეულებრივი პიარსვლა იყო, რომელმაც ბრიტნის პოპულარობა მოუტანა; სინამდვილეში კი ქალწულობას 14 წლის ასაკში გამოეთხოვა და ჯასტინ ტიმბერლეიკთან ურთიერთობის დაწყებისთანავე მისი საყვარელი იყო. მკითხველს კარგად ემახსოვრება, სასცენო კარიერის დასაწყისში ბრიტნი სპირსმა საზეიმო ფიცი დადო, რომ თავს მოთოკავდა და ქორწინებამდე ქალწულობას შეინარჩუნებდა...

ჟურნალის US Weekly სპეციალურ ნომერში ბრიტნი სპირსის „შავბნელ" წარსულთან დაკავშირებით კიდევ ერთი სენსაციური ინფორმაცია გამოქვეყნდა: სპირსების ოჯახი წარსულის საშინელ საიდუმლოს მალავს, რომელმაც შესაძლოა, ბრიტნის თვითგამანადგურებელ საქციელს ახსნა მოუძებნოს. ჟურნალი იუწყება, რომ ბრიტნის ბებიამ, 31 წლის ემა ჯეინ სპირსმა შვილის გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ, 1966 წელს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ბავშვი დაბადებიდან 3 დღის შემდეგ დაიღუპა. ემა ჯეინი დეპრესიაში ჩავარდა, შვილის დაკარგვას ვერ შეეგუა და მის საფლავზე ცეცხლსასროლი იარაღით თავი მოიკლა. „ქალმა თოფი მკერდზე მიიბჯინა და მარჯვენა ხელის ცერა თითი ჩახმახს გამოჰკრა", — იუწყება იმდროინდელი ადგილობრივი გაზეთი. ემა ჯეინ სპირსს 4 შვილი დარჩა, რომელთაგან ერთ-ერთი, ჯემი სპირსი — ბრიტნის მამაა. მისმა ძმებმა დანაშაულით აღსავსე ცხოვრება განვლეს და უსახლკაროდ დარჩენილებს სიღატაკეში ამოხდათ სული. ■

კეიტ მოსი სიენა მილერს იმუქტემა

ლონდონში გამართულ ბრწყინვალე წვეულებაზე 31 წლის კეიტ მოსმა მსახიობ სიენა მილერს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა. სკანდალის მიზეზი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მამაკაცი აღმოჩნდა... ჩვენი მკითხველი ალბათ უკვე მიხვდა, რომ საქმე სიენას ძველ მეგობარს, მსახიობ რის იფანსს ეხებოდა, რომელსაც მილერი აგვისტოდან მოყოლებული ხვდება. ლონდონში სიენას მოდური მაღაზიის — Twenty 8 Twelve გახსნის შემდეგ შეძეიფიანებული წყვილი პა-

პარაცებმა გამოიჭირეს. „რისი მიყვარს, ჩვენ ერთად ყოფნა გვსურს", — განაცხადა 25 წლის მსახიობმა. ამ სიტყვებით აღშფოთებული სუპერმოდელი ერთ-ერთ რაუტზე ჰოლივუდის ვარსკვლავს მიუახლოვდა და დაემუქრა, რისს თუ გაეკარები, სამუდამოდ მტრად მიგულეო. შემდეგ კი მეგობარს ყველას გასაგონად გადაულაპარაკა: „იმედი მაქვს, რომ ეს ჩერჩეტი სიენა ჩემი სიტყვების არსს ჩასწვდება!" თვითმხილველნი ირწმუნებიან, თითქოს კეიტის მუქარამ სიენა იმგვარ შოკში ჩააგდო, რომ საბრალო, მოცეკვავე წყვილთა ზურგს უკან დაიმალა...

ორი მდედრის პირველი შეხლა-შემოხლა ჯერ კიდევ სექტემბერში შედგა. ერთ-ერთ ქორწილში სიენა მილერი რის იფანსთან ერთად გამოცხადდა. მათი ხილვით აღშფოთებულმა კეიტ მოსმა ყველას გასაგონად წაისისინა, რომ სიენამ მას ჩაცმის სტილთან ერთად, შეყვარებულიც მოჰპარა. ■

სტუდია Universal Pictures ბრად პიტის შემცვლელს ეძებს

სტუდია Universal Pictures-მა პოლიტიკური ტრილერის State of Play სცენარზე მუშაობა დროებით შეაჩერა. ამის გამო ცნობილმა ვარსკვლავმა ბრედ პიტმა პროექტი დატოვა და ახლა კომპანია მის შემცვლელს გამალებით ეძებს. პიტის შესაძლო ალტერნატივად ჯონი დეპი და რასელ ქროუ სახელდებიან. ფილმის State of Play სცენართან დაკავშირებული პრობლემები სცენარისტთა ამერიკული პროფკავშირების გაჭიანურებული გაფიცვის შედეგია. მიუხედავად ამისა, სტუდია ამ პროექტს პრიორიტეტულად მიიჩნევს და მასზე მუშაობის ხანგრძლივი დროით გადადებას არ აპირებს. ფილმის რეჟისორი კევინ მაკდონალდსი („შოტლანდიის უკანასკნელი მეფე") იქნება, მთავარ როლებზე კი — ედუარდ ნორტონი, ჰელენ მირენი, რიჩელ მაკადამსი, ჯეისონ ბეიტმანი და რობინ რაიტ პენი არიან მიწვეულნი.

კევინ მაკდონალდსის მომავალი ფილმი BBC-ს მინისერიალის State of Play (2003 წ.) ფართო ეკრანისთვის შექმნილი ადაპტაცია იქნება. მთავარი გმირი — პოლიტოლოგი და ჟურნალისტი იმ მკვლელობებს იძიებს, რომელთა ირიბი სამხილები ახალგაზრდა პოლიტიკოსის დანაშაულზე მიუთითებს. პოლიტიკოსის როლში მაყურებელი ედვარდ ნორტონს იხილავს, ჟურნალისტის როლი კი ბრედ პიტს უნდა ეთამაშა... როგორც ამბობენ, კომპანია Universal Pictures უპირატესობას ჯონი დეპის კანდიდატურას ანიჭებს. სხვათა შორის, სცენარისტთა გაფიცვის გამო, ჯონი დეპის მონაწილეობით 2 ფილმის („შანტარამი" და „რომის დღიურები") გადაღებებიც შეჩერებულია. ■

ჯულია რობერტსი „არმანისთვის" აქსესუარებს ქმნის

ამერიკული კინოს ვარსკვლავმა ჯულია რობერტსმა 2007 წლის 21 ნოემბერს პირველი დიზაინერული ნამუშევარი წარმოადგინა. „ჯორჯო არმანის სახლის" მიერ საქველმოქმედო პროექტისათვის (PRODUCT) RED შეკვეთილი ტყავის სამაჯურების გაყიდვით შემოსული თანხა აფრიკის კონტინენტზე შიდსთან ბრძოლის ფონდში ჩაირიცხება. ჯულია რობერტსის ფანტაზიით შექმნილ წითელ და ყავისფერ სამაჯურებზე სიმბოლური „სიცოცხლის ხეა" გამოსახული, აქსესუარის შიდა მხარეზე კი ამოტვიფრულია მისი ინიციალები — J.R. Armani-ს სახლის პრესრელიზი იუწყება, რომ რობერტსის აქსესუარები შექმნილია როგორც ქალებისთვის, ასევე მამაკაცებისათვის. მამაკაცთა სამაჯურების საცალო ფასი 195 დოლარია, ქალებისთვის განკუთვნილი სამკაული კი — 175 დოლარი ღირს.

(PRODUCT) RED-ის მარკით გამოსული საქონლის გაყიდვით მიღებული თანხის 40%-ს ჯორჯო არმანი საქველმოქმედო ფონდის ანგარიშზე რიცხავს.

როგორც ცნობილია, ჯულია რობერტსი სხვადასხვა კინოფესტივალსა და საზეიმო შეკრებაზე ხშირად „არმანის" კაბებში გამოწყობილი მიბრძანდება ხოლმე. ყველამ კარგად იცის, რომ მსახიობი ჯორჯოს მეგობარია. ■

Lost-ის ავტორებმა და სტუდია ABC-მ შეთანხმებას მიაღწიეს

ამერიკული ტელესტუდიის ABC საიტზე სერიალის Lost: ისსინგ იეცეს ეპიზოდების პუბლიკაცია დაიწყო. 2-3-წუთიანი სერიები მაყურებელს სრულმეტრაჟიან სერიალში განვითარებული მოვლენების შესახებ მოუთხრობს, რომლებიც ძირითადად გამოცემაში ვერ მოხვდა... Lost Missing Pieces იმ შეთანხმების საფუძველზე გამოდის, რომელიც Lost-ის შემქმნელ კარლტონ კიუზსა და სტუდია ABC-ს შორის დაიდო. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სცენარისტთა პროფკავშირების გაფიცვის დაწყებიდან მოყოლებული, ავტორებსა და სტუდიას შორის შეთანხმება პირველად მოხერხდა. ჩვენს მკითხველს შევახსენებთ, რომ 12000 ავტორის ინტერესთა დამცველმა ამერიკის სცენარისტთა გილდიამ 2007 წლის 5 ნოემბერს გაფიცვა დაიწყო, რადგან კინოსა და ტელევიზიის პროდიუსერთა კავშირმა DVD-მატარებლებზე ჩაწერილი ტელესერიალების გაყიდვით მიღებულ შემოსავლებში სცენარისტთა წილის გაზრდაზე უარი განაცხადა.

სერიალის Lost ჩვენება აშშ-ში 2004 წლის სექტემბერში დაიწყო. დღეისათვის ბოლო, მესამე სეზონი 2007 წლის მაისში დამთავრდა. გახმაურებულმა პროექტმა 2005 წელს „ემის" პრემია მოიპოვა, 2006 წელს კი „ოქროს გლობუსით" დაჯილდოვდა. 2007 წლის მაისში სერიალის პროდიუსერებმა განაცხადეს, რომ ABC-ს არხით გადაცემული სერიალის დასრულებამდე კიდევ სამი 16-სერიიანი სეზონის გადაღება იგეგმება. ■

ვინ დიზელი... ლენინის როლში?!

ამერიკელი კინოვარსკვლავი ვინ დიზელი („რიდიკის ქრონიკები", „სამი იქსი", „მარტოხელა") რუსი რეჟისორის ვიქტორ კონისევიჩის ახალ სურათში — „ტკაცუნი" ითამაშებს. რეჟისორმა ბოევიკების ვარსკვლავი ლენინის როლზე მიიწვია... კონისევიჩის უცნაური არჩევანი ბევრისთვის დღემდე გამოცანად რჩება. შეუიარაღებელი თვალისთვისაც კი ნათელია, რომ 2 მ სიმაღლის, მხარბეჭიან გოლიათს, ძვირფას ილიჩთან საერთო არაფერი აქვს...

ჰოლივუდის კუნთმაგარ ვარსკვლავს ალექსეი პანინი და სტანისლავ ლუბშინი გაუწევენ პარტნიორობას. ფილმის სიუჟეტის თანახმად, მეცნიერმა დროის მანქანა შექმნა და ისტორიული პერსონაჟები დღევანდელ დროში გადმოიყვანა... ■

რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

ნინა: დისკიანი „ბარი" მაგარი იდეაა! ვნახე სპეცნომერი და გულწრფელად მომეწონა. ძალიან მრავალფეროვანია CD-იც და ჟურნალიც. მომეწონა ისიც, რომ ყველა სიმღერის ტექსტია ჟურნალში.

ანრი: მე „ბარის" ხარისხი და სტილი ყოველთვის მომწონს და გასაკვირი იქნებოდა, სპეცნომერი რომ არ მომწონებოდა. მშვენიერი იდეაა! შემდეგი სპეცნომერი ქართული ნაკრებით გამოუშვით. ჩემი სიმღერა აუცილებლად შევა „ბარის" დისკში.

ბედინა: მომღერლებიც და მათი სიმღერებიც საინტერესოდ შეგირჩევიათ. ხარისხიანი დისკია, რაც მის გამოშვებას ამართლებს:) მე თუფაქის და 50 ცენტის მსმენელი ვარ და რეპერებს ალბათ მათი სიმღერები გაუხარდათ.

„ბარის" COOL სპეცნომერი 13 ჰიტით

HIT ბარი

სპეცგამოშვება „ბარში" CD დისკია ყველა მკითხველისათვის!

ჟურნალი + CD 4 ლარი ღირს და გაყიდვაშია 10 დეკემბრამდე

ნინო ჩხეიძე: მომღერლებიდან, რომლებიც დისკში შევიდნენ, ჯენიფერ ლოპესი მომწონს. განსაკუთრებით მისი ბოლო სიმღერა და კლიპი, ჩემს სტილთან ახლოს არის, ასევე - მეტალიკის ზოგიერთი სიმღერა და დიმა ბილანი.

ნიკა ჯავთარაძე: მიკა ძალიან მაგარია, დისკში შესული სიმღერაც მომწონს, მაგრამ უფრო მეტად ის, მსუქან ქალებზე რომ მღერის:) ცოტა გამიკვირდა, დღევანდელი თინეიჯერები „ნირვანას" ისევ რომ უსმენენ?

ყვითელი: ყველაზე ძალიან ფასი მომეწონა. მისასალმებელია. მე მაგ შემსრულებლებიდან „ნირვანა" მომწონს. თვეში ერთხელ თუ მასეთი სახით გამოხვალთ, ბევრ თინეიჯერს გაახარებთ.

დასაწყისი იხ. „გზა" №44-47

მსჯელობთმოპყრობა სტალინი

პოლიტბიუროს გაფართოებულ სხდომაზე მოხსენებით იმის შესახებ, თუ როგორ მოემზადებინათ ქვეყანა თავდაცვისთვის, გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ჟუკოვი გამოვიდა. მან აღნიშნა, რომ ყველა სახეობის ჯარი და შეიარაღებული ძალები მზად არ იყვნენ ფაშისტური გერმანიის აგრესიის მოსაგერიებლად. ჟუკოვმა უარყოფითად შეაფასა ძველ (1939 წლის) საზღვარზე არსებული, გამაგრებული რაიონების განიარაღება, რომელიც კულიკის, შაპოშნიკოვისა და ჟდანოვის ინიციატივით განხორციელდა. დასასრულ, სტალინი დათანხმდა იმას, რომ განიარაღებულ უბნებზე არა მარტო ტყვიამფრქვევები, არამედ საარტილერიო შეიარაღების ნაწილიც დაეტოვებინათ.

1941 წლის 12 ივნისს, საბჭოთა ხელმძღვანელის პირადი დაზვერვის უფროსმა, გენერალ-პოლკოვნიკმა ლავროვმა მოახსენა სტალინს, დასავლეთის საზღვრებთან ჰიტლერული ჯარებისა და მათი მოკავშირეების კონცენტრაციის შესახებ და შესთავაზა, დაუყოვნებლივ ჩაეტარებინათ მობილიზაცია და არმიის გასაძლიერებლად აუცილებელი ზომები მიეღოთ. ამაზე ბელადმა უპასუხა: *„ამბობ, მობილიზაცია გამოვაცხადოთ? მაგრამ ეს ხომ გერმანიისთვის ომის გამოცხადების ტოლფასი იქნება! სწორედ ამაზე ოცნებობენ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რათა საბჭოთა კავშირი გერმანიას დააჯახონ. ვფიქრობ, გერმანიის აგრესიის შესახებ ჩვენ მიერ ჩერჩილისგან აპრილში მიღებული გაფრთხილებაც ამავე მიზანს ისახავდა: გვაიძულონ, გერმანიის შემოსევის საშიშროების გამო, ჩავატაროთ საყოველთაო მობილიზაცია და ამგვარად, გერმანიასთან ომში ჩავებათ. მით უმეტეს, რომ ასეთი პრეცედენტი ისტორიაში უკვე არსებობს: 1914 წელს რუსეთს არ გამოუცხადებია ომი გერმანიისთვის, მან მხოლოდ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა".*

მწერალი, დრამატურგი და ისტორიკოსი რაძინსკი, რომელიც საკმაოდ თავისუფლად ეპყრობა ისტორიულ ფაქტებს, გვიმტკიცებს: 1941 წლის მაისში წითელი არმიის პოლიტიკური პროპაგანდის მთავარმა სამმართველომ სამხედრო ნაწილებს დაუგზავნა დირექტივა — თავდასხმის სულისკვეთებით პირადი შემადგენლობის აღსაზრდელად გამიზნული მეცადინეობები ჩაეტარებინათ. ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ასეთი დირექტივები ჯარის ნაწილებში არ იგზავნებოდა. ხოლო რაც შეეხება თავდასხმის სულისკვეთებით მეთაურთა და მებრძოლთა აღზრდას, — აგრესორზე გამარჯვების რწმენით, ეს ნებისმიერ არმიაში კეთდება.

ასევე ცნობილია, რომ ომის დაწყების შემდგომაც კი, როცა ხელს აწერდა დირექტივას ჯარებისთვის, სტალინმა აუკრძალა არმიას, გადაელახა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საზღვარი.

ყველაფერი ეს მოწმობს, რომ სტალინს არ ჰქონია განზრახვა, გერმანიის წინააღმდეგ პრევენციული ომი დაეწყო.

თუმცაღა, ჯარების საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად ომის დაწყებამდე ბევრი ღონისძიების ჩატარება მართლაც, ვერ მოესწრო. დროულად ვერ შეიქმნა დაჯგუფება, რომელიც შეძლებდა, წინააღმდეგობა გაეწია მტრისთვის, თავდასხმის შემთხვევაში, არ იყო მობილიზებული საჯარისო და ოპერატიული ზურგის ორგანოები, ხოლო ზურგში მოქცეული სატრანსპორტო საშუალებების დაბალმა დონემ ომის პირველსავე დღეებიდან, შეაფერხა ჯარების სათანადოდ მომარაგება.

შედეგებით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იმ სასაზღვრო სამხედრო ოლქებისა და გამაგრებული რაიონების გარნიზონთა შენაერთები, რომლებიც მტრის შემოჭრისთანავე უნდა შეჰბრძოლებოდნენ მას. ეს მნიშვნელოვანწილად, განპირობებული იყო იმით, რომ საბჭოთა მხარემ შეცდომა დაუშვა გერმანიის თავდასხმის დროის განსაზღვრისას და კიდევ — გერმანელების პროვოცირების შიშით, სასაზღვრო ოლქებს მხოლოდ 21 ივნისს ღამით მიაწოდეს თავდაცვის სახალხო კომისარიატის დირექტივა, საბრძოლო მზადყოფნაში ჯარების მოყვანის შესახებ. ჯერ ერთი, ბრძანებამ დაიგვიანა და თანაც, მასში არცთუ ისე გარკვევით იყო ჩამოყალიბებული სამხედრო ნაწილების ამოცანები. ჯარებმა (ფლოტისა და ოდესის სამხედრო ოლქის შენაერთების გარდა, რომლებმაც საჭირო ზომები მიიღეს, სამხედრო საზღვაო ფლოტის სახალხო კომისრისა და ოდესის სამხედრო ოლქის სარდლის ინიციატივით) ვერ მოასწრეს თავდაცვითი პოზიციების დაკავება, აეროდრომების შეცვლა, თვითმფრინავების ჰაერში აშვება, იმ ვითარებაში საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება.

სტალინი ყველანაირად ცდილობდა, მშვიდობიანი პერიოდი გაეხანგრძლივებინა, რათა მოგებული დრო არმიასაც და ქვეყანასაც თავდაცვისთვის მოსამზადებლად გამოეყენებინა. ამიტომ იყო, რომ ის არ თანხმდებოდა, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში სასაზღვრო ოლქების ჯარების მოყვანას. მას მიაჩნდა, რომ ამას მესამე რაიხის მმართველები ომის დაწყების საბაბად გამოიყენებდნენ. მარშალი მერეცკოვი იგონებდა, რომ 1941 წლის დასაწყისში მასთან საუბრისას, *„სტალინმა შენიშნა, რომ უომრად 1943 წლამდე, რა თქმა უნდა, ვერ გავძლებთ. ჩვენდა უნებურად, ომში მაინც ჩაგვითრევენ. მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ 1942 წლამდე მაინც გადავრჩეთ ამას!"*

როგორც ჩერჩილი თავის მემუარებში წერდა, სტალინმა ომამდელ პერიოდზე საუბრისას მას უთხრა: *„მე არავითარი გაფრთხილება არ მჭირდებოდა. ვიცოდი, რომ ომი დაიწყებოდა, მაგრამ ვფიქრობდი, შევძლებდი კიდევ ექვსიოდე თვე მომეგო".*

საინტერესოა აგრეთვე გერმანელი გენერლის, ვესტფალის გულახდილი სიტყვა სტატიაში „ომი ფართოვდება", რომელიც მან 50-იან წლებში, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დავალებით დაწერა. ვესტფალი წერდა: *„სტალინმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ დასავლეთ საზღვარზე გერმანული დივიზიები იყრიდა თავს. მან იცოდა, რით იყო ეს გამოწვეული და შესაბამისად, ძალებს იკრებდა. მიუხედავად ამისა, სტალინი ბოლო წუთამდე იმედოვნებდა, რომ საქმე ომამდე არ მივიდოდა. ამგვარად, სტრატეგიულად, ის მზად იყო გერმანელების თავდასხმისთვის, რომელიც 1941 წლის 22 ივნისს, დილის ოთხის ნახევარზე დაიწყო,*

სტალინი ბოლო წუთამდე იმედოვნებდა, რომ საქმე ომამდე არ მივიდოდა

მაგრამ ტაქტიკური თვალსაზრისით, ომმა მას მოუმზადებელს მოუსწრო".

ომამდელ პერიოდში სტალინის მიერ დაშვებული პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული შეცდომების განხილვისას, საფუძველს მოკლებული არ იქნება, მხედველობაში მივიღოთ მარშალ ჟუკოვის აზრი. ის ამ დროს, გენერალური შტაბის უფროსი გახლდათ. ჟუკოვი წერს: „...ცხადია, სტალინმა დაუშვა შეცდომები, მაგრამ მათი მიზეზების განხილვა არ შეიძლება, ობიექტური ისტორიული პროცესებისა და მოვლენებისგან, მთელი ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებისგან მოწყვეტით... ყველა იმ საუბრის ანალიზისა და ერთმანეთთან შედარების შედეგად, რომელიც კი ჩემი თანდასწრებით ჰქონია სტალინს ახლობლების წრეში, მტკიცედ მწამს, რომ მისი ყველა აზრი და მოქმედება ერთადერთი სურვილით იყო განპირობებული — თავიდან აეცილებინა ომი ან ყველანაირად ცდილიყო მისი დაწყების გადავადებას. სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ამას შეძლებდა".

ასეთია მწარე სიმართლე, სტალინისა და მთელი ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებზე საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შესაძლებელ ვადასთან დაკავშირებით. ბუნებრივია, სტალინს ეს ტრაგიკული შეცდომაც ჰქონდა მხედველობაში, როცა ომის შემდეგ, 1945 წლის 24 მაისს ამბობდა: *„ჩვენმა ხელისუფლებამ ბევრი შეცდომა დაუშვა. ჩვენ სასოწარკვეთილების მომენტებიც კი გვქონია 1941-1942 წლებში".*

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის პრაქტიკაში ეს არ ყოფილა რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა. ვერმახტის უცაბედი თავდასხმის მსხვერპლად იქცნენ: პოლონეთი, დანია, ნორვეგია, ბელგია, ჰოლანდია, საფრანგეთი, ინგლისი, საბერძნეთი, იუგოსლავია. სამყაროს მეორე მხარეს კი — ამერიკის შეერთებული შტატები, რომელმაც თავისი სამხედრო ფლოტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა, როცა იაპონიამ პერლ-ჰარბორზე საჰაერო დარტყმა განახორციელა.

რას ნიშნავს ეს? ნუთუ იმას, რომ თითოეულ ამ ქვეყანაში თავ-თავისი სტალინი იჯდა, რომელსაც მთელი ძალაუფლება საკუთარ ხელში ჰქონდა მოქცეული, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის შესახებ არაფერი გაეგებოდა და არც შესაბამისი ზომების მიღება შეეძლო?.. მაგრამ ამ ქვეყნებში რატომღაც, არც ლანძღავენ და არც დასცინიან მათ.

ისიც უნდა ითქვას, რომ ხრუშჩოვისა და „დემოკრატების" სიცრუე ყველაზე თავხედური და მოურიდებელი მაშინ იყო, როდესაც ისინი ომის პირველ საათებსა და დღეებში ბელადის საქმიანობას განიხილავდნენ. ამ საკითხში სიცრუე უკვე ყოველგვარი ნამდვილი ფაქტის გათვალისწინების გარეშე ცხადდებოდა ჭეშმარიტებად. ხრუშჩოვი პარტიის XX ყრილობაზე ამტკიცებდა: *„ფრონტებზე პირველი წარუმატებლობებისა და დამარცხებების შემდგომ სტალინს მიაჩნდა, რომ დასასრული მოახლოვდა. იმ დღეებში ერთ-ერთი საუბრისას მან თქვა: ყველაფერი, რაც ლენინმა შექმნა, ჩვენ საბოლოოდ დავკარგეთო. ამის შემდეგ, ის დიდხანს, ფაქტობრივად, არ ხელმძღვანელობდა სამხედრო ოპერაციებს და საერთოდაც არ შესდგომია საქმეს. სტალინი მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა მართვის სადავეებს, როცა მასთან პოლიტბიუროს ზოგიერთი წევრი მივიდა და უთხრა, რომ საჭირო იყო, სასწრაფოდ მიეღო რაღაც ზომები, რათა როგორმე გამოესწორებინა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა".* იმავე მოხსენებაში ხრუშჩოვი ამტკიცებდა: *„ეს ფაქტები (ცეკას პლენუმის მოწვევაზე უარის თქმა. — ავტ.) იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად დემორალიზებული იყო სტალინი ომის პირველ თვეებში..."*

მართლაც, საინტერესოა — რა მოუვიდა სტალინს ომის პირველ დღეებში და კვირებშიც კი? ნუთუ მან ქვეყანა მართლა ბედის ანაბარად დატოვა? ნუთუ სრულიად დაკარგა ინტერესი იმისადმი, რაც მის ირგვლივ ხდებოდა? ნუთუ მართლა დაკარგული ჰქონდა შრომის უნარი და მხოლოდ „პოლიტბიუროს ზოგიერთმა წევრმა" დააბრუნა იგი მართვის სადავეებთან და იმაზეც კი მიუთითა, თუ რა უნდა გაეკეთებინა?.. აქ, მართალია, პირდაპირ არა, მაგრამ გაისმის ერთგვარი ვარაუდი, რომ ამ წევრებს შორის, თავად ხრუშჩოვიც იყო და მხოლოდ მოკრძალებული ხასიათის გამო არაფერს ამბობს ამაზე.

მოდი, ფაქტებს გადავხედოთ და იმათ მტკიცებულებებს, ვინც სტალინთან ერთად მუშაობდა და იმ გადამწყვეტი დღეების მოვლენებში მონაწილეობდა.

უკვე საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ 1941 წლის ივნისის მეორე ნახევარში ბელადი მძიმედ ავადმყოფობდა. შაბათს, 21 ივნისს, როცა მას ტემპერატურამ ორმოცი გრადუსამდე აუწია, გამოიძახეს პროფესორი პრეობრაჟენსკი, რომელიც მრავალი წელი მკურნალობდა სტალინს. ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ, პროფესორმა დასვა დიაგნოზი — უმძიმესი ფლეგმონოზური ანგინა — და დაჟინებით მოითხოვა ავადმყოფის დაუყოვნებლივ ჰოსპიტალიზაცია. მაგრამ ბელადმა საავადმყოფოში დაწოლაზე სასტიკი უარი განაცხადა. ამასთან, მან სთხოვა პრეობრაჟენსკის — კვირას, ყოველი შემთხვევისთვის, მოსკოვიდან არ გასულიყო. გარდა ამისა, სტალინმა ექიმს მოსთხოვა, არავისთვის არაფერი ეთქვა დასმული დიაგნოზის შესახებ...

კვირას, 22 ივნისს, 3 საათსა და 30 წუთზე თავდაცვის სახალხო კომისარმა ტიმოშენკომ უბრძანა გენერალური შტაბის უფროსს ჟუკოვს, დაერეკა სტალინთან და მოეხსენებინა, რომ გერმანელები ბომბავდნენ ჩვენს ქალაქებს.

სტალინი მივიდა ტელეფონთან, მოისმინა ჟუკოვის შეტყობინება და ასეთი განკარგულება გასცა: „მოდით, ტიმოშენკოსთან ერთად, კრემლში. უთხარით პოსკრებიშევს, რომ პოლიტბიუროს ყველა წევრი გამოიძახოს". შემდეგ, მიუხედავად პროფესორ პრეობრაჟენსკის სასტიკი აკრძალვისა, სტალინმა მანქანა გამოიძახა და კრემლში გაემგზავრა.

ერთი საათის შემდეგ, 22 ივნისის 4 საათსა და 30 წუთზე, კრემლში შეიკრიბნენ პოლიტბიუროს წევრები, ასევე — ტიმოშენკო და ჟუკოვი. სტალინმა პოლიტბიუროს სხდომა გახსნა. მან მოლოტოვს მიმართა და თქვა: სასწრაფოდ გერმანიის საელჩოში უნდა დავრეკოთო. იქიდან უპასუხეს, რომ ელჩი, გრაფი ფონ შულენბურგი სთხოვდა მათ, მიეღოთ სასწრაფო შეტყობინებისთვის. ელჩის მიღება მოლოტოვს დაევალა.

„ჩვენ, — წერს ჟუკოვი წიგნში „მოგონებები და მსჯელობანი", — მაშინვე ვთხოვეთ სტალინს, ებრძანებინა ჯარებისთვის, დაუყოვნებლივ დაეწყოთ საპასუხო მოქმედებები და მოწინააღმდეგისთვის კონტრდარტყმები მიეყენებინათ.

— მოლოტოვის დაბრუნებას დაველოდოთ, — გვიპასუხა მან.

ცოტა ხნის შემდეგ, კაბინეტში სწრაფად შემოვიდა მოლოტოვი.

— გერმანიის მთავრობამ ომი გამოგვიცხადა.

სტალინი უსიტყვოდ დაეშვა სკამზე და ღრმად ჩაფიქრდა.

დადგა ხანგრძლივი, მტანჯველი პაუზა.

გადავწყვიტე, დამერღვია ეს აუტანელი სიჩუმე და იქ დამსწრეთ შევთავაზე, დაუყოვნებლივ დავცემოდით თავს, სასაზღვრო ოლქებში არსებული მთელი ძალებით, მოწინააღმდეგის შემოჭრილ ნაწილებს და შეგვეჩერებინა მათი შემდგომი წინსვლა.

— კი არ შევაჩეროთ, არამედ — გავანადგუროთ, — დააზუსტა ტიმოშენკომ.

— შეადგინეთ დირექტივა, — თქვა სტალინმა. — ოღონდ ისეთი, რომ ჩვენმა ჯარებმა, ავიაციის გამოკლებით, გერმანიის საზღვარი ჯერჯერობით არსად არ დაარღვიონ.

სტალინის გაგება ძნელი იყო. როგორც ჩანს, ის ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ როგორღაც, თავიდან ავიცილებდით ომს. მაგრამ ომი უკვე ფაქტად იქცა. მტერი ყველა სტრატეგიული მიმართულებიდან იყო შემოჭრილი".

გაგრძელება შემდეგ ნომერში

სასწაულებით გაბრწყინებული უფლის მოციქული მათე

უფლის თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთმა — მათემ, მოციქულებრივი ღვაწლის გარდა, დაწერა ერთ-ერთი „სახარება“, ამიტომ მახარებლადაც მოიხსენიება. მათე მოციქულის ხსენება 30 ნოემბერსაა დაწესებული.

მორენა მერკვილაძე

წმინდა მოციქული და მახარებელი მათე-ალფესის ნაზარეთში დაიბადა. მას ლევისაც უწოდებდნენ. იგი მეზვერედ — გადასახადების ამკრებად მუშაობდა და საკმაოდ შეძლებულადაც ცხოვრობდა. მეზვერეები ვერცხლისმოყვარეობითა და სისასტიკით გამოირჩეოდნენ, ამიტომ იუდეველებს სძაგდათ ისინი. თანაც, სამშობლოს გამყიდველებად, სჯულის მოღალატეებადაც მიიჩნევდნენ, რადგან დამპყრობელ რომაელთა სამსახურში იდგნენ (იმ პერიოდში ებრაელები რომის იმპერიის ქვეშევრდომები იყვნენ). ებრაელებისთვის „მეზვერე“ ისეთივე სალანძღავი სიტყვა იყო, როგორიც „ცოდვილი“ ან „კერპთმსახური“. მათთან საუბარიც კი სამარცხვინოდ ითვლებოდა, თუმცა განკაცებულმა უფალმა სწორედ მეზვერე მათეზე შეაჩერა მზერა: ერთხელ, უფალი კაპერნაუმში იმყოფებოდა. იქ საზვერესთან მჯდომი მათე იხილა. მიუახლოვდა მას და მიმართა: „მომდევდი მე“. მათეს გულში ჩასწვდა უფლის სიტყვები. ადგილიდან წამოდგა და უსიტყვოდ გაჰყვა. მან შინ მიიპატიჟა მაცხოვარი, რათა საკადრისად გამასპინძლებოდა. ქრისტეს არ უუკადრისებია მისი მიპატიჟება. იმ დღეს მათეს ოჯახში მრავალი ადამიანი შეიკრიბა, რომელთა შორის უმეტესობა ცოდვილი და მეზვერე იყო. მაცხოვარმა მათთან იტრაპეზა და ესაუბრა კიდეც. უფლის საქციელმა ფარისეველთა და მწიგნობართა აღშფოთება გამოიწვია: „რაისათვის ცოდვილთა და მეზვერეთა თანა ჭამს მოძღვარი თქვენი?!“ — უთხრეს იესოს მოწაფეებს. მასი სიტყვები მაცხოვარმაც მოისმინა და მიუგო: „არა უხმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სხეულთა. ხოლო თქვენ წარვედით და ისწავეთ, რაი არს: წყალობაი მნებავს და არა მსხვერპლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“.

იესო ქრისტეს მოწოდების შემდეგ, მათემ ყველაფერი დაუტევა, ქონება ღარიბ-ღატაკთ დაურიგა და მას შეუდგა სიცოცხლის ბოლომდე არც განშორებია ვითარცა ერთგული მოწაფე. იგი სხვა მოწაფეთა მსგავსად თან ახლდა მაცხოვარს გალილეასა და იუდეაში, თვალნათლივ ხედავდა მის მიერ აღსრულებულ სასწაულებს. მონმე გახდა ქრისტეს ჯვარცმისა და ბრწყინვალე აღდგომისა.

მოციქულებზე სულიწმიდის გადმოსვლის შემდეგ, მათე მოციქულს პალესტინაში ქადაგება ხვდა წილად. ვიდრე იერუსალიმს დატოვებდა, და შორეულ ქვეყანაში გაემგზავრებოდა, იქ დარჩენილ იუდეველთა თხოვნით, რომლებიც ქრისტეს სჯულზე მოექცნენ, დაწერა „სახარება“. სადაც მაცხოვრის მოძღვრება და საქმეებია გადმოცემული. „მათეს სახარებას“ ახლი აღთქმის წიგნებს შორის პირველი ადგილი უკავია. როგორც ვარაუდობენ, იგი პალესტინაშია დაწერილი, (ქრისტეს შობიდან 42-ე წელს უფლის ზეცად აღმაღლებიდან მე-8 წელს). „მათეს სახარება“ ებრაულ ენაზე დაიწერა (რომელსაც ჩვენამდე რა მოუღწევია), არამეულ დიალექტზე, რომელიც იმჟამად მთელს პალესტინაში საერთო-სახალხო ენას წარმოადგენდა, შემდეგ კი ბერძნულად ითარგმნა. „სახარება“ იწყება იესო ქრისტეს გენეალოგიის გადმოცემით. მასში საუბარია ქრისტეს ხორციელ ქმნასა და განკაცებაზე. სხვა მახარებლები ამის შესახებ არ საუბრობენ.

მათე მოციქულმა ქრისტეს სჯული იქადაგა სირიაში, მიდიაში. სპარსეთში, პართიასა და ეთიოპიაში. მრავალი ადამიანი მოაქცია. ბოლოს ეთიოპიის — მირმენად წოდებულ ქალაქში შევიდა, სადაც უსჯულოებით და ველურობით გამორჩეული ხალხი სახლობდა. მხოლოდ რამდენიმე ადამიანის მოქცევა მოახერხა. მცირე ეკლესიაც დააფუძნა და ეპისკოპოსად თავისი თანამგზავრი და თანამოღვაწე პლატონი დაუდგინა. თვითონ კი ქალაქის მახლობლად მდებარე მთაზე ავიდა და მკაცრი მარხვა დაიწესა. ლოცვით შესთხოვდა უფალს, სარწმუნოების ნათლით გაენათლებინა უსჯულო ეთიოპიელები. უკაცრიელ მთაზე განმარტოებულ მოციქულს თავად მაცხოვარი გამოეცხადა ჭაბუკის სახით, კვერთხი გაუწოდა და უბრძანა, ტაძრის წინ დაერგო: „ამ კვერთხიდან ხე ამოიზრდება და ნაყოფს გამოიღებს, მისი ძირიდან კი წყარო აღმოცენდება. წყალში განბანისა და ნაყოფთა ხმევის შემდეგ ეთიოპიელები შეიცვლიან ვეულურ ზნეს და სახიერნი და მშვიდნი შეიქმნებიან“, — უთხრა მან.

მათე მოციქული ქალაქში გაემართა უფლის მიცემული კვერთხით. გზად ქვეყნის მმართველის ცოლი და ვაჟი გადაეყარნენ, რომლებიც ბოროტ სულს ჰყავდა შეპყრობილი: „ვინ გამოგგზავნა აქ მაგ კვერთხით?! რატომ გინდა წარგვწყმიდო ჩვენ?“ — უყვიროდნენ ისინი. მათემ ქრისტეს სახელით შერისხა და განდევნა მათ სხეულში დაბუდებული ბოროტი სულები. მადლიერებით აღვსილი დედა-შვილი თან გაჰყვა მას. როდესაც ეპისკოპოსმა პლატონმა მოციქულის ჩასვლის შესახებ შეიტყო, წინ მიეგება სამღვდლო კრებულით. მათემ უფლის ბრძანების თანახმად, კვერთხი ეკლესიის წინ მიწაში ჩაასო. იგი იქ მყოფთა თვალწინ მაღალ ხედ იქცა, ფოთლები გაშალა და ნაყოფი გამოიღო, მის ძირში კი წმინდა წყარო ამოვიდა. სასწაულის სახილველად მთელი ქალაქი შეიკრიბა. ხალხი წყალს სვამდა და ნაყოფს იხმევდა. მოციქული შემაღლებულ ადგილზე დადგა და ღვთის სიტყვის ქადაგება დაიწყო. ყველა იქ მყოფმა ირწმუნა ჭეშმარიტი ღმერთი. მათემ ისინი სასწაულმოქმედ წყაროში მონათლა. პირველად მმართველის — ფუბლიანეს ცოლმა და შვილმა იღეს ნათელი. როდესაც ფუბლიანემ ამის შესახებ შეიტყო, განრისხდა და მოციქულის მოკვლა განიზრახა; ოთხი მხედარი გაგზავნა და მისი მოყვანა უბრძანა. ისინი ტაძრისკენ გაემართნენ, სადაც მოციქული და ახალმოქცეული ქრისტიანები ლოცულობდნენ. მიუახლოვდნენ თუ არა ტაძარს, ირგვლივ წყვდიადი ჩამოწვა. უკან გაბრუნება ძლივს მოახერხეს. გამძვინვარებულმა ფუბლიანემ მის შესაპყრობად გაცილებით მეტი შეიარაღებული მეომარი გაგზავნა. ისინიც ხელმოცარულნი დაბრუნდნენ — წმინდა მოციქული ზეციურმა ნათელმა გააბრწყინა და მიახლება ვერ შეძლეს. ამის შემდეგ მმართველმა მთელი ხელქვეითები შეკრიბა. თვითონაც გაჰყვა, რათა პირადად შეეპყრო მოციქული. როგორც კი მიუახლოვდა

ტაძარს, თვალისჩინი დაკარგა. შეშფოთე-
ული, ყველას სთხოვდა დახმარებას,
თუმცა ამაოდ. მაშინ ვედრებით მიმართა
ოციქულს — შემინდე შეცოდება და
ამიბრუნე თვალისჩინიო. მან ჯვარი
დასახა თვალებზე და განკურნა, თუმ-
ცა ეს სასწაული მოციქულის გრძნეულე-
ას მიაწერა და მისი შეპყრობა ბრძანა.
ეფლის მოციქული მიწაზე პირქვე
დააწვინეს და ხელ-ფეხით მიწაზე მი-
ლურსმეს. შემდეგ ფიჩხი დააყარეს, ზე-
ოდან გოგირდი და ფისი დააყარეს და
ცეცხლი წაუკიდეს. მოციქულს ცეცხლი
ურას ვნებდა. მთავრის ბრძანებით ცეცხლს
უპრი და გოგირდი დაამატეს, ირგვლივ
ი თორმეტი კერპი დადგეს, რათა მათი
ალით ქცეულიყო წმინდანი ფერფლად.
ურპები ცეცხლმა გაალღო. მათე კი კვ-
ლავ უვნებლად გადარჩა. ცეცხლის ალ-
ოდან გველი გადმოვიდა და მთავარს
ამოუდგა. ის მოციქულს შეევედრა,
ოკვდილისგან მიხსენიო. მათემ ცეცხლი
ერისხა. ალი გაუჩინარდა და გველიც
ქრა. მოციქული ლოცულობდა.
ფუბლიანემ გადაწყვიტა, მისთვის სან-
ცვლო პატივი მიეგო, მაგრამ მან როგორც
ი დაასრულა ლოცვა, მშვიდობით შეპ-
ედრა სული უფალს — ეს მოხდა უფ-
ლის შობიდან დაახლოებით 60 წელს.

მთავარი თავის საქციელმა სინანულ-
ში ჩააგდო. ბრძანა, ოქროს სარეცელი
მოეტანათ და მოციქულის წმინდა სხეუ-
ლი მასზე დაესვენებინათ, რომელიც
არულიად უვნებლად გადაურჩა ცეცხ-
ლს. შემდეგ ძვირფასი სამოსით შეა-
მოსვინა, ლუსკუმაში ჩააბრძანა და ზღ-
ვაში გაუშვა: თუ ღმერთი მოციქულის
ნეშტს წყალშიც ისევე უვნებლად და-
იცავს როგორც ცეცხლში, მაშინ ის
ერთადერთი ყოფილა თაყვანისცემის
ღირსი, — ბრძანა მმართველმა.

ღამით ეპისკოპოს პლატონს მათე
მოციქული გამოეცხადა და უბრძანა,
ღვთის მსახურებთან ერთად ზღვის
ნაპირზე მისულიყო და მისი ნეშტი
გამოესვენებინა. მათ მმართველიც თან
გაჰყვა. ზღვის სანაპიროსთან მის-
ულებმა გამორიყული ლუსკუმა იხ-
ილეს. მაშინ, ფუბლიანემ საბოლოოდ
ირწმუნა იესო ქრისტე და აღიარა,
რომ სწორედ იგია ერთადერთი ჭეშ-
მარიტი ღმერთი, რომელმაც უვნებლად
დაიცვა თავისი მონა მათე სიცოცხ-
ლეშიც, ცეცხლში დაწვისგანაც და
სიკვდილის შემდეგაც — ზღვათა სიღ-
რმეში დანთქმისაგან. იგი კიდობანს
ეხვეოდა და წმინდა მოციქულს შენ-
დობას სთხოვდა. შემდეგ კი ეპისკო-
პოს პლატონისგან ნათელ იღო, მას
ღვთის შთაგონებით მოციქულის სახ-
ელი — მათე უწოდეს. მალე ყოვე-
ლივე დაუტევა და მღვდლად ეკურთხა.
წმინდა მოციქულის წმინდა ნაწილე-
ბი კი ეთიოპიაში, მის მიერ აგებულ
ტაძარში დააბრძანეს. ■

„პრემას თვალეპი ავუხილე..."

ანუ კაცი, რომელმაც სიმსივნის დაძარცხვა შეძლო

ოთარ ფანჩულიძემ კიბოთი დაავადებული ავადმყოფი მოარჩინაო, — მითხრეს თუ არა, გეზი მაშინვე მისი სამუშაო კაბინეტისკენ ავიღე. მეგონა, ბატონი ოთარი უამრავ საინტერესო და დაუჯერებელ ამბავს მიამბობდა. მომიყვებოდა იმის შესახებაც, თუ როგორ ასწავლა უცნობმა კაცმა სიზმარში სიმსივნის წამალი ან როგორ ეძინა საღათას ძილით. მაგრამ პირიქით მოხდა. ისეთი სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, რომ იძულებული გავხდი, ინფორმაცია მისი პაციენტებისგან მიმეღო. ისინი კი მრავლად არიან. თითოეულ მათგანს დაუჯერებელი რამ გადახდა. ახლა ამბობენ, რომ ამ კაცის წამლის საოცარ ძალაში ეჭვი აღარ ეპარებათ. ამიტომაც შთაბეჭდილებათა წიგნის ყოველ ფურცელზე სასწაული წერია.

ლელა ჭანკოტაძე

ცოლ-ქმარმა პარმენ ბაღათურიამ და ნაზი კვარაცხელიამ 1988 წლის აგვისტოში ოთარ ფანჩულიძის შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერეს:

„ჩვენს 4 წლის ბიჭუნას კისრის არეში ჯირკვლები აღმოაჩნდა. ექიმებმა გვირჩიეს, რომ ბავშვი გამოსაკვლევად ზუგდიდიდან თბილისში წამოგვეყვანა. ეჭვობდნენ, რომ პატარა გიას ტუბერკულოზი ექნებოდა. ბოლოს ექიმები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საქმე გართულებული გრიპის ვირუსთან ჰქონდათ. მკურნალობა რამდენიმე თვის მანძილზე გრძელდებოდა, მაგრამ მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ჯირკვლების რაოდენობა მატულობდა, ჩვენი ბიჭუნა ხელიდან გვეცლებოდა. ერთი ექიმიდან მეორესთან მივდიოდით. არც ერთი პროფესორი არ დაგვიტოვებია. ბოლოს ნაცნობის რჩევით სოხუმშიც კი წავედით. სწორედ იქაურმა პედიატრმა თქვა პირველად, რომ გია ონკოლოგიური პაციენტი იყო. საუბედუროდ, მალევე დადგინდა საშინელი დიაგნოზი: ლიმფოგრანულომატოზი. ქართველმა ონკოლოგებმა მოსკოვში გაგვწერეს. გია მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პედიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. საჭირო იყო სასწრაფო ოპერაცია. თუმცა ბავშვის გადარჩენის იმედს მაინც ვერ გვაძლევდნენ. ოპერაციაზე დავთანხმდით. გიას კისრიდან 1 კგ-ზე მეტი წონის ჯირკვლები ამოაჭრეს. 47 დღის შემდეგ კი ქიმიოთერაპიის 6 კურსი დაუნიშნეს. ეს იყო ყველაზე მძიმე და კოშმარული პერიოდი. გია ყოველ მეორე თვეს დაგვყავდა მოსკოვში. უკვე სიარული აღარ შეეძლო. გახდა, დაუძლურდა, არაფრის სურვილი აღარ ჰქონდა. ისე დაიტანჯა, რომ მისი სახიდან ღიმილი გაქრა. ჩვენთვის განკურნების იმედი არავის მოუცია. პირიქით, გვეუბნებოდნენ, რომ ყველაფერს გააკეთებდნენ, მისთვის სიცოცხლე მცირე ხნით მაინც რომ გაეხანგრძლივებინათ. 1983 წლის აგვისტო იყო. სახლში ვიყავით. გია ისე ცუდად გახდა, ვიფიქრეთ, რომ მისი ბოლო დღეები დადგა. სწორედ მაშინ ჩაგვჩურჩულა ახლობელმა: ბავშვს მაინც აღარაფერი ეშველება, იქნებ წყალტუბოში წაგეყვანათო. წყალტუბოში, გოგოლის 46-ში ცხოვრობდა ოთარ ფანჩულიძე. ხომ გაგიგონიათ, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო. ჩვენც ასეთ მდგომარეობაში ვიყავით. მივედით მასთან. გიას მისი წამლები დავალევინეთ. მეოთხე დღეს ბავშვმა ჭამა დაიწყო, შემდეგ სისხლის ანალიზი გაუუმჯობესდა. იმედი მოგვეცა, ამიტომ სხვა ყველა წამალი მოვუხსენით. იმ დღიდან მოყოლებული ანალიზებს თვეში ერთხელ ვიკეთებთ. ბავშვი უკვე ჯანმრთელია."

ოთარ ფანჩულიძე:

— მოსკოვში გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ყელზე სიმსივნე ისევ ამოუვიდა. მოვიდნენ ჩემთან, ბავშვი კი არ მოიყვანეს, მოიტანეს. ათი დღის

ჩემი წამალი ბიოლოგიური და მცენარეული პროდუქტების ნაკრებია

სამყოფი წამალი მივეცი. ათი დღის შემდეგ ჩემი ფანჯრიდან დავინახე, რომ ბავშვი მშობლებს გვერდით მოჰყვებოდა, თავისი ფეხით, დაუხმარებლად დადიოდა. სიკვდილამდე მემახსოვრება მისი ნათქვამი: ოთარ ძია, კაცი არ ვიყო, პატივი თუ არ გცეო. ის რომ ცოცხალია და ჯანმრთელია, ეს ჩემთვის უდიდესი პატივისცემაა. ახლა 26 წლის არის. სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა. კარგი კაცი დადგა.

— კიდევ რომელი პაციენტები დაგამახსოვრდნენ?

— ლიმფოგრანულომატოზი, თავის ტვინის სიმსივნე, არ იკურნება. მხოლოდ აშშ-ში ხდება ძვლის ტვინის გადანერგვა და პაციენტს გამოჯანმრთელების შანსი ეძლევა. ეს ოპერაცია 150.000 დოლარი ღირს. მე კი ასეთი პაციენტები მყავს მორჩენილი. 2004 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ თხინვალიდან ჩემთან მოიყვანეს ახალგაზრდა გოგო. ის უკვე ქიმიოთერაპიის კურსს გადიოდა. თმა გაცვენილი ჰქონდა და საშინლად დათრგუნვილი იყო. მას უკეთებდნენ „არმენიკუმს", რომელმაც არანაირი შედეგი არ გამოიღო. ჩემი წამალი ორჯერ წაიღო. განიკურნა. ახლა მუსიკალურ სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. ლიმფოგრანულომატოზი ჰქონდა იულია სოფრომაძეს, რომელიც უკვე „მორფინს" იკეთებდა და როგორც ექიმები ეუბნებოდნენ, 2 კვირის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი. ის ახლაც ცოცხალია. ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთიდან დადიოდა მიხეილი, რომელსაც თვალებიდან სისხლი სდიოდა. მას სიმსივნე სახეზე ჰქონდა. რომ დავინახე, გავგიჟდი, ისე შემეცოდა. ოპერაცია ოთხჯერ ჰქონდა გაკეთებული. მისი მდგომარეობა ძალიან უიმედო იყო. ყბის ძვლებიც კი ამოცლილი ჰქონდა. ახლა გადასარევად, არაჩვეულებრივად არის, მაშინ კი ისეთი ტკივილები ტანჯავდა, რომ „მორფინითაც" ვერ უყუჩებდნენ. აქვე, ჩემს კაბინეტთან, ცხოვრობს ნათელა დაშნიანი. მისი შვილიშვილი 23-24 წლის იქნება. რუსეთში იყო, ავად რომ გახდა. ისე დაუძლურდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა. გაუგზავნეს ჩემი წამალი, მორჩა, განიკურნა და თავისი ფეხით ჩამოვიდა. მინდა ისეთ პაციენტებზე გიამბოთ, რომლებსაც 10-15 წლის წინ ვმკურნალობდი. რათა ხალხმა დაინახოს, რომ მესამე-მეოთხე სტადიის სინსივნით დაავადებული პაციენტები კიდევ ცოცხლები და ჯანმრთელები არიან. მეოთხე სტადიის სინსივნიანმა ჩემმა ქუთაისელმა პაციენტმა 9 წელი იცოცხლა. ამ ზაფხულს 85 წლის ასაკში გარდაიცვალა. თავიდან წყალტუბოში ვმუშაობდი. ჩემთან უკრაინის მეცნიერებათა აკადემიამ მოავლინა დო-

გია ბაღათურია

ცენტი ნადეჟდა პანჩენკო. თავისი ლაბორატორიით ჩამოვიდა. ჩემს პაციენტებს იკვლევდა. უამრავი წერილი დაიბეჭდა ჩემზე მაშინდელ ალმანახში „კავკასია". ჩემთან ოთხი წელი ცხოვრობდა და მუშაობდა. ერთი ასეთი შემთხვევა მინდა გავიხსენო. 25 წლის ბიჭს შოთა ხვინგიას შარდის ბუშტის ავთვისებიანი სიმსივნე ჰქონდა. პანჩენკომ გამაფრთხილა: არ მოჰკიდო ამ ბიჭს ხელი, იცოდე, ის მალე დაიღუპება, შენ კი მისი ახლობლებისგან სერიოზული უსიამოვნება შეგხვდებაო. მაინც არ დავიშალე. ბიჭი ვეღარ შარდავდა, როგორ მეთქვა უარი? ორი კურსის შემდეგ ისე გამოკეთდა, რომ ქალბატონ პანჩენკოსთან მძღოლად დაიწყო მუშაობა. დაქორწინდა კიდეც და ახლა 4 შვილის მამაა.

1990 წელს ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის წამყვანმა მეცნიერმა თანამშრომელმა ქალბატონმა ნადეჟდა პანჩენკომ ბატონი ოთარის შესახებ ვრცელი წერილი გამოაქვეყნა: „ჩვენ ვაკვირდებოდით მძიმე სენით დაავადებულ მრავალ ავადმყოფს, რომელმაც ოთარ ფანჩულიძის მიერ ჩატარებული მკურნალობის შემდეგ, ხელახლა შეიძინა სიცოცხლისა და შემოქმედებითი მუშაობის ხალისი. ჩვენ ჩავატარეთ გამოკვლევა ათობით ადამიანზე, რომელიც ბოლომდე განიკურნა. შედეგები საოცარია.

— რაში მდგომარეობს თქვენი წამლის საიდუმლო?

— ჩემი წამალი ბიოლოგიური და მცენარეული პროდუქტების ნაკრებია. მასში შემავალი თითოეული ნივთიერება კარგად არის ცნობილი პრაქტიკულ მეცნიერებაში და მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით გამოიყენება გულ-სისხლძარღვთა და კუჭ-ნაწლავის დაავადებების, საშარდე გზების ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ. ის აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას, ზრდის მის ბრძოლისუნარიანობას სხვადასხვა დაავადების მიმართ და აუმჯობესებს იმუნური სისტემის მდგომარეობას. ის არ არის რაიმე ზიანის მომტანი. უსაფრთხოა ორგანიზმისთვის და არ ახასიათებს რაიმე სერიოზული გართულება, იმ იშვიათი შემთხვევის გარდა, როცა პაციენტს მომატებული აქვს მგრძნობელობა თაფლის ან ფუტკრის რომელიმე პროდუქტის მიმართ და შეიძლება განუვითარდეს რეაქცია ხანმოკლე ქავილის და გამონაყარის სახით. ჩემს წამალზე სხვა რა უნდა ვთქვა?

— ცოტა რამ თქვენ შესახებაც მიამბეთ...

— დავიბადე თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში. დედაჩემმა კუჭ-ნაწლავის წამლების დამზადება იცოდა. ასე რომ, ბავშვობიდან ვხედავდი, დედა როგორ ხარშავდა ბალახებს და იყენებდა თაფლს. მეც ფუტკრის პროდუქტებს მივანიჭე უპირატესობა. ფუტკრის შხამს, რძეს, დინდგელს, მტვერს ვუმატებ მინერალებს და მცენარეებს. პროფესიით ბიოლოგი ვარ. 32 წელია, რაც ვმკურნალობ. ცხადია, ბევრი უკმაყოფილოც მყავს. თავიდან მხოლოდ კუჭ-ნაწლავს ვმკურნალობდი. წლების შემდეგ ონკოლოგიურ პაციენტებზეც ვცადე ჩემი წამლის ძალა. მეგობრებიც კი დამცინოდნენ. მაგრამ ახლა ჩემს პაციენტთა შორის სარკომისგან განკურნებული იმდენი პაციენტია, რომ ჩემ მაგივრად დაე, მათ ილაპარაკონ. ისეთი შემთხვევაც მქონდა, როცა ბრმა ადამიანს თვალები ავუხილე. ვიცი, რომ დიდი გულიც უნდა ჰქონდეს იმ ადამიანს, ვინც მსგავს საქმეს მოჰკიდებს ხელს. მე ასეთი დიდი გული აღმომაჩნდა. ერთმა ჩემმა პაციენტმა დოცენტმა თემურ კოვზირიძემ ასეთი რამ დაწერა: „მომარჩინე, მაგრამ არ მწამს". მას ყელის სიმსივნე ჰქონდა. ე.წ. არამიანცის საავადმყოფოს ექიმი თამრიკო ჭკადუაც მოვარჩინე. მკერდის სიმსივნე ჰქონდა. მას ქმარი პროფესორი ჰყავს. ცოლს ნახევარი მსოფლიო მოატარა, მაგრამ ჩემმა წამალმა უშველა. მერე მათ მოიყვანეს პროფესორი პირტახია. მასაც სიმსივნე ჰქონდა. ისიც მოვარჩინე, მითხრა: ვიცი, რომ არც ერთი ჩემი კოლეგა ამას არ დაიჯერებს, მაგრამ მე მწამსო.

ბატონ ოთართან დამხვდნენ ქალბატონები, რომლებსაც ონკოცენტრში მკერდის მოკვეთა ურჩიეს. მათ თავიანთი მამოგრაფიისა და სხვა ანალიზები მიჩვენეს. ცდილობდნენ, იმაში დავერწმუნებინე, რომ ოთარ ფანჩულიძის დახმარებით მკერდის სიმსივნე დაამარცხეს. ამ შემთხვევამ ილია ჭავჭავაძის ფრაზა გამახსენა: „ზოგი საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმუნებ, ზოგი კი — იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ". ეს სიტყვები ასეც შეიძლება გავიგოთ: თუ ირწმუნე — დაინახავ კიდეც და მოხდება სასწაული. ■

ნოემბერში იხილეთ!

30 ნოემბრიდან გაყიდვაშია

2 ბროსტერი

რას აპირებს რუსეთი კოდორში

რატომ ვერ შევიდა ქართული ჯარი ბაქოში?



ვინ არიან სუმოტორები

ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია რეგიონში

მსოფლიო ომების ისტორია

ვის ემუქრება „პარლ დე გოლი“

ყველაზე კაცური ჟურნალ-არა მარტო მამაკაცებისთვის

დასაწყისი გვ. 18

ბრივად, ის მოხელე აღარ იყო. ამ მოტივით, ადვოკატი მიიჩნევს, რომ ოქრუაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საფუძველი არსებობს. ამ საკითხთან დაკავშირებით, შეკითხვა დაზარალებულ სვანიძეს ბრალდების მხარის წარმომადგენელმაც დაუსვა. კითხვას — იცოდა თუ არა მან, რომ იმ დროს ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრი უკვე აღარ იყო, რომ ის 2006 წლის 10 ნოემბერს, ეკონომიკის მინისტრის თანამდებობაზე გადაიყვანეს და 3-4 დღეში ეს პოსტიც დატოვა? თუ იცოდა, რატომ დათანხმდა ასე მარტივად წილის დათმობაზე? — **სვანიძემ** პასუხად აღნიშნა, რომ მისთვის ოქრუაშვილის თანამდებობა არაფერს ნიშნავდა. *„მაშინ ის სერიოზული პოლიტიკური ფიგურა იყო ხელისუფლებაში და მე მის პრემიერ-მინისტრად დაწინაურებასაც ველოდი“...*

დაიკითხა ომარ ზანგურაშვილიც — დაზარალებულ სვანიძის მეგობარი, რომელმაც აღნიშნა, რომ ის, ფაქტობრივად, ფლობდა შპს „ჯეოსელის“ 1,25%-იან წილს, თუმცა რეალურად, ის სვანიძეს ეკუთვნოდა. *„2006 წლის ოქტომბერში დამიკავშირდა ჯემალ სვანიძე და მითხრა, რომ ეს წილი ქიტოშვილისა და ოქრუაშვილის მოთხოვნით, ვინმე გურამ გოგიასთვის უნდა გადაეფორმებინა. 21 ნოემბერს, ჯემალ სვანიძის თხოვნით, მივედი ნოტარიუსთან — ნინო გინტურთან. იქ იყვნენ ომარ გოგია, დიმიტრი ქიტოშვილი, ჯემალ სვანიძე. მე ხელი მოვაწერე გინტურის მიერ მომზადებულ ხელშეკრულებებს“,* — **აღნიშნა ზანგურაშვილმა**.

აღნიშნული დოკუმენტების გაფორმების ფაქტი დაადასტურეს ნოტარიუსმა ნინო გინტურმა და მისმა თანაშემწეებმა. მათ დაკითხვას ადვოკატ ეკა ბესელიას მორიგი შუამდგომლობა მოჰყვა. ადვოკატმა კიდევ ერთხელ მიმართა სასამართლოს და აღნიშნა, რომ ვინაიდან ირაკლი ოქრუაშვილი იმ პერიოდში არ იყო თანამდებობის პირი, არ შეიძლება ქრთამის აღებაში მისი დადანაშაულება.

„საინტერესოა მეორე ეპიზოდიც, სადაც მას თანამდებობრივ გულგრილობაში სდებენ ბრალს. ადამიანი, რომელიც ბრალდების თანახმად, უკანონო ქმედებებს სჩადიოდა და მასზე, თურმე ოქრუაშვილს ზედამხედველობა უნდა გაეწია, ჯერ გასამართლებული არ არის. გაუგებარია, დაუდასტურებელი დანაშაულისთვის როგორ ასამართლებენ ოქრუაშვილს?“ — აღნიშნავს ბესელია. მართალია, ამჯერად, მას სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის მოთხოვნის დასაბუთების საშუალება მისცეს, მაგრამ შუამდგომლობის განხილვაზე ადვოკატმა კვლავ უარი მიიღო. მოსამართლე გიორგი შავლიაშვილის შეფასებით, *„ეს შუამდგომლობა კი არა, დაცვითი სიტყვა უფრო იყო“* და ამ მოტივით, შუამდგომლობა საერთოდ არ განიხილა... ■

პოლიციის უფროს ლეიტენანტს მკვლელობის მცდელობისთვის ასამართლებენ

ბრალდების თანახმად, მან 18 წლის ბიჭი სასიკვდილოდ გაიმეტა

1975 წელს დაბადებული ზვიად ქიტუაშვილი — პოლიციის უფროსი ლეიტენანტი და შს სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ინსპექტორი თბილისის საქალაქო სასამართლოს წინაშე უმძიმესი მუხლით წარდგა. ბრალდების თანახმად, მან სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად გადაცემული ტაბელური იარაღიდან მოქალაქეს ტყვია ესროლა. ყოფილ პოლიციელს დანაშაულში დაზარალებული ამხელს.

ოფიციალური ცნობების თანახმად, ზვიად ქიტუაშვილი შს უწყებაში 2005 წლიდან მუშაობდა და 2007 წლის ივლისიდან, მან შს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოს სანებართვო განყოფილების განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორის თანამდებობა დაიკავა. ახალ პოსტზე გადასვლიდან რამდენიმე დღეში, ის გისოსებს მიღმა აღმოჩნდა...

შემთხვევა, რომელსაც პოლიციელის კარიერა ემსხვერპლა, 2007 წლის ივლისში მოხდა. საქმის მასალების მიხედვით, 20 ივლისს, დაახლოებით ღამის 3 საათისთვის, ზვიად ქიტუაშვილი საკუთარი ავტომანქანით თბილისში, გულუას ქუჩაზე იმყოფებოდა. მასთან ერთად იყო მამამისი — ვაჟა ქიტუაშვილი, რომელიც მიმდებარე ტერიტორიაზე საზამთროებით ვაჭრობდა. იმ დროს, იმ ადგილზე, შემთხვევით, სამმა მოქალაქემ, 17-18 წლის ახალგაზრდებმა — გლატკოვმა, სუკისიანმა და ვარდანიანმა ჩაიარეს. როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, სამივე ნასვამი გახლდათ. მთვრალმა სუკისიანმა, ქიტუაშვილის მანქანასთან ჩავლისას, ავტომობილს ფეხი მიარტყა. ეს ქიტუაშვილის მამამ დაინახა, გარეთ გამოვარდა და სამივე ახალგაზრდას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. გინება უპასუხოდ არც სუკისიანმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დატოვეს. შეპასუხებამ ვაჟა ქიტუაშვილი კიდევ უფრო გააცხარა — მან გაზის პისტოლეტი მოიმარჯვა და მისი ლულა ერთ-ერთ მათგანს ჩაარტყა თავში. ხმაურზე ზვიად ქიტუაშვილმაც გამოიხედა, გაქცეულ მოქალაქეებს შეასწრო თვალი და მათ მაშინვე დაედევნა. თან, „მაკაროვის“ სისტემის იარაღი ამოიღო და გაქცეულების მიმართულებით გაისროლა. საბრალდებო დასკვნაში მითითებულია, რომ ქიტუაშვილმა უშუალოდ გლატკოვს ესროლა, რაც შურისძიების მოტივითა და მისი განზრახ მკვლელობის მიზნით ჩაიდინა. სროლის შედეგად, გლატკოვი გულმკერდის არეში დაიჭრა. ის დაუყოვნებლივ, თბილისის №1 კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად, სიკვდილს გადაურჩა.

მეორე დღეს, როგორც ამას ადვოკატები ამბობენ, ზვიად ქიტუაშვილი სამართალდამცავ უწყებაში საკუთარი ნებით გამოცხადდა და მომხდარი ამბავი აღიარა. იმავე დღეს, მას 19-108-ე მუხლით წარედგინა ბრალდება, რამდენიმე საათში კი, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობაც შეეფარდა. ბრალდების პოზიციით, მან თავისი ქმედებით შს სამინისტროს თანამშრომელთა დისციპლინური წესდების მეორე მუხლით გათვალისწინებული ქმედება — დისციპლინური გადაცდომაც ჩაიდინა. საბრალდებო დასკვნაში წერია, რომ ეს თანამშრომლისთვის შეუფერებელი ქმედებაა და შს სამინისტროს ავტორიტეტსა და რეპუტაციას ლახავს. ამ მოტივით, ქიტუაშვილი შს ორგანოებიდან დაითხოვეს.

ადვოკატ ნატალია ბეჟაშვილის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. მას სასამართლოსთვის ჩვენება ჯერ არ მიუცია. სამაგიეროდ, დაიკითხა დაზარალებული, რომელმაც წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება დაადასტურა. დაზარალებული და მისი მეგობრები (სუკისიანი და ვარდანიანი) არ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ შემთხვევის დღეს ძალიან მთვრალები იყვნენ. მათი თქმით, არყის სმა ღამის 12 საათიდან დაიწყეს. როგორც ამბობენ, სულ 2 ბოთლი დალიეს. *„თავიანთ ჩვენებაში სამივე დადასტურებს იმ ფაქტსაც, რომ ვაჟა ქი-*

ტუაშვილის მანქანას წიხლებს ურტყამდნენ, რომ ერთი საბარგულზე იჯდა და ისე აზიანებდა მანქანას, მეორე კი გვერდიდან ამტვრევდა... ანუ, სახეზეა თავდასხმა და აშკარა ხულიგნობა, მაგრამ რატომღაც, წინასწარ გამოძიებას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია და შესაბამისად, არც ზემოთ ხსენებული პირების პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარა", — აღნიშნავს განსასჯელის ადვოკატი **ნატალია ბეჟაშვილი**. მისივე თქმით, აღნიშნულ საქმეზე წინასწარი გამოძიება არასრულყოფილად და ზერელედ ჩატარდა. ასევე, ადვოკატი უარყოფს გამოძიების მიერ მითითებულ მტკიცებულებათა ნუსხის რეალობას და ამბობს, რომ გამოძიებას ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულება ფაქტობრივად, არ აქვს. რაც შეეხება მომხდარ ფაქტს, ადვოკატი **ნატალია ბეჟაშვილი** მას სულ სხვაგვარად გადმოგვცემს:

„იმ ღამეს, ვაჟა ქიტუაშვილი თავის ორ ვაჟიშვილთან ერთად იმყოფებოდა. უბრალოდ, მეორე შვილი — არკადი ქიტუაშვილი ფაქტს ვერ შეესწრო, რადგან იმ მომენტში, ის ნათესავის ოჯახში იყო გადასული. ვაჟა ქიტუაშვილი დოდაშვილის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ვაჭრობდა და იქვე მდებარე მესრის უკან, კარავიც ჰქონდა გაშლილი. კარავში ის ზვიადთან ერთად იმყოფებოდა. მესრიდან ძალიან კარგად ჩანს ქუჩა. ამიტომ, როდესაც ვაჟა ქიტუაშვილმა ქუჩიდან საეჭვო ხმაური გაიგონა, ისიც კარგად დაინახა, რომ ახალგაზრდები მის კუთვნილ „მოსკვიჩს" ფეხებს ურტყამდნენ. ის მაშინვე გარეთ გავიდა და ბიჭებს უყვირა — წადით აქედანო! პასუხად, მათ გინება დაუწყეს და კიდევ უფრო მეტი აგრესია გამოიჩინეს. ზვიად ქიტუაშვილის მანქანაც იქვე იდგა, მაგრამ მას ტირიფის ხის ტოტები ეფარებოდა. ვაჟა ქიტუაშვილს შეეშინდა, ჩემი შვილის მანქანაც არ დააზიანონო და მათკენ წავიდა, რათა ისინი როგორმე შეეჩერებინა. ეს რომ დაინახეს, სამივე თავდამსხმელმა (მე ასე ვუწოდებ მათ) ხანში შესულ ადამიანს ცემა დაუწყო. ვაჟა ქიტუაშვილს თან ჰქონდა უვარგისი გაზის პისტოლეტი. ის, რომ იარაღი მართლაც უვარგისი იყო, ექსპერტიზის დასკვნითაც დადასტურებულია. აღნიშნული იარაღი, თავდაცვისა და მოგერიების მიზნით, მან გლატკოვს თავში ჩაარტყა. ამის შემდეგ, ისინი გაიქცნენ. ხმაურზე გამოსული ზვიად ქიტუაშვილი მათ მართლაც დაედევნა, მაგრამ მაშინ, არავითარი გასროლა არ მომხდარა. დაახლოებით 20-25 წუთში, კარავში მყოფ ვაჟა ქიტუაშვილს ხმაურისა და ყვირილის ხმა ისევ მოესმა. როგორც თავად ამბობს, იგივე ბიჭები იყვნენ და ფულს ითხოვდნენ, მე მიხმობდნენ — გამოდი გარეთ, თუ კაცი ხარო. სიტუაცია კიდევ უფრო რომ არ გართულებულიყო, გარეთ გავიდა. ცოტა ხანში ზვიად ქიტუაშვილმა დაინახა, ის ბიჭები მინაზე წაქცეულ მამამისს წიხლებს ურტყამდნენ. ცხადია, ამას ვერც ერთი შვილი ვერ მოითმენდა და გაბრაზებულმა ზვიადმაც, ახალგაზრდების დასაშინებლად, საკუთარი ავტომანქანიდან ტაბელური იარაღი აიღო და ზევით გაისროლა. თავად ამბობს — სპეციალურად, ზევით ვისროლე და ვერანაირად ვერ დავუშვებდი, რომ ჩემი იარაღიდან გასროლილ ტყვიას ვინმეს დაშავება შეეძლოო. მან ისიც დაინახა, თუ როგორ გაიქცა სამივე ახალგაზრდა ორთაჭალის ხიდის მიმართულებით. თავიდან, სამივე ერთი სისწრაფით მირბოდა და ვერც შეამჩნია, თუ რომელიმე მათგანი დაჭრილი იყო. ზვიად ქიტუაშვილი დაედევნა. როგორც თავად ხსნის, დაედევნა როგორც თავდამსხმელებს, რადგან მათ მიერ ჩადენილი დანაშაული სახეზე იყო და რეალური დაზარალებულიც — ვაჟა ქიტუაშვილიც არსებობდა. ზვიად ქიტუაშვილს მათი დაჭერა და განყოფილებაში მიყვანა უნდოდა. სწორედ ამ დროს შეამჩნია, რომ ერთ-ერთმა ჩაიჩოქა. როცა მიუახლოვდა, შენიშნა, რომ დაჭრილი იყო. მაშინვე გაბრუნდა თავისი მანქანისკენ, რათა ის პიროვნება საავადმყოფოში წაეყვანა. მაგრამ ვიდრე თავად გამოვიდა მანქანით, დაჭრილი უკვე ტაქსიში (მას ერთ-ერთი თავდამსხმელის — სუკისიანის მამა მართავდა) ჩასვეს. განსასჯელი აღნიშნავს, რომ როცა თავდამსხმელები გარბოდნენ, გასროლის ხმა გაიგონა. თუ ვინ ისროლა მეორედ, გამოძიებას არ გაურკვევია.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტყვია ამოღებული არ გახლავთ და არც ის არის დადგენილი, გლატკოვმა ცეცხლნასროლი ჭრილობა რა ტიპის იარაღიდან მიიღო. დენთის კვალი სუკისიანისა და ვარდანიანის ხელებზეც დაფიქსირებულია, მაგრამ გამოძიება ამაზე შორს არ წასულა და არ დაუდგენია, თუ რატომ ან საიდან... რაც შეეხება გამოძიების მიერ მითითებულ ერთ-ერთ მტკიცებულებას — განსასჯელის მაისურს, რომელზეც დენთის კვალი რეალურად დაფიქსირდა, ის სინამდვილეში ეკუთვნის მის ძმას, რომელიც რეზერვისტი გახლდათ. არ შემოწმებულა ვაჟა ქიტუაშვილის კუთვნილი მანქანა. არადა, ეს მნიშვნელოვანი გახლდათ, რათა დაფიქსირებულიყო, რომ მანქანა რეალურად იყო დაზიანებული. თავად ვაჟა ქიტუაშვილზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩატარდა და სხეულზე დაზიანებებიც დაფიქსირდა. ექსპერტებმა მიუთითეს, რომ დაზიანებები ბლაგვი საგნითაა მიყენებული. მიუხედავად ამისა, მას საქმეში დაზარალებულის სტატუსი არ აქვს. არადა, ამ ადამიანმა როგორც მორალური და მატერიალური, ასევე ფიზიკური ზიანიც მიიღო. საინტერესოა ის, რომ ამჟამად დაზარალებულად ცნობილი გლატკოვი, მორალური ზიანის სახით, 15 ათას ლარს ითხოვს. ჩვენ მოვითხოვთ, მან დაასაბუთოს, თუ როგორ განსაზღვრა ეს თანხა. გლატკოვი მორალურ ზიანს იმით ხსნის, რომ აბიტურიენტი გახლდათ და მომხდარის გამო ეროვნულ გამოცდებზე ქულები დააკლდა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დეტალი — საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეროვნული გამოცდები 2 ივლისიდან დაიწყო და 17-18-ისთვის უკვე დასრულებული იყო, თავად ფაქტი კი 20 ივლისს მოხდა".

ადვოკატი აცხადებს, რომ შეუძლია სასამართლო პროცესზე წარადგინოს ის მოწმეები, რომლებიც იმ ღამეს, შემთხვევის ადგილზე ახალგაზრდების მიბრუნების ფაქტს და ხელახალ ჩხუბს ანუ ადვოკატის მიერ აღნიშნულ მეორე ინციდენტს დაადასტურებენ. ესენი იქვე მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქე და ავტოგასამართი სადგურის დარაჯი გახლავთ. თუმცა, როგორც ირკვევა, დაცვის მხარეს არ ჰყავს მოწმე, ვინც შეძლებს დაადასტუროს განსასჯელის სიტყვები — გაურკვეველი ადამიანის მიერ მეორე გასროლის თაობაზე. ჯერჯერობით, დაცვის მხარე სასამართლოს ობიექტურობას არ უჩივის. „ჩვენ განსასჯელის გამართლებას მოვითხოვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროკურატურამ დამაჯერებლად და დასაბუთებულად უნდა დაამტკიცოს, რომ დაზარალებულს მართლაც ქიტუაშვილის მიერ გასროლილი ტყვია მოხვდა", — აცხადებს **ნატალია ბეჟაშვილი**.

ამჟამად, სასამართლო პროცესზე მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს. მაგრამ რამდენიმე მოწმე, რომელიც ბრალდების მხარეს უნდა წარმოედგინა, წინა სხდომაზე არ გამოცხადდა. ამის გამო, პროკურორმა მოსამართლეს აღნიშნული მოწმეების იძულებითი წესით მოყვანის შესახებ შუამდგომლობით მიმართა. ამ შუამდგომლობას მხარეებიც დაეთანხმნენ და მოსამართლემ ის დააკმაყოფილა. ■

ბადრი პატარკაციშვილმა იმუნიტეტზე განაცხადი შეიტანა

საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა, მასზე ბადრი პატარკაციშვილის დაშვება-არდაშვებაა. ხელისუფლების მიერ სახელმწიფო გადატრიალებაში დადანაშაულების მიუხედავად, ბიზნესმენმა წინასაარჩევნო კამპანიაში პრეზიდენტობის კანდიდატად ჩაბმა მაინც გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება ბევრისთვის სრულ მოულოდნელობად იქცა, საარჩევნო კამპანიას კი გარკვეული ინტრიგა შესძინა. თავიდან მსგავსი ნაბიჯის გადადგმას პატარკაციშვილი მხოლოდ იმ შემთხვევაში აპირებდა, თუ ოპოზიცია საერთო კანდიდატზე ვერ შეთანხმდებოდა. გასულ კვირას ოპოზიციამ ასეთ კანდიდატად ლევან გაჩეჩილაძე დაასახელა. მიუხედავად ამისა, ოლიგარქმა, მასთან უკვე აშკარად მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ მიხეილ სააკაშვილთან პირადად შერკინება მაინც გადაწყვიტა. თუმცაღა, ხელისუფლებას, საარჩევნო მარათონიდან მისი გამოთიშვის რამდენიმე საშუალება მაინც აქვს. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, პრეზიდენტობის კანდიდატი გარკვეულ ნორმებს, მათ შორის, ბინადრობის ცენზს უნდა შეესაბამებოდეს ანუ ქვეყანაში სულ მცირე, 15 წელი მაინც უნდა იყო ნაცხოვრები. ბადრი პატარკაციშვილი კი, მოქალაქეობის მიუხედავად, სამშობლოში მხოლოდ ხანდახან თუ „შეივლის". სურვილის შემთხვევაში, ცესკოს ამ კანონის, როგორც ბიზნესმენის სასარგებლოდ, ისე მის საწინააღმდეგოდ გამოყენება შეუძლია...

ამასობაში, საარჩევნო მარათონის ფავორიტი მიხეილ სააკაშვილი დროს ტყუილად არ კარგავს. მან საპრეზიდენტო რეზიდენცია დატოვა და აქტიურ აგიტაციას ეწევა. კვირას მიცემულ სატელევიზიო ინტერვიუში ბატონმა სააკაშვილმა პირობა დადო, რომ 2008 წლის 5 იანვრის კენჭისყრის შედეგად პრეზიდენტის სავარძლის დაბრუნების შემთხვევაში, მთელ ძალას სიღარიბესთან ბრძოლას მოახმარს. „დარწმუნებული ვარ, რომ პრეზიდენტობის მეორე ვადის ბოლოსთვის მივაღწევ იმას, რომ საქართველოში სიღატაკე აღარ იქნება. სიღარიბე კი ისეთსავე დონეზე უნდა იყოს, როგორზეც ჩეხეთსა და ლიტვაშია", — დასძინა კანდიდატმა სააკაშვილმა.

ხელისუფლება, გერმანიაში გაქცეული მეამბოხე თავდაცვის ექსმინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის დაუსწრებელი სასამართლო პროცესის თავის სასარგებლოდ შემობრუნებასაც ყველანაირად ცდილობს. შეგახსენებთ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის პროვოცირება სექტემბერში, სწორედ ოქრუაშვილის მიერ გაკეთებულმა სკანდალურმა გამოსვლამ გამოიწვია. კორუფციაში, სამსახურებრივ გულგრილობასა და თავდაცვის მინისტრად ყოფნისას თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული ოქრუაშვილის სასამართლო პროცესი განახლდა.

ოპოზიცია მიიჩნევს, რომ ეს პროცესი ხელისუფლებას, მიხეილ სააკაშვილის მოწინააღმდეგეთა დისკრედიტაციისა და იმის დასამტკიცებლად სჭირდება, რომ ყველანი კორუფციონერები და მექრთამეები არიან. სასამართლოს მიმდინარეობისას ბატონი ოქრუაშვილის პარტიის — „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" — ახალგაზრდა აქტივისტებმა საქალაქო სასამართლოს შენობასთან საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი აქციაზე საკუთარი ლიდერის მხარდამჭერი პლაკატებით — „ოქრუაშვილს სიმართლისთვის სჯიან", „ძირს ექსპრეზიდენტ სააკაშვილის დიქტატურა!" — მივიდნენ. აქციის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სასამართლო ტენდენციურად და არაობიექტურად მიმდინარეობს. თუმცა იმედი აქვთ, რომ 5 იანვარს ყველაფერი დასრულდება: „რადგანაც ექსპრეზიდენტ სააკაშვილის რეჟიმის დღეები დათვლილია, ეს ვაი-სასამართლო პროცესიც მალე შეწყდება. ხალხმა ირაკლი უკვე გაამართლა და ის მალე დაუბრუნდება სამშობლოს, რომელიც დროებით დატოვა", — გვითხრა ოპოზიციონერმა დეპუტატმა გიორგი ცაგარეიშვილმა.

Коммерсантъ (რუსეთი), 27 ნოემბერი

დიდი კამპანიის პატარა საიდუმლოებანი

მმართველი პარტიის მიერ ახალი საპრეზიდენტო ვადით წამოყენებული მიხეილ სააკაშვილი პირველ ნომრად დარეგისტრირდა და ფინიშთან მისვლასაც პირველი აპირებს. „ჩემი გამარჯვება უპირობო იქნება", — განუცხადა სააკაშვილმა ჟურნალისტებს და თან, „საქართველოს სიღარიბიდან გამოყვანას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ევროპაში ინტეგრაციის მიღწევას" და აგრეთვე, იმასაც შეჰპირდა, — ყველა პოლიტიკურ ოპონენტს ხელს გავუწვდიო.

ყველა პროგნოზის მიხედვით, არჩევნებზე ექსპრეზიდენტის მთავარი მეტოქე, გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე იქნება, რომლის მხარდასაჭერადაც მთელ ქვეყანაში 60 საარჩევნო შტაბი გაიხსნება. პრეტენდენტთა სიაშია აგრეთვე, ლეიბორისტული პარტიის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი და პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეების" რჩეული, დავით გამყრელიძე. გარდა ამისა, საინიციატივო ჯგუფების კანდიდატებად არიან წამოყენებული: პარტია „იმედის" ლიდერი ირინა სარიშვილი-ჭანტურია, „მომავლის პარტიის" ლიდერი გიორგი მაისაშვილი, კომპარტიის ლიდერი ივანე წიკლაური, თამაზ ბიბილური („9 აპრილის საზოგადოება"), დროებით უმუშევარი აგრონომი შალვა კუპრაშვილი, ისტორიკოსი შალვა ცერცვაძე და ელენე ტეფნაძე-ბაგრატიონი. განაცხადი შეიტანა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმაც. მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, პატარკაციშვილმა ქვეყნის მეთაურის პოსტის დასაკავებლად კენჭისყრა მაინც გადაწყვიტა.

საარჩევნო კამპანიის მონაწილეთა ესოდენ შთამბეჭდავი რაოდენობის კომენტირებისას, მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ სულ მალე ეს სია მკვეთრად შემოკლდება: „მაქვს ინფორმაცია, რომ მიმდინარეობს მსჯელობა კონკრეტულ თანხაზე, რომლის სანაცვლოდაც, კანდიდატებმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უნდა თქვან და შედეგად, მხოლოდ ბადრი პატარკაციშვილი დარჩება", — განაცხადა ექსპრეზიდენტმა.

Газета (რუსეთი), 27 ნოემბერი.

საკაშვილის ნერვების ასაწევად...

ბორის ბერეზოვსკის ყოფილმა ბიზნესპარტნიორმა ბადრი პატარკაციშვილმა დაადასტურა, რომ საქართველოს პრეზიდენტის პოსტის დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა. სხვა პრეტენდენტებს, ან უკვე ექსპრეზიდენტ საკაშვილზე გამარჯვების მინიმალური შანსი აქვთ. თუმცაღა, ხელახლა არჩევის შემდეგ, საკაშვილს დასავლური კურსისადმი ერთგულების უფრო აქტიური დემონსტრირება მოუწევს. არც ისაა გამორიცხული, რომ თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევისა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემდეგ, დასავლეთის თვალში რეპუტაციაშელახული საკაშვილის შეცვლაც გადაწყვიტონ.

საკაშვილის ყველაზე სერიოზულ მეტოქეებად, ოპოზიციონერებს — დავით გამყრელიძეს და ლევან გაჩეჩილაძეს მიიჩნევენ. ახლა მათ, პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ, სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ეჭვმიტანილი ბადრი პატარკაციშვილიც, რომლის განაცხადიც ცესკოს, გარდაცვლილ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას ძმამ — გიორგიმ გადასცა. მანამდე საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიუხედავად, პატარკაციშვილს არჩევნებში მონაწილეობა მაინც შეუძლია.

თუმცაღა, ექსპერტები ქვეყანაში პატარკაციშვილის დაბრუნებას ეჭვობენ. „მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის მიერ პატარკაციშვილის წამოყენება, შერისხული ოლიგარქისთვის პიარის გაკეთებისა და არჩევნების წინ საკაშვილისთვის ნერვების აწევწვის მცდელობად უნდა განვიხილოთ. თბილისში არეულობის დროს, საკაშვილმა თავი გამოიჩინა, როგორც შეუპოვარმა პოლიტიკოსმა, რომელიც ძალაუფლებისთვის ბრძოლისას, უკიდურეს ზომებზე წასვლისთვისაც მზადაა. ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში, პატარკაციშვილს ალბათ, დაპატიმრება ელოდება", — განუცხადა РБК daily-ს კორესპონდენტს სტრატეგიული შეფასებებისა და ანალიზის დირექტორმა ვაგიფ ჰუსეინოვმა. თავად საკაშვილმაც ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მიანიშნა, რომ პატარკაციშვილს უჯობს, სამშობლოში არ დაბრუნდეს. მან კერძოდ, განაცხადა, რომ არეულობა თბილისის ცენტრში არა რუსეთის (თუმცა, სულ რაღაც ორი კვირის წინ ის პირდაპირ აცხადებდა რუსთაველის პროსპექტზე განვითარებულ მოვლენებთან მოსკოვის კავშირის შესახებ), არამედ „ზოგიერთი პირების მიერ" იყო ორგანიზებული, რომელთა შორისაც, შერისხული ოლიგარქიცაა ნაგულისხმევი.

არჩევნებში საკაშვილის გამარჯვების მთავარ საწინდრად ექსპერტები ქართული ოპოზიციის გათიშულობას მიიჩნევენ. „საკაშვილს ხელახლა კიდევ იმიტომაც აირჩევენ, რომ ჯერაც ძალზე პოპულარულია. ალბათ არც არჩევნებთან დაკავშირებით გატარებული პოპულისტური ზომების — მაგალითად, სოციალური მიზნებით ხარჯების გაზრდის დავიწყება ღირს", — განუცხადა РБК daily-ს პოლიტოლოგმა ექსპერტმა მათეო ნაპოლიტანომ. მაგრამ საკაშვილს არჩევისთანავე, „მართვის საკუთარი სტილის" ძირფესვიანი შეცვლა მოუწევს: „პრეზიდენტის უპირველესი ამოცანა, სოციალური და ეკონომიკური რეფორმების გატარება იქნება. დასავლეთის მზარდი ზეწოლის შედეგად, მას სასამართლოების რეფორმირება და აგრეთვე, ქვეყანაში დემოკრატიული რეფორმების დანერგვის გაძლიერებაც მოუწევს", — აცხადებს ბატონი ნაპოლიტანო.

რუსეთს კი, ნებისმიერი ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვებას სინამდვილეში, მაინც საკაშვილის გამარჯვება უნდა ერჩივნოს: ანტირუსული პოლიტიკა, რომელსაც ის ატარებს, ნათელია; ამასთანავე, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, მისგან დიდად არც ბევრი სხვა კანდიდატის პოზიცია განსხვავდება. „რუსეთისთვის უფრო მეტად, ის კანდიდატია მისაღები, რომელთანაც ჩვენი ქვეყნებისთვის საინტერესო გეოპოლიტიკური საკითხების ირგვლივ კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა იქნება შესაძლებელი. მაგრამ ასეთი ფიგურა ქართულ პოლიტიკურ ცის კაბადონზე ჯერჯერობით არ ჩანს. სამწუხაროდ, მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენლებიცა და ოპოზიციონერებიც უკიდურესად ანტირუსულად არიან განწყობილნი", — დაასკვნის ბატონი ჰუსეინოვი.

РБК daily (რუსეთი), 27 ნოემბერი.

პრეზიდენტობის კანდიდატები ტაქტიკას ცვლიან

მას შემდეგ, რაც გასულ კვირას ექსპრეზიდენტმა მიხეილ საკაშვილმა მეამბოხე ქართველი ბიზნესმენი ბადრი პატარკაციშვილი პრეზიდენტობის კანდიდატების მოსყიდვაში დაადანაშაულა, ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის სტრატეგიის გადახედვა გადაწყვიტეს. წამყვანი პოლიტიკური პარტიების ლიდერები არჩევნებზე არა ერთიანი ოპოზიციური ლიდერით, არამედ თავ-თავიანთი კანდიდატებითა და საკუთარი ხაზინით წარდგებიან.

საკაშვილის თქმით, პატარკაციშვილი, რომელიც ქართულ მართლმსაჯულებას ემალება და იმავდროულად, საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრასაც აპირებს, სხვა კანდიდატების მოსყიდვას ცდილობს, რათა მათ, შესაბამისი გასამრჯელოს სანაცვლოდ, 5 იანვრის არჩევნებში მონაწილეობაზე მის სასარგებლოდ უარი თქვან.

ნიუ-იორკში მყოფი პატარკაციშვილი კი ამ დროს თავის წინასაარჩევნო გეგმებზე იწყებს საუბარს: ტელეარხ RTVI-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან დაადასტურა, რომ არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს და ქართველი ხალხის მხარდაჭერის იმედიც აქვს. ბიზნესმენმა, რომლის ქონებაც 12 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, პირობა დადო, — გამარჯვების შემთხვევაში, ბიუჯეტიდან ფულს არ მოვიპარავ, პირიქით, საკუთარ ფინანსებს რიგითი მოქალაქეების ცხოვრების გაუმჯობესებას მოვახმარ და არც საკაშვილივით მთელი ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრირებას ვაპირებო. თბილისში ისიც გუშინვე გახდა ცნობილი, რომ პატარკაციშვილმა საარჩევნო შტაბი შექმნა. წინასწარი ინფორმაციით, მის ხელმძღვანელობაზე თანხმობა, გარდაცვლილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას ძმამ — გიორგი ჟვანიამ განაცხადა. როგორც თბილისური პრესა წერს, ზურაბ ჟვანიას პატარკაციშვილთან დიდი მეგობრობა აკავშირებდა.

საკაშვილის მეტოქეები ბიზნესმენთან რაიმე კულუარულ კავშირებს კატეგორიულად უარყოფენ. როგორც ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა „ნეზავისიმაია გაზეთას" განუცხადა, „საკაშვილი თავადაც არაერთხელ ცდილა ლეიბორისტების ლიდერის, შალვა ნათელაშვილის ლოიალობის ყიდვას, მაგრამ ყოველ ჯერზე სულ უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს შეუძლებელია". შატბერაშვილის თქმით, მათი პრეზიდენტობის კანდიდატი „ამ თემაზე რაიმე მოლაპარაკებას არც ახლა აწარმოებს". ამასთანავე, შატბერაშვილი არ გამორიცხავს, რომ რომელიმე ოპოზიციურ კანდიდატს მართლაც ჰქონდეს კონტაქტი პატარკაციშვილთან, მაგრამ „ნათელაშვილი ამ სიაში არ არის და არც შეიძლება იყოს": „ჩვენ არჩევნებზე, როგორც დამოუკიდებელი პარტია, ისე მივდივართ და ჩვენი კანდიდატის ხმების ვინმესთვის მიყიდვას არ ვაპირებთ. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ, რომ საარჩევნო კამპანიის ფინიშზე, ლეიბორისტებმა საკაშვილის დამარცხების მეტი შანსის მქონე სხვა რომელიმე კანდიდატს დაუჭირონ მხარი, მაგრამ ოლიგარქ პარატკაციშვილს ჩვენს ხმებს არასდროს მივცემთ", — დაბეჯითებით თქვა ლეიბორისტთა გენერალურმა მდივანმა.

Независимая газета (რუსეთი), 27 ნოემბერი

რესტლერის ვარსკვლავი მეუღლემ მიატოვა

მსოფლიოში ყველაზე ცნობილ რესტლერს, ხალკ ჰოგანს მეუღლე ეყრება. ფლორიდის შტატის სასამართლო ორგანოების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ადგილობრივ გამოცემას განუცხადა, რომ ლინდა ჰოგანს განქორწინება აქვს გადაწყვეტილი. ცხადია, ჟურნალისტებმა ხალკს კომენტარის გაკეთება უმალვე სთხოვეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. „გმადლობთ ამ ინფორმაციის მოწოდებისთვის", — განუცხადა რესტლინგის ვარსკვლავმა St. Petersburg Times-ის კორესპონდენტს. ■



როდმანს ისევ ასამართლებენ

ლას-ვეგასის „ჰარდ როკ კაფეს" ყოფილმა მიმტანმა, სარა რობინსონმა დენის როდმანს სექსუალურ დევნაში დასდო ბრალი. რობინსონის თქმით, გასული საუკუნის 90-იანი წლების კალათბურთის ვარსკვლავი მასთან ინტიმური ურთიერთობის დამყარებას 2006 წლის მარტში ცდილობდა. დაზარალებული ირწმუნება, რომ ის ბარში — Cuba Libre — მუშაობდა, როდესაც დენისმა „სცენების მოწყობა" დაიწყო და ბარის დგარზე ასვლა სცადა. როდესაც სარამ მას გვერდით ჩაუარა, როდმანმა ხელი სტაცა და ჩაიხუტა. ამ მომენტში, მიმტანი გათავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ „ჩიკაგო ბულზის" ყოფილმა სკანდალურმა ვარსკვლავმა ის იატაკზე დააწვინა. როდმანის წარმომადგენლები ჯერჯერობით ამ შემთხვევის შესახებ კომენტარის გაკეთებისაგან თავს იკავებენ. მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ 46 წლის დენისი სამართალდამცველთა ყურადღების ცენტრში არაერთხელ მოხვედრილა. ოთხმა ქალბატონმა მას სასამართლოში იმის გამო უჩივლა, რომ 1998 წელს ლას-ვეგასის სასტუმრო „ჰილტონში" როდმანი მათ მკერდზე ეძგერა. 2001 წელს კი, ანალოგიური ბრალდებით, სასამართლომ კაზინო „მირაჟის" კრუპიე, ჯეიმს ბრასიჩისთვის, კალათბურთელს 80 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. ■

ადრიანო სან-პაულუში ემზადება

„ინტერის" ფორვარდი ადრიანო, რომელიც ამჟამად, სან-პაულუს სპორტულ ცენტრში ფიზიკური კონდიციების დაბრუნებას ცდილობს, უახლოეს მომავალში ალკოჰოლისადმი ლტოლვისგან განკურნებას გეგმავს. „ინტერი" ყოველნაირად მხარში მიდგას, — ამბობს ადრიანო, — აქ სან-პაულუში ყველა გულისხმიერებით მეპყრობა, რაც ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია. მითხრეს, რომ ალკოჰოლის მეშვეობით საკუთარი პრობლემების გადაჭრას ვცდილობდი. ყველას შეიძლება დაუდგეს მძიმე დრო და მეც ჩვეულებრივი ადამიანი ვარ. ვიმედოვნებ, ჩემს ოჯახს ისევ გავაბედნიერებ და ფეხბურთს დავუბრუნდები, რომელიც ძალიან მიყვარს. ჩვეული ღიმილი მინდა დავიბრუნო. არავინ იცის, თუ რა გველის მომავალში. აქ სამუშაოდ ვარ, უპირველესად კი, ფორმა უნდა დავიბრუნო, ხოლო შემდეგ — ვნახოთ. აღფრთოვანებული ვარ იმ თბილი მიღებით, რომელიც აქ, სან-პაულუში მომიწყვეს". ■

«ოქტაგონი» ეროტიკის თანხლებით

მსოფლიო ჩემპიონატი „ბრძოლაში წესების გარეშე" სულ უფრო პოპულარული ხდება. ბოლო პერიოდში ამ ტურნირის ორგანიზატორთა შემოსავლებმა მართლაც, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მას შემდეგ, რაც სატელევიზიო კომპანიამ — Octagon Worldwide — რომელიც UFC-ის ბრძოლების ჩვენების უფლების მფლობელია, ჩემპიონატის ოფიციალურ სახეებად სამი გოგონა აირჩია, ერთ-ერთი მათგანის, სენტლუისელი ალი სიმონუს, ედიტ ლორენტით შეცვლა გადაწყვიტა. ასეთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას Octagon Worldwide-ის ბოსები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ. UFC-ის ახალი „ოფიციალური პირი" თავისი გარეგნობით, ყველას უმტკიცებს, რომ „ბრძოლა წესების გარეშე" სპორტის ამ სახეობით დაინტერესებული, ნებისმიერი გემოვნების ქომაგის მოთხოვნას დააკმაყოფილებს. ხოლო თუ ასოციაციის ხელმძღვანელობა ამ მიმართულებით მუშაობას კვლავაც გააგრძელებს, შესაძლოა, თავად „უწესოდ მებრძოლები" ლამაზმანთა ჩრდილქვეშაც აღმოჩნდნენ. ■

მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

განახლებული AUDI R8

დეკემბერში, ესენის საერთაშორისო საავტომობილო გამოფენაზე, გერმანული ტიუნინგ-კომპანია PPI Automative Design სუპერავტოს — Audi R8 — ტიუნინგის საკუთარ ვარიანტს წარადგენს. სპეციალურად ამ ავტომობილისთვის ატელიემ მაგნიუმის შენადნობისგან 19-დუიმიანი ბორბლების დისკები, აგრეთვე, ძარას ახალი აგრესიული იერი შეიმუშავა, რომელიც მთლიანად კარბონისგანაა დამზადებული. განახლებული საბაზო რვაცილინდრიანი, 4,2-ლიტრიანი ბენზინის ძრავას სიმძლავრე 420-იდან 460 ცხ.ძ-მდე გაიზარდა. განახლებულ Audi R8-ს 100 კმ/სთ სიჩქარის განვითარება 4,4 წამში შეუძლია, რაც საბაზო სუპერავტოს მონაცემთან შედარებით, ორი მეათედი წამითაა გაუმჯობესებული. სიახლის მაქსიმალური სიჩქარე კი 305 კმ/სთ-ია. გარდა ამისა, ავტომობილი ახალი გამონაბოლქვის სისტემით აღიჭურვა. უმნიშვნელოდ შეიცვალა მისი ინტერიერიც. კერძოდ კი, მას ახალი საჭე და განსხვავებული სავარძლები დაუმონტაჟეს. ■

ახალი „ლექსუსი“ რუსულ ბაზარზე



მოსკოვში გამართულ ავტოგამოფენაზე — Millionaire Fair — არასაგზაო Lexus LX-570-ის პრემიერა შედგა. ამ ავტომობილის გარეგნობამ წინა მოდელის დიზაინის ზოგიერთი ნიშანი შეინარჩუნა. იგი იაპონური მარკის საფირმო სტილშია შესრულებული. Lexus LX 570 თავის წინამორბედზე რამდენიმე სმ-ით გრძელია. სრულამძრავიანი Lexus LX 570-ის სიგრძე 4990 მმ-ია, სიგანე — 1970 მმ, ხოლო სიმაღლე — 1920 მმ, რაც შესაბამისად, 60, 28 და 40 მმ-ით მეტია წინამორბედი ავტომობილის ზომებზე. არასაგზაო სიახლე 5,7-ლიტრიანი, რვაცილინდრიანი, 367 ცხ.ძ. სიმძლავრის ბენზინის ძრავათი აღიჭურვება, რომელიც სიჩქარის გადაცემათა ექვსსაფეხურიანი, ავტომატური კოლოფით იმუშავებს. გარდა ამისა, ამ კოლოფს მექანიკური გადართვისთვის განკუთვნილი სახელურიც ექნება დამონტაჟებული. ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი მანქანის დინამიკური მაჩვენებლების შესახებ. ახალი LX 570-ის საბაზო კომპლექსში ოთხსეზონიანი კლიმატის მაკონტროლებელი, Bluetooth-ის ინტერფეისით აღჭურვილი სანავიგაციო სისტემა, Mark Levinson-ის 19-დინამიკიანი აუდიოსისტემა, ელექტრომარეგულირებლებიანი სავარძლები, წინა გვერდითი და უკანა ხედვის კამერების ახალი სისტემა, აგრთვე, ზომით 285/60-საბურავებიანი, 18-დუიმიანი, მსუბუქი შენადნობისგან დამზადებული ბორბლების დისკებიც შევა. რუსულ ბაზარზე ახალი „ლექსუსის“ გაყიდვა მომავალი წლიდან დაიწყება, მაგრამ ჯერჯერობით, მისი ღირებულების შესახებ არაფერია ცნობილი. ■

ჯერი ვეიგერტის სუპერავტო

ლოს-ანჯელესის ავტოსალონზე ბიზნესმენმა ჯერი ვეიგერტმა, რომელიც ცნობილი ამერიკული მარკის, Vector-ის მფლობელია, ახალი სპორტავტო — Avtech WX8 წარადგინა. მანქანას 7,0-ლიტრიანი, V8 ტიპის, 600 ცხ.ძ. სიმძლავრის ძრავა უყენია. იგი 96 კმ/სთ სიჩქარეს 3,3 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 435 კმ/სთ-ია. Avtech WX8 შეიძლება, ტურბომოწყობილობითაც აღიჭურვოს, რომელიც მოტორის სიმძლავრეს 750 ცხ.ძ-მდე ზრდის. ფორსირების მაქსიმალური ზღვარი 1200 ცხ.ძ-ა. ძარა კარბონისგანაა დამზადებული, ხოლო 19-დუიმიან დისკებს სარბოლო საბურავები აქვს გადაკრული, რაც მანქანას ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი სიჩქარით მოძრაობის შესაძლებლობას აძლევს. Vector Avtech WX8-ის სალონში, მძღოლის ჩათვლით, სამი კაცი ეტევა. მისი წინა პანელი ზებგერით გამანადგურებელს მოგვაგონებს, რომელსაც ორიგინალური ტუმბლერ-გამომრთველები უყენია. სუპერავტოს მცირესერიიანი წარმოების დაწყება 2008 წლისთვის იგეგმება. Vector-ის მარკის ავტომობილები შეზღუდული სერიით, 1990-იან წლებში გამოდიოდა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, მისი წარმოება შეწყვიტეს.



ახალი „უაზი“ თბილი ქვეყნებისთვის

ულიანოვსკის საავტომობილო ქარხანამ Hunter Classic-ის ახალი მოდიფიკაციის გამოსაცდელი პარტია გამოუშვა. ეს ავტომობილი, რომელიც ტექნიკური თვალსაზრისით ნაწილობრივაა შეცვლილი, ცხელი კლიმატური პირობებისთვისაა განკუთვნილი. სიახლე ЗМЗ-5143-ის, 2,2-ლიტრიანი, 96 ცხ.ძ. სიმძლავრის დიზელის ძრავითია აღჭურვილი, რომელიც სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფით მუშაობს. საბაზო ვერსიისაგან ეს არასაგზაო ავტომობილი მოტორის გაგრილების უფრო ეფექტური სისტემით გამოირჩევა. გარდა ამისა, UAZ Hunter-ს, რომელიც ცხელი ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი, განსხვავებული აკუმულატორი, ელექტროვენტილატორი, აგრეთვე „სამხედრო დანიშნულების“ ახალი გასანათებელი სისტემა დაუმონტაჟეს. მის მწარმოებელ კომპანიაში იუწყებიან, რომ მიმდინარე წლის მიწურულს ეგვიპტეში, ვიეტნამში, ინდონეზიაში, ავღანეთსა და კუბაში ათასზე მეტი ამგვარი მანქანა გაიგზავნება. ■

ფეხით მოსიარულე რეზინის ტყვიამ იმსხვერპლა

კიევში, ხარკოვის გზატკეცილზე, მძღოლმა შეგნებულად დახვრიტა ფეხით მოსიარულე, რომელიც გზაზე გადადიოდა. მან ცეცხლი ტრავმატული პისტოლეტიდან გახსნა, რომელიც რეზინის ტყვიებს ისვრის. უცხოური მარკის ავტომობილის 25 წლის მძღოლს, რომელიც დაცვის ერთ-ერთ კერძო სამსახურში მუშაობს, გზაზე ახალგაზრდა მამაკაცისა და გოგონას გატარება არ სურდა. საგულისხმოა ისიც, რომ ეს უკანასკნელნი მოძრაობის წესებს არღვევდნენ. მანქანიდან გადმოსულმა მძღოლმა ფეხით მოსიარულეს მკერდში ესროლა და შემდეგ, მიიმალა. რეზინის ტყვიამ ახალგაზრდას მკერდი გაუხვრიტა და ფილტვი დაუზიანა. დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამწუხაროდ, სამკურნალო დაწესებულებაში იგი გონებაზე მოუსვლელად გარდაიცვალა. მოგვიანებით, ეჭვმიტანილი მძღოლი კიევის ერთ-ერთ რაიონში დააკავეს. ■

ეკოლოგიურად სუფთა რბოლა მსოფლიოს გარშემო

მომავალი წლის 12 თებერვლიდან, ნიუ-იორკში სტარტს აიღებს და 1-ელ მაისს პარიზში დასრულდება რბოლა მსოფლიოს გარშემო, ალტერნატიული საწვავის მომხმარებელი მანქანებით. 35 ათასი კმ მანძილის რბოლა 1908 წელს გამართული „დიდი საავტომობილო გარბენის“ 100 წლისთავის აღსანიშნავად ტარდება. საუკუნის წინ, სამყაროს გარშემო რბოლის მოწყობით იმის დამტკიცება სურდათ, რომ მომავალი შიდა წვის ძრავას ეკუთვნოდა. ამჯერად კი ეკოლოგიურად სუფთა ავტომობილების აუცილებლობის დემონსტრირებას აპირებენ. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ

ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ „ᲔᲚᲕᲐᲡᲔᲠᲕᲘᲡᲘ“

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

თავისუფლების მოყვარული ლომი ავტომაგისტრალზე

ტელეარხის — NBC 4 — მიერ გავრცელებული ცნობის თანახმად, ოჰაიოს შტატში, Route 23-ის მაგისტრალზე მიმავალ ავტომობილებს ლომი დაესხა თავს. დაახლოებით 250 კგ მასის მქონე აფრიკულ ლომს, სახელად ლამბერტს გალია გაურღვევია და თავის პატრონს, ვინმე ტერი ბრამფილდს გაჰქცევია. „აფრიკული მხეცი მანქანებს ისევე მისდევდა, როგორც ამას ძაღლები აკეთებენ. ის 3-5 მ-ს გაირბენდა და უკან ბრუნდებოდა“, — ჰყვება ერთ-ერთი თვითმხილველი. მართალია, პატრონს ლამბერტი ძალიან უყვარდა, მაგრამ მაინც, იგი მზად იყო, საჭიროების შემთხვევაში, გაქცეული ლომი მოეკლა. საბედნიეროდ, ეს საჭირო არ გახდა: ტერი ბრამფილდმა მოახერხა და ლამბერტი გალიაში დააბრუნა. მხეცის პატრონის თქმით, ლომების მოშენება მას დეპრესიის დაძლევაში ეხმარება. სწორედ ამ მიზნით, მას თავის საცხოვრებელ ტერიტორიაზე ორი აფრიკული ლომი: ლამბერტი და ლესი ჰყავს. ■

ᲐᲕᲢᲝᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐᲛ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲘ ᲘᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲐ



ლუიზიანის შტატში მომხდარი ავარიის შედეგად ძროხა დაიღუპა. უზარმაზარი სატვირთო მანქანა, რომელსაც 117 ძროხა გადაჰყავდა, ხიდზე გადაბრუნდა. ეს იმის გამო მომხდარა, რომ პირუტყვის ნაწილი ერთდროულად, ძარას ერთ მხარეს გადასულა. ავტოკატასტროფის შემდეგ, ზოგიერთი ძროხა, რომელიც შოკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხიდიდან გადავარდა, ზოგი კი სატვირთოს უკან მიმავალმა მსუბუქმა მანქანებმა გაიტანეს. დანარჩენი ჩლიქოსნები ახლომახლო მიმოიფანტნენ, მაგრამ მალე, ისინი შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველმა პოლიციელებმა დაიჭირეს. მოგვიანებით, დაღუპული ცხოველების გვამები, მტაცებელთა გამოსაკვებად, ადგილობრივ ზოოპარკს გადასცეს. ■

რუბრიკა მოამზადა ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ

რამდენად კარგად ხარ აღზრდილი?

ამ ტესტის მეშვეობით შეგიძლია, სულ იოლად გაარკვიო, თუ რამდენად კარგად აღზრდილი ხარ (მაგრამ გირჩევ, ტესტის შედეგებს ზედმეტად სერიოზულად ნუ მიუდგები).

1. მიუხედავად საკუთარი განწყობილებისა, ყოველთვის გულღიად და ხალისიანად ესალმები თუ არა ნაცნობებს?
ა) დიახ; ბ) არა.

2. შენობიდან გამოსვლისას, თუკი შენ უკან ვინმე მოდის, მძიმე კარის ხელით შეკავებას ცდილობ, რათა ის არ მიეხალოს მას, ვინც ფეხდაფეხ მოგყვება?
ა) დიახ; ბ) არა.

3. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას, როდესაც ჩასასულელად წინ გადასვლას ცდილობ, ყოველთვის ზრდილობიანად მიმართავ თუ არა მგზავრებს: „უკაცრავად, თუ შეიძლება, გამატარეთ“?
ა) დიახ; ბ) არა.

4. სადაც შედიხარ, იქნება ეს ლიფტი, მაღაზია თუ სხვა ადგილი, ყოველთვის ამბობ თუ არა სალამს?
ა) დიახ; ბ) არა.

5. თეატრსა თუ კინოდარბაზში საკუთარ ადგილამდე მისვლისას, იმავე რიგში მჯდომ მაყურებელს მისკენ პირშექცეული ჩაუვლი და არავითარ შემთხვევაში არ მიაქცევ ზურგს?
ა) დიახ; ბ) არა.

6. შენი აზრით, საჩვენებელ თითს იმიტომ ჰქვია ასე, რომ თანამოსაუბრეს ამა თუ იმ მიმართულებით სწორედ ამ თითით მიუთითო?
ა) დიახ; ბ) არა.

7. კინოთეატრში მისულმა უნდა მოიხადო თუ არა თავსაბურავი?
ა) დიახ; ბ) არა.

8. როდესაც გოგონას ვაჟი მიაცილებს, როგორც წესი, გოგონა მარცხენა მხარეს უნდა ედგეს ყმაწვილს?
ა) დიახ; ბ) არა.

9. მიგაჩნია თუ არა, რომ ხელის ჩამორთმევისას, ცაციამ მარცხენა ხელი უნდა გაუწოდოს ადამიანს?
ა) დიახ; ბ) არა.

10. როდესაც ყმაწვილი 2 გოგონას თანხლებით მოდის, მიგაჩნია თუ არა, რომ ის ცენტრში უნდა იდგეს?
ა) დიახ; ბ) არა.

11. შეიძლება თუ არა, რომ ადამიანს ტელეფონით მიუსამძიმრო?
ა) დიახ; ბ) არა.

12. შენი აზრით, სატელეფონო საუბრის ტექნიკური მიზეზით გათიშვის შემთხვევაში, როცა საუბარი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ხელმეორედ სწორედ იმან უნდა დარეკოს, ვინც თავიდან დაურეკა თანამოსაუბრეს?
ა) დიახ; ბ) არა.

დაჯამება ქულები: ყოველ დადებით პასუხში დაიწერე 1 ქულა, უარყოფითში — 0.

ტესტის შედეგები

0-4 ქულა: ალბათ, ამქვეყნად ცოტა ისეთი ადამიანი თუ მოიძებნება, ვინც შენ კარგად აღზრდილ გოგონად მიგიჩნევს.

5-8 ქულა: არცთუ ისე ურიგო შედეგია, მაგრამ ჯერ კიდევ გმართებს გარკვეული მიმართულებით მუშაობა.

9-12 ქულა: შენდა სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ შესანიშნავი შედეგი გაქვს. სრულიად მართებულად შეგიძლია, საკუთარი თავი კარგად აღზრდილ გოგონათა რიგს მიაკუთვნო.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

9	2	1	6	8	7	3	5	4
4	3	6	5	2	9	1	7	8
5	7	8	1	4	3	6	2	9
1	8	7	3	5	2	9	4	6
6	9	5	7	1	4	8	3	2
2	4	3	9	6	8	5	1	7
8	1	9	4	7	5	2	6	3
7	6	2	8	3	1	4	9	5
3	5	4	2	9	6	7	8	1

2	1	3	4	9	7	6	5	8
7	9	5	2	8	6	1	4	3
6	8	4	5	1	3	7	2	9
9	3	7	8	2	4	5	1	6
5	2	8	9	6	1	3	7	4
4	6	1	3	7	5	9	8	2
1	5	9	6	4	8	2	3	7
3	4	2	7	5	9	8	6	1
8	7	6	1	3	2	4	9	5

6	7	3	2	4	5	9	8	1
8	4	5	6	9	1	2	7	3
9	1	2	7	3	8	4	6	5
7	9	6	5	2	3	1	4	8
5	2	8	1	7	4	3	9	6
4	3	1	8	6	9	5	2	7
1	5	4	9	8	6	7	3	2
2	6	9	3	1	7	8	5	4
3	8	7	4	5	2	6	1	9

* მარტივი

4				9		7		
	1		3			4	5	
	2				1		9	
5			8					4
	6		1				8	
9			4		2			7
	9		2				1	
	4	5			6		7	
		2		3				6

** საშუალო

	4		5					1
	2		4				7	
					3			2
		3	7	6		8		
		7			9	1		
		6		2		4		
9			3					
	3				1		8	
7					8		1	

*** რთული

		8			4			1
2				8			3	
			9			6		
6				3	1	9		
4				9				7
		1	7					4
		5			3			
	3			6				2
1			8			7		



ფოტო ნოემბრის სკანვორდის პასუხები

1. ელდორადო; 2. დეკადა; 3. კრილოვი; 4. პაპა; 5. ამსტერდამი; 6. დეკალოგი; 7. სამორინე; 8. მეგობარი; 9. მოგადიშო; 10. მანაგუა; 11. ქნესეთი; 12. დავა; 13. განა; 14. მანისფესტაცია; 15. აბანო; 16. აგორა; 17. ომეგა; 18. სიენა; 19. აჯიკა; 20. კიევი; 21. ბრიფინგი; 22. ვაკე; 23. დათვი; 24. ტბა; 25. ქარაფი; 26. კოკა; 27. პისარო; 28. ომარი; 29. ოქრო; 30. ეპილაცია; 31. კალიუმი; 32. ბასა; 33. გრო; 34. ლირა; 35. ფიფა; 36. აკონკაგუა; 37. გო; 38. აია; 39. ოლიფა; 40. კილოკავი; 41. ატოლი; 42. კამეა; 43. კონგო; 44. კორექცია.

სურათზე: ენდი გარსია; კაროლ ბუკე.

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(29 ნოემბერი - 5 დეკემბერი)

ᲕᲔᲠᲫᲘ 23.07-23.08

დროის მოცემული მონაკვეთი ხელსაყრელი იქნება მხატვრების, მუსიკოსებისა და მსახიობებისთვის. დაუგეგმავმა მოგზაურობამ შეესაძლოა, სერიოზული მატერიალური ზარალი მოგაყენოთ.

ᲙᲣᲠᲝ 24.08-23.09

წარმატება გელით ყველა იმ სფეროში, რომელიც რისკთანაა დაკავშირებული. შემოქმედებითი პოტენციალის ზრდასთან ერთად, თქვენი განწყობილებაც გაუმჯობესდება. ამ კვირაში დიდია ტრავმების ალბათობა, რის გამოც, სიფრთხილე გმართებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას.

ᲢᲧᲣᲐᲜᲘ 24.09-23.10

გამოიჩინეთ ყურადღება და მზრუნველობა პარტნიორების მიმართ, ეს კი თქვენს ურთიერთდამოკიდებულებას საგრძნობლად გააუმჯობესებს. თვის ბოლოს შეიძლება, საზღვარგარეთ გაემგზავროთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ 23.07-23.08

ასაკით უფროსი და გამოცდილი პარტნიორები სასარგებლო რჩევებს მოგცემენ და დახმარებას გაგიწევენ. თქვენი შემოსავალი დამოკიდებული იქნება დაუღალავ შრომაზე. შეეცადეთ, ზუსტად განსაზღვროთ საკუთარი ხარჯები.

ᲚᲝᲛᲘ 24.08-23.09

მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირაში საკმაოდ სოლიდური თანხის დახარჯვა მოგიწევთ, თქვენი მატერიალური მდგომარეობა მაინც საგრძნობლად გაუმჯობესდება. სარფიანად წარიმართება ხელოვნების ნიმუშებისა და ფუფუნების საგნების ყიდვა-გაყიდვის საქმე. ამ დღეებში განვითარებული მოვლენების შედეგად, თქვენი გავლენის სფერო გაფართოვდება.

ᲫᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.09-23.10

გარშემო მყოფები შეეცდებიან, თქვენი რჩევები გაითვალისწინონ. ყურადღება მიაქციეთ ყოველივე იმას, რასაც ამ დღეებში მოისმენთ ან წაიკითხავთ, რადგან მიღებული ინფორმაცია მომავალში აუცილებლად გამოგადგებათ. სიფრთხილე გმართებთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.10-22.11

უფროსობა და ხელისუფლების წარმომადგენლები დასახული მიზნის მიღწევაში დაგეხმარებიან. ამჯერად, სასამართლო პროცესები თქვენს სასიკეთოდ წარიმართება. ასევე, შეგიძლიათ გქონდეთ ნათესავებისა და ოჯახის წევრების მხარდაჭერის იმედი.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 23.11-21.12

ამ პერიოდში თქვენი ბევრი პრობლემა თავისთავად მოგვარდება. მაგრამ თუ ოჯახურ ურთიერთობებს სათანადო ყურადღებას არ მიაქცევთ, შესაძლოა, ცოტა ხანში დეპრესიაში ჩავარდეთ.

ᲛᲣᲨᲐᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 22.12-20.01

წარმატებით გამოიძიებთ ნებისმიერ საქმეს, კარგად გაართმევთ თავს საბუღალტრო შემოწმებებს, ანგარიშებსა და ეკონომიკურ ანალიზს. გაგიჩნდებათ მოთხოვნილება, გახდეთ ლიდერი და ამის მისაღწევად რისკზეც კი წახვალთ.

ᲗᲔᲗᲠᲘᲡ ᲠᲫᲐ 21.01-19.02

ამ პერიოდში თქვენი სახლი მეგობრებისა და ნათესავების თავშეყრის ადგილად იქცევა. მრავალრიცხოვანი სატელეფონო ზარი და წერილი ძალზე აგაფორიაქებთ. ყოველდღიური საქმეებისგან დასასვენებლად, შეგიძლიათ, მცირე ხნით ქალაქგარეთ გაემგზავროთ.

ᲬᲧᲐᲠᲝᲡᲜᲣᲚᲘ 20.02-20.03

ამ კვირაში სერიოზული მატერიალური გართულებებია მოსალოდნელი და ამის გამო, მთელი თქვენი ძალისხმევა იმისკენ იქნება მიმართული, რომ შემოსავლის ახალი წყარო იპოვოთ. ყოველივე ეს კი თქვენი გეგმების განხორციელებას შეაფერხებს.

ᲗᲔᲗᲠᲘᲡᲦᲐᲚᲘ 20.02-20.03

ამ დღეებში მოგეცემათ შესაძლებლობა, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. მთავარია, ზუსტად ჩამოაყალიბოთ მოქმედების გეგმა. მიენდვეთ საკუთარ ინტუიციასა და წინათგრძნობას, რომელიც ნამდვილად არ გიღალატებთ.

ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲪᲕᲐᲚᲝᲜ(?!)

ნორვეგიის სექსშოპების უმსხვილესი ქსელის ერთ-ერთ მაღაზიაში კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის სამმართველოს ინსპექცია შეიჭრა. ამ რეიდის შემდეგ, მაღაზიათა ქსელის მესვეურნი იძულებულნი არიან, დასახელება შეუცვალონ ისეთ პროდუქციას, როგორიცაა მაგალითად: „პენის-პასტა“, „ტკბილი ხელბორკილი“, „შოკოლადის საღებავი სხეულისათვის“ და ა.შ. სამმართველოს იმის გაკონტროლება ევალება, რომ მომხმარებელმა მხოლოდ ხარისხიანი და უსაფრთხო პროდუქტი მიიღოს. პიკანტური პროდუქციის შესწავლის შემდეგ, ინსპექტორებმა დაადგინეს, რომ იარლიყების გაფორმების დადგენილი წესი, უმეტეს შემთხვევაში, უხეშად იყო დარღვეული. კანონის თანახმად, ნორვეგიის ტერიტორიაზე გაყიდულ კვების პროდუქტებს ნორვეგიული იარლიყი უნდა ერთვოდეს, სადაც ყველა ინგრედიენტი იქნება ჩამოთვლილი. დადგენილებიდან გამომდინარე, ინტიმური საქონლით მოვაჭრე მაღაზიათა ქსელის მფლობელნი აჩჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ: მათ „პენის-პასტა“ და სხვა პროდუქცია ან გაყიდვიდან უნდა ამოიღონ, ან შესაბამისი იარლიყი მიაკრან. მაღაზიის სექსუალური პროდუქციის ექსპერტმა — კუერსტი ანტონსენმა განაცხადა, რომ მათ მეორე ვარიანტი აირჩიეს. „ჩვენს მაღაზიაში კვების პროდუქტების ხარისხის კონტროლის ინსპექციის თანამშრომელთა გამოჩენამ გაგვაკვირვა — საკვები ჩვენი ძირითადი საქონელი ნამდვილად არ არის, ჩვენ ტრუსებით, ბიუსტჰალტერებით, ხელბორკილებითა და ტკბილეულის ჩამოსაკიდებელი თასმებით ვვაჭრობთ“, — ამბობს გაოგნებული ანტოსენი.

„ᲜᲣᲒᲑᲐᲠᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ“



იაპონიაში უნიკალური სათამაშო სახლი ააშენეს, რომლის მშენებლობაზეც 13000 ორცხობილა და კრემიანი ფენოვანი ნამცხვარი დაიხარჯა. „ნუგბარი სახლის“ 27 წლის მშენებელმა, მეშაქარლამე ტოსიიუკი ტადამ განაცხადა, რომ „სამშენებლო მასალის“ დასამზადებლად უარი თქვა ისეთ პროდუქტზე, როგორიცაა კარაქი, სამაგიეროდ, უხვად გამოიყენა დარიჩინი, რაც შენობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში დანგრევისგან დაიცავს. „კულინარულ საოცრებას“ დამთვალიერებელი ტოკიოს თემატურ პარკში, 23 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე იხილავს.

ᲛᲫᲘᲜᲐᲠᲐ ᲥᲣᲠᲓᲘ

ბოსნიის ქალაქ მაგლაის მკვიდრი სამსახურიდან შინ დაბრუნდა და... მძინარე ქურდი შერჩა ხელში — პოლიციამ დაადგინა, რომ 21 წლის ახალგაზრდა ერთ-ერთი მოქალაქის სახლში შეიპარა, ორი სამაჯური, ყელსაბამი მოიპარა და ის-ის იყო, სახლიდან უვნებლად გამოსვლას აპირებდა, რომ ძილი მოერია. „მძარცველმა დივანი დაინახა, მცირე ხნით დასვენება გადაწყვიტა და ჩაეძინა“, — განაცხადა პოლიციის წარმომადგენელმა. ბედოვლათი მძარცველი მხოლოდ მაშინღა გამოფხიზლდა, როდესაც სახლის პატრონი თავზე წამოადგა. უიღბლო მძარცველმა დანაშაული აღიარა.

„ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘ“ ᲩᲘᲜᲔᲚᲘ

ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ლიაონინის პროვინციის ქალაქ დალიანში დაუჯერებელი ამბავი მოხდა. 58 წლის მუშა, სახელად ვანი მშენებარე შენობის 33-ე სართულიდან გადმოვარდა და... ცოცხალი გადარჩა!!! იღბლიან მუშას საოცრად გაუმართლა: იგი სამშენებლო მავთულის გროვაზე დაეცა. მავთულის გროვამ ზამბარასავით იმოქმედა და საშინელი დარტყმის ძალა გარკვეულწილად შეამცირა. დაზარალებული ვანი უახლოესი ჰოსპიტლის ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოათავსეს. იღბლიან ჩინელს მხოლოდ რამდენიმე ნეკნის მოტეხილობა და შინაგანი ორგანოების დაჟეჟილობა აღენიშნება. ექიმები იუწყებიან, რომ რამდენიმე ოპერაციის შემდეგ, ავადმყოფის მდგომარეობა სტაბილურია.

ᲥᲕᲘᲠᲦᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ!

თუ გსურთ, აქტიურად ჩაერთოთ თქვენი საყვარელი ჟურნალის განახლებაში — შემოგვთავაზოთ რაიმე იდეა, მოგვაწოდოთ ჭორ-მართალი საინტერესო ადამიანებზე, ოპერატიულად გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულება „გზის“ პუბლიკაციებზე ან უბრალოდ, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ მესიჯი ტელეფონის ნომერზე: 8.99.17.35.27 ან მოგწეროთ ელ. ფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲘᲮᲓᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ.

ფოტოკუთხეები



საბა SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ლიმალელე — გურამიშვილი

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

PASCHAL

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში